

ISSN—0132—6068

საქართველოს
საბჭოთავო
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემიის

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

1-4. 1994

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

Известия Академии наук Грузии



ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ

თბილისი
ТБИЛИСИ

1—4. 1994

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს,
Журнал основан в 1971 году.

სარედაქციო კოლეზია: გ. ციციშვილი (რედაქტორი), ზ. ალექსიძე,
თ. გამყრელიძე, ა. ვეაზარია (რედაქტორის მოადგილე), გ. თოფურია
პასუხისმგებელი მდივანი გ. ღლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Цицишвили Г. Ш. (редактор),
Алексидзе З. Н., Гамкრелидзе Т. В., Гвахарია А. А. (зам. редактора),
Топурия Г. В.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია
1994, № 1—4

ოქტაპედიის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 10.1.94; ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.VII. 96;
ანაწყოების ზომა 7×12³/₄; ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა;
პირ. ნაბეჭდი თაბახი 16.80; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.00;

ტირაჟი 400;

შეკვეთა № 6;

ფასი სახელშეკრულებაში

საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19

შინაარსი

წერილები

ა. გვახარია, კიდევ ერთხელ „სარაჯის“ შესახებ „ვეფხისტყაოსანში“	5
ც. ბენაშვილი, დემონის მხატვრული ინტერპრეტაცია გალაკტიონთან და ბაირონთან	13
მ. ქალიაშვილი, ცისფერყანწულთა შემოქმედების ერთი ასპექტი — პოეტური დენდიზმი	20
მ. ქაჯაია, კიბა აბაშიძე გიორგი წერეთლის შესახებ	30
ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელის „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბასების“ ხელნაწერები	39
ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებანი და ქართული სამწერლობო ტრადიციები	73
გ. კარტოზია, სხვათა სიტყვის ნაწილაკი „ვეფხისტყაოსანში“	115
გ. ცოცხანიძე, სალექსიკონო მასალის შერჩევის პრინციპისათვის ერთგოვანი ლექსიკონის შედგენის დროს	122
ვ. ბოუდერი, ძველი ქართული თხრობის ერთი ტექსტლინგვისტური თავისებურება: დაკავშირებულება და არადაკავშირებულება	129
მ. კობიაშვილი, ნათესაობის ფორმები და მათი აღმნიშვნელი ტერმინები	136
ზ. კიკვიძე, ჩვენ ნაცვალსახელის მეორეული მნიშვნელობა	141
შ. ოდიკაძე, ქართულის ზოგ დიალექტში არსებული აღმოსავლური წარმოშობის რამდენიმე სიტყვის შესახებ	148
მ. ბერიძე, „პკეის“ ტიპის ზმნათა დაბოლოების საკითხისათვის	157

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

თ. შურღაია, ახალი სპარსული ძეგრნალი	165
მ. ალექსიძე, რ. ძიპოლის წიგნი „სტატისტიკა და ლირია პერსიკა“	170

ქრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	173
---------------------------------------------------------------	-----

რ. ლამბაშიძე	187
------------------------	-----

ს. ყიფია	189
--------------------	-----

285017

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

А. А. Гвахария, Ещё раз о «сарадже» в «Вепхисткаосани»	5
Ц. В. Бенашвили, Творческая интерпретация демонического у Галактиона Табидзе и у Байрона	13
М. У. Джалишвили, Один аспект творчества «голубороговцев» — поэтический деизм	20
М. Л. Каджая, Қ. Абашидзе о Г. Церетели	30
Б. Ш. Дарчия, Рукописи «Превия неверного Мухаммеда и христиан»	39
К. П. Безарашвили, Сочинения Григория Назиазина и грузинские литературные традиции	73
Г. А. Картозия, Частица чужой речи в поэме Руставели «Витязь в барсовой шкуре»	115
Г. И. Цоцанидзе, О принципах подбора лексического материала при составлении одноязычного словаря	122
В. Боедер, Одна текстоллингвистическая особенность древнегрузинского повествования: связность и несвязность	129
М. Кобиашвили, Формы родства и обозначающие их термины	136
З. И. Киквидзе, Вторичное значение местоимения CVEN «Мы»	141
М. О. Одикадзе, О нескольких словах восточного происхождения в диалектах грузинского языка	148
М. М. Беридзе, К вопросу об окончании глаголов типа «HGIES» «есть, существует» в грузинском языке	157

Критика и библиография

Т. Шургаиа, Новый персидский журнал	165
М. М. Алексидзе, Книга Р. Дзиполи «Статистика и лирика персика»	170

Хроника и информация

В комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре»	173
---------------------------------------------------------------------------------------------------------	-----

Р. Б. Гамбашидзе	187
С. С. Джкия	189

ალექსანდრე გვახარია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

კიდევ ერთხელ „სარაჯის“ შესახებ „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანში“ ჩვენთვის საინტერესო სიტყვა „სარაჯი“ ორჯერ გვხვდება. პირველად იქ, სადაც აღწერილია ფარსადანის მიერ ნესტან-დარეჯანისათვის ცალკე სასახლის აგება:

„მეფემან სახლი ააგო, შიგან საყოფი ქალისა:
ქვედ ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა,
პირსა ბაღჩა და საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა;
და იგი მუნ იყვის, მედების ვისგან სახმილი აღისა“¹.

მეორედ ამ სიტყვას (უკვე მრავლობით რიცხვში) ტარიელის მიერ ისევ და ისევ ნესტან-დარეჯანის ბაღჩის აღწერისას ვხვდებით. გაშლილი სურათი ასეთია (სტრ. 339—341):

„მეფემან ახმა დურაჯთა მითხრა მიტანად ქალისა,
გამოუხვენ და წავედით ჩემად სადებლად აღისა;
მაშინ დაეიწყე გარდახდა მე საწუთროსა ვალისა,
და აღმასისა ხამს ლახვარი ლახვრად გულისა სალისა!“

ბაღჩა ენახე უტურფესი ყოვლისავე საღიზნოსა:
მფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა;
მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა.
და კარსა ზედა მოჰფარედა ფარდაგები ოქსინოსა.

ვიცოდი, სწაღდა არვისგან ნახე მის მზისა დარისა,
მე გარე ევდგა და მეფემან შეველო ფარდაგი კარისა;
ვერას ვხედვედი, ოდენ ხმა მესმოდა საუბარისა,
და ასმათს უბრძანა გამოხმა დურაჯთა ამირბარისა“.

ჯერ პირველი მაგალითი განვიხილოთ. ფარსადანის მიერ აგებულ სახლში (=სასახლეში), მისთვის განკუთვნილ კოშკში², მძიმედ დაშვებულ ფარდების მიღმა ცხოვრობდა ნესტან-დარეჯანი ერთგულ ასმათთან ერთად. სასახლის გარშემო, კოშკის ძირას³ გაშენებული იყო ბაღი (ბაღჩა), რომელსაც ამშვენებდა საბანლად (საბანაოდ) განკუთვნილი ვარდის წყლით აესებული სარაჯი.

¹ აქედ და ქვემოთ ტექსტი მოგვიქვს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული მასობრივი გამოცემის მიხედვით: შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1988, სტრ. 326. ამჟერად არ ვხვებით ამ სტროფის ცალკეული ადგილების სხვადასხვაგვარ წაითხევებს („მეფემან კოშკი ააგო“; „ქვედ ფაზარია დათლილი იაგუნდისა, ლალისა“; „პირსა ბაღჩა“; „კარზედან ბაღჩა“). მათ შესახებ იხ. კომისიის სხდომის ოქმები, „მაცნე“, 1975, № 4; დაწერილებით: მ. გუგუშვილი, ლ. ძოწენიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის წაითხვისა და გაგებისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, XVII, თბ., 1987.

² კოშკი რომ სასახლის შემადგენელი ნაწილია და არა ცალკე ნაგებობა, მოწმობს „ეპირამიანი“: „დარბაზსა მისსა ზედა კოშკი იყო აგებული“ („ეპირამიანი“, ა. გვახარია ს. მ. თოდუას რედაქციით, თბ., 1962, 41, 7).

³ შლრ. „ეპირამიანი“: „ევისი სადა იყო, მის კოშკისა ძირსა მოვიდა“ (241, 21).

„ვეფხისტყაოსანთან“ დაცევირებით ამ სიტყვას მრავალი მკვლევარი შეეხო. ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა ტექსტის პირველი გამომცემლის, მეფე-პოეტის ვახტანგ VI-ის განმარტება: „სარაჯი ავაზასა ჰქვან“. ამ განმარტებას ახლავს აკაკი შანიძის კომენტარი: „ასეა პირველ გამომცემაში („ავაზას“), მაგრამ აქ კორექტურული შეცდომა უნდა იყოს. მოსალოდნელია ან ავზასა (ავზა პატარა აუზია), ან არა და: ავაზანსა (ა.-ს. ორბელიანით ავზი ე. ი. აუზი იგივეა. რაც ავაზანი, ხოლო ავაზანი მას ასე აქვს ახსნილი: „წყლის საგუბარი, ისარნები, წყლის სადგური“, ე. ი. ივულისხმება, ალბათ, ავაზანა, რომელი სიტყვაც წარმოშობით იგივეა, რაც ავაზანი“⁴. ასეა თუ ისე, ვახტანგს, როგორც ჩანს, სარაჯი აუზის მნიშვნელობით ესმოდა.

მისი თანამედროვე, პირველი ქართველი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი ერთგვარად ავიწროებს ამ გაგებას: „სარაჯა ქვისა და ძელის ღარი რუსათეს“, ხოლო „სარაჯი იგივე ღარულად ნაქმარი“⁵.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ქართველი კომენტატორი თეიმურაზ ბაგრატიონი თუმცა საკმაოდ ვრცლად მსჯელობს ამ სიტყვის შესახებ, მაგრამ გარკვეული ყოყმანის შემდეგ ფაქტურად საბასეულ განმარტებას იმეორებს: „სარაჯი — ღარი ქართულად. სარაჯი — ავაზი, ავაზანი სომხურად საბანელსა ეწოდება. სარაჯი — წყალისა ანუ წყაროსა ღარი, ანუ სოლინარი. სოლინარი ლულა მრთელი. სარაჯი — ღარი ანუ ნახევარი ლულა. ქართულად აუზი არ ეწოდება წყალის გამოსადინარსა. აუზი — ჰოუზ სპარსული არის, ქართულად აუზს საბანელი ეწოდება და ტბათ, რომელიცა კელითა მიერ კაცთასა ქმნილ არიან საბანელად გვამისა ანუ სახმარად წყლისა“⁶.

„ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილ გამოკვლევებსა და ტექსტის სხვადასხვა გამომცემებს დართულ ლექსიკონებში ფაქტურად ეს ორი გაგებაა ფიქსირებული (აუზი და ღარი, მილი ან წყარო), ზოგჯერ მათ მესამეც ემატება (შადრევანი). თავდაპირველად ნიკო მარისეულ თარგმანს მივეთითებთ ამ ადგილისას („На лицевой стороне цветник и для омовения родник розовой воды“)⁷, შემდეგ კი მითითების გარეშე ჩამოვთვლით ამ გაგებათა ავტორებს: შადრევანი (დ. ჩუბინაშვილი); წყარო, რუ, არზი (მ. ჯანაშვილი); შადრევანი (დ. კარიჭაშვილი); აუზი, ბასეინი; ქვის ან ძელის ღარი რუსათვის (იუსტ. აბულაძე); წყარო, ღარით გამოყვანილი (ს. კაკაბაძე); ქვის ან ძელის ღარი რუსათვის (კ. ჭიჭინაძე); ღარით ან მილით გამოყვანილი წყალი (ა. შანიძე); ღარიდან გამომდინარე საბანელი ვარდისწყალი; ვარდის წყლის აბანოს შადრევანი (გუგ. ბერიძე); ღარი ანუ მილი, რომლითაც შემოპყავთ წყალი აუზში (ს. ცაიშვილი); წყარო (მ. გუგუშვილი, ლ. ძოწენიძე); ღარი (ნ. ნათაძე). ამ შემთხვევაში აუზად არის გაგებული ეს სიტყვა ს. იორდანიშვილის ბჭკარედულ თარგმანში: „У входа был разбит цветник и (устроен) бассейн для омовения розовой водой“⁸. „აუზად“ არის გადმოღებული იგი „ვეფ-

⁴ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამომცემა 1712 წლისკ აღდგენილი ა. შანიძის მიერ 1937 წელს, თბ., 1975, 381.

⁵ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949.

⁶ თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედი-შვილის რედაქციით, გამოკვლევა და საძიებლო, თბ., 1960, 47.

⁷ Н. Марр, Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре», Шоты из Рустави и новая культурно-историческая проблема, ИАН, 1917, 443.

⁸ Шота Руставели, Вепхисткаосани, подстрочный перевод С. Иорданишвили, Тб., 1966, с. 68.



ხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი მთავარი რედაქციის ^{ერეკლევი} პროზაულ გარდათქმაში.

რაც შეეხება „სარაჯის“ ეტიმოლოგიას, დ. ჩუბინაშვილი თუმც უთითებს მის სპარსულ წარმომავლობას, არ აზუსტებს, რომელი სიტყვიდან მომდინარეობს იგი. ნიკო მარი უკავშირებს მას სევანურ „სარაჯს“ (вода в жолобе, источник) თუ „სარაჯის“ (родник)⁹.

ჩვენ ორჯერ გვქონდა შემთხვევა შევხებოდით ამ სიტყვას. პირველ შემთხვევაში საკვლევ ობიექტს XVI საუკუნის ძველი — ანონიმური ანუ ზაალი-სეული „იოსებზილიხანიანის“ წარმოდგენდა. გვანტერესებდა ამ ძეგლის ის აღმოსავლური ლექსიკა, რომელიც განმარტების გარეშე აქვს დატოვებული ან მცდარად ახსნილი „იოსებზილიხანიანის“ ამ ვერსიის გამომცემელს გიორგი ჯაკობიას¹⁰. ჩვენ ვწერდით, რომ „იოსებზილიხანიანის“ ტექსტში ერთგან იკითხება:

„სრა სარაჯითა მორთული, ფავარა მალა ხტებოდა“. (385, 2)

გ. ჯაკობიას ლექსიკონში „ფავარა“ საერთოდ გამოტოვებულია, ხოლო „სარაჯი“ ასეა განმარტებული: „შადრევანი, ამომჩქეფარე წყალი“. სინამდვილეში სწორედ არაბ. სპ. „ფავარე“ ნიშნავს შადრევანს, მალა ამომჩქეფარე წყლის ნაკადს. რადგან „ფავარა“ მალა ხტებოდა „სარაჯიდან“, ეს უქანასწავლი უნდა ნიშნავდეს აუზს, რომ ეს მართლაც ასეა, მოწმობს მომდევნო სტროფებში „სარაჯის“ სინონიმად „ჰავეზების“ (აუზების) ხმარება:

„ეკლა ამისთანას ბაღარსა ახლავს ტურფა რამ ჰავეზები“. (389, 1)

„სურნელს სულთა ჰავეზები ვარდისა წყლთა შერთო“. (391, 3)

რაც შეეხება „სარაჯის“ ეტიმოლოგიას, მაშინ იგი ჩვენთვის ბუნდოვანი რჩებოდა. შევნიშნეთ მხოლოდ, რომ დ. ჩუბინაშვილის მითითება (pers. фонтан) ვერ დავადასტურებთ არაბულ და სპარსულ ლექსიკონებში (გვაქვს მხოლოდ „სარაჯ“ — მეუნავირე, ტყევის ოსტატი)¹¹.

ცხადია, აქვე მივუთითეთ „ვეფხისტყაოსანზე“ და აქ ხმარებულ „სარაჯს“ იგივე მნიშვნელობა დაუკავშირეთ. მაგრამ უფრო ვრცლად ამ ორი ძეგლის ურთიერთმიმართების საკითხს მოგვიანებით შევხებთ წერილში „ვეფხისტყაოსანი“ და „იოსებზილიხანიანი“¹². აქ საგანგებოდ აღვნიშნეთ, რომ ზილიხას სასახლის აღწერა მრავალი დეტალით ეხმაურება ნესტან-დარეჯანის სამყოფის აღწერას. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ XVI საუკუნის ძეგლშიც „სრა სარაჯითა მორთული“, ხოლო მომდევნო სტროფებში ეს „სარაჯი“ ახსნილია, როგორც „ვარდის წყლის ჰავეზები“ ანუ აუზები. სიტყვის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ვწერდით: „პროფ. სერგი ჯიქიაშვილი მიგვითითა, რომ თურქულ ლექსიკონებში გვხვდება არაბულიდან შემოსული „სარნიჯ || სპარნიჯ“ წყალსაცავის მნიშვნელობით. ამან ბიძგი მოგვცა სპარსულ ლექსიკონებშიც დავეძებნა არაბულიდან შემოსული ეს სიტყვა სხვადასხვა ფონეტიკური ვა-

⁹ ნიკო მარი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები და შენიშვნები დაურთეს მ. გუგუშვილმა და ლ. ძოწენიძემ, თბ., 1965, 112.

¹⁰ იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიები, ნაწ. პირველი, გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ., 1927.

¹¹ ა. გვანაბრია, „იოსებზილიხანიანის“ ანონიმური ვერსიის ლექსიკოლოგიური საკითხები, კრებ. ძველი ქართული მწერლობის საკითხები, 1, თბ., 1962, 132.

¹² ა. გვანაბრია, „ვეფხისტყაოსანი“ და „იოსებზილიხანიანი“, კრებ. „შოთა რუსთველი“, თბ., 1966.



რაციებით („სარინჯ || სპარჯი“). საინტერესოა, რომ იაგელოს ლექსებში ცალში, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით, მის ყოფილ პატრონს, ცნობილ ირანისტს კ. ჩაიკინს (1889—1939) სიტყვა „სარინჯთან“ (инстерна, бассейн, водоем) მიუწერია: „Ср. у Руставели სარაჯი“ (ეს უკანასკნელი სიტყვა ქართული ასოებით უწერია). ამრიგად, ეტიმოლოგიურად „სარაჯი“ იმასვე ნიშნავს, რასაც „იოსებზილიხანიანის“ კონტექსტი იძლევა. იგი შეიძლება დაუკავშირდეს არაბ. სპ. „სარინჯს“ (ან უფრო მის ვარიანტს „საპრიჯს“, „პ-ს ჩვეული ამოვარდნის შემდეგ „სარიჯი → სარაჯი“). თუმცა ერთი გარემოება გვაფიქრებინებს, ხომ არ იყო „ვეფხისტყაოსნის“ თავდაპირველ ტექსტში არაბულის შესატყვისი „სარიჯი?“ საქმე ისაა, რომ ეს ფორმა იკითხება მთელ რიგ ხელნაწერებში...¹³.

ახლა განვიხილოთ „ვეფხისტყაოსანში“ ამ სიტყვის ხმარების მეორე მაგალითი („მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა“). პირველი მოულოდნელობაა „სარაჯების“ მრავლობით რიცხვში მოხსენიება (მდრ. ადრე ნათქვამი: „ძირსა ბაღია და საბანლად სარაჯი ვარდის წყლისა“). მეორე და უფრო ძნელად მოსავლელია „აბანო“. რა მნიშვნელობითაა აქ იგი ნახმარი? ნიკო მარი კითხვის ნიშნით იძლევა განმარტებას „бассейн“ (?). ს. იორდანი-შვილი ასე თარგმნის ამ ტაქსს: „Было много фонтанов розовой воды для купанья“. ვუკ. ბერიძეს ასე გადმოაქვს ეს ტაქები: „ბაღჩაში მრავლად იყო ვარდის წყლის აბანოს შადრევნები“¹⁴.

ერთი რამ ცხადია, „სარაჯები“ აქ იმავე მნიშვნელობით უნდა ვივარაუდოთ, როგორც აქვს მას პირველ მაგალითში. არ შეიძლება ის ხან „აუზს“ ნიშნავდეს, ხან „შადრევნებს“. თანაც „ვარდის წყლისა“ მიემართება „სარაჯებს“ და არა „აბანოს“. თუ ჩვენს ახსნას გავიზიარებთ, ეს ტაქები ასე უნდა გავიგოთ: „[ბაღჩაში] მრავლად იყო ვარდის წყლით სავსე აუზები ბანაობისათვის“. ეს უკანასკნელი ცოტა ნაძალადევი განმარტებაა „აბანო“ — აბანოსა“.

ამ სტროფს საგანგებოდ შეეხო ალ. ჭინჭარაული და იგი ჩანართად მიიჩნია¹⁵. ზემოთ ციტირებულ მთელ სურათს მკვლევარი ასეთ კომენტარს ურთავს: „მამ აქ: ტარიელი ფარდის გარეთ დგას და ელოდება, რას უბრძანებს მეფე, თანაც ალბათ სული ელევა, ისე უნდა ნესტანისათვის თვალის შევლება. მაგრამ ვერაფერს ხედავს, მხოლოდ საუბარს იმეხს. ისიც გაიგონა, რომ მეფემ ასმათს უთხრა: მიდი, ამირბარს დურაჯები გამოართვიო. ასმათმა ფარდა გადასწია, ტარიელმა ნესტანი დაინახა და „ლახვარი ეცა ცნობასა და გულსა“. აი, ასეთ სიტუაციაში იმყოფება ტარიელი. ამბის თხრობა თანმიმდევრულია, აქ არც გამოსაკლებია რამე და არც დასამატები, მაგრამ გამოჩნდა ინტერპოლატორი, რომელმაც მარტოდ დარჩენილ ტარიელს ბაღია „დაათვალიერებინა“:

„ბაღია ვნახე უტურფესი ყოელისავე სალხინოსა;
მფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა;
მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა.
ქარსა ზედა მოჰფარვიდა ფარდავები ოქსინოსა“.

თავი დავანებოთ იმას, რომ ტარიელს ბაღჩის დათვალიერებისათვის დრო არა ჰქონდა (იგი ფარდის წინ იდგა და მას მისჩერებოდა). მას ფრინველების ჰიკიკის სასმენლადაც არ ეცალა (უსმენდა მეფის, ნესტანისა და ასმათის საუ-

¹³ ა. გვახარია, დაახ. ნაშრ., 227—228.

¹⁴ ვუკ. ბერიძე, ვეფხისტყაოსნის კომენტარი, თბ., 1974, 124.

¹⁵ ალ. ჭინჭარაული, „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის საკითხები, თბ., 1982.

ბარს). ამას გარდა სტროფში მრავალი შეუასაბამობაა¹⁶. შემდეგ განხილულია ყოველი ტაეპი ცალ-ცალკე.

მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარს ერთი უზუსტობა აქვს დაშვებული (ტარიელი ბაღს ფარდის წინ მდგარი კი არ ათვალეირებს, ჯერ ამ ბაღს გაივლის და მერე მიაღვება კარის ფარდას), მისი საბუთები უთუოდ დამაფიქრებელია. ამჯერად მოვიტანთ მხოლოდ „სარაჯებთან“ დაკავშირებულ საბუთებს: „4. ტარიელმა ადრევე თქვა, რომ ბაღჩაში სარაჯი (ე. ი. ერთი) იყო, სარაჯები (ე. ი. ბევრი) რომ ყოფილიყო, იტყოდა: „პირსა ბაღჩა და საბანლად სარაჯნი ვარდის წყალისა“-ო¹⁷; ასეთი რამ კი არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება. ყალბისმკმნელმა ეს სარაჯი გაამრავლა — „მრავლად იყო სარაჯები“-ო. გაზვიადება და უნიჭოდ გაზრდა-გაბერვა აგრეთვე ინტერპოლატორთა ჩვეულებაა.

5. საკვირველია, რომ ბაღჩაში ჩნდება „აბანო“. ადრე ტარიელმა თქვა: „პირსა ბაღჩა და საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა“-ო, ახლა კი ამბობს: „მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა“-ო, თუ სარაჯები „აბანო-შია“, რომელზედაც ადრე არაფერია ნათქვამი, როგორ დაინახა კოშკის კარზე მდგომმა ტარიელმა ისინი? როდის შეიხედა შიგ? ხომ არ შეიძლება, რომ ნესტანის აბანო ღია ცის ქვეშ იყოს? ცხადია, ეს „აბანო“-ც ნაყალბეგია და ააშკარავებს ინტერპოლატორის ნაცოდვილარს. არსებითად არაფერი შეიცვლება, თუ „აბანოსა“-ს ნათესაობითი ბრუნვის ფორმად მივიჩნევთ.

6. ...ახლა თხრობის თანმიმდევრობას დავაკვირდეთ: „მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა, კარსა ზედა მოჰფარვიდა ფარდაგები ოქსინოსა“. რის კარსა ზედა? კოშკი და მისი კარები სტროფში ნახსენები არ არის. რჩება ბაღჩა ან აბანო, რის „კარსა ზედაც“ შეიძლება „მოჰფარვიდა“ ფარდაგები, მაგრამ ეს გამორიცხულია. ჩანს, ინტერპოლატორი კოშკის კარს გულისხმობს, მაგრამ ყოვლად უადგილოდ, თანამიმდევრობის დაუცველად¹⁸.

აღ. ჭინჭარაულს გამოეხმაურა მ. თავდიშვილი¹⁹. მისი აზრით, „1966 წლის რედაქციებსა და 1988 წლის აკადემიური გამოცემის ტექსტში ვაწყდებით კურობს — ქალწულის მამა, მეფე ფარსადანი და მისი ამირბარი ტარიელი ქალს აბანოში ნახულობენ“. ეს კი იმიტომ მოხდაო, რომ „აბანოს ნაგებობის აღწერილობის შემდეგ დღევანდელ კანონიკურ (აკადემიურ თუ სხვა) ტექსტებს აკლია ერთი გენიალური რუსთველური სტროფი, რომელიც გვაშორებს აბანოს აღწერილობას და რომელსაც გადავყავართ აბანოს შემდეგ, აბანოს იქით, ბაღის სიღრმეში მდგარი კოშკის აღწერილობაზე. ამ კოშკში მრავალი სრა-ოთახია, ერთ-ერთ სრა-ოთახის კარს კი ძვირფასი ფარდაგები ჰქონდა ჩამოფარებული. აი, სწორედ კოშკის (და არა აბანოს) სრა-ოთახში შევიდა მეფე, ხოლო ამირბარი ფარდის მიღმა დაელოდა“. ამის შემდეგ მოტანილია ეს, მკვლევრის აზრით, გენიალური სტროფი, რომელიც დაცული ყოფილა ყველა უმნიშვნელოვანეს ხელნაწერში და რომლის უგულვებელყოფის გამო „ამდენი სპეციალისტის მიერ დადგენილი აკადემიური ტექსტი კურობოხულია“:

¹⁶ აღ. ჭინჭარაული, დასახ. ნაშრ., 59—60.

¹⁷ მკვლევარს „სარაჯი“ ასე აქვს განმარტებული: „საბანლად ვარდის წყლის სარაჯი ანუ მილია გამოყვანილი“ (იქვე, 59).

¹⁸ აღ. ჭინჭარაული, დასახ. ნაშრ., 61.

¹⁹ მ. თავდიშვილი, ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები, თბ., 1991.

ზღუდელ მოვლდა ზურმუხტი, ხე ალვა დარიგებითა:
 მეფე გარდახდა მუნ სადა კოშკად ფაზარი გებითა,
 შიგნით შევედით, სრა დაგვხვდა, მოცული ფარდაგებითა,
 მაშინ ნასობთა ლახვართა, სულნი, კით დაუდგებითა.“

ამჯერად არ ვეხებით ამ სტროფის „გენიალობას“ (თუმცა თვალში საცემია ისეთი გაუმართავი ფრაზები, როგორიცაა „ხე ალვა დარიგებითა“; „კოშკად ფაზარი გებითა“; „შიგნით შევედითო“, სად? კოშკში? ტარიელი რომ არ შესულა? თანაც კოშკში როგორ უნდა დახვედროდათ სრა, როდესაც „სრა“ ნიშნავს „სასახლეს“? ამდენად, უმართებულოა მკვლევრის მიერ ხმარებული „სრა-ოთახი“. მეოთხე ტაეპი 339-ე სტროფის მართლაც გენიალური სტრიქონის — „აღმასია ხამს ლახვარი ლახვრად გულისა სალისა“-ს უხერხული გარდათქმა და ა. შ.) შემთხვევითი არაა, რომ ხელნაწერთა უმრავლესობაში დაცული ეს სტროფი არ შეიტანა ვახტანგმა, არც გამოცემათა დიდმა ნაწილმა. მაგრამ ეს სტროფი არც მ. თავდიშვილის აღმოჩენაა. პირველად იგი აღადგინა მ. ბროსემ, შემდეგ ს. კაკაბაძემ — ჯერ როგორც ჩანართი, შემდეგ კი — ძირითადი, ბოლოს — კ. ჭიჭინაძემ. ასე რომ, 1966 და განსაკუთრებით 1988 წლის გამოცემებისათვის „კუროთხულის“ შერქმევა იმის გამო, რომ იქ ეს სტროფი არ იკითხება, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობაა.

ჩვენ „სარაჯის“ საკითხს დავუბრუნდეთ. ამ სტროფს ახლავს მ. თავდიშვილის კომენტარი: „ახლა უკვე ყველაფერი ნათელია: თურმე, ბაღჩაში სირინოზების ხმამხე უტყბესი გალობა ისმოდა, ბევრი იყო ვარდის წყლის აბანოს სარაჯი, რომელთა კარებსაც ოქსინოს ფარდაგები ფარავდა; ბაღ ზღუდელ („ზაბორი“) ზურმუხტით მოპირკეთებული გალავანი ერტყა, ალვის (კვიპაროსის) ხეებიც კოხტად ჩამოშწკრივებულიყო; მეფე იქ ჩამოხტა ცხენიდან, სადაც ფაზართ (მინერალური წარმოშობის ულამაზესი და უმაგრესი ქვა) ნაგები კოშკი იდგა (და არა აბანოსთან); ამ კოშკში შევედით. სრა-სასახლის კარებს ფარდაგები (აქაც ოქსინოსი) ფარავდა; ვიცოდი, ხელმწიფეს არაფრად ეპიტნავებოდა, როდესაც მის ასულს უთვალთვალებდნენ. ამიტომაც სრაში არ შევეყოლილვარ, ოთახის ფარდის მიღმა შევდექი“²⁰...

ამრიგად, მ. თავდიშვილის მიხედვით, ნესტანის ბაღჩაში „ბევრი იყო ვარდის წყლის აბანოს სარაჯი, რომელთა (სარაჯების თუ აბანოების? — ა. გ.) კარებსაც ოქსინოს ფარდაგები ფარავდა“. მსჯელობიდან არ ჩანს, რაა გულისხმობს მკვლევარი „სარაჯებში“, თუმცა აქ რომ აბანოს ვარაუდობს, პირველი მაგალითის მისეული განმარტება მოწმობს: „ბაღჩაში ვარდის წყლის აბანოები (ტექსტში მხოლოდითა — ა. გ.) ყოფილა“. მეორეგანაც მოაქვს ეს ტაეპი (განსხვავებული რედაქციით: „კარხედან ბაღჩა“) და ასე განმარტავს: „ამრიგად, კოშკის ძირას ბაღჩაა, ბაღჩაში აბანოა... მაგრამ თუ „სარაჯი“ აბანოა, რას უნდა ნიშნავდეს „აბანოს სარაჯი, რომელთა კარებსაც ოქსინოს ფარდაგები ფარავდა“.

ვფიქრობთ, აბანოს მოთავსება ბაღჩაში (გინდ ღია, გინდ ოქსინოს ფარდაგებით გადახურული) ყოვლად წარმოუდგენელია. აბანო თავისი ღუმელითა და წყლის გასაცხელებელი ქვაბებით ჩვეულებრივ სასახლის სიღრმეშია მოთავსებული. ასეა, მაგალითად, გორგანის პომეში „ვისი და რამინი“: ძიძა და ვისი ციხე-დარბაზის შიგნით მოთავსებული აბანოს ღუმელის კარს გამოადებენ და შიგ ცეცხლს დაანთებენ რამინის დასანახად (ქართულ „ვისრამინაში“ ეს

²⁰ მ. თავდიშვილი, დასახ. ნაშრ., 164—167.

დეტალი არაა დაკონკრეტებული, ზოგადად „სათამაშო სარკმელს“ გამოაღებენ და სანთელს დაანთებენ).

ამ უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით „აბანოსა — აბანოსა“ სხვაგვარად უნდა განიშარტოს (ზემოთ ჩვენ პირობით გვემის იგი როგორც „ბანაობისათვის“). მ. გუგუშვილმა და ლ. ძოწენიძემ თითქოს ნიკო მარის გაგება გაიზიარეს (კითხვის ნიშნის გარეშე), მაგრამ ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს თანმიმდევრობა: „სტრიქონი: „მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა“ — უნდა ნიშნავდეს, რომ ვარდის წყლის აბანოში (აუზში) ბევრი იყო სარაჯები, ე. ი. ვარდის წყლის აბანოში რამდენიმე ღარით შემოდიოდა წყალი (რამდენიმე წყარო კვებავდა აბანოს, აუზს)“²¹.

ჯერ ერთი, ვარდის წყლის სარაჯია, და არა აბანო. მეორე, თუ აბანო იგივე აუზია. მაშინ მცდარია მოსაზრება, თითქოს რამდენიმე წყარო კვებავდა აბანოს აუზს.

ხოლო თუ აქ „აბანო“ გაგებულ იქნა „საბანელ სახლად“, მაშინ ეს კიდევ ერთი საბუთი იქნება ალ. ჭინჭარაულის მოსაზრების სასარგებლოდ. დასასრულს, მოვიტანთ ზილიხას სასახლის ვრცელ აღწერას, რომელიც საოცრად ეხმიანება „ვეფხისტყაოსნის“ ამ საეჭვო და ჩანართ სტროფებს:

„რა ვინ შევიდის მას ბაღსა, რომ არა მოსწონებოდა,
სრა სარაჯთა მორთული, ფაჟრა მალა ბტებოდა,
მას გარეშაშო ალვის ხე ყვევლგანა შამოჰყეებოდა,
და სირინო, თუთი, მერა ბალ-ბაღჩას ემოყერებოდა.

ეკლა ამ-სთანას ბაღნარსა ახლავს ტურფა რამ ჰაეზები,
მას გარეშაშო ეხეიენეს ალვანი ტანად ნაზები,
თავსა, ბოლოს და შუაზე სახლები მოდარბაზები,
და კარგთ მოკმეს ფრინველებისგან მოდის ქმა მართ ღამაზები.

ბაღს შუა ქალის საჯლოში ტახტი მურასად ნაეზები,
თვალ-მარგალიტი ურიცხვი მაზედა გარდანაეზები,
მაზედ ეფინის ნიდაგ საჯლოში, ქვეშე საეზები,
და ეთ გოთხრა ბალი ან ტახტი, ან პატრონისა სხვა ქები!

სახლს გარე შამონაჰედით ოქროს ყაფასით მოერთო,
ფრინველთა ღაღანისაგან მშენელთუის ყური წაერთო,
სურნელს სულთა ჰაეზები ვარდისა წყლთა შაერთო,
და კმელეთ მნათობთა თაჟადად ღმერთს მისთვის კელი ჩაერთო“²².

თვალის ერთი გადავლებითაც კარგად ჩანს, რომ „იოსებზილიხანიანის“ ანონიმური ვერსია საინტერესოა არა მარტო „სარაჯის“ დასაზუსტებლად („ვარდის წყლით სავსე აუზი“), არამედ „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებული სტროფების სხვა დეტალების გასარკვევად (მაგ., უნდა იყოს თუ არა „კუმბოს“ ანუ საჯლოში ტახტის ხსენება: რა აუშენა ფარსადანმა ნესტანს — სახლი თუ კოშკი; სად იყო განლაგებული ბაღი; რა ჰქონდა მას შემოვლებული ჩანართი სტროფის მიხედვით — ზურმუხტით მოპირკეთებული გალავანი თუ ალვის ხეები, რომელთა მწვანე ზურმუხტოვანი ფოთლები ფარავდნენ საბანაო აუზებს და ა. შ.). ეს სიახლოვე შეიძლება იმასაც მოწმობდეს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 340 (პირობით) და 340, I სტროფები საკმაოდ ადრინდელი ჩანართებია, რადგან მათ გამოძახილს XVI საუკუნის ძეგლში ვხვდებით (თუმცა არც „იოსებზილიხანიანის“ გაუღენაა გამორიცხული ინტერპოლატორზე).

²¹ მ. გუგუშვილი, ლ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 209.

²² გ. ჯაკობია, დასახ. ნაშრ., სტრ. 385, 389—391.



მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია. აქ კი დააკენის სახით გავიმეორებთ ტან-დარეჯანის ბაღჩაში ლივლივებდა საბანაოდ თუ განსაბანად გამიზნული, ვარდის წყლით ავსებული აუზი (სარაჯი თუ სარიჯი) ან აუზები (თუ 340-ე სტროფი დარჩება ტექსტში)²³.

²³ სასურველია ამგვარი საკითხების გადაწყვეტის დროს დამატებითი მასალის მოხმობა. პირველ რიგში ვგულისხმობთ რუსთველის თანადროული, როგორც ქართული, ისე აღმოსავლური ძეგლების მონაცემებს. საესებით სწორად მოიქცა მ. თაფლიშვილი, როცა მოიხმო „ვის-რამიანი“, ნიზამის პოემები, „აბდულმესიანი“:

„თუ უქო სრანი, მე მასა რანი?
გალავანისა შემეულობანი,
მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთხენი,
ზედ ავაზანთა შექმნულობანი“.

როგორც ვხედავთ, საუბარია სასახლის ბაღში განლაგებული „ავაზანების“ ე. ი. აუზების შესახებ. ასევე საინტერესოა ქართული და სპარსული მინიატურების შესწავლა ამ თვალსაზრისით.

А. А. ГВАХАРИЯ

ЕЩЕ РАЗ О «САРАДЖЕ» В «ВЕПХИСТҚАОСАНИ»

Резюме

В статье устанавливается значение слова «сараджи», дважды упоминаемого в поэме Шота Руставели «Вепхисткаосани». С этой целью привлекаются данные анонимной грузинской версии «Иосебзиханиани». Автор увязывает это слово с арабско-персидским «Саридж» (бассейн).

ვ ა ვ ა ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი

 დ ე მ ო ნ უ რ ის მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ი ნ ტ ი რ ა ტ უ რ ა ტ ა ც ი ა
 ბ ა ლ ა კ ა ტ ი ო ნ თ ა ნ და ბ ა ი რ ო ნ თ ა ნ

სამყაროს გალაკტიონისებური გააზრება ვიწრო, ეროვნულ ჩარჩოებში არ არის ჩაკეტილი. პოეტი თავისი მსოფლმხედველობით და შემოქმედებით უშუალოდ უკავშირდება მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს, რომელთა ძირითადი თემა სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაა. გ. ტაბიძემ ღირსეული წვლილი შეიტანა ბრძოლისა და იმედის, სიკეთისა და სინათლის დამკვიდრებაში. ერთ-ერთი ძირითადი თემა, რითაც გ. ტაბიძე ევროპულ პოეზიას უკავშირდება, დემონის — ლუციფერის თემაა. „გ. ტაბიძეს განსაკუთრებული ინტიმი ახასიათებს ლუციფერისადმი, რაც არა მარტო იმ ლექსებში იგრძნობა, რომლებშიც იგი უშუალოდ ლუციფერს მიმართავს, ან ახსენებს, არამედ ლექსების განწყობილებებშიც. ამ არსებასთან ადრეც ჰქონიათ შეხება მსოფლიოს უდიდეს პოეტებს: ბაირონს, შელის, ბოდლერს, ლერმონტოვს, რილკეს და სხვებს, მაგრამ აქე მრავალმხრივად და ღრმად ჯერ არცერთ მათგანს არ წარმოუჩენია მისი სახე“¹.

გალაკტიონ ტაბიძეს ბოლომდე ჰქონდა გააზრებული აღნიშნული თემა. მისი ლიტერატურული წერილებიდანაც ნათლად ჩანს, რომ იგი დაინტერესებული ყოფილა დემონური და სატანიტური მომენტებით ლიტერატურაში. გ. ტაბიძე ბარათაშვილის შესახებ აღნიშნავს, რომ ბარათაშვილი არ იყო „სატანისტი და მისი პოეზიაც შორს დგას ბოროტების იდეოლოგიისგან“. გალაკტიონს დაუწერია პატარა წერილი — „დემონური მოტივები სურამის ციხეში“. მან აგრეთვე გადმოაქართულა ლერმონტოვის „დემონი“, რომელსაც „სატანა“ უწოდა.

გ. ტაბიძის პოეზიაში დემონის სახე უმთავრესად გოეთესეულ ინტერპრეტაციას მიჰყვება, მაგრამ ბევრია გალაკტიონთან კენისა და მანფრედისეული დამოკიდებულება დემონთან, ლუციფერთან:

ობობებიან კუთხეში დივანს
 ეხედავ: ვით გიოტე, ზის იქ სატანა,
 გადაეზმანა კედლებს, აივანს —
 და ლამეშ სულში შემოატანა. („მაგიდა აღმშებვეთ“)

დემონი ღვთაებრივი არსებაა, რომელსაც ღმერთისა და ადამიანისგან განსხვავებული გარეგნობა აქვს (ადამიანი ღმერთის სახეა გარეგნულად). დემონი მტრულ დამოკიდებულებაშია ადამიანთან, მაგრამ ზოგჯერ კეთილი დემონებიც არსებობენ. ქრისტიანული რელიგიის მიხედვით, დემონი, ბოროტი სული, ეშმა და სატანა ერთი და იგივეა. გალაკტიონმა სამკედრო-ასაციოცხლო ბრძოლა გამოუტყადა ბნელ ძალებს, ტანჯვისა და სიკვდილის დემონებს. იგი ლექსებში ხშირად ახსენებს კაენს, ლუციფერს, დემონს, მეფისტოფელს, იუდას, ბელზებელს, ყორანს, ლამეს, სიბნელეს, როგორც ბოროტების სიმბოლოებს. მისთვის ყველაზე საშინელი დემონები მისი ქვეყნის დამმონებლები არიან. კომუნისტებმა ლახვარი ჩასცეს თავისუფლებას არა მარტო რუსეთში, არამედ

¹ შერაბ კოსტავა, გალაკტიონი, „მნათობი“, 1991, № 6, გვ. 129.

² გ. ტაბიძე, ორთომეული, ტ. 2, თბ., 1989, გვ. 225.



მის მიერ დაპყრობილ ყველა ქვეყანაში. გალაკტიონის ფხიზელ ფერი გამოპარია. სიბნელე, ბორკილები, ჯერ არნახული ფერისცვალება უზარ-მაზარი ქვეყნისა ხალხთა საზიანოდ, თავზარს სცემს მას. იგი ალუგორიული ხერხით შესანიშნავად გამოხატავს თავის შემფოთებას:

ცეცხლისფერ-წითელი ყვავილების
ოთხი დემონი
აი, ერთი ოჯახის ისტორია,
ზღვა, ბორბალი, შხამი,
თამაში ცეცხლთან,
თქმა ყველა ამის
აღმატება ყოველგვარ ძალას.
თანამედროვე სული,
ერთ წერილები

არანორმალურ ადამიანს
ორხიდეებზე უტკობისია
უხილავი ბორკილები,
მარადიული სიზმარი,
ფერხული ზმანებათა,
სიბნელე
ყველგან ყოველთვის
უხილავი ბორკილები.

(„ოთხი დემონი“)

ერთი შეხედვით შეიძლება ვაძნელდეს იმის გარკვევა, რას წარმოადგენს ეს ოთხი დემონი, მაგრამ გულდასმით ვააზრების შემდეგ, ყველაფერი ნათელი ხდება. იმის გადმოცემა, რასაც პოეტი თავის თანამედროვე ცხოვრებაში ხედავს, „აღმატება ყოველგვარ ძალას“. თანამედროვე სული არანორმალური ადამიანის წერილებს ჰგავს. ოთხი ცეცხლისფერ-წითელი დემონი (კომუნისტების ფერი) ალუგორია: უხილავი ბორკილების, მარადი სიზმრის, ზმანებათა ფერხულის და სიბნელის, ძველი არაა იმის მიხედვით, რას ნიშნავს უხილავი ბორკილები. მარადი სიზმარი — პოეტისათვის ის ხანაა, რომელშიც მას უხდება ცხოვრება და რომელსაც იგი სინამდვილედ ვერ აღიქვამდა. ზმანებათა ფერხული — მოჩვენებების როკვაა სიკეთის დამარცხების ფონზე და მეოთხე დემონი კი სიბნელეა, რომელიც დედამიწის ერთ მეექვსედზე გამეფდა რევოლუციის შემდეგ.

1918 წელს არის დაწერილი შესანიშნავი ლექსი „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“. ექსპრესიულობით, წერის მანერით, განწყობილებით ეს ლექსი გვაგონებს შელის ლექსებს: „ოდა დააავლეთის ქარს“ და „ღრუბელი“. ქარი ლექსის პერსონაჟად პირველმა გალაკტიონმა შემოიტანა ქართულ პოეზიაში, რომელიც ასეთი მრავალფეროვნებითა და სიძლიერითაა წარმოდგენილი მის შემოქმედებაში. ქარს გალაკტიონთან, ისევე როგორც შელისთან, სიცოცხლის განახლების და მარადიულობის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. ეს აზრი დომინირებს სხვა ლექსებშიც, განსაკუთრებით მის საყოველთაოდ ცნობილ შედევრში „ქარი ჰქრის“.

ლექსში „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“ გასულიერებულია ქარი, რომელიც ეფინება მთელ დედამიწას და ოცნებობს მზეზე. მაგრამ ბედის უკუღმართობით „ერთმევათ ფერი ყვითელ არეებს“. აცივდა და „შხამთა მზე-ში“ — „მანტიით მხრებზე, თეთრი გვირგვინით, ელვარე გზებით მოდის ზამთარი“ (ზამთარი სასტიკი და უღმობელი რეალობის სიმბოლოა), რომელსაც მოსდევს სიცოცხლის საშინელება და „ცოდვილი გული“. მისთვის დღესავით არის ნათელი იუდას სახე, კენის ლანდი და „ღამეების შვიი გუგუნი“. ზამთარს და სიცოცხეს მოაქვს სიკვდილი. ზარების გრგვინვა გრიგალივით მოედო ქუჩებს, — „სისხლის, ცეცხლის და წყლის ზვირთი“, „აღუვებული მორცვის ქაფი“. ჯურღმულები სავსეა მიცვალებულებით. „კრემლი, ტანჯვით მიზევი“ დაეცა, მაგრამ პოეტი ისევ ელის, როგორ „მოჰყვება ავდარს ავდარი“. ბოლო სტროფში ისევ მეორდება რეფრენი: „ეს მე ვარ ქარი, ეს მე ვარ ქარი“. შემდეგ ნაჩვენებია ქარი, რომელიც აღარ მძვინვარებს. იგი ისვენებს და განაგრძობს

ოცნებას მზეზე. გალაკტიონის რწმენა ისეთია, რომ ქარი, რომელმაც დაიწყო ლება უნდა მოუტანოს კაცობრიობას, ისევე ამოვარდება და ისევე „მოჰყვება ავღარს ავღარი“.

გალაკტიონის დემონი უარყოფითი მომენტების გარდა დადებით ელემენტებსაც შეიცავს. ზოგჯერ დემონი სიბრძნის და ძლიერების გამოხატველია. ა.კ. გაწერელიასთან³ კერძო საუბარში გალაკტიონს ერთ-ერთი მწერლის თუ პოეტის დახასიათებისას უთქვამს: „დაამონ არ უზის სულში ძამიკო, დაამონ!“ განსაკუთრებით ნიშნადობლივია მის მიერ პოეტური ძალისა და წარმოსახვის დემონურად წარმოდგენის მომენტი („შრილებს ფრთები ელადათა სიბრძნის დემონის“ — „პოემა ვეფხვისა“). გალაკტიონი ამავე გავებით დემონურს უწოდებს ბაირონს, რომელიც „ლაპარაკობს ღრთთ საზღვარს იქით, დემონური, სასტიკი, ხმელი“ („ბალთან ძეგლია“). ბაირონი თავისუფლების მეზრძოლი გენიაა, რომელიც თითქოს ხელებს უწვდის დემონატრანტების მდინარეს, რომელიც „მის წინ ქუჩაზე გაილანდება“. დადებითი დემონური ძალითაა დამუხტული გოიას და ბოტინელის შემოქმედებითი ენერგიებიც. ამ მხატვართა ლანდი აწვალებს პოეტს, მოხიბლულია მათი ნიჭის ძლევაგოსილებით („პარალელი“). დემონური პოეტის შინაგანი სამყაროს დამახასიათებელი თვისებაცაა. იგი შუაღამისას, მარტოობის საშინელ უამს ეწვევა ხოლმე პოეტს და აფორიაქებს მას, სიმშვიდეს ურღვევს. გალაკტიონს სურს გამოთიანება, სურს უსაზღვრო თავისუფლება, რომ როგორმე წამების ღმერთი მოიცილოს თავიდან, მაგრამ ამაოდ („იდუმალი მეორე სახე“). მის სულშიც სძინავს ლუციფერს, „ავობით მძვინვარეს“, რომელიც ახლა დაჭრილი, მაგრამ მინც მრისხანე ვეფხვივით სუსტია და უძლური წინათლისა და უმანკობის წინაშე. პოეტი შესთხოვს პატიებასა და შენდობას უზენაეს სიწმინდეს თავისი ბოროტად დაღლილი ხელებისათვის, ჯოჯოხეთისათვის, რომელიც მის თვალებში აირეკლება. იგი საკუთარ სულში დაეანებული დემონისათვის თხოულობს შენდობას:

შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ-ცოდვილს,
ლუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარეს,
ლუციფერს, მრისხანე ვეფხვივით დაკოდილს
და ეხლა მძინარეს.

გალაკტიონს სჯერა მაცხოვრის გულმოწყალებისა და დასძენს: „მე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს, მე ველი სასწაულს“. იაეთ შემთხვევებში, როცა დემონს საკუთარ სულში ხედავს, გალაკტიონი მანფრედიხეულ განწყობილებას ამჟღავნებს. მანფრედი თვითონაა ისეთი ძლიერი, რომ მზრძანებლობს საკუთარ დემონს, რომელიც მის არსებაშია ჩაბუდებული. გალაკტიონიც ხშირად ეძებს ამგვარ დემონურ ძალას თავის თავში. გრძნობს მის მძვინვარებას საკუთარ სულში და გამოსავალს ეძებს. გალაკტიონს მანფრედთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ ცდილობს გააკეთილშობილოს საკუთარი სულის დემონი და აღამიანთათვის სასარგებლო საქმე აკეთოს, გამოიყენოს ტიტანური, დემონური ენერგია იმ სიბნელისა და ტანჯვის მოსაპოპობად, რომელიც აღამიანთა ბედნიერებას წინ ეღობება. გალაკტიონმა ეს შეძლო თავისი პირადი ცხოვრებითა და შემოქმედებით. ბაირონის მანფრედი ინდივიდუალისტია, როგორც ბაირონის დანარჩენ გმირთა უმრავლესობა. მისი შინაგანი ცეცხლი მხოლოდ მას ათბობს, არ ზრუნავს გარეშემომყოფთა ბედნიერებისათვის. ბაირონის მან-

³ გ. ტაბიძე, ორტომეული, ტ. I, თბ., 1988, ა.კ. გაწერელიას წინასიტყვაობა.



ფრედის ტრაგედია იმ პიროვნების ტრაგედიაა, რომელსაც საფრანგეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გაუტრუვედა იმედი ძმობის, ერთობის, თავისუფლებისა. აქ გალაკტიონის იმედგაცრუების მიზეზი ემთხვევა ბაირონისას, იმ ვანსხევებით, რომ გალაკტიონის შემთხვევაში რევოლუცია იმარჯვებს, მაგრამ ძმობის, ერთობის, თავისუფლების ლოზუნგი ცარიელ სიტყვებად დარჩა და ბედნიერების პერსპექტივაც აღარსად ჩანდა. მაგრამ ორივე პოეტის ძლიერება იმაში მდგომარეობს, რომ ბაირონის მანფრედი გადამწყვეტ მომენტში სიკვდილ-სიცოცხლეს შორის მაინც სიცოცხლეს აძლევს უპირატესობას და გალაკტიონის შეუქცევადი ოპტიმიზმიც საყოველთაოდ ცნობილია. მას მტკიცედ სჯეროდა, რომ მსოფლიო კვლავ შეიცვლებოდა („მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გახდებით“) და ეს რწმენა ცარიელ ოპტიმიზმს კი არ ემყარება, არამედ იმ კანონზომიერების ღრმა ცოდნას, რომ უსამართლობაზე დაყარებული სახელმწიფოებრიობა ბოლომდე ვერ გაიტანდა თავს და მისი შეცვლის აუცილებლობა გარდუვალი იყო. გალაკტიონი მაინც ყოველთვის იმედიანი პოეტი. იგი გამუდმებით ესწრაფვის მზეს, შუქს, ნათელს:

... რა ბედნიერი და რა მდიდარი
გვექნება წელი — თქვენ ნახათ, ნახათ!
დადგება დარი,
რჩეულებს მზნად რომ დაუსახეთ.

ზოგჯერ გალაკტიონის დემონებს, როგორც ბაირონის კენა, ლუციფერულ-პრომეთესეული მისია აეკისრიათ. ადამიანს ლუციფერი აცნობს ამქვეყნიური ცხოვრების გარდუვალობას. გალაკტიონი თავის თავს „პოეზიის ბნელ სატანას უწოდებს“. იგი, როგორც ქარიშხალი, დაქრის ქვეყნად და მღერის სულთათანას. მისი სიმღერის გაგება ბრბოს არ შეუძლია. პოეზიის ბნელი სატანა, როგორც ბაირონის ლუციფერი, ცდილობს ხალხს ცოდნა მიანიჭოს. ცოდნა იმისა, რომ ამგვარ ცხოვრებას, ანეთ სოციალურ ყოფას დიდი დღე არ უწერია („როგორც სატანა“).

ბოროტების დემონთა დამარცხება, გალაკტიონის აზრით, მხოლოდ პოეზიით შეიძლება. ყველაფერი წარმავალია, გარდა მშვენიერებისა. მხოლოდ ლაჩრები ემორჩილებიან ავს, რომელთათვისაც უკვდავი მხოლოდ სატანისა და სამოელის ხმაა („დემონიური“). ბოროტების დათრგუნვა შემოქმედებითაა შესაძლებელი. „მშვენიერი წიგნების ძალა“ აკრთობს დემონს („ვარდები“). მიუხედავად პერიოდული გულვატეხილობისა, გალაკტიონი ბოლომდე მაინც არასდროს არ კარგავს იმედს. იგი ებრძვის ბოროტების გენიას სიკეთის გენით: „ვარ გენია რიმანელი, მესმის ქართა მქუხარება, მეფინება წვიმა ნელი და დემონის მწუხარება“. მთელი ცხოვრება ლუციფერს ერკინებოდა და ბოლოს გამარჯვებული გამოდის ბრძოლიდან.

განხილული ლექსები ძირითადად 1927 წელს ან 1927 წლამდეა შექმნილი. შედარებით მოგვიანებით იწერება „სატანა, ღირსიერი მსოფლიო ორკესტრისა“ და „ქვეყანა გაცვდა ვით ძველი გროში“ — 1946-59 წწ-ში. ამ დროს საბჭოთა კავშირი თავისი ძლიერების ზენიტშია. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ იგი მსოფლიო ბატონობას აღწევს და ეს ქვეყანა-სატანა ხდება ღირსიერი მსოფლიო ორკესტრისა. იგი დაუნდობელია. „არც შებრალება, არც შეცოდება. ჭერ დედამიწას არ მოამენია მსოფლიოს ბაგეთ ასე გოდება“. იგი „ყოველ გულს ნამავს შხამიან ნესტრით“. „ვრგვინავს ორკესტრი. მას ღირსიერობს თვითონ სატანა“. ორკესტრი ვოდებს ადამიანთა წამებასა და ტანჯვებზე



(„სატანა, დირიჟორი მსოფლიო ორკესტრისა“). ასეთი არის დახასიათება ვალაკტიონის მიერ იმ ქვეყნისა, რომელსაც ოცდაათი წლის შემდეგ მსოფლიოს ვასაგებად უწოდეს ბოროტების იმპერია. სიცოცხლის ბოლო წლებში ვალაკტიონი თითქოს დაიღალა ბოროტების დემონთან ბრძოლით. მისთვის „ქვეყანა გაცვდა ვით ძველი გროში, უდაბურებად იქცა სოფელი“. ცხოვრებამ სული გაუთხეშა. „ვით შეიძლება იქნე ლამაზი, როცა სიტლანქე მოდის მგმობელი“. ირგვლივ საშინელება, სიბნელე, გესლია გამეფებული. ელავს „დემონიური ცეცხლია პროფილი“. პოეტს სუნთქვა უჭირს. იგი იმ ზომამდე მიდის, რომ ევედრება ბოროტს, რომ დაეხსნას მას, აღარაფერი უნდა მისგან. ყველაფრისთვის მადლობელია. ასეთ ქვეყანაში „მცირე ბედისაც“ მადლობელი უნდა იყოს ადამიანი. ოთხტაყვიან ლექსში ყველა ტაყვის ბოლოს ერთი და იგივე სტრიქონი მეორდება: „მცირე ბედისაც ვარ მადლობელი“. ეს განმეორებები აძლიერებს პოეტის დაღლილობის, მოქანცულობის შთაბეჭდილებას:

... რაღაც შავ ლანდელ მუჩვენება ირგვლივ ქვეყანა,
მე სანატრულად გამხდომია თვითონ სიკვდილი,
იმედი, რწმენა დამეყარა, ძირს დაექანა.
მე დავიღალე, დაეძღურდი, მძავს, მძავს ქვეყანა!

F10482

ნიშანდობლივია ვალაკტიონის მიერ „დემონის წარბების“ მეტაფორული გამოყენება მრისხანების მნიშვნელობით. „დემონისას ჰვავს წარბებს მძლავრი ნიაღვრის ფრთები“ („მგზავრის სიმღერა“). „პატრონი იყო დემონთა წარბის“ („სასახალწლო ეფემერა“). ვალაკტიონი ბოროტების აღსანიშნავად იყენებს ყორანს, ყვავს, ვალკირიას. ვალაკტიონი უმეტეს შემთხვევაში ებრძვის დემონს, სატანას. განსხვავებით ბაირონის სატანასაგან, რომელთანაც კაენი დადებით განწყობილებას ამჟღავნებს. ვალაკტიონი მხოლოდ მაშინ უმეგობრდება დემონს, როცა იგი პოეტური მუხის, ნიჭის, სიძლიერის გამომახტველია.

დემონურ თემას არაერთი ნაწარმოები უძღვნეს შელიმ და ბაირონმა. ჩვენ აქ შევეხებით ბაირონის დემონიზმს, რომელსაც გააჩნია შეხების წერტილები ვალაკტიონის მიერ ამავე თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში გამოხატულ მოსაზრებებთან. ვალაკტიონი ზოგჯერ დემონს საშობიდან განდევნილ ბოროტ სულად წარმოგიდგენს, რომელიც იტანჯება უსიყვარულოდ — „გაშლილ წალკოტში“, „სული მწუხარე“, „ნორჩ წალკოტში“, „ოპ, ევა, ევა“. ეს ბიბლიური თემაა, კარგად ცნობილი, რომელიც სხვადასხვაგვარი მხატვრული ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი მსოფლიო პოეზიაში. ბაირონმა ამ თემაზე შექმნა „კაენი“, „მიწა და ზეცა“, „გარდაახული ხეიბარი“ და სხვა.

მისტერია „კაენი“ 1821 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა. ბაირონის „კაენში“ ბიბლიური სიუჟეტი ახლებურად არის დამუშავებული. ბაირონის ლუციფერი მილტონის სატანას შთამომავალია. ლუციფერი ლათინური სიტყვაა და სინათლის მტარებელს ნიშნავს. ბიბლია კაენს პირველ მკვლელად წარმოადგენს, რომელმაც ღმერთის რისხვა და სასჯელი დაიმსახურა. ბაირონმა კი ლუციფერის საშუალებით შექმნა პირველი მეამბოხის საინტერესო სახე, რომელიც პრომეთეოსის მისიას ასრულებს. ბაირონის ლუციფერი თავის თავში შეიცავს ადამიანურ თვისებებს. ის და კაენი ადამიანის ტანჯვის და ამ ტანჯვისგან გათავისუფლების მიზეზებს და საშუალებებს ეძებენ. ლუციფერი თავის თავში შეიცავს ცოდნას სამყაროს შესახებ, რომელიც დაფარულია დანარჩენებისათვის.



კაენი არ ემორჩილება არავის, თუნდაც ეს ღმერთი იყოს. არც ლოცვა სურს, არც მორჩილება, არც მონანიება — განახევებით აბელისაგან. ვერ ვაუხვია, რა უნდა მონანოს. მას ხომ არაფერი არ დაუშავებია. ან მშობლებმა რა ცოდვა ჩაიდინეს ასეთი. განა ღმერთმა თვითონვე არ ჩარგო ღვთაებრივი ხე ცოდნისა და ქვეშაირტებისა ედემის შუაგულში, რომელიც ბოროტების სთავედ იქცა? ნუთუ ცოდნის წყურვილი ცოდვაა? და თუ მაინც მშობლები შეცდნენ, რა დააშავეს შვილებმა? რატომ უნდა გაატარონ თავიანთი ცხოვრება ტანჯვაში და ტანჯვითვე ამოხდეთ სული? ასეთ ცხოვრებას აზრი არა აქვს. კაენი ყველა ამ უსამართლობაზე აათავედ ღმერთს თვლის. თანამგრძობლად კაენს ლუციფერი მოევიწიება. იგი კაენის მსგავსად უსამართლობის მსხვერპლია, ღმერთისაგან დასჯილი ანგელოზია, რომელმაც ღმერთის მორჩილება არ მოისურვა. იგი მაშინ გამოეცხადება კაენს, როდესაც იგი ედემის კართან დგას და შიგნით ვერ შედის, რადგან მას ამია უფლება აღარა აქვს. ლუციფერი მას მოატარებს მთელ სამყაროს, აზიარებს იმ ცოდნას კაცობრიობის შესახებ, რომელსაც ლუციფერის გარეშე კაენი ვერასოდეს შეიცნობს, რადგან ადამიანური არსებობის გამო მისი შესაძლებლობები შეზღუდულია. ლუციფერს კაენი დათანხმდება, დაეპატრონოს მის სულს გარდაცვალების შემდეგ. სანაცვლოდ ლუციფერი კაენს პირდება უკვდავებას. ბედნიერების მინიჭება ლუციფერს არ შეუძლია. იგი თვითონაც მოკლებულია ამ განცდას. ლუციფერი მოახილვინებს კაენს „უსივრცო მზარეს“. კონოსში ისინი ქვრეტენ ვარსკვლავებისა და პლანეტების მირიადებს, უთავად ციურ სხეულებს. ცისფერი დედამიწა ერთი ციდაა მთელი სამყაროს ფონზე. იგი „დაუსრულებელ სივრცეში მცირე თანამგზავრია“. შემდეგ ისინი შედიან უსივრცო მზარეში, რომელიც ოდესღაც ცოცხალი, ახლა მკვდარია. კაენს აღარ სურს უკან დაბრუნება, რადგან ფიქრობს, რომ თუ ადამიანთა ბოლო მაინც აჩრდილად ყოფნაა, რაღა აზრი აქვს უკან დაბრუნებას. ნანახითაც უკმაყოფილო დარჩა. კაენს ქვეშაირტების შეცნობა სწყურია, რომლის საშუალებითაც ბედნიერება მიიღწევა. ბედნიერება კი სიკეთესაც უნდა გამოხატავდეს და თავისუფლებასაც. იგი ჩივია, რომ არ გააჩნია ცოდნა. ლუციფერის აზრით, ადამიანის ცოდნის ზღვარი ისაა, რომ შეიცნოს საკუთარი არარობა. ბაირონი ლუციფერს საშუალებით გამოხატავს იმ აზრს, რომ ადამიანმა თავის თავში, საკუთარ შინაგან სამყაროში, უნდა ეძებოს ქვეშაირტება. ენაა ბაირონის სამყაროსთან რომანტიკული დამოკიდებულების ნიშანი. ბოლოს კაენი გარეგნულად თითქოს ურიცხვება თავის ხვედრს. ადა მსხვერპლშეწირვას ურჩევს კაენს. ეს უკანააქველი მიწის ნაყოფს სწირავს ღმერთს. აბელი კი ბატკანს კლავს. ღმერთმა არ მიიღო კაენის მსხვერპლი და მისი საკურთხეველი დაანგრია. საპასუხოდ კაენსაც სურს დაანგრიოს აბელის სინახლიანი საკურთხეველი. ასეთ სიტუაციაში კაენს შემოაკვდება აბელი. ევა სწყევლის კაენს — სიკვდილის დემონს. კაენი უდაბნოში მიდის, რომელსაც საკუთარი ცოლი და შვილი მიჰყვებიან მხოლოდ.

ადამიანურად ყოფნის ტრავმდიაა წარმოდგენილი ბაირონის „მანფრედ-შიც“. მანფრედი თავის თავში ჩაეკტილი მემამბოხეა. იგი მალღდება სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობებით გარეშემყოფთა შორის. მას ტანჯავს სინანული — დანაშაულებრივი სიყვარულის გამო საკუთარი დის — ასტრატას მიმართ. მაგრამ დრამაში პირადული ტანჯვა უფრო განზოგადებულია. მანფრედმა დაძაბული შრომის ფასად ჯადოქრის თვისებები შეიძინა. მანფრედი ქვეშაირტების შესაცნობად კაენით ბოროტ სულს არ უმეგობრდება. იგი თვითონვე მიდის იმ დაკენამდე, რომ ცოდნის ხე — ცხოვრების ხეა, ცოდნაში კი მხოლოდ სევდაა. ადამიანი ტანჯვისთვისაა განწირული და ცხოვრებას აზრი არა

აქვს. მანფრედს სურს დავიწყება, საკუთარი თავისაც კი. იგი გრძნობს, ადამიანურად ყოფნის პირობებში მისი შესაძლებლობები შეზღუდულია, რასაც იგი ვერ ითმენს და ვერც ეგუება. სიკვდილის წინ იმ განდევნის დემონებს, რადგან არასდროს ყოფილა მათთან დაკავშირებული. ვერც რელიგიაში პოვებს ნუგეშს. მანფრედის აზრით, ადამიანი მტერისა და ღვთაებრივის ნაერთია და ბოლოს ადამიანში ღვთაებრივი მარცხდება, რადგან იგი მტერად იქცევა. მანფრედს სურს არსებობა, მაგრამ „მტერისაგან“ გათავისუფლებული. მას აინტერესებს სიკვდილის საიდუმლოებებში წვდომა და არყოფნის სამფლობელოში ჩადის, სადაც იგი არ ეპუება მის მეუფეს — ჰარიმანსაც კი. მანფრედი, ისევე როგორც კაენი, ინდივიდუალისტიკა. იგი თავის თავშია ჩაკეტილი. მას ვერ წარმოუდგენია ნათლად, როგორია ისეთი სამყარო, სადაც ადამიანი ბედნიერად იგრძნობს თავს.

ბიბლიური სიუჟეტების დამუშავების დროს შელი და ბაირონი გამოხატავენ თავიანთ კრიტიკულ დამოკიდებულებას რელიგიასთან დაკავშირებით. გალაქტიონი იშვიათად უპირისპირდება უზენაესს. ზოგჯერ იგი საკუთარ თავს აიგივებს ღმერთთან, როგორც შემოქმედი.

გ. ტაბიძეს ინგლისელ პოეტებთან ბევრი სხვა თემაც აკავშირებს, მაგრამ ამჯერად წვენ მხოლოდ ამით შემოვიფარგლებით.

Ц. В. БЕНАШВИЛИ

ТВОРЧЕСКАЯ ИНТЕРПРЕТАЦИЯ ДЕМОНИЧЕСКОГО У ГАЛАКТИОНА ТАБИДЗЕ И У БАЙРОНА

Резюме

Одной из главных тем, которыми Г. Табидзе связан с европейской поэзией, является тема Демона. Этой теме Байрон и Шелли посвятили немало произведений.

Как Шелли и Байрон, Галактион также рассматривает Демона, как злую силу, которая прогиволоставляется доброту. Самыми ужасными Демонами Галактион считает завоевателей своей страны. Иногда Демон Галактиона выражает силу и мудрость. Г. Табидзе считает, что единственное, чем можно победить зло, это поэзия.

В статье освещены те общие вопросы, которые характерны для этой темы у Байрона и у Г. Табидзе.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრა.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გვახარიაძემ.

გაია ჯალაღანიძე

ციხფერყანწულთა შემოქმედების ერთი ასპექტი —
კომპოზიციური დენდრიზმი

ციხფერყანწულთა შემოქმედება გაყენებულია არტისტული მანერებით, რომანტიკული პოეზიით, ორიგინალური და უჩვეულო წარმოსახვებით, რაც მათ გამოყოფს. გამოარჩევს და გამოაცალკევებს ქართველ მგოსანთა კრებულისაგან. მათი პოეზია შერწყმული იყო მათავე პირად ცხოვრებასთან, ყოფით ურთიერთობებთან. ისინი მთელი არსებით წარმოადგენდნენ საოცარ ნაზავს პოეტურობისა და დენდრიზმისას, ამიტომ მათი ნაწარმოებები აღბეჭდილი იყო უცხო ანდამატით, რომელსაც შეიძლება პოეტური დენდრიზმი ვუწოდოთ.

ტიციან ტაბიძე თავის „ავტობიოგრაფიაში“ აცხადებს:

„ახურ ხალაში, ვით ფაშა ეფენდი,
ეოცნებობ ბაღდადზე მოღლილი დენდი,
ვეფურცლავ მაღარმეს „Divigations“-ს“.

„უილდის პროფილიანი“ ციხფერტვალა პოეტი დენდია, რომელიც გულგრილად უყურებს ირგვლივ ყოველივეს, რადგან მას თავისი, მხოლოდ მისთვის არსებული, განსაკუთრებული სამყარო აქვს, სადაც მის მიერ შექმნილი გმირები, ლანდები სახლობენ. აგრეთვე ისინიც, რომლებიც კლასიკური თუ უახლესი ლიტერატურიდან მისთვის საყვარელ პოეტურ სახეებს წარმოადგენენ.

დენდობა დამახასიათებელი იყო ფრანგი სიმბოლისტებისათვის. ისინი, უპირველესად, პროტესტანტები იყვნენ და ეს აელერდა მათს პოეზიასა და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. განსაკუთრებით ცნობილია შარლ ბოდლერის დენდრიზმი, რაშიც ის ხედავდა თავის ესთეტიკურ იდეალს.

დენდი ვიწრო მნიშვნელობით აღნიშნავს ნატიფად, მოდაზე ჩაცმულ მამაკაცს. უფრო ფართოდ კი გამოხატავს საერთოდ ადამიანის ცხოვრების წესს, რომელზედაც ერთგვარად გავლენას ახდენს როგორც გარემო, ასევე პოეტური პრინციპები და იდეალები. მაგალითად, დენდები იყვნენ ბაირონიცა და უილდიც, მაგრამ მათი დენდობა განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

შარლ ბოდლერის განმარტებით, დენდობა არის რაღაც საკუთარი პიროვნების კულტის მსგავსი, დენდის, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეეძლოს მისწრაფებათა და გულისტქმათა დოკება, ბედნიერების პოვნა სულ სხვა რაიმეში, ვიდრე ეს ესმით გარშემომყოფთ. ეს არის ამაყი კმაყოფილება გაცეცხისა, თან არასოდეს დაგანდება ეს გაცეცხა. იგი წერს: „დენდი შეიძლება იყოს მოყრუებული, შეიძლება იყოს ავად, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც ის გაიღიმებს, როგორც იღიმებოდა პატარა სპარტანელი მაშინ, როცა მელა უღრღნიდა შიგნულთაში“ [12, 23]. მისი აზრით, დენდრიზმი იყო უკანასკნელი აფრენა პეროიკისა დაცემის საერთო ფონზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა შემოქმედის შინაგან ნებისყოფას, რომლის საშუალებით მას უნდა დაეძლია გა-

რემო, ეპოქა და წარმოჩენილიყო საკუთარი წარმოსახული სამყაროს ერთპიროვნულ გამგებლად და ხელისუფლად.

შარლ ბოდლერი მეტრი იყო არა მხოლოდ ფრანგი, არამედ ქართველი სიმბოლისტიებისათვისაც. მისი აზრები, შეხედულებები, პოეზია წარმოადგენდნენ მათთვის შთავგონების წყაროებსა და კანონიკას (ვალერიან გაფრინდაშვილი: „ჩემს წინ ბოდლერი გადაშლილი, ვით სახარება“, ან კიდევ, ტიციან ტაბიძე: „ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის «ბოროტ ყვავილებს»“).

თანამედროვეთა გადმოცემით, შარლ ბოდლერის ქცევა ხშირად ყონგლიზმს წააგავდა. იგი იცვამდა ძალზედ ყურადღების მიპაქცევ კოსტიუმებს, უყვარდა პარადოქსები, მუდამ აფორისტულად გამოთქვამდა აზრებს და ყოველთვის საზოგადოების საწინააღმდეგო შეხედულებები ჰქონდა, იქცეოდა აქტიორივით. ერთხელ სტუმრად მწვანედ შეღებილი თმებითაც კი მიიშულა. თაყვანს სცემდა ყოველივე ხელოვნურს. ეს იყო მისი ცხოვრებისა და შემოქმედების პრინციპი. როცა ერთხელ მისთვის უკითხავთ, თუ მოსწონდა ერთი ქალის თმები, მას უპასუხებია, მომეწონებოდა, პარიკი რომ ყოფილიყო, მაგრამ თმები ბუნებრივია და ეს საშინელებააო. ეს იყო, რა თქმა უნდა, მისი პოზა, რომლითაც ის გამოირჩეოდა საზოგადოებისაგან.

შარლ ბოდლერის მიერ ხელოვნების ბუნებაზე მალა დაყენება ახალი პოეტური სკოლის ერთ-ერთ პრინციპად იქცა. ამიტომ შემოიჭრა პოეზიაში ქალაქური „ლანდშაფტები“ — მცენარეთა, მთების, ზღვების ნაცვლად ქუჩები, ასფალტი, ოთახი, სარკე. ბოდლერს ერთ საუბარში უთქვამს: „მე ვინატრებენ წითლად შეღებულ მდელოებს, ლურჯად შეღებულ ხეებს“ [10, 283]. შემდეგ არტურ რემომ ასეთ მდელოებზე ლექსებს დაწერს, XX ს. მხატვრები კი მათ დახატავენ. ქანდაკება ბოდლერისთვის მეტს ნიშნავდა, ვიდრე ცოცხალი სხეული, ტყის დეკორაცია — ვიდრე ბუნებრივი ტყე.

სიმბოლისტი პოეტები ცდილობდნენ ადამიანის შინაგანი სამყაროს პეიზაჟების შექმნას. სწორედ ამაზე შენიშნავდა გურამ ბენაშვილი: „ტიციან ტაბიძემ წარმოსახა გაშიშვლებული „სულის პეიზაჟი“ იმ სახით, რა სახითაც იგი თითქოს დამოუკიდებლად ავლენს თავის თავს, ბუნებისაგან სრულიად განზიდულად. მთელი რიგი მისი პოეტური სურათები — თავის პირველსაწყისს ეზიარებთან იმ დროს, როდესაც პოეტის შემოქმედებითი მზადყოფნა გამოირიცხავს გონით პირველად მნიშვნელობას. სწორედ ამიტომ გარესამყაროსაგან მიღებული განწყობილებები გზას უთმობენ სულის შინაგან ხილვებს“ [3, 23].

პოეტური დენდიზმის ძირითადი პრინციპები ასე შეიძლება გამოიკვეთოს:

1. ხელოვნურობის პრიმატი (მხატვრულ შემოქმედებასა და ცხოვრებაში).
2. ორიგინალობა (შემოქმედებაში, ცხოვრებაში, ჩაცმაში, ქცევაში და საერთოდ ყველაფერში).
3. საკუთარი მე-ს გამოჩეულობის განსაკუთრებული შეგრძნება.
4. პოეტური ნიღბების სიყვარული (სხვადასხვაფერის მისტერიით საკუთარი შინაგანი სამყაროს ნდობა).
5. ბოჰემა.
6. სიმახინჯის ესთეტიზება და სხვა.

ცისფერყანწელთა შემოქმედების გაცნობისას თუ შეცნობისას უნდა გავითვალისწინოთ ეს პრინციპები, სხვაგვარად სრულყოფილად ვერ ვეზიარებით მათ მშვენიერ ხელოვნებას.

დენდიზმი ყოველ მათგანთან, რა თქმა უნდა, თავისებურად გამოვლინდა. ვალერიან გაფრინდაშვილის აზრით, მაგალითად, მალარმეს დენდიზმი, უპირველეს ყოვლისა, აისახებოდა მისი პოეზიის თეთრ ფერში, რაშიც იკვეთებოდა მისი აშპარტავანი სევდა.

სიმბოლისტურ პოეზიას მრავალი სიახლე მოჰქონდა. „პირველი სიახლის“ პოეტი კი შარლ ბოდლერი იყო. მანვე შექმნა ეს სიტყვა და პირველად იხმარა 1859 წ. „Modernität“. იგი თურმე ბოდლის იხდიდა ახალი სიტყვის შემოღებისათვის, მაგრამ საპიროდ თვლიდა თანამედროვე ხელოვნების უჩვეულობის გამოსახატავად. ამ უჩვეულობის „ბაცილამ“ კი ბევრი პოეტი „დაასწავლა“ ჯერ საფრანგეთში, მერე სხვა ქვეყნებსაც გადასწავდა და, როცა ეგონათ მოქანცული და მკვდარი იყო, „შხამიანი მოწამელის ნიშნები მაშინ გამოაჩნდათ ქართულ პოეტებს და ისევ აღორძინდა Modernität პოეზიაში.

ფრანგმა მწერალმა და კრიტიკოსმა ბარბე და ორევილიმ სპეციალური წიგნი უძღვნა დენდიზმს. მისი აზრით, დენდიზმი იყო თანამედროვე მოვლენა და მის არსებით ნიშანს თვალთშეუდგამი სიამაყე წარმოადგენდა. იგი დენდიზმს ერთგვარ სოლოპისტიზმადაც მიიხსენებდა, ობიექტურ სამყაროში მხოლოდ პირად „მე“-ს აახავდა. მაგალითად, ოსტენის აზრით, შარლ ბოდლერს არ სურდა გამოსვლა თავისი „«მე»-ს საზღვრებიდან“, „ის თითქმის თავისი ლექსების საშუალებით „მე“-ს ასეირნებდა მთელს მსოფლიოში“ [12, 15].

ყოველივე ამის გამოხატულებას ჩვენ ვპოულობთ ცი-ფერყანწელთა შემოქმედებასა და ცხოვრებაში. სწორედ ამ პრინციპებიდან გამომდინარეობდა მათი პოეზიის ძირითადი თავისებურებანი, რომელთა შორის აღსანიშნავი იყო საკუთარი პოეტური პოზისა თუ ნიღბის ძიება.

ვალერიან გაფრინდაშვილი მიიხსენებდა, რომ პოეტისათვის აუცილებელი იყო პოზა, როგორც ფორმა მისი შემოქმედებისა. მისი აზრით, სწორედ პოზა წარმოადგენდა ყოველი პოეტის ნიჰის უტყუარ მაჩვენებელს. ვინც მოძებნიდა თავის პოზას, მხოლოდ იგი იქნებოდა ღირსი პოეტის სახელის ტარებისა. პოეტური პოზა მათ ქცევასა თუ ჩაცმულობაშიც უნდა გამოკვეთილიყო. ცი-ფერყანწელები ჯერ კიდევ ქუთაისში გამოირჩეოდნენ თავიანთი ექსტრავაგანტურობით. ხშირად ტეხდნენ შფოთსა და დაეიდარაბას, ქუჩაში ხმამაღლა კითხულობდნენ ლექსებს. განსაკუთრებული გემოვნებით იცვამდნენ. „მათ მხარს არ უდგებდა კოლაუ ნადირაძე, რომელიც ყოველთვის დენდივით იყო გამოწყობილი ახალ კოსტუმში, ჰქონდა ისეთი პალსტუხი, რომლის მსგავსი არავის არ გააჩნდა ქუთაისში და ყველას თვალს ჰკრიდა“, — იგონებდა შალვა აფხაიძე [2, 47].

ცი-ფერყანწელები აცხადებდნენ, რომ ვისაც პოეტური პოზა არ გააჩნდა, მას არ შეიძლებოდა ჰქონოდა სინამდვილესთან პოეტური დამოკიდებულება. მათთვის ღირიკა იყო ავტოპორტრეტი, მაგრამ არა ფოტოგრაფიული, რადგან ფოტოგრაფია გულისხმობდა გამეორებას, ავტოპორტრეტი კი პოზას. ამ პრინციპით იწერებოდა ცი-ფერყანწელთა როგორც საკუთარი, ასევე ერთმანეთის პორტრეტები:

„ტანჯულ პიროდ გელანდება თვითონ მესია.

ჭვირან ლექსით ღირსეულად ბაძე ჯამბაზებს,

სონეტისათვის უღალატე ძველ მუხამბაზებს

და, როგორც წუბბელს, შეგიყვარდა შენ პოეზია“.

(ვალ. გაფრინდაშვილი „ტიციან ტაბიძე“).

სხვათაგან განსხვავებული მათი ცხოვრება და ქცევები ბევრის თვალში ჯამბაზობის ანოციაციას იწვევდა. ამაზე შენიშნავდა ტიციან ტაბიძე: „თქვენ ამტკიცებთ, რომ ისინი შეგნებულად ჯამბაზობენ, მაგრამ კარგი: თუ საუკეთესო ახალგაზრდობა საფრანგეთის, რუსეთის, საქართველოსი და შეიძლება მთელი ქვეყნისაც შეგნებულად ჯამბაზობს, მით უარეა თვითონ ქვეყნისთვის“ [9]. ამგვარ იარლიყებს ტიციანი პოეტების მიმართ უდიდეს ტერორს უწოდებდა.

ვალერიან გაფრინდაშვილს თანამედროვე ხელოვნების სიმბოლოდ მიაჩნდა ყურმოჭრილი ვან-გოგი, რომელმაც, ვიდრე თავის ავტობიოგრაფიას დახატავდა, სარკის წინ ყური მოიჭრა. უნდა გამოხატულიყო ორიგინალური პოზა, მისი სულიერი თავისთავადობის გამოხატველი. სწორედ ეს ხიბლავდათ ყანწელებს, რომელთა აზრითაც, ხელოვნება არ ემორჩილებოდა სინამდვილეს. პოზას ლირიკაში ისინი მიიჩნევდნენ სიმბოლურად. მათი აზრით, პოეტის „მე“ გამქვადნებოდა მხოლოდ გარკვეულ პოზაში. პოეტური პოზა იყო ცისფერყანწელთა ორდენი თავისთავად, „ახელწოდება, მათი გერბი და გვარების პერალდია“. ეს იყო, როგორც ტიციანი ამბობდა, ბოქმური, მისტიკური ძმობის ორდენი.

ახალი პოეტური სიტყვის ძიება, სიახლეებისაკენ სწრაფვა მათში ბადებდა ორიგინალურ სახეებს. ადრე, ალბათ, ასე არავინ დაწერდა:

„ჩემთვის სამშობლო სახევეია შრალი ბალამის,
 დაწყველილ მინდვრებს გაუმზადებს შვიტ კალიებს“.
 (ტ. ტაბიძე, „მღვდელი და მალარია“).

ან კიდევ:

„ისევ კედლები აქვიონდნენ თეთრი გედებით
 და როგორც თოვლი, დაიფრფლა ჩემი ქეიფი“.
 (ვ. გაფრინდაშვილი „თეთრი ნაბადი“).

ცისფერყანწელები „გაცვეთილი“ სიტყვებს პირვანდელ სინედლეს უბრუნებდნენ, ხშირად ბუნდოვან სიტყვათაყვანიერებს ისინი პოეზიის არისტოკრატიულობის დამადასტურებლად მიიჩნევდნენ. სანდრო ცირეკიძის აზრით, კარგ პოეტს შეიძლება მხოლოდ ერთი მკითხველი აღმოჩენოდა და პოეზია იყო კონუსი, რომლის მწვერვალზე მხოლოდ ერთეულები აღიოდნენ [11].

ვალერიან გაფრინდაშვილი აცხადებდა: „ლირიკა არავისთვის სავალდებულო არ არის, ის არისტოკრატიულია ზედმიწევნით [4]. მათი მრავალი პოეტური სახე მოითხოვს ინტელექტს, დაწმენილ, შეუცდომელ პოეტურ გემოვნებას. სხვაგვარად, ალბათ, არ შეიძლება ისეთი სტრიქონების სრულყოფილი აღქმა, როგორცაა, მაგალითად:

„ტაძარი ოშკის: თეთრი ლოცვით ათოვლებული,
 საშო ზმანების ზან მყოფელი და ზან კი ბერწი.
 სევდათა ვახის ცრემლიანი მოჭრილი ლერწი
 და ცხელი ჭვარი: ნინოს თმებით გახელებული“.
 (გრიგოლ რომაძიძე „საქართველოს“).

ან კიდევ:

„მაგრამ არ მინდა ლხინი ჰიქების,
 მინდა მივიდე შეუცოდველი,
 ყრუ მონასტერში კათოლიკების,
 სადაც მოკითხავს ლოცვას კლოდელი“.
 (პაოლო იაშვილი).

ან:

„იდუმალ ცაზე მთვარე უძრავი,
 ბნელი ღრუბლების კრთომით ნალესი,
 როგორც ფეშხუმზე ნაკვეთი თავი
 ნათლისმცემელის იოანესი“.
 (ვალ. გაფრინდაშვილი, „ღამის ფოთლები“).

ეს არისტოკრატიულობა ნიშნავდა რეალურიდან უფრო დაშორებას, სამყაროს ცენტრად საკუთარი „მე“-ს წარმოდგენას. ეს „მე“ კი პოეზიაში ცნაურდებოდა მრავალსახოვანი ნიღბების საშუალებით. ცისფერყანწელთა აზრით, ჰემარიტი ლირიკა ტრიალებდა თავის ჯადონსურ წრეზე — ნიღბაფარებული, თეატრალიზებული, ამიტომ ვერსაცნობი. დავაკვირდეთ, როგორ ინიღბება პოეტი, მისი შინაგანი სამყარო გრიგოლ რობაქიძის ერთ ლექსში. ამავე დროს ეს შენიღბვა უფრო გამოკვეთს და წარმოაჩენს დაფარულს:

„ქელღადის შვილი ვარ ერთგული მე „ამარფატის“,
 საენებო მსხვერპლად გამზადილი, ვით სავსე თასი,
 და თუნდ რაინდი ცხოველი მზე სულ დაფუტოს.
 თასზე თასს ვამსხვერვე, რომ ამართო კიდევ ათასი,
 თაყალებული მე სარკე ვარ ყველა თვალების
 და მასკა ჩემი ქერქი არის მხოლოდ ცვალების“.
 („ავტომედალიონი“).

„სამოთხის ძიებაში“ შარლ ბოდლერი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ავტორის კმაყოფილებისთვის სულაც არ იყო საჭირო, რომ ვინმეს მისი წიგნი გაეგო, გარდა იმისა, ვისთვისაც იწერებოდა. შემდეგ ამ აზრს უფრო უკიდურესად ავითარებდა და აცხადებდა: „ბოლოს და ბოლოს, განა აუცილებელია, რომ წიგნი დაიწეროს ვინმესთვის. მე, მაგალითად, ძალიან მცირედ მიტაცებენ ცოცხალი არსებანი, მე მსურდა დამეწერა მხოლოდ მკედრებისთვის“ [13, 4].

ვალ. გაფრინდშვილი მწერალთა კავშირში გამართულ ერთ-ერთ დისკუსიაზე თავის გამოსვლაში აღნიშნავდა: „პოეტს, გატაცებულს დინამიზმით, აღარ აკმაყოფილებს სინტაქსი და ლექსიკონი წინა ეპოქისა, როდესაც არ არავებობდა ტელეფონი, ავტომობილი, ელექტრომავალი. ახალ პოეტებს აქვთ უძმათულო წარმოსახვა, ფანტაზია. ეს ნიშნავს სახეებისა და ანალოგების აბსოლუტურ თავისუფლებას. ეს სახეები არ ემორჩილებიან სიტყვის კანონებს და სასვენ ნიშნებს. ინგრევა სინტაქსი, ქარიშხალივით ტრიალებენ ჰაერში აღვირაფყვეტილი სიტყვები. დინამიზმი, „სიჩქარე მოითხოვს სადეპეშო სტილს, ზმნების გამოტოვებით, რათა გადმოცემულ იქნას ნერვიული განწყობილება ადამიანისა, რომელზედაც გავლენას ახდენს ქალაქი თავისი პანოპტიკუმით. წინასწარ გაზომილი მეტრის ადგილს იჭერს ეგრეთ წოდებული თავისუფალი ლექსი“ (ფ. 8, აღ. I, საქ. 418, ფ. 30).

ცისფერყანწელთა ერთგვარ პოეტურ პოზას გამოხატავდა სახელების გადაკეთება: ტიტე — ტიცინი, პავლე — პაოლო, ნიკოლოზ — კოლაუ, ნიკოლო და სხვა. ისინი, როგორც დენდებს შეჰფერით, თავს გამორჩეულად მიიჩნევდნენ და ამას გამოხატავდნენ შემოქმედებაში. ტიცინი წერს:

„და ბლაგანის მოვკლები მეფედ,
 რაღაც მეფური იყო ჩემს სულში,
 დაგვიანებულ ზმად შემოერთეთ
 თქვენ, ვინც მღეროდით მზეზე წარსულში“.

თუმცა ეს იყო მეფის თეატრალური მანტია — პოეტის სიამაყეს მაინც აკმაყოფილებდა. დეკორაციული სასახლის ფონზე ხდებოდა ახალ პოეტთა ღირსებათა წარმოჩენა. პოეტური პოზა თვალნათლივ აჩენდა მათ არტისტულ ბუნებას. პოეტური ნიღბებით მოველინენ ისინი თავიდანვე მკითხველებს. ნიღბს თავისი ენთეტისა და ფილოსოფია ჰქონდა. მისი არსის გასარკვევად გრიგოლ რობაქიძის „ფალესტრა“ უნდა გავიხსენოთ, სადაც იგი წერს: «„მე“ აქ მარხია ყოფიან ააიდუმლო. უმწარესი, რადგან სიკვდილია იგი, უტკბილესი — რადგან სიცოცხლეა იგი. თითქმის ერთსა და იმავე დროს თვითონ ყოფა მარა-

ლი ქცევაა. მუდმივი ცვლა. უწყვეტი დენა. ამ დენაში, ამ ცვლაში, ამ ქცევაში ცხადდება და ცნაურდება „მე“, „პირი“, მარადი ქცევა, მუდმივი ცვლა, ქცევა და ცვლა არის, და აქ იჭრება ხელუხლებელი „სახე“ ხატი (არა სალოცავი), დემოკრიტეს „გარსი“. პინდარეს „აიოლონი“. გერმანული „აბბილდ“, ნიშანი ამ სახის არის მასკა, ნიღაბი და დააკვირდით, იმ კულტებში, სადაც ცვლა ყოფის საიდუმლოდ არის გამოცხადებული. ქცევა მასკით ხდებოდა. მაგ., დიონისეს კულტში. „მე“ უნდა გაიხსნას, უნდა გაირღვეს. არსი უნდა გადავიდეს ყოვლადში. პიროვნება უნდა ეზიაროს ზეპიროვნულს. ეს არის დიონისოს ფენომენი და მერე როგორი იყო რიტუალი ამ ფენომენის. მასკის აფარება, მასკის, რომელიც დიონისოს სახეადა. „მე“ უნდა გაირღვეს, რომ ზიარ იქმნას ყოვლისა. ეს „გარღვევა“ მასკურ ხდებოდა» [8, 167].

სწორედ ასე ღრმად უნდა იქნეს მოაზრებული ცისფერყანწელთა შემოქმედებაში ნიღბების სიყვარული. ესთეტიკურ რანგში აყვანილი ნიღაბი მათთვის ხან არსებული, ხან გამოგონილი, ხან კიდევ უკვე არსებული ლიტერატურული სახეებია: პიერო, კოლომბინა, ჰამლეტი, მალდორორი, ოფელია, ელენე და-რიანი...

„მაგრამ მეცხადება მისტიურ მარულად.
მთვარიან შუალამისს ჰამლეტი სამასი.
მე და ჩემს ორეულს გეგარავენ სარკეზე,
მიჰყავთ აუზიდან ჩემი ოფელია,
დამარჩება ხაფანგი, ახლა უეარგისი.“
(ვალ. გაფრინდაშვილი „მე და ოფელია“).

იქინი ხან ერთ, ხან მეორე ნიღაბს იფარებენ, თითქოს მათი შემოქმედება ერთი რაღაც საიდუმლო რიტუალის აღსრულებას წარმოადგენს და ამ ცვლაში ცდილობდნენ საკუთარი „მე“-ს გარღვევას, გახსნას და სამყაროს არსის წვდომას, საიდუმლოს გამოცნობას, მოვლენათა და საგანთა დაფარული მხარეების ხილვას.

მათი შემოქმედება მასკარადსაც წააგავს ხშირად, რადგან მათ გარდა სხვადასხვა ნიღბით შემოდინან ფრანგი პოეტები და ლიტერატურული გმირები. ტიციან ტაბიძე ერთი პოეტური საღამოს გახსენებისას შენიშნავს: „ამ ღამეს გრიგოლ რობაქიძემ გახსნა თავისი მასკა: ამ ღამეს ის არ იყო მთაწმინდელი, ღვაწლით შემოსილი, მასში დასძლია პოეტის უკიდურესობამ: ეს იყო წმინდა ანტონის ცთუნება“ [9].

პაოლო იაშვილის წარმოსახვაში მალარმეს თეთრი ნიღაბი აქვს. იგი ბრძენის პოზით ევლინება საზოგადოებას. მას ყვითელი თმა აქვს და ამიტომ დასცინიან. არ ესმით დიდებული პოეტისა. ამ დაცინვაში კი უფრო წარმოჩნდება მისი სიდიადე. როგორც გ. ბენაშვილი აღნიშნავს, „გმირთა ამგვარი არტისტული ნიღბები თეატრალური წარმოდგენის ასოციაციებით მკვიდრდება მკითხველის ცნობიერებაში. ხაზგასმული „ინტონაცია“, პერსონაჟთა (ლიტერატურულისა და რეალურისა) ურთიერთმიმართების პაროდირებული ფორმები საცნაურს ხდის ავტორის შეფარულ თვალსაზრისს: კერძოდ, დროთი და სივრცით უახლოვროდ დაშორებულ სახეთა შინაგანი კავშირის, მათი სულიერი ერთარსებობის ფაქტს [3, 9].

„ავტოპორტრეტში“ პაოლო ზუსტად გამოხატავს თავისი ბუნების არსებით ნიშნებს. „ამპარტკვანი და ყოველთვის წვერ გაპარსული“, — ეს არის მისი ფიზიკური ხატი, როცა იგი ნიღბებს ირჩევს და პოეტური მასკარადისთვის ემზადება. „ლამაზ რითმისთვის ერთი წუთით ჩაფიქრებული, ეს სტრიქონები მის მშვენიერ სულს წარმოაჩენს“. „მათრობს ხაზხაზის აურნელება ძველი



სპარსულს“ — ეს უკვე პოეტური პოზაა. შალვა აფხაიძე იკონებს: „სულ მცირე ხნით პაოლომ თვის თავზე სცადა ოპიუმის გამანადგურებელი ძალა. ცდა გამოწვეული იყო უფრო ცნობისმოყვარეობით, სურვილით, თავის თავზე შეემოწმებინა ის ზეგავლენა, რასაც ოპიუმს მიაწერდნენ. ეს იყო პირველ ხანებში, როცა საქართველოში არ იწამეს მისი დენდობა“.

შარლ ბოდლერმა თავის წიგნში „სამოთხის ძიება“ დაწვრილებით აღწერა ჰამიშის მოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე, ოპიუმის მხატვრულმა სახემ ვალ. გაფრინდაშვილის პოეზიაშიც გაივლია:

„ანგელოზები სამართებით პარსავენ ლოთებს
მსახურებს დააქეთ ოპიუმში მალალ ვაზებით,
ისევ მელღუხა ყვეისფერი მათ ააშფოთებს,
ვინც ლექსებს ამბობს ტირილით და რუხ გობრაზებით“.

პოეტური პოზა იყო პაოლოს მეტად მკაცრი „ქესტი“ კლასიკური ხელოვნების მიმართ — უარყოფის თეატრალიზებული გამოხატვა:

„პაოლო იაშვილს — მომეწყინა ყვითელი დანტი,
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა — შექსპირს უარი,
რა ჯენა, თუ ჩემთვის ბეთოვენე მხოლოდ ყრუ არი,
და რომ წარსულმა ვერ გადმოშვა მე ანდამატი“.

ეს იყო დენდური სიამაყე, არ დაემჩნია ვაოცება და ამავე დროს ხელოვნების ახალი კერპები წარმოეჩინა. ამგვარად ესხმებოდა ხორცი სიმბოლისტური სკოლის პრინციპებს მხატვრულ სიტყვაში.

პოეტური დენდოზის უარსებითესი ნიშანი იყო ე. წ. „ბოჰემა“. ცინფერყანწელთა ცხოვრებისა თუ პოეზიაში მკვეთრად წარმოჩნდა ამგვარი განწყობილება. ვალერიან გაფრინდაშვილი ერთ წერილში მიმოიხილავს ბოჰემის ისტორიას და მას ქალაქის ღვიძლი შვილად მიიჩნევს, მის წინაპრებად კი საშუალო საუკუნეების მინერალიზაციას, ტრუბადურებს, აშულებს მიიჩნევს. „ბოჰემის მკვეთრი სურათი წარმოჩნდა მე-19 ს. საფრანგეთში მონმარტი თავისი კაფეებით და ლათინური უბანი წარმოადგენდნენ სენას, რომელზედაც ბოჰემა ქმნის თავის ლეგენდას“ [5].

ბოჰემა გამოხატულება იყო იმავე პრინციპისა, რასაც პოეზიაში ახორციელებდნენ: სიახლე — ცხოვრებაში, უარყოფა — სიმშვიდის, კონსერვატიზმის, ნორმის, კანონის... ვალერიან გაფრინდაშვილის აზრით, ვინც პოეზიაში რევოლუციონერია, ის აუცილებლად ბოჰემად იქცეოდა, რადგან მას თავს დაესხმოდნენ საზოგადოებისა და მწერლობის ფილისტერები. აბა, როგორ აიტანდნენ ამგვარი მკითხველები პოეტის გულწრფელობის ასეთ გამოქვამებას:

„მუხრანის ზღზე დასახრჩობად კიდევ დავდგებით,
საქართველოში ცხოვრება ხომ თვითმკვლელობაა.
ამიტომ გვიყვარს საქართველო ჩვენ თავდადებით,
ამიტომ მოგვწოეს და შეგვიწოდოს ჩვენ ეს ობობა“.
(ტ. ტაბიძე „ნინა მაყაშვილს“).

თუმცა, უნდა ითქვას, რომ არ ერიდებოდნენ ყანწელები არავის რისხვას. კარგად უწყობდნენ, რომ ყოველგვარი სიახლე მსხვერპლს მოითხოვდა. თანაც გვერდით ედგათ გრიგოლ რობაქიძე, რომელიც თავისი ძალუმი სიტყვით ამხნეებდა და მაგალითს აძლევდა:

„ღამის გუბეში გაღუვილი ბნელი ქაოსი,
შენში აპირებს მუნჯი რიტმის უხვად ამოცრას.
რის მოგესმება ლუში ლირწი მისი ხავოსი, —

ყოველი ისერი საიდუმლო სიტყვას საოცარს,
არ შეგეშინდეს ძნელი ცნობის: ბავშვო ტიციან:
რომ დიონისო შენი ჩემი ძმადნადიციო“.

(გრიგოლ რობაქიძე: „ტიციან ტაბიძეს“).

ბოჰემის პირველ „გამფორმებულბად“ ვალერიან გაფრინდაშვილი რომან-ტიკოვებს აცხადება (ფრანგები: ეუროპ დე ნერვალი, მიუსე, პეტრიუს მორელი, შარლ ნოდიე... გერმანელები: ჰოფმანი, ლენცი, შამისსო, კლეისტი, ზაქარია ვერნერი და სხვ.).

„ბოჰემის ერთ-ერთ აქსესურად“ ლვინო იქცა. კაფეებში „მთვრალი“ პოეტები უმღეროდნენ თავიანთ მშვენიერ მუზეებს, მაგრამ ლვინო მხოლოდ გარეგნული რამ იყო. ბოჰემაში მთავარი იყო შინაგანი თავისუფლება, რომელიც პოეტური სახეებისა და წარმოსახვების „ზღვარგადასულობაში“, უცნაურობასა და უჩვეულობაში მეღაენდებოდა.

ბოჰემური იყო არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდის“ აღწარება:

„ენახე გასერილი მზე მისტიურ საშინელებით,
იისფერ სხვიეს ხმელ ჩინჩებით რომ ანათებდა,
ტალღებს, რომ ჰგაენდენ აქტიორებს უძველეს დრამის,
რომელნიც ფართოდ აგორებდნენ ფარდების ცახცახს“.
(პოლო იაშვილის თარგმანი).

ტიციან ტაბიძის შემდეგი სტრიქონები:

„ორპირი ლება, როგორც ლეში ცეციაფანის,
რიონის ფშანებს აედევნენ გრძელი ყანჩები,
მოიღუნება ჩემი სული — წნელი ლაფანის,
მხოლოდ ყანჩები — ჰობების მქლე ლამაჩები“.
(„მღვდელი და მალარია“).

სწორედ ბოჰემამ წამოსწია წინ სიმახინჯე, როგორც ნილაბი. ბოჰემამ ერთმანეთში გადაწნა თვით პოეტი, მიჩი ცხოვრება და პოეზია. ამიტომ იქმნება, ერთი შეხედვით „არეულობა“, რომელიც ემორჩილება შინაგან სიმეტრიასა და ჰარმონიას.

მორის როლინას სონეტის „ბოჰემის“ სტრიქონები კი ასე ეღერს:

„ჩემი აშინებს თვით ძაღლების ბრაზიან ხროვას,
მე ბებერს, დამპალს მდის ბალაბო, როგორც მათხოვარს,
მაგრამ ის ფიქრი — ზიზლით სავსე, ჩემი ფასია,
რომ არავისთან მე უღელში არ მივარია.
(ვალ. გაფრინდაშვილის თარგმანი).

როგორც გუბრამ ანათიანი შენიშნავდა, „ციხერყანწელებმა“ მოძველებულ იდეალებს დაუპირისპირეს თავიანთი ახალი ესთეტიკურ-მოდერნისტული რწმენა, სკეპსიცი, უიმედობით, მარაზმით, საწყაროს „მთვრალი ქაოსით“ ტებობის ფილოსოფია.

ისინი აღტაცებაში მოჰყავდა კოსმოსური კატასტროფის, აპოკალიფსის ცხენების ავისმეტყველი ჭიხვინის წინათგარძობას. ისინი თვრებოდნენ სიმახინჯით, მწუხარებით.

ეს იყო თითქოს შეშლილთა ნადიმი შავი ჭირის დროს [1, 300]. ბოჰემამ გასაქანი მისცა „მეამბოხე“ პოეტების სულში აბრიალებულ ცეცხლს, რომ არ „გადაბუგულიყვენ“ შინაგანად. ასე იქმნებოდა აალებული სტრიქონები, რო-

მელთაც ხშირად ქუჩის, შმორისა და ჭვარტლის სუნი ასდიოდათ, ასეთი იყო ცხოვრება... ბოჰემა კი გზა, რომლითაც პოეტები გაურბოდნენ სინამდვილეს.

„ჭიქის სასახლე — ნაოცნები ავი ჰაშიშით,
კარებში სდგანან ქიშკრები სასტიკ მცველებით.
ფორუხ კობეზე მე აღვივარ ნამალაჲ შიშით,
მეტა თუ ვინმე საფვარელი მომშველება“.
(ვალ. გაფრინდაშვილი).

სიმახინჯის ესთეტიკის გააზრებისათვის მეტად საინტერესოა ვალ. გაფრინდაშვილის ესე „Terror antiquus“. მისი აზრით, სიმახინჯის ფერიააცვალების სასწაული ხდება მხოლოდ ლირიკაში. იგი მკვეთრად გამოიხანეს ერთმანეთისაგან ლამაზს და მშვენიერს. ამ უკანასკნელს იგი ხელოვნების კატეგორიად მიიჩნევს. მისი აზრით, ხელოვანა შეუძლია, მახინჯი შეიყვანოს ხელოვნების სფეროში და მშვენიერ მოვლენად აქციოს. „ესთეტიკურია ის ემოცია, რომელსაც ჩვენ ვიღებთ მახინჯიდან ხელოვნებაში“ [6].

ციხფერყანწულებს სიმახინჯე ესმოდათ, როგორც სიმბოლო და როგორც ირონია. ისინი მახინჯა აღიქვამდნენ, როგორც მოვლენის ზედაპირს, როგორც ფანტასტიკურ ნიღაბს. ყანწულები სიმახინჯეა მშვენიერის ყველაზე ირონიულ ნიღაბად მიიჩნევდნენ:

„ტიროდნენ ერთად ბყაყებო
ღამშრალ ფშანებში.
თოქო ახელებს ქლექის ხეელთ
Miss Lea Lee-ს“.

(ტიციან ტაბიძე „მღვდელი და მალარია“).

ციხფერყანწულებს მიაჩნდათ, რომ „ხელოვნებაში ხედება ერთმანეთს ორი წინააღმდეგი მოვლენა — მახინჯი და ლამაზი და ამ მისტიკურ შეხვედრიდან იბადება ახალი ესთეტიკა“ [6].

„ლოტრეამონის მალდორორი, უშნო გომბეშო,
კოსმიურ ტალახს დასტიროდა ჩვენს ორლობეში,
ყველა პანთონს, თუ მერგება, თვითონ დიდებეს
მე ვარჩეუ მაინც ჩემ ორპირის გამოშალ უბეს“.
(ტიციან ტაბიძე „ორპირის სეზონი“).

ვალერიან გაფრინდაშვილი მახინჯს ვაჟურ საწყისად მიიჩნევდა, ლამაზს კი ქალურად. მისი აზრით, პუშკინის „ქეიფი ეამიანობის დროს“, ტიუტჩევის მალარია, ედგარ პოს მოთხრობები, ბოდლერის ყვაილები, აპოკალიფსი და გოიას სურათები მახინჯის გამარჯვება იყო ხელოვნებაში. იგი თვლიდა, რომ სინამდვილე თავისთავად იყო მახინჯი, ლირიკა კი ამართლებდა და მასში ნახულობდა თავის იდეალს. მახინჯს, როგორც უცნაურობისადმი წყურვილს, ვალ. გაფრინდაშვილი მიიჩნევდა ხიდად სინამდვილეა და საიქიოს შორის.

ვ. ვანსლოვი წიგნში „მშვენიერია პრობლემა“ ამ ცნების ფილოსოფიური სიღრმეების მიმოხილვისას აღნიშნავს: „ხანდახან მშვენიერი, როგორც ჭეშმარიტი, ღრმა, შინაარსიანი სილამაზე დაპირისპირებულია სილამაზესთან, როგორც გარეგნულ, ცარიელ, ზედაპირულ, უშინაარსო ფორმასთან. ასეთ სილამაზეს ვხვდებით იქ, სადაც მორთულობა, „ლაკირება“ გარეგნული სახისა ფარავს შინაარსის არარობას, ჭეშმარიტი სილამაზის არქონას. სილამაზე უფარგოსი ესთეტიკური გემოვნების მაჩვენებელია. მშვენიერი არის ადამიანის სინამდვილესთან მიმართების ესთეტიკური გამოხატვის უკეთესი ფორმა. უარყოფით-



ფორმას კი წარმოადგენს უაზრობა, რომელიც ხშირად ხდება ყალბი „სიკეთის“ უფრო იდეალის გამოხატველი“ [14, 160].

კოსფერყანწელები თავიანთ შეხედულებებს არ აცხადებდნენ ერთადერთ ქეშპარიტებად. ამაზე ცხადად მეტყველებს ერთ-ერთი მათგანის სიტყვები: „შეიძლება მომავალმა ესთეტიკამ სრულიად უარყოს ის ხელოვნება, რომლი-თაც ჩვენ ვამაყობთ“ (ვალ. გაფრინდაშვილი — „დეკლარაცია“).

სიმბოლისტებს სჯეროდათ, რომ ხელოვნება გარდაქმნიდა სინამდვილეს და ყოველგვარ სიმახინჯეს ხელოვნებაში გააკეთილშობილებდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ასათიანი, კრიტიკული დიალოგები, თბ., 1977.
2. შ. ბეზაძე, მახოს მარადის, თბ., 1988.
3. გ. ბენაშვილი, წყურვილი წდომისა, თბ., 1986.
4. ვ. გაფრინდაშვილი, ლირიკის ელზოზში, ვ. „შეოცნებე ნიაშორები“, 1923, № 9.
5. ვ. გაფრინდაშვილი, პოეზია და ბუნება, ვ. „რუბიკონი“, 1023, № 2.
6. ვ. გაფრინდაშვილი, დეკლარაცია, ვ. „შეოცნებე ნიაშორები“, 1922, № 7.
7. ვ. გაფრინდაშვილი, შენიშვნები ლირიკაზე, ვ. „კავკასიონი“, 1924, № 3—4.
8. გრ. რობაქიძე, გველის პერანგი, თბ., 1989.
9. ტ. ტაბიძე, დადაზში და კოსფერი ყანწეები, ვ. „შეოცნებე ნიაშორები“, 1923, № 10.
10. კ. ფრიდრიხი, თანამედროვე ლირიკის სტრუქტურა, ვ. „საუნჯე“, 1990, № 3.
11. ს. ცირეკიძე, პოეტი და მკითხველი, ვ. „შეოცნებე ნიაშორები“, 1923, № 9.
12. შ. ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, მოსკოვი, 1970 (რუსულ ენაზე).
13. შ. ბოდლერი, სამოთხის ძიება, მოსკოვი, 1908 (რუსულ ენაზე).
14. ვ. ვანსლოვი, შვენიერის პრობლემა, მოსკოვი, 1957 (რუსულ ენაზე).

ДЖАЛИАШВИЛИ М. У.

ОДИН АСПЕКТ ТВОРЧЕСТВА „ГОЛУБОРОГОВЦЕВ“ — ПОЭТИЧЕСКИЙ ДЕНДИЗМ

Резюме

Рассмотрен один из особо интересных и значительных аспектов творчества „голубороговцев“, который в исследовании назван поэтическим дендизмом. Основными его принципами являются следующие: 1. примат искусственности (в художественном творчестве и жизни); 2. оригинальность (в творчестве, жизни, поведении, одежде и вообще во всем); 3. особенное чувство собственного „я“; 4. любовь к поэтическим маскам (достижение собственного внутреннего достоинства мистерией различных масок); 5. богема; 6. эстетизм уродства.

Рассматривая эти принципы, исследователь тем самым анализирует одну из характерных сторон в творчестве „голубороговцев“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უახლესი მწერლობის განყოფილება
წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

მანანა მაჯანია

კიტა აბაშიძე გიორგი წერეთლის შესახებ

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს ცხოვრების რიტმი შედარებით უფრო ინტენაიურად იღებდა ევროპულ ტონალობას. მის ჩამოყალიბებას დიდად უწყობდა ხელს, ერთი მხრივ, ბატონყმობის მოსპობა რუსეთის იმპერიაში, ხოლო, მეორე მხრივ, განათლების ევროპული სტილის საბოლოო დამკვიდრება. მართალია, ჯერ კიდევ პეტრე I-მა დაიწყო რუსეთში განათლების სისტემის ძირეული რეფორმა, მაგრამ მართლაც ღრმაშინაარსობრივი პროცესები განათლების სისტემაში სწორედ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან წარმოებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ, ჩვენი აზრით, პეტერბურგისა და მოსკოვის ცნობილი სტუდენტური მღელვარებანი ნაწილობრივ სწორედ განათლების სისტემის რეფორმის დაჩქარების საჭიროებით იყო გამოწვეული და თანაც ამ რეფორმების აუცილებლობის შეგნებით გამაჰკვალული პროფესორ-მასწავლებლების მიერ იმართებოდა აშკარად თუ შეფარვით.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტები ევროპული უნივერსიტეტის განმანათლებლური იდეებისა და ჰუმანური ტრადიციების მემკვიდრენი იყვნენ. სწორედ ამიტომ ისინი საკმაოდ ძლიერ განიცდიდნენ დემოკრატიული იდეების გავლენას.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სწორედ განათლების სისტემაში მომხდარი პროგრესული ცვლილებების შედეგად უნდა ჩაითვალოს ის სულიერი აღორძინებაც რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისა, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საგრძნობლად გაძლიერდა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში დაახლოებით 30-მდე ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. მათ შემდეგში სამოციანელთა, ანუ თერგდალეულთა, სახელით მართლაც წარუშლელი კვალი დასტოვებდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. აი, როგორ აფასებდა ამ თაობის მოღვაწეობას კიტა აბაშიძე: „ამ თაობამ... მთელი საზოგადოება გამოაფხიზლა, მისცა აზრი მწერლობას, მიძინებულ ერს იდეალი დაუსახა, შექმნა საერო საგანი, ხალხს ნაციონალური თვით-ცნობიერება დაუნერგა“¹.

მართალია, ილიას, აკაკისა და ნიკო ნიკოლაძის გვერდით ძალიან ძნელია დავასახელოთ მათივე რანგის მწერალი ან საზოგადო მოღვაწე სამოციანელთა შორის, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამ პლედაში სათანადო პატივით მოვიხსენიოთ გიორგი წერეთელიც. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედება ყოველთვის შედარებით პოპულარობით სარგებლობდა, სამწუხაროდ, მისი დამსახურება სათანადოდ მაინც არ არის წარმოჩენილი.

¹ კ. აბაშიძე, ჩვენი ახალგაზრდობა (ჩემს მეგობრებს), „მოამბე“, 1897, № 7, გვ. 25—51.

დღეს, ჩვენი აზრით, გამორჩეული ყურადღებით უნდა მოვეყვილოთ გ. წერეთლის მემკვიდრეობას, რადგან სწორედ იგი იყო ერთ-ერთი პირველი იმ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომელთა პოლიტიკური მრწამსიც იმთავითვე დემოკრატიული იდეების საფუძველზე განვითარდა.

მიუხედავად იმისა, რომ გ. წერეთლის მემკვიდრეობას XX საუკუნეშიც საკმაოდ მრავლად ჰყავს დამფასებელი, მისი შემოქმედების კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც მწერლის თანამედროვეთა შეფასებებს ენიჭება. უნდა აღინიშნოს, რომ გ. წერეთლის თანამედროვენი ხშირ შემთხვევაში გაცილებით უფრო მკაცრად განიხილავდნენ მწერლის მხატვრულ შემოქმედებას, ვიდრე ამას, ჩვენი აზრით, მისი კალმის ნაღვაწი იმსახურებს.

ყოველი მწერლის შემოქმედების შეფასებისას, როგორც ცნობილია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დროის ფაქტორს. ჩვენი აზრით, ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც საზოგადოებრივ მოვლენებს მათი მიმდინარეობის პარალელურად ასახავს, დროის გარკვეული მონაკვეთის გავლის შემდეგ მხატვრული მატრიანის ღირსებას იძენს, რადგან მასში ასახული მოვლენები შესაბამისი ეპოქის დამახასიათებელი ყოფითი დეტალებიდან დაწყებული გმირების ფსიქიკური მდგომარეობით დამთავრებული ფაქტობრივად უკვე წარსული დროის ვითარებათა ფიქსაციას წარმოადგენს.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით გ. წერეთლის შემოქმედებას უკვე მხატვრული მატრიანის ფუნქციაც აკისრია და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ დღევანდელი მკითხველი მას სულ სხვა ინტერესით ეწაფება.

გ. წერეთლის მემკვიდრეობის შეფასებათა განხილვისას, ჩვენი აზრით, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურული კრიტიკა საერთოდ ფრიად იყო დაკავებული ლიტერატურის თეორიის საკითხებით და ხშირად ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებას ძალიან ხელოვნურად ათავსებდა ქანრისა და სტილის ჩარჩოებში.

ქართული კრიტიკული აზროვნების გაღრმავებასა და განვითარებაში, ლიტერატურული კრიტიკის სტილის დახვეწაში უდავოდ გამორჩეული როლი შეასრულა კიტა აბაშიძის ნაწარმოებმა.

თავად კიტა აბაშიძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა აზროვნების განვითარების პროცესში დროის ფაქტორის როლს. კერძოდ, გიორგი წერეთლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ეტიუდის სქოლიოში კრიტიკოსი აღნიშნავს: „ილიას „მგზავრის წერილები“ თავისი საოცარი ადგილებით გ. წერეთლის თხზულებებზედ („იკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“. — მ. ქ.) 7—8 წლით ადრე არის დაწერილი“². ამ შენიშვნიდან გამომდინარე, ბუნებრივია, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ კრიტიკოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნაწარმოების შექმნის თარიღს, როგორც აზროვნების გარკვეული ეტაპის ქრონოლოგიურ აღმნიშვნელს.

ცნობილია, რომ კიტა აბაშიძე საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოვიდა. ეს ის ხანაა, როდესაც უკვე დაწერილია ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის და სხვათა საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც მათი ავტორების განათლების სტილიდან გამომდინარე ნაწილობრივ ევროპული აზროვნების, ევროპული ლიტერატურის წიაღში მიმდინარე მიმართულებების — რომანტიზმისა და რეალიზმის — მიერ შემუშავებული ნორმების მიხედვით

² კ. აბაშიძე, ეტიუდები, გ. წერეთელი, თბ., 1970, გვ. 353.



არის შექმნილი. იმ ხანად სწორედ კიტა აბაშიძის ნიჭისა და ერთგულების პიროვნებას შეეძლო ყოფილიყო იმ ტიპის კრიტიკოსი, რომელსაც შესწევდა უნარი ღირსეულად გაძლიოდა ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესების ღრმა და პროფესიონალურ ანალიზს.

სწორედ ამიტომ გ. წერეთლის მემკვიდრეობის შეფასებაში ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კიტა აბაშიძის ნააზრევს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ცნობილი კრიტიკოსი ხშირად მეტად მკვეთრ შეფასებებს იძლევა და სადღეისო გადასახედიდან რამდენადმე გამაფრებული ელფერის დასკვნებს აკეთებს.

როგორც მართებულად აღნიშნავს დ. გამეზარდაშვილი: „კიტა აბაშიძემ გ. წერეთელზე დაწერილ ნარკვევში მთელი თავისი ნიჭი მისი შემოქმედების სუსტი მხარეების წინ წამოწევისაკენ მიმართა. მან გვერდი აუარა გ. წერეთლის შემოქმედების ძლიერ მხარეებს, მის იდეურ შინაარსს, მის შემეცნებით ღირებულებას და მთელი ყურადღება მხატვრული ფორმის ხარვეზებზე შეაჩერა“³.

მართალია, კ. აბაშიძის „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“ 1911 წელს გამოვიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოჩენილი კრიტიკოსის ნააზრევი დღესაც საკმაოდ აქტუალურად ელერს.

ცნობილია, რომ თავისი კვლევის მეთოდის შემუშავებისას კიტა აბაშიძე ფრანგი კრიტიკოსის — ფერდინანდ ბრუნეტეირის გავლენის ქვეშ მოექცა. ფ. ბრუნეტეირის ნაშრომმა — „გვართა ევოლუცია ლიტერატურის ისტორიაში“, რომელიც 1890 წელს გამოვიდა, საკმაოდ დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ნაშრომში ავტორი ცდილობდა ლიტერატურის ისტორია ჩარღვ და რევიზიის მიერ ბუნებაში აღმოჩენილ კანონზომიერებათა მიხედვით განეხილა.

კ. აბაშიძისეული კონცეფციით „გ. წერეთელმა იყისრა და საესებით შესარულა გადაგვარებული რეალიზმისა და უფერული ნატურალიზმის მწერლის მოვალეობა“⁴. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ კრიტიკოსის ზოგიერთი შეფასება იმთავითვე ტენდენციური იყო, რადგან, როგორც ჩანს, მას დიდი სურვილი ჰქონდა გარკვეულ საზღვრებში მოექცია მწერლის შემოქმედება. ვფიქრობთ, გ. წერეთლის შემოქმედების განხილვისას კ. აბაშიძის მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრების სიმკვეთრეს რამდენადმე არბილებს ის ღირებულება, რომელიც მწერლის შემოქმედებამ სადღეისოდ, უკვე როგორც მხატვრულმა მატრიანემ, შეიძინა.

მართებულად შენიშნავს კრიტიკოსი გურამ გვერდწითელი, „რომ გიორგი წერეთელი არის იმ მწერალთაგანი, ვის შემოქმედებაშიაც მხატვრული მატრიანის სისრულით და სიზუსტით იქნა ვადმოცემული მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ყოფა-ცხოვრება“⁵.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კ. აბაშიძე თავისი კრიტიკული მეთოდის საფუძვლად ფ. ბრუნეტეირის მოსაზრებებს თვლიდა. იგი ფრანგი კრიტიკოსის დარად შეეცადა ქართველი მწერლები მათი მხატვრული შემოქმედების აულისკვეთების გათვალისწინებით სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებად დაესახა.

³ კ. აბაშიძე, ეტიუდები, პროფ. დავით გამეზარდაშვილის შესავალი წერილი, თბ., 1970, გვ. 59.

⁴ კ. აბაშიძე, ეტიუდები, გ. წერეთელი, თბ., 1970, გვ. 339.

⁵ ქართული პროზა, წიგნი X, გიორგი წერეთელი, შენიშვნები გ. წერეთლისა, თბ., 1985, გვ. 700.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. წერეთელი საკმაოდ კარგად ერკვეოდა ლიტერატურის თეორიის საკითხებში. თუმცა ლიტერატურის საკითხთა დაუფლება როდი მეთყველებს მწერლის ნიჭის ძალაზე, რადგან მხატვრული ნაწარმოების შექმნა ცნობიერისა და ქვეცნობიერის ზღვარზე მიმდინარე პროცესია და ვერა-კითარი თეორიის ჩარჩოში ვერ თავსდება.

კ. აბაშიძის ასეთ დიდ დაინტერესებას — ქართული ლიტერატურა ევროპული ლიტერატურის შესაფერ ჩარჩოებში მოექცია, ჩვენი აზრით, საფუძვლად მისი ფილოსოფიური შეხედულებანი ელ. ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი, როგორც ვიცით, საკმაოდ აქტიური პოლიტიკური მოღვაწეც გახლდათ და სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერიც იყო. სოციალ-ფედერალისტთა პარტია კი თავის უმთავრეს ამოცანად საქართველოში დემოკრატიის განვითარებას თვლიდა ანუ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ევროპული მოდელით განვითარებისაკენ მისისწრაფოდა. კრიტიკოსის პოლიტიკური შეხედულებანი, ჩვენი აზრით, თითქმის გამჭვირვალედ მოჩანს ამ კიტატაში: „...ჩვენი ლიტერატურა მომავალშიც ევოლუციის ამ კანონიერ გზას არ გადაუხვევს, მომავალშიც ევროპულ ლიტერატურას უმცროს ძმობას გაუწევს და მეცხრამეტე საუკუნის ჩვენს ლიტერატურას მხარა დაუმშვენებს“⁶.

როგორც ვხედავთ, კრიტიკოსი „ევოლუციის კანონიერ გზას“ არა მარტო როგორც საერთოდ მისილება და მომავლისათვის გასათვალისწინებელს ხედავს, არამედ იმ საშუალებადაც მიიჩნევს, რომლის მეშვეობითაც ქართულ ლიტერატურას, ანუ აზროვნების სტილს, ევროპული ლიტერატურის, ანუ აზროვნების სტილი, გვერდით დგომა შეეძლება.

საინტერესოა, რომ თავად კიტა აბაშიძე ლიტერატურას „ჩვენი აზრისა და გონების დიად მოვლენას უწოდებდა“⁷. ე. ი. მწერლობას იგი განიხილავდა უპირველეს ყოვლისა, როგორც ადამიანის აზროვნების გამოვლინების ერთ-ერთ ყველაზე რთულსა და საინტერესო ფორმას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კ. აბაშიძის აზროვნების სტილზე დიდი გავლენა იქონია ფ. ბრუნეტიერის ნაშრომებმა; მაგრამ უნდა ითქვას, რომ არა მარტო ქართული ლიტერატურის თაობაზე მსჯელობისას, არამედ ლიტერატურაში ზოგადი პროცესების მიმდინარეობის ანალიზის დროსაც კ. აბაშიძე მართლაც დამოუკიდებელ და ამასთან იმ დროისათვის საკმაოდ ორიგინალურ აზროვნებას ამჟღავნებს. იგი ზედმიწევნით კარგად იცნობდა XIX საუკუნის ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებს და ამიტომ ლიტერატურას აღიქვამდა, როგორც ახალი ცხოვრების მახარობელს, ისეთი ცხოვრებისას, „რომელიც ადამიანის ყოველგვარი მოთხოვნილებების სრული და-კმაყოფილების მიმდევარი იქნება“⁸.

კ. აბაშიძის ნებისმიერი მწერლისადმი დამოკიდებულების სწორი გააზრებისა და უპირველეს ყოვლისა გ. წერეთლის შემოქმედების მისეთელი შეფასების გაგებისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია გავიხსენოთ კრიტიკოსის დამოკიდებულება საერთოდ ხელოვნებისადმი: „ხელოვნება თვით ცხოვრებაა, მისი საუკეთესო ნაწილი, მისი სულის ჩამდგმელი. ხელოვნებაშია გამოხატული ის იდეალი, რომელიც ცხოვრებას აქვს დასახული, ხელოვნებაშია შედუღებული ის ფორმა და შინაარსი, რომლის შეუხამებლობა ქმნის ტრაგედიას ცხოვრე-

⁶ კ. აბაშიძე, ეტოლდება, წინასიტყვაობა, თბ., 1970, გვ. 88.

⁷ კ. აბაშიძე, ეტოლდება, წინასიტყვაობა, თბ., 1970, გვ. 79.

⁸ კ. აბაშიძე, ცხოვრება და ხელოვნება, — ცხოვრება და ხელოვნება, თბ., 1971, გვ. 38.

ბისას, ხელოვნებამ მიაღწია იმ პარამონიას სულსა და ხორცს შორის, რომლის გარეშე ცხოვრება უბადრუკი რამ არის, ხელოვნებამ გვიჩვენა, თუ რა შეუძლია ადამიანის ღვთაებრივობას, მის ღიღებულ გონებას. იგი ასწორებს და ამშვენებს ამ ცხოვრებას, რომელიც რაღაც აბსოლუტური, მიუწვდომელი ინდიფერენტისმის შექმნილია⁹.

ვფიქრობთ, კ. აბაშიძის აზროვნების სტილის თავისებურებათა გაგებისათვის აღნიშნული ციტატის ღრმა გააზრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. კრიტიკოსი თავად აღნიშნავს, რომ ცხოვრებას დასახული აქვს გარკვეული იდეალი, რომლის გამოსახვეც ხელოვნებია, ე. ი. სიტყვაკაზმული მწერლობის, ამოცანას შეადგენს, მაგრამ ამასთან ერთად იგი მიუთითებს, რომ თავად ცხოვრება „რაღაც აბსოლუტური, მიუწვდომელი ინდიფერენტისმის შექმნილია“. როგორც ვხედავთ, ჩვენ ფაქტობრივად საქმე გვაქვს ზოგადად ცხოვრების არსის თავისებურ, ფილოსოფიურ ხედვასთან.

გ. წერეთლის შემოქმედებას, როგორც ვიცით, კ. აბაშიძე საკმაოდ მკაცრად განიხილავს, ჩვენი აზრით, ამ სიმკაცრის უმთავრესი მიზეზი სწორედ ის მაქსიმალური მოთხოვნაა ხელოვნების — სიტყვაკაზმული მწერლობისადმი, რომლის თანახმადაც, კრიტიკოსის გააზრებით, როგორც დავინახეთ, სწორედ ხელოვნება გვიჩვენებს, „თუ რა შეუძლია ადამიანის ღვთაებრივობას, მის ღიღებულ გონებას“¹⁰.

სტატიაში „აზრი თუ ფორმა, შინაარსი თუ სხეული“ კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩენს ლიტერატურის, მწერლობის, როგორც კაცობრივი აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე რთული და ღრმა ფორმის, როლს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მაღალი მხატვრული ღირსებებით შემკული ლიტერატურული ნაწარმოების შექმნას, მისი ფორმისა და შინაარსის პარამონიულ შერწყმას დიდად უწყობს ხელს ლიტერატურული კრიტიკის განვითარება, ხოლო „უაზრო დაუა ფორმისა და შინაარსის პირველადობის ან მეორადობის შესახებ მხოლოდ იქ წარმოიშეება, სადაც პოლიტიკური ცხოვრების ფორმები დიქტატულ ხანას ვერ გასცილებიან“¹¹.

ვფიქრობთ კ. აბაშიძის აღნიშნული მოსაზრებაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ კრიტიკოსი ლიტერატურასა და მასში მიმდინარე პროცესებს განიხილავდა, როგორც ზოგადად აზროვნების გარკვეული ეტაპის უტყუარ ამრეკლავთ.

აღნიშნულ სტატიაში კ. აბაშიძე წერს „თუ დავაკვირდებით ლიტერატურული ნაწარმოების ზრდასა და განვითარებას, დავინახავთ, როგორც ყოველივე ცხოვრებაში, იგივე პროგრესის გზას ადგა, განკარგებისაკენ მიიღტეოდა“¹², ე. ი. იგი ლიტერატურის ზოგადი განვითარების პროცესში განკარგების გაუმჯობესების ქრონოლოგიურ ხასიათსაც ხედავდა. ვფიქრობთ, კრიტიკოსის ეს შეხედულება იყო უმთავრესი მიზეზთაგანი იმისა, რომ მისი თვალთახედვის არედან რატომღაც გაჰქრა გ. წერეთლის, როგორც ბელეტრისტის, უდავო ღირსებანი. ილიასა და აკაკის შემდეგ კ. აბაშიძემ გაუძნელდა გ. წერეთლის ღირსებათა წარმოჩენა და, ალბათ, თავისი პოზიციიდან გამომდინარე ის მართალიც იყო, მაგრამ ჩვენთვის დღეს არსებითია შესანიშნავი ქართველი კრიტიკოსის

⁹ იქვე, გვ. 38—39.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე, გვ. 40.

¹² კ. აბაშიძე, „აზრი თუ ფორმა, შინაარსი თუ სხეული, „ცხოვრება და ხელოვნება“, თბ., 1971, გვ. 41—42.

მოსაზრებებში რაციონალურ საწყისს დავეყრდნობ და ერთ-ერთი საინტერესო ქართველი მწერალი გ. წერეთელი შეძლებისდაგვარად ობიექტურად წარმოვაჩინოთ.

როგორც ვიცით, კიტა აბაშიძე დიდ ყურადღებას უთმობდა ხელოვნების ზნეობრივობას, იგი წერდა „...აზროვნება და ზნეობრივობა — უმაღლესი არაწარმავალი მნიშვნელობით — განუყრელია ხელოვნებისა ნაწარმოებისაგან და ძირითადი თვისებაა ხელოვნების საზოგადო“¹³.

საერთოდ კრიტიკოსის აზროვნების ზოგადი სტერეოტიპის განსაზღვრისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია ზნეობასთან — ზნეობრივობასთან დაკავშირებული მისი შემდეგი სიტყვების გათვალისწინება: „სიმშვენიერია თავყვანისმცემელი, სიყვარულისა და მეგობრობის უდიდეს გრძნობათა მალადღებელი, კაცის პირადობის, დაუსრულებელი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსარჩლე ყოველთვის ყოფილა ყოველი დიდი მწერალი... ამგვარი აზრით, ყოველი დიდი ნაწარმოები ზნეობრივი ნაწარმოებია, მომავლის საუკეთესო კაცთა შორის დამოკიდებულების მქადაგებელი და წინასწარმეტყველი“¹⁴.

კრიტიკოსის ზნეობრივობაზე ზოგადი მსჯელობის გათვალისწინება, ჩვენი აზრით, აუცილებელია გ. წერეთლის შემოქმედების კ. აბაშიძისეულ აღქმაზე საუბრისას, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მწერლისადმი მკვეთრად გამოსახული უარყოფითი განწყობა ნაწილობრივ კრიტიკოსის მაქსიმალურიზმისა და მომდინარეობს.

გ. წერეთლის გამოჩენილი — მამიდა ასმათი, ბახვა ფულავა, კუდაბზიკა და სხვები, სამწუხაროდ, ვერ აკმაყოფილებენ კრიტიკოსის მიერ წამოყენებულ მაღალზნეობრივ მოთხოვნებს, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, თავად გ. წერეთელს ისინი არც ჰყავდა გააზრებული ასეთი მაღალი ზნეობრივი საზომით შეაფასებლად. ასე რომ, ჩვენი აზრით, მწერლისადმი უარყოფითი განწყობის ერთ-ერთ კომპონენტს კ. აბაშიძის მაქსიმალურიზმი წარმოადგენს.

გ. წერეთლისადმი კ. აბაშიძის დამოკიდებულების ნათელსაყოფად საინტერესოა გავიხსენოთ შეხედულება საერთოდ თერგდალეულთა აზროვნების სტილზე: „პირველი და უდიდესი თვისება იმ თაობისა (თერგდალეულთა თაობა. — მ. ქ.) გახლდათ დიდი ტალანტი, დიდი ნიჭი, დიდი სურვილი სამშობლოს სამსახურისა და ამ სურვილისაგან აღგზნებული მეცადინეობა და ენერჯია“¹⁵.

როგორც ვხედავთ, კიტა აბაშიძე 60-იანელთა მთავარ ღირსებად სამშობლოს სამსახურის დიდ სურვილს მიიჩნევდა და სწორედ მის ძალას მიაწერდა აღნიშნულ თაობაში არსებული ენერჯიის გამოვლინებასა და ამოქმედებას.

გ. წერეთლისადმი მიძღვნილ კ. აბაშიძის ეტიუდის ეპიგრაფად თავად მწერლისეული ფრაზა აქვს წამძღვარებული — „არც იყო დღე, არც ღამე, არც სიცხე, არც სიცივე, არც ბნელი, არც ნათელი“¹⁶. ეტიუდის შინაარსის გაცნობის შემდეგ მკითხველი აშკარად გრძნობს, რომ კ. აბაშიძემ შემთხვევით არ შეარჩია აღნიშნული ფრაზა, მან ამით ხაზი გაუსვა მწერლის შემოქმედებისადმი თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას, რადგან, კრიტიკოსის აზრით, გ. წერეთლის ნაწარმოებებს უფერულობისა და განურჩევლობის ბეჭედი აზის.

კ. აბაშიძე იმთავითვე აკონკრეტებს ძირითად სათქმელს. იგი ანუ განსაზღვრავს გ. წერეთლის ადგილს ქართულ ლიტერატურაში: „გ. წერეთელს წილად

¹³ იქვე, გვ. 45.

¹⁴ იქვე, გვ. 44.

¹⁵ კ. აბაშიძე, ჩვენი ახალგაზრდობა, „სტორება და ხელოვნება“, თბ., 1971, გვ. 125.

¹⁶ კ. აბაშიძე, ეტიუდები, თბ., 1970, გვ. 320.

ხედა ჩვენში რელიზმის გადაგვარების, უფერული ნატურალიზმის წარმომადგენლობა და უნდა მართალი ვთქვათ, ეს როლი ჩინებულად შეასრულა¹⁷. ასეთი წინასწარ უკვე ჩამოყალიბებული განწყობით, ბუნებრივია, კრიტიკოსმა მწერლის შემოქმედება თავისდაუნებურად ასევე წინასწარ გამოადებულ ყალიბში მოათავსებლად აუცილებელი კუთხით განიხილა. რაც მთავარია, კ. აბაშიძემ გ. წერეთელს მისი აზრით არსებულ ისეთ ნაჯღზე მიუთითა, რომლის ქონაც ფაქტობრივად ნებისმიერი მწერლის შემოქმედების შეფასებას უკვე მართლაც მკაცრ ტონალობას ანიჭებს. იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ გ. წერეთელს „როგორც მწერალს, ხელოვანს ერთობ მდარე ინდივიდუალურობა აქვს“¹⁸.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრიტიკოსის მწერლისადმი ასეთ ტენდენციურ დამოკიდებულებას, ჩვენი აზრით, ორი გარემოება ედო საფუძვლად: პირველი ის, რომ კ. აბაშიძეს დიდი სურვილი ჰქონდა ფრანგი კრიტიკოსის ფ. ბრუნეტეერის მიერ ევროპული ლიტერატურისათვის შემუშავებული სქემა უანრების განვითარებისა ქართული ლიტერატურისთვის მოერგო. და მეორე — კ. აბაშიძის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სუბიექტური მაქსიმალიზმი.

ვეფიქრობთ, გ. წერეთლისადმი კ. აბაშიძის ნეგატიურ განწყობას კიდევ ერთი საყმაოდ სერიოზული გარემოებაც განსაზღვრავდა. ცნობილია, რომ გ. წერეთლის სახელი მჭიდროდ უკავშირდება საქართველოში მეამე დასის მოღვაწეობას. საერთოდ მესამე დასის საქმიანობის შეფასება ალბათ ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია ქართული აზროვნების განვითარების ისტორიაში.

კ. აბაშიძე ძალიან მკაცრად აფასებდა ამ ჯგუფის მოღვაწეობას წერილში „ჩვენი ახალგაზრდობა (ჩემს მეგობრებს)“. იგი აღნიშნავს „...ხოლო თუ დიდი ნიჭი არა აქვთ და ღრმა ცოდნა არ შესწევთ, ეს მათი დანაშაული როდია, არამედ ბუნებისა და ცხოვრების ბრალია. ამ ნაყოფანებებს უნდა მივაწეროთ ის, რომ ჩვენში უნიადავო აზრს ეპოტინებიათ. ამის შედეგია ის, რომ სასტიკი ფანატიზმით აღვსილნი არიან და საზოგადოების პატივაცემ უმრავლესობაში სიმპატიას ვერ პოულობენ. მაგრამ იაიცი კი უნდა ესთქვათ, რომ ამ ფანატიკოსობაშია მათი ძალა. ამ ფანატიკოსობის წყალობით მრავალი მომხრეები მოიპოვეს; ენერგიული და მხნე ცდით ბ-ნი გიორგი წერეთელიც (რომელიც ყოველთვის გარკვეულ აზრს ადგა თავის მწერლობაში) თავისებურად მოარჯულეს, მათი მეთაურობა აკისრებინეს და მისი ჟურნალიც მათ დაუბაყუთრა“¹⁹. როგორც ვხედავთ, კ. აბაშიძის წერილის ტონში აშკარად იგრძნობა მესამე დასისადმი ნეგატიური დამოკიდებულება და ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს ნეგატიური დამოკიდებულება თავისდაუნებურად გამყდვანდა იმ მწერლის შემოქმედების შეფასებაშიც, რომელიც კრიტიკოსს ამ ახალი დასის მეთაურად მიაჩნდა.

გ. წერეთლის მხატვრული ნიჭი რომ არც ილიასა და არც აკაკის დონისა არ არის, ეს ნამდვილად უკამათო ჭეშმარიტებაა, მაგრამ არ შეიძლება არ ვაღიაროთ ის, რომ გ. წერეთელმა, როგორც მწერალმა, გარკვეული შემოქმედებითი ზრდა განიცადა. ამაზე თუნდაც მისი „იკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკისა“ და „პირველი ნაბიჯის“ ზოგადი შედარებაც მეტყველებს. მარტო „პირველი ნაბიჯის“ შესავლის რამდენიმე ფრაზა ალბათ ერთი ისტორიული

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე.

¹⁹ კ. აბაშიძე, ჩვენი ახალგაზრდობა (ჩემს მეგობრებს), „მოამბე“, 1897, № 10,

მონოგრაფიის შემცველად გამოდგება. ამასთან ვფიქრობთ, გ. წერეთლის თვისებურ მიგნებად უნდა ჩაითვალოს რომანის პირველი ფრაზის დასაწყისიც: „იყო დრო, როცა ქალაქ ფოთის ნავსადგურში პირველად იწივლა ცეცხლის ვეშაპი...“. ეს დასაწყისი მკითხველში თვისებურ განწყობას ბადებს, რადგან ქართული ხალხური ზღაპრის დასაწყისის პერიფრაზირებას წარმოადგენს და, ალბათ, სწორედ მისი გავლენითაც არის ჩამოყალიბებული.

„პირველი ნაბიჯის“ ყოველი სტრიქონიდან მკითხველი აშკარად გრძნობს იმ ახალი ეპოქის რიტმს, რომელიც მაშინ მკვიდრდებოდა და ბახვას — ახალგაზრდა კაცს, რომლის დედაც ბაზარზე მხოლოდ პირახეული თუ გავიღოდა სავაჭროდ, — ცხოვრების ახლებური გააზრებისკენ უბიძგებდა.

გ. წერეთლის, როგორც მწერლის, ღირსებათა წარმოსაჩენად ერთი გარემოებაც გვინდა აღვნიშნოთ — ლავრენტი არდაზიანის უდავოდ საინტერესოდ დახატული სახე სოლომონ ისაკიჩ მექლანუაშვილისა ნამდვილად ტრადიციულ ქართულ კოლორიტს მოკლებული სახეა. იგი თბილისური ქალაქური ყოფის წარმომადგენელია. რაც შეეხება გ. წერეთლის ბახვა ფულავას, მას, ტრადიციულ ქართულ გარემოებაში აღზრდილ ბიჭს, ბუნებრივია, უნდა ვიგულისხმოთ, რომ შესანიშნავად ახსოვდა თანასოფელთა დამოკიდებულება ვაჭრობისადმი. ამდენად ბახვა ფულავა გარკვეული სტერეოტიპის რღვევის პროცესის მაჩვენებელი გმირია.

ბახვას უკან საკუთრივ ქართული ტრადიციული სამყარო დგას და ამიტომ იგი უკვე ამ მხრივაც საინტერესოა ქართული ხასიათის მხატვრული სიმბოლოების გააზრების ისტორიიდან გამომდინარე.

გ. წერეთლის შემოქმედების მხატვრული ღირსებების შეფასებისას კ. აბაშიძე არაერთხელ აღნიშნავს, რომ მწერალი ხშირად შინაარსის აგებასაც კი ვერ ახერხებს, და მაგალითად „იკოლოგი, ჩიკოლოგი და კუდაბზიკა“, მოჰყავს. მიუხედავად ამ ნაწარმოების ზოგიერთი ნაკლისა, სწორედ მის ფურცლებზე განაგრძობენ ცხოვრებას მართლაც რომ უკვდავი ტიპები გუდამშიური ქართველი აზნაურებისა, რომელთა სახეებმაც ნამდვილი სრულყოფა განიცადეს დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში.

კ. აბაშიძე, სავსებით მართებულად ძალიან დიდ როლს აკისრებდა დროის ფაქტორს. გ. წერეთლის შემოქმედების შეფასებისას იგი აღნიშნავს: „გადის დიდი ხანი („ჩვენი ცხოვრების ყვაილი“ დაწერიდან. — მ. ქ.), თითქმის ოცი წელიწადი, და გ. წერეთელი დაგვიწერს „მამიდა ასმათს“. ოცი წელიწადი თითქმის საუკუნის მეოთხედი გახლავთ. ამ ხანში ჩვენმა ლიტერატურამ დიდი ბიჯი წასდგა წინ... გ. წერეთელს ბევრი რამ შეეძლო შეესწავლა ამ ხანში. შეისწავლა კიდეც“²⁰. მიუხედავად ამ თითქმის გარკვეული კეთილგანწყობის გამოვლენისა, კ. აბაშიძე აღნიშნავს, რომ „მამიდა ასმათშიც“ წვრილმანი ცხოვრება, ბეჩავი და უბადრუკი, უმარილო და უფერული ყოველდღიური ცხოვრებაა საშუალო კაცისა“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. წერეთლისადმი კ. აბაშიძის რამდენადმე ნეგატიურ განწყობას თავისი ობიექტური საფუძვლები ჰქონდა. განვილიშა დრომ აჩვენა, რომ გ. წერეთლის მიერ დახატულ სახეებს — მამიდა ასმათს, ბახვა ფულავას, იერემია წარბას, ვალიდას და სხვათა — თავისი საკუთარი ადგილი ერგოთ ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

²⁰ კ. აბაშიძე, ეტიუდები, თბ., 1970, გვ. 331.

M. L. КАДЖАЯ

K. АБАШИДЗЕ О. Г. ЦЕРЕТЕЛИ

Резюме

Известный критик грузинской литературы К. Абашидзе проявлял, к сожалению, определенную тенденциозность к творчеству Г. Церетели. Он незаслуженно критиковал писателя, считая, что им не созданы реальные типичные характеры. По утверждению К. Абашидзе, Г. Церетели не отличался настоящим художественным талантом. Время доказало, что творчество писателя всегда вызывало и вызывает определенный интерес. Правдивые характеры, созданные пером Г. Церетели, по сей день заслуживают внимания.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ციციშვილმა

გორის ღარჩია

იაკობ შემოქმედელის „უსჯულოს მოამადისა და
ქრისტიანეთ გაბაასების“ ხელნაწირები

ცნობილია, რომ XVII საუკუნის გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ და მწერალმა იაკობ შემოქმედელმა (გვარად დუმბაძემ) ქართლის მეფის (1676—1688, 1703—1709) გიორგი მეთერთმეტის დავალებით გალექსა XVI საუკუნის აწვევ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და მწერლის ბაგრატ ბატონიშვილის (მუხრანბატონის) ანტიმაჰმადიანური, თეოლოგიური, პოლემიკური ნაშრომი „მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა თათრისათა, გამოკრებილი და სიტყვის-გება ქრისტიანეთა მიერ“. იაკობის ნაშრომი ხელნაწერებში სრულად ასეა დასათაურებული: „ქ. თავი, დასაწყისი უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებისა, ლექსად ნათქვამი შემოქმედელის იაკობისგან, ბრძანებითა მეფის გიორგისათა, ძისა მეფის შანაოზისათა“.

ორივე ვერსიის ტექსტი შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელია¹.

იაკობის ნაწარმოების დედანს ან ადრინდელ, ავტორის სიცოცხლეში ან კიდევ მის ახლო ხანს გადაწერილ, პირს ჩვენამდე არ მოუღწევია. ყველაზე ძველი ნუსხები XVIII საუკუნის 60-იან, უფრო 70—80-იან წლებს, დანარჩენი, უმეტესობა, XIX საუკუნეს განეკუთვნება და ყველა შესრულებულია მხედრულით. ამჟამად ჩვენს ხელთ არის ამ თხზულების შემცველი 11 ხელნაწერი, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული: A ფონდში — № 860, H ფონდში — № 38, 394, 2101 და S ფონდში — № 342, 951 გ, 1103, 1508, 1511, 2400 და 2775.

ჩვენი მიზანია ამ ხელნაწერთა რედაქციული შესწავლა და მათი ურთიერთ-მიმართების დადგენა.

საკითხს მივყევთ ხელნაწერთა სიძველისა და რედაქციული ნიშნის მიხედვით.

1. S 342

ეს არის ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ გადაწერილი სხვადასხვა თხზულების კრებული², სადაც იაკობ შემოქმედელის ნაშრომი ბოლოს არის მოთავსებული

¹ იაკობის ლექსითი ვერსია ახლახან გამოქვეყნეთ ჟურნალ „რელიგიაში“ (№ 4—5—6, 1995 წ., გვ. 70—97).

² ხელნაწერი აღწერილი აქვთ ექვთიმე თაყაიშვილსა (E. Такайшвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», II, Тифлиси, 1906—1912, გვ. 185—189) და თინა ენუქიძეს (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, I, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული: თ. ბრეგვაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 395—398).



(გვ. 274—325). კრებულის გადანუსხვა მას დაუმთავრებია 1773 წელს ^{გერმანულად} კალიგრაფი წინ გვაუწყებს: „აღებულა ცხებულის მეფის თეიმურაზის ნათქომი «დღისა და ღამის ნათქომი» და «ანბანთქება». აღვსწერე მე, ცოდვილმან მღვდელ ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილმა. ვინც იხილოთ და იკითხოთ, შენდობით მომიხსენებდით! გასრულდა მარტს ლ. ქ(ორონი)კ(ონ)ს უფა“ (გვ. 157). კრებულის, ანუ იაკობის თხზულების, დასასრულს კი წერს: „განსრულდა ბასიოთათართა ივლის ვ. ქ(ორონი)კ(ონ)ს უფა“ (გვ. 325).

ტექსტი ნაწერია სიმეტრიულად. შავი მელნით, ოდნავ გაკრული ხელით, სათურები და სტროფთა დასაწყისი სიტყვები — წითელი მელნით. არშიაზე გამოტანილია სტრიქონთა ბოლო ასოები. საწვენი ნიშნებია: წერტილი ყველა სიტყვის შემდეგ, ორწერტილი და დეფისი — სტრიქონთა ბოლოს.

ამ ხელნაწერის უმთავრესი რედაქციული ნიშანი ის არის, რომ მას თითქმის არ მოეპოვება თავისებურებანი, საკუთარი ვარიანტები, როდესაც ესა თუ ის ხელნაწერი ან ხელნაწერთა ჯგუფი გამოიყოფა, როგორც წესი, მასთან არის სხვა ნუსხები. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, სხვებთან შედარებით მეტ თავისებურებებს რომ იჩენს S 2775 და S 1508 ნუსხები. როცა აქედან პირველი განსხვავებულ წაკითხვას იძლევა, S 342-ს სხვებთან ერთად მხარს უჭერს მეორე, ხოლო, როდესაც მეორე გამოიყოფა, მასთან დგას პირველი და სხვა ნუსხები. ეს წესი არ ირღვევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც დასახელებული ორი ნუსხა ერთად არის. ძირითადად იგივე მეორდება მაშინაც, როდესაც S 342-ს უპირისპირდება მისივე მიმყოლი A 860, S 1103 და სხვა ხელნაწერები.

ეს გარემოება, ვფიქრობთ, იმის მაჩვენებელია, რომ დედანიეული ტექსტი ყველაზე უკეთ სწორედ S 342 ხელნაწერშია შემორჩენილი, რაც ეს ზოგან დოკუმენტურადაც მტკიცდება. მაგალითად, მე-10 სტროფის პირველი და მეორე სტრიქონები S 342, S 2775 და S 1508 ნუსხებში ასე იკითხება:

„მა მოგვესმა წერილითგან ტირილისა არამათით,
ოხვრად იქმნენ რაქაელნი წულთა სრეთა არა მათით“.

ყველა დანარჩენ ხელნაწერში, რომლებიც რედაქციულად S 342-ის ტიპისა არის, „წულთა“-ს მაგივრად გვაქვს „წელთა“. ირკვევა, სწორ წაკითხვას იცავს S 342 და რედაქციულად მისგან განსხვავებული, მაგრამ ამჯერად მასთან მდგომი S 2775 და S 1508 ნუსხები. საქმე ის არის, იაკობ შემოქმედელი ეყრდნობა იერემიას წინასწარმეტყველებისა და მათეს სახარების ტექსტებს, რომლებშიც რაქილის **შვილებზეა** საუბარი.

პირველში ვკითხულობთ: „ესრეთ თქუა უფალმან: კმაჲ ჰრამას შორის ისმა გოდებისა და ტირილისა და ბავთისაჲ რაქილისა მტირალისაჲ **ძეთა მისთა** ზედა, და არა ინება ნუგეშინისცემის **ძეთა თვისთა**, რამეთუ არა არიან“ (31. 15).

მეორეში წერია: „კმაჲ ჰრამათ ისმა გოდებისა და ტირილისა და ტყები-საჲ მრავალი: რაქელ სტიროდა **შვილთა თვისთა** და არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა არიან“ (2. 18).

როგორც ვხედავთ, „წელთა“ არაფერ შუაშია და იგი „წულთა“-ს გადაკეთებული სახეა.

³ მოგვესმა კორნელი დანელიას გამოცემის მიხედვით: იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთო ე. დანელიამ, თბ., 1992.

⁴ ვიყენებთ ივანე იმნაიშვილის გამოცემას: ქართული თხზულების ორი ბოლო რედაქცია-ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1979.

აღნიშნული, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს, S 342-ში, მხარე კი, როდესაც მას მხარს უჭერს სხვა ნუსხები, ყველაფერი რიგზე იყოს. არის ცალკეული ადგილები, სადაც აშკარად ჩანს, იგი ტექსტს დამახინჯებულად წარმოვიდგენს. ვნახოთ რამდენიმე ნიმუში:

1. მე-11 სტროფის პირველი სტრიქონი S 342-სა და მის მიმყოფ ნუსხებში (A 860, S 1103, S 2101, H 2400...) მარცვალმეტრი და რიტმდარღვეულია:

„აჩრდილი, სიზმარ-კვამლისა მსგავს ვართ, რას ვშფოთებთ, მითხარო, კაცო“.

S 2775, S 1508 და კიდევ რამდენიმე ხელნაწერში ორივე ნაკლი გამოსწორებულია:

„აჩრდილ-სიზმარ-კვამლის მსგავს ვართ, რასა ვშფოთებთ, მითხარ, კაცო“.

2. მე-16 სტროფის პირველი სტრიქონიც S 342 და მისი რედაქციის ნუსხებში მარცვალმეტრია:

„სიემილი, სიკვილი, სერა, ძვრა, შფოთი ეამი ცოდვით გამოჩნდების“.

S 2775, S 1508 და კიდევ რამდენიმე ხელნაწერში ეს დარღვევა არ არის:

„სიემილ-სიკვილი-სერა-შფოთი ეამი ცოდვით გამოჩნდების“.

3. 73-ე სტროფში მეორე, მესამე და მეოთხე სტრიქონთა სარიტმო სიტყვებია: „დამცდარნი“, „აფთარნი“, „ზამთარნი“. S 342 და რამდენიმე მისივე ჯგუფის ხელნაწერში პირველი სტრიქონის სარიტმო სიტყვა მათ არ შეესაბამება. არის „თათრები“.

4. ასევეა 277-ე სტროფში, სადაც პირველ-მეორე სტრიქონებში სარიტმო სიტყვებია: „ამალუებისად“, „მფრინველებისად“, მეოთხე სტრიქონში — „ური-ებისად“. S 342, A 860 და რამდენიმე მათი ტიპის ხელნაწერში მესამე სტრიქონის რითმა დარღვეულია. გვაქვს — „შეგნებულად“.

5. 132-ე სტროფის მესამე სტრიქონი S 342 და მასთან მდგომ ხელნაწერებში ასე იკითხება:

„წაუულს ჰქონდა ჩვეულუბა გულეზ გამრომ-გამოძრომის“.

აშკარაა, „გულეზ“-ის ნაცვლად უნდა იყოს „გუელებრ“ / „გველებრ“. „გველებრ“ არის S 2775 და S 1508-ში, „გუტლებრ“ — H 38-ში (S 342 ტიპის S 1511-სა და H 394 ნუსხებში არის „მელებრ“).

6. 179-ე სტროფში მსჯელობაა მათესა და ლუკას სახარების შექმნაზე, რაც ზუსტად ესადაგება ბაგრატ ბატონიშვილის ტექსტს. ბაგრატი ოთხივე სახარებას ეხება, მათესა და ლუკასთან დაკავშირებით კი წერს: „თუ სახარებისათეს გკითხოს, — მათე ებრაელებრ აღიწერა იერუსალმს და მისცა ჰურიათა, რომელთა ნათელ ელო, ...ლუკა — პრომს, პრომთა ენითა და მისცა წარმართთა, რომელთა ნათელ ელო...“ (Q 91, გვ. 11 v).

179-ე სტროფის მეორე სტრიქონში A 860, S 2775, S 1508 და კიდევ რამდენიმე ხელნაწერის მიხედვით ლუკას შესახებ ნათქვამია:

„ლუკა რომს წერს რომთა ენით, სული წმინდაც ეხმარება“.

S 342 და S 1103, H 2101 ხელნაწერებში აღნიშნული სიტყვები დამახინჯებულია. იკითხება: „რომათენით“.



ამგვარ დარღვევათა სია კიდევ შეიძლება გადავგვრძელებინათ, ყველაზე უფრო სამაგალითოდ, ვფიქრობთ, ესეც კმარა (რამდენიმე ნიმუში ქვემოთ S 127-25-ისა და S 1508 ნუსხების განხილვისას იქნება ნაჩვენები).

S 342-ში, ისე როგორც სხვა ნუსხებში, ორთოგრაფიულ და ნაწილობრივ გრამატიკულ ფორმათა სიჭრელეა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, S 342 ერთგვარად „აერთიანებს“ დანარჩენ ნუსხებს, მიუხედავად ამისა, ირკვევა, ამ ხელნაწერის ტიპისა ყველა დანარჩენი, გარდა ორისა — S 2775 და S 1508 ნუსხებისა, თუმცა მათ („ყველა დანარჩენს“), ცალ-ცალკე და ჯგუფებადაც, არანაკლები თავისებურებანი მოეპოვებათ, ვიდრე უკანასკნელ ორს.

ამ გარემოების გამო ჯერ S 2775 და S 1508-ს შევვხებით.

2. S 2775

ესეც სხვადასხვა თხზულების კრებულია, „მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასებას“ 229—284 გვერდები უჭირავს. ნაწერია შავი მელნით, არაკალიგრაფიული ხელით. სასვენი ნიშნებია ერთი, ორი და სამი წერტილი. ერთი წერტილი დასმულია თითქმის ყველა სიტყვის შემდეგ, ორი და სამი (:.) წერტილი — სტრიქონთა ბოლოს (მესამე წერტილი ზოგან დეფისს წააგავს, დეფისში გადადის). ყოველი მეოთხე სტრიქონი იწყება „და“ კავშირით. სტროფები შუაზე, დიდ ცეზურაზეა გაყოფილი და ერთმანეთთან ისეა დაშორებული, რეამარცვლიანი, ორ სვეტად, მიჯრით, გაბმულად ნაწერი ვრცელი ლექსის შთაბეჭდილებას ტოვებს.

კალიგრაფი უცნობია. პირდაპირი ცნობა არც გადამწერის დროზე მოგვეპოვება. ჭვირნიშნის მიხედვით ე. თაყაიშვილი XVIII საუკუნის დასაწყისს ვარაუდობს. იგი წერს: „Филигрань бумаги подражание знаку pro patria и буквы А. Г. Рукопись, вероятно, начала XVIII века“⁶ (გვ. 311—312). ი. ლოლაშვილი გადაჭრით, ვარაუდის გარეშე იმეორებს ამ თარიღს. მისი სიტყვებია: „გადამწერილია შავი მელნით, გაკრული ხელით XVIII საუკუნის დასაწყისში უცნობი გადამწერის მიერ“ (გვ. 29). მ. ქავთარია არ აზუსტებს და მას, ზოგადად, XVIII საუკუნისად ასახელებს.

ჭვირნიშანი ხელნაწერში ბევრგან შეინიშნება, მაგრამ არც ერთხელ — მთლიანი სახით (გვ. 151, 155—159, 163, 169, 175—177, 181, 191—204, 207, 223—225, 229 და სხვა). ამ დანაწევრების მიუხედავად, თანახმად ე. თაყაიშვილისა, გარკვევით ჩანს, ჭვირნიშნის გერბი მართლაც „პრო პატრიას“ ტიპისაა, რომელსაც მარჯვნივ ასლავს A Г ასოები. ამავე დროს, ზოგიერთ ფურცელში გვაქვს მეორე ნიშანიც (გვ. 153, 167, 171, 189, 207, 215, 257). სამწუხაროდ, მთლიანი სახით არც ეს ნიშანი გვხვდება. ჩვენი აზრით, ის უნდა იყოს არა დამოუკიდებელი ჭვირნიშანი, არამედ აღნიშნული ჭვირნიშნის ვენზელი, ხელრთვა, ერთმანეთში მხატვრულად გადახლართული სახელისა და გვიარის დასაწყისი ლათინური ასოები — A G, რომელიც იმასვე უნდა აღნიშნავდეს, რასაც

⁶ ხელნაწერი აღწერილი აქვთ: ე. თაყაიშვილს (ოპისანიე, II, გვ. 311—314), ივანე ლოლაშვილს (ძველი ქართველი მეხოტბენი, I, ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარის, ტექსტი გამოსცა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1957, გვ. 29) და მ. ქავთარიას (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, IV, შედგენილია და დასაბუქდალ დამზადებული თ. ბრეგაძის, ლ. კიკნაძის, მ. ქავთარიას, ლ. ქავთარიას, მ. შანიძის, ქრ. შარაშიძის და ც. ჰანკიევის მიერ, თბ., 1965, გვ. 173—175).

⁶ ხაზგასმა, სადაც მოითთება არ არის, ყველგან ჩვენია.

რუსული АГ ლიტერი. ჰვირნიშნების, კერძოდ, რუსული წარმოების ქალაქის ჰვირნიშნების ცნობილი მკვლევარის, ს. კლეპიკოვის, მიხედვით, ამ გერმანი, ლიტერიანი და ვენზელიანი ჰვირნიშნი ქალაქის უშვებდა აფანასი ნიკოლოზის ძე გონჩაროვის ფაბრიკა 1762—1763 წლებში⁷.

ამ დარგის სპეციალისტების გამოანგარიშებით, რუსული წარმოების ქალაქის მოხმარება ძველად რუსეთსა და საქართველოში საშუალოდ 2—3 წელიწადში ხდებოდა, ყველაზე გვიან — 5—6 წელიწადში, იშვიათად — ცოტა მეტ ხანში⁸. აქედან გამომდინარე, ვლებულობთ, S 2775 ხელნაწერი XVIII საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარსა თუ 70-იანი წლების დასაწყისს განეკუთვნება, დაახლოებით იმავე ხანას, რასაც — S 342 ნუსხა.

იაკობის ნაშრომი ამ ხელნაწერში ნაკლებია: თავში არ ჩანს სათაური და პირველი 9 სტროფი, შემდეგ — 268—271 სტროფები და ქვესათაური (გვ. 281). ვინაიდან აქ ჩვეულებრივ გვერდზე 5-5 სტროფი ეტევა, აშკარაა, თავში ერთი ფურცელი დაკარგულია⁹. ამის თქმა გვიკვირს მეორე შემთხვევაზე, სადაც 4 სტროფი და ერთი სტროფის ტოლა ქვესათაური აკლია. ფურცლის დასაბრუნლს გადამწერს მომდევნო ფურცელზე გადასასვლელად დაუწერია 268-ე სტროფის დასაწყისი სიტყვა „ამაღლდა“, რაც იმის მაჩვენებელია, რომ დედანში ეს და, ამდენად, სხვა სტროფებიც ყოფილა. თუ დავუშვებთ, რომ ჩვენს ხელნაწერში ფურცელი აქაც დაკარგულია, გამოდის, იგი ცალ მხარეს ყოფილა შევსებული და მეორე გვერდი ცარიელი ჰქონია. ორი ცარიელი გვერდის დატოვების ერთი შემთხვევა ამ ხელნაწერში არის (გვ. 202—203), მაგრამ მაინც უფრო გვეგონია, აქ საქმე S 2775-ის კალიგრაფის შეცდომასთან უნდა გვექონდეს: როცა მან თავისი ნუსხის ფურცელი ჩაათავა და მეორე ფურცელზე გადასასვლელად 268-ე სტროფის დასაწყისი სიტყვა დაწერა, მოსალოდნელია, დედანი უნებლიეთ გადაფურცლა და ერთი მთლიანი გვერდი გამოჩნა. გადაწერისას შეცდომა მას სხვაგანაც მოსდის (გვ. 254—255).

ახლა ტექსტის შესახებ.

S 2775 ძირითადად ემთხვევა S 342-ს, მაგრამ საკმაოდ აქვს განსხვავებული წაითხვებიც. მნიშვნელოვანი, ახალი აზრის შემცველი ვარიანტებით იგი უმეტესად განცალკევებით დგას. აქედან ნაწილი ტექსტის დადგენის თვალსაზრისით დიდად საინტერესოა და ზოგიც დედნისეულია. ვნახოთ რამდენიმე მათგანი:

1. 39 სტროფის მესამე სტრიქონი ყველა ხელნაწერში ასეა წარმოდგენილი:

„დალილასაგან ღალატით **ობრაბით** იწყო მანო ეს“.

საუბარია ბიბლიურ დავითზე. „ობრაბი“ ჩვენთვის გაუგებარი სიტყვაა. S 2775-ში გასაგებად წერია:

„დალილასაგან ღალატით **ობრა** მით იწყო მანო ეს“.

⁷ С. А. Клепиков, Филлиграни и штемпели на бумаге русского и иностранного производства, XVIII—XX века, Москва, 1959, гв. 22, 38, 162, № 20. ვენზელთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე მისი მეორე წიგნი: Филлиграни на бумаге русского производства XVIII — начала XX века, М., 1978, гв. 91, № 79. აქ წარმოდგენილი ვენზელი რამდენადმე წააგავს ჩვენი ხელნაწერის მეორე ჰვირნიშნის.

⁸ რ. პატარიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ჰვირნიშნები, კრებ.: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, თბ., 1975, გვ. 72—73.

⁹ ამ გარემოებას ხელნაწერთა აღწერისას ერთგვარი გაუგებრობა გამოუწვევია. სამივე აღწერილობაში იაკობის თხზულების შესავლის დანარჩენი 8 სტროფი (10—17) მომდევნო ქვესათაურამდე („მოთხრობა და სიტყვის-გება მცირე რამე შემოკლებით უღთოს მოამადისა“) სხვა ნაწარმოებამდ არის მიჩნეული.



დალილას დალატიის გამო დავითმა ოხერა დაიწყო.

2. 112 სტროფის მესამე სტრიქონი ყველა ხელნაწერში ერთხანად იკითხება:

„ისმაიტელთა მოაბდ აგარიანთ სწევს დავით ეს“.

განსხვავებულ ვარიანტს იძლევა მხოლოდ S 2775:

„ისმაიტელთა მოაბ და აგარიანთ სწევებს დავით ეს“.

ამავე სტროფის მეორე სტრიქონსა და ბაგრატის ნაშრომში დამოწმებულია 82-ე ფსალმუნი, რომელიც ეხება სწორედ ისმაიტელებს, მოაბს (ლოთის შვილს უფროსი ქალიშვილისაგან) და აგარიანელებს: „რამეთუ ზრახეს შეთქუმით ურთიერთას და შენთვის აღთქმა ყვეს ბანაკმან იდუმეილთამან და ისმაიტელთამან და მოაბ და აგარიანთა“.

ასე რომ, „მოაბ და“ ერთადერთი სწორი ვარიანტია, „მოაბად“ — დამახინჯებული.

ვინაიდან ამავე და წინა ფსალმუნში საუბარია მათ ამოწყვეტაზე, დასაშვებია, S 2775-ის მეორე წაკითხვაც („სწევებს“) დედნისეული იყოს. 81-ე ფსალმუნში გვაქვს: „ხოლო თქვენ ეგერა ვითარცა კაცი მოსწყდებით და ვითარცა ერთი მთავართაგანი დაეცემით“. თვით 82-ე ფსალმუნში წერია: „ღმერთო ჩემო, ყვენ იგინი ვითარცა იაბი კვესა მას კიშონისასა. მოისრნედ იგინი აენდროს შინა და იქმნედ იგინი ვითარცა სკორე ქუეუნისა... ყვენ იგინი ვითარცა ურმის თუალნი და ვითარცა ლერწამნი წინაშე ქარსა. ვითარცა ცეცხლმან რაჲ მოწყუნის მალნარნი და ვითარცა აღმან შეწყუნის მთანი. ეგრე დევნენ იგინი ნიაჭპართა შენითა და რისხვითა შენითა შეაძრწუნენ იგინი“¹⁰.

ვიმეორებთ, დასაშვებია „სწევებს“ დედნისეული იყოს, თუმცა კონტექსტს „სწევებს“ სიტყვაც მშვენივრად შეესაბამება და ფსალმუნის დამოკიდებულებასაც კარგად გამოხატავს.

ის ფაქტი, რომ ხელნაწერში ერთი სიტყვა სწორად არის მოცემული, ყოველთვის არ ნიშნავს, მეორე სიტყვაც იქ აუცილებლად სწორი იქნება. ასეც ხდება ხოლმე, გადამწერ-რედაქტორები, რომლებიც კრიტიკულად ეკიდებიან თავიანთ დედანს, ზოგჯერ მიხვედრილობით, პროტოგრაფის გარეშეც აღადგენენ ავტორისეულ ტექსტს. „მოაბ და“ („მოაბადის“ მაგივრად) იმგვარი ვარიანტია, ყველას შეეძლო მისი აღდგენა, ვისაც 82-ე ფსალმუნი კარგად ახსოვდა. ასევე, ამ ცოდნისა და ერთმანეთთან მაგაცხების გამო დედნისეული, ავტორისეული „სწევებს“ თავისუფლად შეიძლება და „სწევებს“ სიტყვით შეცვლილიყო.

ამრიგად: ვინაიდან „სწევებს“ კონტექსტს წარმატებით ესადაგება და მას მხარს უჭერს ყველა დანარჩენი ხელნაწერი, ვფიქრობთ, აჯობებს ძირითად ტექსტში ეს სიტყვა დავითით.

ამის თქმა კიდევ უფრო თამამად შეიძლება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრგან აშკარად ჩანს, S 2775 სანდო არ არის და მისი თავისებური წაკითხვა მიუღებელია. ვნახოთ ეს მაგალითებიც:

1. 26-ე სტროფის მეორე სტრიქონში ყველა ხელნაწერში მოჰამედის მოწაფეზეა საუბარი:

„მუსტაფა ერქვა მოამედს, თავს «რჩეულ ლეოსიდა» უწოდა,
სატანას გუნდნი მოწფად ყავს, ისმაიტელნი ეტყოდა...“.

¹⁰ ეუთოთბთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მ. შანიძემ მ. 1, ტექსტები, თბ., 1960.

S 2775-შია „მოწმად“. ბაგრატის ნაშრომი გვიჩვენებს, რომ აქ მსჯელობა უნდა იყოს არა **მოწმეზე**, არამედ — სწორედ მასწავლებელ-**მოწაფეზე**: „ხოლო ამან უღთოიან მოჰამედ იწყო სახელის დებად, რომელ არს რჩეული ღმთისა, რამეთუ პირველ მუსტაფა ერქუა მას და ჰქადაგებდა და ცრუ წინასწარმეტყუელებდა. და მცირედ შკერ შეუღვა მას სიმრავლე ისმიტელთა, რომელთა ახწავებდა, ვითარმედ...“ (Q 91, გვ. 1 v).

2. 30-ე სტროფის პირველი და მეორე სტრიქონია:

„ამად გაიქცა, წაიქცა, შთაწვა გვაშებსა მკვდართასა,
სიჯანთ ცხენი გაუშვა, პირქვე ძეს შუა შპორთასა“.

აღნიშნული ფრაზის მაგივრად S 2775-ში ვკითხულობთ: „შუა ძეს პირქვე მკვდართასა“, რაც აშკარად უფარგბია. გარდა იმისა, რომ იგი იმეორებს პირველი სტრიქონის რითმას, სიტყვათა წყობითაც გაუშართავია.

3. 52-ე სტროფის მესამე სტრიქონი:

„მან განავლო მეთორმეტედ ეტლად მნათობთ თევზის ფრთისო“.

S 2775-ში წერია „მეთოთხმეტედ“. რა თქმა უნდა, სწორია „მეთორმეტედ“, რადგან ტექსტი ეხება თებერვლის ზოდიაქოს. მეთორმეტე თანავარსკვლავედს, რომლის პირობითი ზოდიაქური სახელია თევზი¹¹.

4. 95-ე სტროფის მესამე სტრიქონში ქრისტეზე ნათქვამია:

„შობელსა ნუგეშინის-სცა, იწყო მოწაფეთ მოთხოზად“.

S 2775-ში „მოწაფეთ“ ნაცვლად წერია „სიტყვათა“. ბაგრატის ნაშრომი კი ადასტურებს, უნდა „მოწაფეთ“, როგორც დანარჩენ ხელნაწერებშია: „და ვინამთვან ფრიად იგლოვდა მას დედა მისი მარიამ, შემდგომად ორისა დღისა მოივლინა და ნუგეშინისცა მარიამს, და აუწყა მოწაფეთა თვსთა, ვითარმედ არა მიტევეს მე ჰურიათა მოძღურებად და სხუაჲ“ (გვ. 5 v).

5. 173-ე სტროფში გრძელდება თხრობა ბიბლიური წიგნების თარგმნის თაობაზე. პირველი სტროფი ყველა ხელნაწერში ასე იკითხება:

„სხვა, რაც წიგნები გაიამბე, ორგზის ქნეს თარგმანებული“.

S 2775-ში „თარგმანებულის“ ადგილას წერია „განახლებული“. „თარგმანებული“ რომ ავტორისეული სიტყვაა, ამას ადასტურებს დედანი, ბაგრატის ნაშრომი: „იწყო პირველად და მისცა წიგნი «დაბადებისა» სათარგმანებლად ორთა მათვანთა. და ვითარ თარგმანენს, კჳლად მისცა იგივე წიგნი ორთა სხუთა, რომელთა არა ესმოდა ვჳამ, ვინა სიტყუაჲ პირველთა, რამეთუ სენაკები მათი შორს იყვნენ ურთიერთაჲ. და თარგმანეს რაჲ მათცა, მოილო და შეაწამა ურთიერთარს წიგნები იგი მეფემან პტოლემეოზ და ვითარ ერთსა სიტყუასა ზედა იპოვენს თარგმანებული იგი, აღიესო სიხარულითა დიდითა და ესრეთ ყოველი იგი წიგნები ორ-ორ გზის ათარგმანა“ (11 r).

¹¹ ეტლთა ღა შვდთა მნათობათეს, ასტროლოგიური თხზულება XII სუკუნისა, გამოსცა წინასიტყვაობა და ენობრივი მითხარლეა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1975, გვ. 7, 32–34. სხვათა შორის, ამ მხრივ ერთსულღუნება არც ბაგრატის ნაშრომის ხელნაწერებშია. Q 91-შია მეთორმეტე: „და განვლო თევზა მას, რომელი მე თერომეტად ეტლად დაწესებულ არს“ (3 r). A 185, Q 300, A 1087-სა და სხუებში სწორად არის: „მეთორმეტედ“, მაგრამ არსად არ დასტურდება მეოთხმეტე.

ამ ტექსტის დიდი ნაწილი ვალექსილია 172-ე სტროფში, ბოლო წინადადება კი — 173-ე სტროფის პირველ სტრიქონში.

6. 174-ე სტროფის პირველ სტრიქონში აღნიშნულია, რომ სვიმეონს სათარგმნელად შეხვდა **ესაიას** წიგნი:

„ამას მიხვდა სათარგმნოდ **ესაიას** წიგნი თქმული“.

რაც სიტყვასიტყვით მიჰყვება ბაგრატის ტექსტს: „...დახუდა მას სათარგმანებლად წიგნი **ესაია წინასწარმეტყუელისა**...“ (გვ. 11 r).

S 2775-ში „ესაიას“ მაგივრად დამახინჯებულად წერია — „ეს ის“.

ამგვარი ნიმუშების მოხმობა კვლავ შეიძლება, მაგრამ სამაგალითოდ ესეც საკმარისია.

მაშაადამე, S 2775-ის მონაცემები ანგარიშგასაწევიან. ზოგ შემთხვევაში იგი გვეხმარება ტექსტის გასამართავად, მაგრამ — მხოლოდ კრიტიკული განსჯის შემდეგ.

აი, შედარებით მნიშვნელოვანი ვარიანტები, რომლებითაც S 2775 გამოიყოფა და თავისებურია:

მასში 81 სტროფის პირველი სტრიქონი მესამე სტრიქონად არის გადატანილი. წაყიბვები¹²:

S 342 და სხვა ნუსხები:

- 18 ბ ურწმუნო, უსჯულო
მოამედ
- 26 გ სიმტყუენე სიმუხთლე
- 27 ა თვით
- 28 გ მახლობელნი ნათესავად
- 32 გ ყურთან
- 49 ბ ყურანი
- 52 დ თვით
- 53 ა მუნ
- 57 ბ შეილებს მსხვერპლად
- 61 ბ თქმულსა წიგნსა
- 65 გ ქვეყნის
- 83 ბ ქრისტე
- 85 გ სიმტკიცის
- 86 ა წიგნი თქვენი
დ სიტყვას
- 89 დ უსხენ
- 101 ა იგავს
- 111 ბ სომდაბლის
ღირსებით
- 113 გ მიქაელის
დ გადღებულსა
- 114 ბ აბა
- 116 ბ მუ
- 119 გ ქალსა კაცსა
- 122 ბ მით
მომცაო ერთა ეტყოდა

S 2775-ის თავისებურებანი:

- უსჯულო, ურწმუნო
მოამედ
- სიმუხთლე სიმტყუენე
- ვინც
- ნათესავნი მახლობელად
- ყურთან
- ყურანი
- რგ
- თვით
- ეშმაქს შეილებს
- ~
- სოფლის
- ღმერთი
- სიტყვისი
- ~
- საქმეს
- პყევანან
- სიტყვას
- სომართლის
- სომართლით
- სამოელის
- გაძებულსა
- აბა
- მუ
- ~
- მის
- ეტყოდა მომცა
მეოდა

¹² პირობითი ნიშნები: + ტექსტს ემატება. — ხელნაწერში მოცემული წაყიბვა არ არის. ~ სიტყვები გადაადგილებულია. O — სათაური (1,0 ნიშნავს პირველი სტროფის წინ მდებარე სათაურს).

124 ა ამ	მას
დ იმ	მის
129 ბ არიან	იგ ერთობ
132 დ თეთი შუა ყვეს	რომ გაყოცხლდეს
პაპა რომის	თვითონ რომ ის
147 ბ სით	ცოთ
153 გ ამხილებდა	უწამებდა ¹⁵
167 დ დაკრძალულსა	დავლტულსა
168 დ მოისმინეს	მოსროლეს
173 ა თარგმანებული	განახლებული
ბ ადგილს	ალაგს
177 ა საუფლო	წმინდა
199 დ თუ	—
სრულად	წმინდათ
202 ბ თანა	წინა
216 დ სუფევით	დიდებით
221 ბ იქმნენ	იყვნენ
გ რა	და
226 დ პოვეს	ნახეს
წინამძღვარსა	ფელამბარსა
227 ბ უმეტესსა	უკეთესსა
236 დ შემოქმედმან	შაცხოვარმან
252 დ ცუდ	სრულ
258 დ მსთან	მისგან
261,0 აჟა	—
276 დ მოცემულ	ბოძებულ
277 ბ საკმელად პირუტყვთა	~
278,0 თუ გითხოოს	—
279 ბ საქმეს	+ განუადთ
ჩვენგან	—
286 ბ სიღრმით	სიბრძნით
289 გ გეყვედრის	გემტერობს

და სხვა.

ის კითხვა-სხვაობანი, რომლებითაც S 2775 S 342-ს შორდება და სხვა ნუსხებს ემთხვევა, ჩვეულებრივ ორთოგრაფიული და გრამატიკული ხასიათისაა, საერთო წყაროს გარეშე, დამოუკიდებლივ რომ შეიძლება განჩნდეს.

3. S 1508

ეს არის 1787 წელს მოსკოვში, პრესნაზე, გიორგი ავალიშვილის მიერ გადაწერილი ცნობილი ანთოლოგია¹⁴, რომელშიც, „მოამედისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ გარდა, შესულია კიდევ იაკობ შემოქმედელის ორი თითოსტროფიანი ნაწარმოები — არჩილს ქება და წალმა-უკულმა საკითხავი ლექსი. „გაბაასებას“ უჭირავს 249—308 გვერდები (268-ე გვერდი სუფთა, დაუწერელია). დასახელებული ორი ლექსიც მას მიჰყვება (გვ. 308).

იაკობის ნაწარმოები დაწერილია შავი მელნით, ადვილად გასაგები, ოდნავ გაკრული ხელით, სათაურები და სტროფთა დაწაწყვის სიტყვები — წითელი

¹⁵ გადმოსულია მეორე სტრიქონიდან.

¹⁴ ხელნაწერი აღწერილია ე. თაყაიშვილისა (ოპსანე, II, გვ. 277—282) და მზ. შანიძის მიერ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, II, შედგენილია და დასახეულად დამზადებული ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1961, გვ. 245—250).



მელნიტ. სასვენი ნიშნებია: დიდ ცეზურაზე ორწერტილი, სტრიქონთა ბოლოს — ორწერტილი და ტალღოვანი დეფისი (: ~). არშიებზე გატანილია სტრიქონთა ბოლო ორი ასო. მეოთხე სტრიქონებზე თავში ახლავს სტროფგამყარი „და“.

მსგავსად S 2775-ია, S 1508-ც არსებითად მიჰყვება S 342-ს და დაშორებისა უმეტეს შემთხვევაში განცალკევებით დგას. აქაც ზოგიერთი წაკითხვა ტექსტის დადგენის მხრივ საინტერესოა და ვარგისიანიც ჩანს, ზოგიერთი აშკარად უვარგისია.

პირველი მავალითები:

1. 76-ე სტროფის პირველ ორ სტრიქონს ხელნაწერთა უმრავლესობა ასე წარმოგვიდგენს:

„ვარ უფალი, ღმერთი შენი, ცა-ქვეყნისა ღვთის¹⁵ მოქმედი,
მთაში ყოფის უარსოსა, არსთა მბადი, ყოვლთა მბედი“.

„ღვთის მოქმედი“ და „მთაში“ უაზრობას ქმნის. S 1511-სა და H 394-ში არის „ღთ მოქმედი“ (= ღმერთ-მოქმედი), მაგრამ საქმეს ვერც ეს შევლის. S 2775-ში „ღვთის მოქმედის“ მაგივრად გვაქვს „შემოქმედი“, რაც სტრიქონს აზრიანს და გრამატიკულადაც გამართულს ხდის, მაგრამ მისი დედნისეულობა საეჭვოა იმ მხრივ, რომ „შემოქმედი“, ეს ფართოდ გავრცელებული და ნათელი სიტყვა, ნაკლებ მოსალოდნელია შეცვლილიყო ისეთი ბუნდოვანი შესიტყვებით, როგორცაა ხელნაწერთა დიდი უმრავლესობის წაკითხვა „ღვთის მოქმედი“. პირუკუ ქმედება კი ადვილი შესაძლებელია. სწორ ვარიანტს იძლევა S 1508 ხელნაწერი: „ღვთის“ მაგივრად წერს „ზღვის“. ამ სიტყვების გრაფიკულ ნიადაგზე აღრევა ადვილი მოსალოდნელია. თანაც, სტრიქონი ყოველმხრივ იმართება¹⁶.

იგივე უნდა ითქვას „მთაში“ სიტყვაზეც. მის მაგივრად ამ ხელნაწერში გვაქვს „მთაშიღ“. მთავარი და გადამწყვეტი ის არის, რომ ორივე ვარიანტი ზუსტად შეესატყვისება იაკობის წყაროს, ბაგრატის ნაშრომს, სადაც დამოწმებულია „დაბადების“ ტექსტი: „...ღმერთი ეტყოდა მამასა აბრაჰამს და ჰრქუა: არა თაყუანის-სცე ყოველსა კელით ქმნულსა, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან შეპქქმენ ცანი, ქუეყანაჲ, ზღვაჲ და ყოველი რაჲ არს მათ შინა“ (4 v).

2. ხეშობ „მოაბად“ და „მოაბ და“ ვარიანტებზე მსჯელობისას განხილული იყო 112-ე სტროფის მესამე სტრიქონი, რომელიც ეხება 82-ე ფსალმუნს. ხელნაწერებში კი მის მაგივრად, რატომღაც, დაახელებულია 84-ე ფსალმუნი:

„თუ ცით «ზაბური» მოვიდა, ნახონ ისმინონ დავითის, —
ოთხმოცდაოთხმან ფსალმუნმან როგორ აძავა და ვით ის...“ (112, 1—2).

სწორ მითითებას იძლევა მხოლოდ S 1508 ნუსხა, სადაც აღნიშნული ციფრის ნაცვლად წერია „ოთხმოცდარომან“. ასევეა ბაგრატის ნაშრომშიც: „უკეთუ ფსალმუნი ზეცით მოარულ არს, უსმინოს, რაჲსა იგი იტყუან მეოთხმოცდარგესა ფსალმუნსა შინა ამათ ისმაიტელთათუა“ (6 v). შემდეგ მოდის 82-ე ფსალმუნის ტექსტი¹⁷.

¹⁵ ზოგიერთ ხელნაწერში იგი ქარავით იკითხება — „ღთ-სა“.

¹⁶ „მოქმედი“ ძველ ქართულში ზოგჯერ ღმერთს, შემოქმედს ნიშნავს (მ. დარჩია, ვახტანგ მეექვსის პოეტური სამეაო, თბ., 1988, გვ. 227—230).

¹⁷ ფსალმუნთა სათვალავის შესახებ იხ.: მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979, გვ. 20—25.

3. პტოლემე მეფეზე 158-ე სტროფის მესამე სტრიქონში ნათქვამია:

„შვილო, ბრძენი, ბრძენთა ტომი, ქრისტეს მხედრად წოდებულო“.

„ბრძენთა“ ყველა ხელნაწერშია, მის მაგივრად მხოლოდ S 1508-შია „ბერძენთა“, ბაგრატის ნაშრომი ვეიჩვენებს, რომ მსჯელობა ეხება არა პტოლემეს წინაპართა ბრძენობას, არამედ მის ბერძენთა ტომობას. შთამომავლობას: „შემდგომად აღექსანდრესა, რომელსა ერქვა მაკედონელი, მეფობდა ეგვიპტეს პტოლემეს მ წელ და იყო იგი ბრძენ ფრიად და სატნიერ და ნათესავით ბერძენ და სჯულითა წარმართ...“ (9 v — 10 r).

4. 270-ე სტროფის მეორე სტრიქონი S 342-ში ნაკლულია:

„ინჯილს“ ეწერა, მტერობით მოშალეს მით ამაღ“.

ასევე ნაკლულია იგი A 860-სა და S 951 გ ხელნაწერებში. დანარჩენ ნუსხებში¹⁸ დაკლებული ორი მარცვალი სხვადასხვაგვარად არის აღდგენილი: S 1103-სა და H 2101-ში „მოშალეს“ შემდეგ დამატებულია „იგი“, ხოლო S 1511-სა და H 394-ში — „ბერძენთა“. ეს უკანასკნელი ვარიანტი, ჩანს, მოდის სათაურიდან, რომელიც 269-ე სტროფს წინ უძღვის. S 342-ში ის ასე იკითხება: „თუ ვითხრას მოემადიანმან: «ქრისტემან თქვაო, აღარ დამაცალეს მე ურიათა მოძღრობადო, ჩემ მაგივრად მოგცეს თქვენ ღმერთმან წინასწარმეტყველი, რომლისა სახელი მაჰმად, მისი ისმინეთო, სახარებაში ეწერაო და ბერძენმან მტერობით ამოშალეს». — შენ ესე მიუგე პასუხად“.

S 1508 სათაურსა და 270 სტროფშიაც განსხვავებულ ვარიანტს იძლევა, სათაურში „ბერძენმან“ სიტყვის ნაცვლად არის „ბერებმა“, ხოლო ლექსში „მოშალეს“ წინ ჩამატებულია იგივე სიტყვა — „ბერებთ“:

„ინჯილს“ ეწერა, მტერობით ბერებთ მოშალეს მით ამაღ“.

თუ აქაც ბაგრატის თხზულებას ჩაეხედავთ, ვნახავთ, რომ S 1508-ის ვარიანტი მას ემთხვევა: „რამეთუ უკეთუ გრქვას მოჰამედიანმა: რა ეჰმს ამალღებოდა იესუ, ჰრქუა მოწაფეთა თჳათა — ვინათგან არა მიტევეს მე ჰურიათა მოძღურებად და არა ისმინეს ჩემი, სხუა წინასწარმეტყველი აღდიდგინოს თქუენ ღმერთმან, რომლისა სახელი აჰმად, მისი ისმინეთო, რამეთუ იგი არს ბეჳედი ყოვლისა წინასწარმეტყუელებისაო, ხოლო დაწერაჲცა სახარებასა შინაო, არამედ ბერებმა აღმოკოცეს და, რაცა უნდა, იგი დაწერესო, შენ მიუგე მას“ (18 r).

მაშინადაც, გამოდის, აქაც, ორივე ადგილას, S 1508 დედნიველ წაკითხვას გვთავაზობს.

ახლა საპირისპირო შემთხვევებზე, სადაც, ჩანს, S 1508-ის ვარიანტები უმართებულთა.

1. 137-ე სტროფის მესამე სტრიქონი ყველა ხელნაწერში ამგვარად იკითხება:

„ბრძამ / აბრამ, ისაჲ თუ იაკობ, ახლად ერქვას, თუნდა ჰველად“.

ბოლო სიტყვის ნაცვლად S 1508-ში გვაქვს „მწველად“, რაც ყოვლად გაუმართლებელია. ტექსტში ერთმანეთს უპირისპირდება ახალი და ძველი და „მწველი“ არაფერ შუაშია.

¹⁸ როგორც ზემოთ მოვლით, S 2775 ამ სტროფს არ იცნობს.

4. მაცნე, ვნისა და ლტობილტორის სტრია, 1994, № 1-4.



2. 146-ე სტროფის პირველი სტრიქონი:

„ვერ მისწუთების / მისწუდების კაცთა ცნობა ღუთაებისა არსებასა“.

ასეა ყველა ხელნაწერში. S 1508-ში „კაცთა“-ს მაგივრად წერია „ცათა“, რაც სტრიქონში გამოთქმულ ცნობილ ქრისტიანულ-თეოლოგიურ დებულებას უაზროს ხდის. „კაცთა“-ს ავთენტიკურობას ადასტურებს აგრეთვე ბაგრატიანაშრომი: „და ვერცა შემძლებელ არს ბუნება კაცისა მიწთომად და გამოთქმად ღუთებისა არსებასა სიტყვით, გინა თუ სახით ანუ განზრახვით“ (9 r).

3. 205-ე სტროფის პირველი და მეორე სტრიქონებია:

„ყურანშიდა ესრეთ უთქვამს მამად, თქვენსა ფელამბარსა:
«თუ მოწამე არა ყვანდეს, ნურვის უსმენთ საჩივარსა...»“.

ასეა ყველა ხელნაწერში. S 1508-ში „მოწამე“-ს მაგივრად წერია „მოწაფე“. კონტექსტიდან ჩანს და ბაგრატიანის თხზულებაც ნათელს ხდის, პირველადი „მოწამე“ და არა „მოწაფე“: „არამედ არა ყურანსაცა ეგრეთ წერილ არს, ვითარმედ წამებზეა ორისა და სამისა კაცისა ჭეშმარიტ არს, ხოლო, რომელსა არავინ ეწამებოდის, იგი არს ცრუ“ (13 v) და სხვა.

S 1508-ის ზოგიერთი წაკითხვა დედნის არასწორად ამოკითხვის შედეგად არის მიღებული. საკმაოდ ვხვდებით უნებლიე, კალმისმიერ შეცდომებსაც. სახელდობრ:

S 342 და სხვა ხელნაწერთა წაკითხვები:

20 დ უამრავსა
46 ა აღამღვრივის
83 ა დახსნად
94 ა ჯვარისცმა
დ ძაღლი
133 ა ოსმან
155 დ მოსისასა
161 გ ნიჭი
178 გ მოქმელად
216 ბ აღდგა
222 გ მკვლელოა
241 გ უღვეთ
260 გ ერბოსა
268 ბ უარსო
289 ბ არა ვქმენ
დ ბუღბუღათ

S 1508-ის წაკითხვები:

უმარესა
აღამღვიის
დახსნდა
ჯვარისცმა
ძალი
ოსან
მოსასა
ნიჭიჭი
ქმელად
აღდა
მკვლელთავე
უღვეთ
ებოსა
უარო
რა ვქმენ
ბუღბუღათა

და სხვა.

ახლა ვაჩვენებთ ისეთ ვარიანტებს, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია და, ასე თუ იპე, აზრობრივ და სტილისტურ სხვაობას იძლევა. ამ მაგალითებში S 1508 განცალკევებით დგას:

102-ე სტროფში შესაშე და მეოთხე სტრიქონები ერთმანეთს ენაცვლება.

S 342 და სხვა ხელნაწერთა წაკითხვები:

1, 0 შანაოზისათა
2 ბ კაცნი
8 გ მღებარედ

S 1508-ის წაკითხვები:

+ აცხოვეთ მოქმელი და კელი
მოუშართ ღმერთი მწერალსა ამას.
კანი
მთეარედ

15 გ იგ შენდობა შეცოდების სამოცდაათგზის	შეცოდება ართუ შეიღგზის სამოცდაათ შეიღგზის
28 დ თავის მისგან	მისი —
33 გ ვით იუღა	ვინ უვიღა
41 დ შან	ვინ
49 ა ბერი	ბნელი
57 ბ ბირებულნი	პირებულნი
67 დ შამას	ამას
76 გ არის	იქმნას
დ სიტყვის ჩემის	~
87 გ თვით	ვით
91 დ სიცილს	სიცილს
107 გ მოეფინება	მოესმინება
118 გ განკითხულად	განკიცხულად
119 ბ საკვირველსა	სასურველსა
120 გ თვით	ვით
122 გ შეიტყოდა	შეყოდა
126 ა ქადაგი	სადგური
134 ა ასან უსენ	ჰასნ ჰუსეინ
ბ იმათს	მათსა
დ ავშავიც	შავშავიც
143 დ თქვენიო	ქენიო
144 დ ეშმაყ არს	ეშმაყურს
157 ბ არ	რად
159 გ სრული სჯული	~
161 დ დიდად	მეტად
169 ბ მით	მათ
175 დ მახარობელად	მთხრობელად
182 დ ეს სენი	ესენი
187 გ უჩნდა	უნდა
191 დ იაფეთ	იანეთ
195 ბ ზედ	თან
196 ბ დამბალსა	დამბალსა
206, 0 მიუგე	+ მორწმუნეო
206 ბ მამად	მამამ
211 გ უცხოებისა	ულოთებისა
228, 0 შენ	—
230, 0 აცვესო	+ შენ
235 ა რომე	—
241 ბ სახელს	სახეს
248, 0 შესწირავთო	+ მორწმუნეე შენ ესრეთ მიუგე
249 გ წინ	მუნ
დ თქვენზედა	მე თქვენზედ
253 ბ წელიწადსა	წელსა შინა
255 გ გულის	გველის
261 გ მისაფაროს	მისადაროს
263, 0 უთხარ	+ მორწმუნენო
265 გ მაქას	მაგას
271 ა ბუს	ბუს
276 დ იქმნა	იყო
280 დ ჟამია სმისა	ჟამი ზომისა
281 ბ რამ აქეს	რამე

და სხვა.

რა თქმა უნდა, ნაწილი აქედანაც მექანიკური შეცდომა არის და არა შეგნებული, გააზრებული სწორების შედეგი.



რაც შეეხება დანარჩენ ვარიანტებს, როცა S 1508 S 342-ს სხვა ნუსხებს ემთხვევა, მათზეც იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც ზემოთ S 2775-ზე ითქვა. ესენიც უმეტესად გრამატიკული და ორთოგრაფიული ხასიათისაა, რომლებიც საერთო წყარონ გარეშე, დამოუკიდებელიე შეიძლება გაჩენილიყო. უფრო ანგარიშგასაწევი უნდა იყოს S 2775-სა და S 1508-ის ერთობლივი წაკითხვები. როცა ეს ნუსხები ერთად არის და განცალკევებით დგას, ანგარიშ შემთხვევები ცოტაა. შესწავლა გვიჩვენებს, მათგან მცირე ნაწილია ავთენტური, უმეტესობა — არა. აქაც ვნახოთ რამდენიმე ნიმუში:

1. 255-ე სტროფის მეორე სტრიქონი S 342, A 860 და მის მიმყოფ ხელნაწერებში ბუნდოვანია:

„ადამ ურჩი მოძია ლღვითა თუ ისი სისხლით“.

S 2775-სა და S 1508-ში სტრიქონი გამართულია:

„ადამ ურჩი მოძია, ლღვით გამდა თუ ისი სხლით“,

რაც, ჩვენი აზრით, დედნისეული უნდა იყოს (ბაგრატის ნაშრომი აქ ვერ გვეშველია).

2. სწორ ვარიანტს იძლევა ეს ხელნაწერები 274-ე სტროფის მესამე სტრიქონში:

„ქიშპობთ სცვალეს, მოშალეს მტერად გვევეს თქვენი მლოდები“.

„მლოდები“ კონტექსტს არ შეესაბამება. S 2775-სა და S 1508-ში არის „მოლები“, რომელიც სტროფის აზრიანს ხდის და ზუსტად ანახავს ბაგრატის სათქმელს: „რამეთუ ვითხრა, უკეთუმცა მაგა სიტყვსა წილ, ვითარმედ: მოპამედ ესრეთ დაწერა ყურანსა შინა, ვითარმედ ქეცმაოიტი სარწმუნოებაჲ ქრისტიანეთა არსო და მოლავებმა აღმოცვა და სხუაჲ რამე დაწერაო — რასა მეტყუე?“ (17 r) და სხვა.

საეჭვო და მიუღებელი ვარიანტებია:

3. 59-ე სტროფის მეორე სტრიქონში ანგელოზი აბრაჰამს ეუბნება:

„მოცა ღმერთიან მის წილ ვერძი, საბერკს კიდაეს, შენ წინ რომ რგას“.

ასეა S 342 ხელნაწერში. A 860 და მის მიმდევარ ნუსხებშია „რგავს“, რაც რითმას ოდნავ არღვევს (რითმებია: „მაგას“, „... ერგას“, „ბორგას“).

S 2775-სა და S 1508-ში განსხვავებული სიტყვაა — „დგას“.

განყენებულად რომ განვსაჯოთ, კონტექსტს „რგას“ სიტყვაც შეესაბამება და „დგას“ სიტყვაც. საკითხის გარკვევაში უშუალოდ ბაგრატის თხზულება ვერ გვეშველის, რადგან იქ ჩვენთვის საინტერესო სტრიქონის შესაბამისი ტექსტი არ დაატურღდება. ბაგრატი წერს: „ხოლო აბრაჰამ უხუებით შეწირა რა. უწოდა ანგელოზიან უფლისაჲმან და ჰრქუა: ნუ მიჰყოფ კელსა ყრმისა მაგას და შემდგომი ამისი (3 v). ბაგრატს მხედველობაში აქვს „დაბადების“ შემდეგი ტექსტი, რომელსაც ის ბოლომდე არ იმეორებს: „ხოლო უწოდა ანგელოზი უფლისაჲ ზეცით და ჰრქუა: აბრაჰამ! აბრაჰამ! და მან ჰრქუა: აქა ვარ, უფალო! და ჰრქუა მას: ნუ მიჰყოფ კელსა შენსა ყრმისა მაგის ზედა, ნუცა რან უყოფ მას. აჲ უწვი, რამეთუ გემინის შენ ღმრთისა და არა ჰრიდე ძეა შენსა საყუა-“



რელსა ჩემთვის. და აღიხილნა თუალნი თჳსნი აბრაჰამ და იხილა: და აჰა, ვერძი ერთი გამოკიდებულ იყო რქათაგან ნერგსა საბეკსა“ (შესაქმე¹⁹, 22. 11—13).

აშკარაა, იაკობი ამ ტექსტს ემყარება და „რგას“ სიტყვაც, S 342 რომ გვთავაზობს, აქედან მოაქვს.

2. 75-ე სტროფის მესამე სტრიქონში ღმერთი აბრაჰამს ეუბნება:

„არ თაყვანის-სცე ველით ქმნულს, რაც ნებით ისაქმებოდა“.

S 2775-სა და S 1508-ში „რაც“ კავშირის ნაცვლად არის უარყოფითი ნაწილაკი „არც“, რომელიც მთელ სტრიქონს უაზროდ აქცევს.

3. 145-ე სტროფში სარიტმო სიტყვებია: „სნეულნი“, „წყმედულნი“, „წყვეულნი“. მეორე სტრიქონი კი ანე იკითხება:

„რაც რომ ძალგვედვას, ვერნებდეთ ქრისტეს სისხლითა ხსნულნი“.

S 2775-სა და S 1508-ში აღნიშნული სარიტმო სიტყვის მაგივრად გვაქვს „სყიდულნი“, რაც რიტმას კოჟუს ხდის. ხოლო კონტექსტს აზრობრივადაც ნაკლებ ესადაგება.

ამრიგად, აქა-იქ S 2775 და S 1508 ნუსხები ერთმანეთს ემთხვევიან და გამოიყოფიან, მაგრამ ეს იმდენად უსისტემო და უმნიშვნელოა, რომ ისინი ერთ რედაქციულ ჯგუფს ვერ ქმნიან. თვით S 1508-ს, მაგავსად S 2775-ისა, აქვს საკუთარი წაკითხვები, რომელთაგან ზოგი ავთენტურია, მაგრამ უმეტესობა — არა.

თუ S 2775 და S 1508 რამდენადმე მაინც განსხვავდებიან S 342-ისაგან და დამოუკიდებელ რედაქციულ სახეს გვიჩვენებენ, დანარჩენ ხელნაწერებს გარკვეული მსგავსება აქვთ ერთმანეთთან და, მიუხედავად ცალკეული თავისებურებებისა, ისინი ერთ რედაქციულ ჯგუფად წარმოგვიდგებიან, რომელიც სათავეს S 342 ტიპის ხელნაწერიდან იღებს.

4. A 860

ეს არის იმავე ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ გადაწერილი სხვადასხვა თხზულების ფართო ფორმატის ვეებერთელა კრებული²⁰. გადაწერა დაუმთავრებია 1779 წლის 24 იანვარს. იგი თავად გვაუწყებს: „ესენი აღვსწერე მე, ცოდვილმან ჩაჩიკაშვილმან, მღვდელმან ნიკოლოზ“ (გვ. 409 r). „გასრულდა იანვარს კდ ფსჳს...“ (იქვე).

იაკობ შემოქმედელის ნაშრომი აქაც კრებულის ბოლოს არის მოთავსებული (გვ. 396 r — 408 v), სადაც ის არეულად აკინძული აღმოჩნდა. მასზე მუშაობიას გვერდთა და სტროფთა თანამიმდევრობა ასეთი იყო:

ვერდები:	სტროფები:	ვერდები:	სტროფები:
396 r — v	1—19 გ	398 r — 402 v	42 დ — 157 ა
397 r	169 — 179	403 r — v	19 დ — 42 გ
v	157 ბდ — 168	404 r — 408 v	180 — 289

¹⁹ დამოწმებულია აკადემიური გამოცემის მიხედვით: წიგნი ძველისა აღთქმისანი, I, შესაქმისაი, გამოსლუათაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ც. კიკვიძემ, გამოკლევა ბ. გიგინეიშვილისა, თბ., 1989.

²⁰ ხელნაწერი აღწერილი აქვს მოსე ჯანაშვილს: М. Г. Джанашивили, Описание рукописей церковного музея Духовенства Грузинской Епархии, III, Тифлиси, 1908, стр. 85—90.

გვერდების სწორი თანმიმდევრობა იქნება²¹: 396r-v, 403r-v, 398r — 402v, 397 v, 397 r, 404 r — 408 r-v.

თხზულების რამდენიმე გვერდი ზემო ნაწილში მოხეულია, რის გამოც 157 ბდ, 158, 159, 169, 170 და 171 სტროფები დაზიანებულია²².

„მოამადისა და ქრისტიანეთ ვაბასება“, ისე როგორც მთელი კრებული, შესრულებულია შავი მელნით, ოდნავ გაკრული, კარგად გასაგები ხელით, სათაურები და სტროფის დასაწყისი სიტყვები — წითელი მელნით. სასვენ ნიშნებად გამოყენებულია: ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი, სტრიქონის ბოლოს — ორწერტილი. სტრიქონის დასასრულს ბოლო ორი ასო დაყოფით წერია. მეოთხე სტრიქონი ყველგან იწყება „და“ კავშირით.

ტექსტში ხშირად გვხვდება ჯ ასო, ზოგჯერ უდაგილოდ, თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მის ნაცვლად ხ არის ნახმარი (ხელი — სტრ. 122ა, 234ბ).

A 860 დამოუკიდებელი რაიმე მნიშვნელოვან რედაქციულ თავისებურებას არ ამჟღავნებს. ზემოთ ჩამოთვლილ ხელნაწერებთან დაშორებისას მასთან ჩვეულებრივ დგას სხვა, თავისი რედაქციის, ნუსხები (ამ საერთო რედაქციულ ნიშნებს სულ ბოლოს ვაჩვენებთ).

5. S 1103

ეს თეიმურაზ პირველისა და თეიმურაზ მეორის პოეტურ თხზულებათა კრებულება²³. როგორც A 860-ში, აქაც იაკობ შემოქმედელის საძიებელი ნაწარმოები მოთავსებულია ბოლოს (გვ. 219—266). მას მოუპოვება გადაწერის ანდერძ-მინაწერი, საიდანაც ვკვებულობთ, რომ კალიგრაფია ონოფრე, რომელსაც კრებულის გადართსხვა დაუმთავრებია 1780 წლის 12 მარტს: „განსრულდა სადიდებლად ღ(მ)რ)თისა, აჰინ. «დღისა და ღამის ბასია» და სხვა ამბებიც, ხელითა უღირასი ონოფრესითა, ღ(მერ)თო, მშვიდობაში მახმარე. აღიწერა მარტის იბ, ქ(ორონი)კ(ონ)ს უაშ“ (გვ. 266).

იაკობის ნაშრომი, ისე როგორც ხელნაწერის წინა ნაწილი, დაწერილია შავი (ცოტა ბაცი) მელნით, არაკალიგრაფიული, ოდნავ გაკრული ხელით. სათაურები და სტროფის დასაწყისი სიტყვები წითელი ფერით არის შეარულებული. სასვენ ნიშნებად სტროფის პირველი სიტყვის შემდეგ გამოყენებულია წერტილი, ყოველი სტრიქონის ბოლოს — ორწერტილი და ტირე. საერთო სიტყვებში გამოყოფილია ბოლო ორი ასო. ყველა მეოთხე სტრიქონი იწყება „და“ კავშირით.

ეს ხელნაწერი არსებითად მიჰყვება S 342 და A 860 ნუსხებს და თავისებურებებს ამჟღავნებს H 2101-თან ერთად.

6. H 2101

ეს ნუსხა²⁴ ზუსტად იმგვარივე შედგენილობისაა, როგორც S 1103. აქაც წინ თეიმურაზ პირველისა და თეიმურაზ მეორის პოეტური თხზულებანია, ხოლო იაკობ შემოქმედელის გალექსილი ნაწარმოები ბოლოს არის (გვ. 98 v —

²¹ ეს ვაკნობთ ხელნაწერთა ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილების თანამშრომლებს, გავასწორებთ, ხელმოვრდ ავკინძავთ — თქვეს.

²² 157 სტროფის მე-3 სტრიქონს A 860 არ იცნობს.

²³ აღწერილია ე. თაყაიშვილისა (ოპისანე, II, გვ. 282—284) და ლილი ქუთათელაძის მიერ (S ფონდის აღწერილობა, I, გვ. 645—648).

²⁴ აღწერილობა: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), V, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ლ. შვედარიშვილის მიერ აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1949, გვ. 61—62.

120 r). კალიგრაფი უცნობია, ხელნაწერი განეკუთვნება XIX საუკუნის 20-იან წლებს (ჭვირნიშანი უჩვენებს 1821 წელს). ნაწერია გაკრული ხელით, შავი (რამდენიმე გვერდზე მკრთალი) მელნით, რის გამოც ამ გვერდებზე ზოგან ამოკითხვა ჭირს. სასვენი ნიშნები გამოყენებული არ არის. სარიტომო სიტყვებში გამოყოფილია ბოლო ორი ასო, მეოთხე სტრიქონებში დაცულია სტროფგამყარი „და“. ჯ აქა-იქ არის ნახმარი. აქვე, აქა-იქ ე-ს მაგივრად წერია შ.

ტექსტში უამრავი უხეში შეცდომა ვხვდებით.

როგორც აღვნიშნეთ, H 2101 უდიდეს ნათესაობას ამჟღავნებს S 1103 ხელნაწერთან. მასში ამ უკანასკნელის უამრავი ნიუანსური წაკითხვაა გამოვლენილი. მხოლოდ ეს ორი ხელნაწერი არ იცნობს 43-ე სტროფს („აბანაკად, აბანაკად...“) და მხოლოდ ამ ხელნაწერებში ენაცვლება ერთმანეთს 226-ე სტროფის („მამისაგან ძედ მოსული...“) მეორე და მესამე სტრიქონები.

ახლა ვუჩვენებთ უფრო მნიშვნელოვან წაკითხვებს, რითაც ისინი ერთმანეთს ემთხვევიან და გამოიყოფიან:

**S 342, A 860 და სხვა ნუსხების
წაკითხვები:**

- 1,0 ძისა
- 8 გ წინ მღებარედ
- 9 ა იაკობ
- 38 დ გაუსქდა გაუხმა
- 51 ა წ-ლ
- 70 ა რომელსა ყოელსა
(ყოელსა A 860)
- 71 დ ამბობს
- 72 დ სიმყრალე
- 82 ა თარა
- 84 დ მომისმინე
- 97 დ იმედი მაქვს
გარჯის
- 128 დ თქვენ
- 135 გ რისხვიო
- 155 გ ეცელხოს ცხელით
- 183 გ წმინდათ ჩვენდა
- 194 გ ტყავისა
- 197 ბ შეიხ მუფთაქ
- 206,0 მონებთ
მიუგე
- 243 გ ყვანან
- 246 გ ქართულად
- 255 გ ზედ მისის ხლით
- 286 ა ლაყბად
- 287 ბ გეწადოსთ

S 1103 და H 2101-ის წაკითხვები:

- + მისისა
- მთებარედ S 1103, მთებარედ H 2101
- ოსებ
- ~
- წინ
- ყოელისა რომელსა
- ფრიად
- სიმრალე
- თანა
- მომხსენე
- ~
- დასჯის
- მე
- რიცხვათა
- ცხელის ცეცხლით
- ჩვენდა (ჩვენთა H 2101) წმინდად
- ავისა
- შეის მუფთაქ
- მსახურებთ
- რქვი
- ყვიან
- მორთულად
- ზედათ სისხლით
- ლა ყბად
- გეწოდესთ
- და სხვა.

ვარიანტულ ღირსებათა თვალსაზრისით, განსხვავება ამ ნუსხებს შორის უმნიშვნელოა. ერთმანეთთან დაშორებისას, ჩვეულებრივ, H 2101 განცალკევებით დგას. მისი კითხვა-სხვაობანი ძირითადად მიღებულია არა იმდენად ტექსტის ახლებურად გააზრების, შეგნებული ცვლილებების შედეგად, რამდენადაც დედნის არაკვალიფიცირებულად ამოკითხვის შედეგად. აი, შედარებით მნიშვნელოვანი განსხვავებანი:

S 1108-ის წაკითხვები:

- 7 დ არას
 8 ა ეტლს
 11 ბ გეიკს
 14 ა მრუდად
 36 ბ ასელით
 დ შეემთხვია
 37 გ ბაქოს
 38 ბ მოსწევიდა
 44 ბ წამს
 55 გ მტველად
 57 დ ესვიდეს
 63 ბ რებეკასგან
 67 ბ გად
 70 დ საეროს
 81 ა მამას
 გ ეწივნენ
 83 დ აღამს
 89 დ უსმენენ
 117 დ ლობანის
 132 ა ალოკურნეს
 152 დ სრულმან
 179 გ ნარნარება
 190 გ მშვიდ
 199 ა გამცნოთ
 220 ბ ქვა
 225 ბ მუშად
 226 ბ არც
 მისნი
 231 გ ეით
 236 ბ ნასამალ
 251 გ შანხარად
 269, 0 გითხრას
 270 ა ერქვა ეის მამამდ
 286 ბ ბრძნობდეთ

H 2101-ის წაკითხვები:

- რას
 ეტლმ
 გეიკს
 კულად
 ახლით
 შემთხვევა
 მაქოს
 მოსყვიდა
 ეწამს
 მხედვლად
 ესვირდეს
 რებასკან
 გად
 სწეროს
 ამას
 ეწივნენ
 ამას
 —
 ნობანის
 ალოკრნეს
 სულმან
 გამწარება
 (გადმოსულია მეოთხე სტრიქონიდან)
 შვიდ
 —
 რქვა
 შუად
 რაც
 ბინი
 თვით
 სანამალ
 ანაბარად
 გეითხოს
 —
 გრძნობდეთ
 და მრავალი სხვა.

ვიმეორებთ, როგორც წესი, ამ შემთხვევებში H 2101 განცალკევებით დგას. იშვიათია ისეთი ვარიანტები, H 2101 S 1103-ს შორედებოდეს და სხვა ნუსხებს ემთხვევოდეს. რაც არის, გრამატიკული და ორთოგრაფიული ხასიათისა და იმგვარია, საერთო წყაროს გარეშეც რომ შეიძლება გაჩნდეს. აი, ერთი, ყველაზე ხელშესახები, მაგალითი:

103-ე სტროფის მეორე და მესამე სტრიქონები ხელნაწერთა უმრავლესობაში, მათ შორის A 860-სა და S 1103 ნუსხებში, ასე იკითხება:

„უსჯულონი უჯერიან ერთის ქაჩლის განჩინებას,
 უმოწმოდ და უთავდებოდ, სიზრმის მსგავსად მოჩვენებას“.

„უთავდებოდ“ სიტყვის მაგივრად H 2101-სა და S 2775 და S 1508 ნუსხებში წერია „უთავბოლოდ“. ვინაიდან სტროფში „უსჯულთა“ საქციელზეა მსჯელობა, ვფიქრობთ, ადვილი შესაძლებელია, სხვადასხვა ნუსხის გადამწერთ „უთავდებოდ“ სიტყვის ნაცვლად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლოც „ამოეკითხათ“ დაწერილობით მისი მსგავსი განმაქიქებელი შინაარსის სიტყვა „უთავბოლოდ“.

იმ შემთხვევებშიაც, როდესაც S 1103 და H 2101 ერთმანეთს შორდება და თითოეული ცალ-კალკეა, აშკარად ჩანს, ეს უკანასკნელი პირველიდან მოდის. ერთი ამგვარი შემთხვევა ზემოთ არის დანოწმებული (8 გ წინ მდებარედ) მთიებარედ S 1103, მთებარედ H 2101). აი, კიდევ მეორე მაგალითი:

230 ბ წადილი ნაწილი S 1103, წილი H 2101.

H 2101-ის ზოგიერთი წაკითხვა იმგვარია, რომ გვაფიქრებინებს, მისი გაჩენა S 1103-ის დაწერილობის ბრალია:

1. 45-ე სტროფის მეორე სტრიქონია:

„აღსა ლომინად შეუცელს დაუნთქმელობის ბოლაზი“.

S 1103-ში ხაზგასმული სიტყვის „ს“ თავშეკრულია და იკითხება „აღსა“. H 2101-შია „ახლა“. ვფიქრობთ, აშკარაა, H 2101-ის გადამწერმა დედნისეული „აღსა“ „გაასწორა“ „ახლა“-დ.

2. 55-ე სტროფის მესამე სტრიქონი:

„ისმავლის დედა აგარ მუნ მკველად ყავს იგ ხასაქად“.

H 2101-შია „იმავლის“, რაც სტრიქონს ერთ მარცვალს აკლებს და ლექსს ამახინჯებს. S 1103-ში ა-ს მაგივრად პატარა ხაზია. ონოფრეს ა-ს წერა დაუწყვია და მიუტოვებია. ასე რომ, H 2101-ის გადამწერს შეიძლებოდა იგი ა-დ არ მიეღო.

3. 110-ე სტროფის პირველი სტრიქონი:

„თავრათს უწოდს «დაბადებას», «ზაბურს» (ბაზურს A 860, H 38) —
— «დავიტის», «ინჯილს» — «ოთხთავს“.

H 2101-შია „დავინთს“, S 1103-ში ნ ზემოდან, თ-ს თავზეა ჩაწერილი.

4. 187-ე სტროფის მეოთხე სტრიქონი:

„სხვაც იყენეს წმინდა მთარგმნელი, სხელს რადს ვსდევთ სულ წერილად“.

H 2101-ში აღნიშნული სიტყვის ნაცვლად გვაქვს სრულიად განსხვავებული და უაზრო სიტყვა „ესდევნო“. S 1103-ში ვ ისე წერია, ე-ს ჰგავს, ხოლო თ-ს ბოლო ნაწილი დაშორებული აქვს და ნო ასოების შთაბეჭდილებას ტოვებს.

5. 235 სტროფის პირველი სტრიქონი:

„რადგან რომე არ იწამეს ურიათა ქრისტე არის“.

H 2101-შია „ქრისტეს“. ბოლო ს გვაქვს აგრეთვე S 1103-ში, რომელიც გადამწერს კალმით წაუშლია, ოღონდ მთლიანად ვერა. ახლა ერთბაშად ძნელი გააარჩევია, ეს ასო წაშლილია თუ არა.

აღნიშნული მსგავსება და ეს მაგალითები გვაფიქრებინებს: H 2101-ის ტექსტი უშუალოდ S 1103-იდან არის გადაწერილი, ხოლო განსხვავებანი მის გადამწერს ეკუთვნის.

ქვემოთ, ბოლოს ნაჩვენები იქნება, რომ S 1103 და H 2101 ხელნაწერთა ჯგუფი A 860 და მის მიმდევარ ხელნაწერებთან დაშორებისაა ორგანულ კავშირს იჩენს S 342 ხელნაწერთან, რაც იმის მაჩვენებელია, რომ S 1103 თუ მისი პროტოგრაფი მომდინარეობს A 860 ტიპის ხელნაწერიდან და არა უშუალოდ მისგან.

7. H 38

შედგება 10 ფურცლისაგან²⁵ და შეიცავს მხოლოდ იაკობის „მომადისა და ქრისტიანეთ გაბასების“ ერთ ნაწილს, პირველ — 157 სტროფებს. მეათე ფურცელი ბოლომდეა შევსებული და მთავრდება 157-ე სტროფის მე-4 სტრიქონით („ეშმაკი ბაზიერად გყავს...“). მას არ ახლავს მომდევნო გვერდზე გადასვლის აღმნიშვნელი სიტყვა, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ იმეამად კალიგრაფს წერა არ გაუგრძელებია და ხელნაწერს ტექსტის დანარჩენი ნაწილი დაზიანების გამო არ აკლია.

ხელნაწერი ახლა სქელ ყდაშია ჩასმული. ფურცლები ლურჯია და აქვს ჰვირნიშანი. ნაწერია გაკრული ხელით. სტროფგამყარი „და“ გამოყოფილად წერია. სასვენი ნიშნები გვხვდება მხოლოდ სტრიქონთა ბოლოს, ძირითადად — ორწერტილი, აქა-იქ — წერტილი და წერტილმძიმე. რამდენიმე სტროფი სასვენი ნიშნის გარეშეა.

ხელნაწერს გადამწერის დაბალი კვალიფიკაციის კვალი სხვა მხრივაც ამჩნევია: სტრიქონთა დასასრულს ჩვეულებრივ დაცალკევებულია ბოლო ორი ასო, ზოგან — მხოლოდ ერთი, უკანასკნელი ასო. რამდენიმე სტროფში ეს წესი დარღვეულია, არც ერთი ასო გამოყოფილი არ არის. ყოველივე ამის გამო სიმეტრია დარღვეულია.

აქა-იქ გამოყენებულია ჯ, უ, მ, კ ასოები (მათ ვარიანტებში არ აღენიშნებათ).

H 38 უთარიღოა, არც გადამწერია ცნობილი. ხელისა და ჰვირნიშნის მიხედვით, იგი XIX საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება. შესაძლებელია ამ თარიღის უფრო დაზუსტება. ამავე ხელითაა შესრულებული იაკობის ამ თხზულების მეორე ნაწილის შემცველი S 951 ზ ნუსხა, რომლის ჰვირნიშანია 1831 წელი. უნდა ვიფიქროთ, H 38-იც ამავე 1831 წლის ახლო ხანს არის დამზადებული.

აქ ზოგიერთ სტროფსა და სტრიქონს შავი მელნით (ერთგან ფანქრით) რკალი (ან ორი რკალი) აქვს შემოვლებული, ზოგიერთი სიტყვა კი ქვეშ ხაზგასმულია. რკალშემოვლებულია: მე-4 (ორი რკალი), 8, 9. 1—2, 26. 4, 27 (ორივე ფანქრით), 43, 44. 1—3, 69 (ორი რკალი), 70. 4, 71. 1—2 (ორი რკალი), 76. 4, 77, 83, 106. 4, 107. 1—2, 111, 119, 120. 4, 127, 130, 131, 132, 133, 136, 137. 1—3, 138. 3, 139. 1—2, 147-ე (ორი რკალი) სტროფები.

H 38 რედაქციულად ყველაზე მეტ მსგავსებას A 860-თან ამკლავნებს, მაგრამ, სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, მანამ განვიხილოთ S 2400 ნუსხა, რომელიც H 38-თან განსაკუთრებული სიახლოვეთ გამოირჩევა.

8. S 2400

ეს ხელნაწერიც²⁶, ზუსტად ისე, როგორც H 38, მხოლოდ იაკობის ნაშრომის 1—157 სტროფებს შეიცავს. მისგან განახვევებით, იგი მომცრო ფორმატის,

²⁵ აღწერილობა: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), აკად. ს. ჭანაშვილის საერთო რედაქციით, I, დასაბუქდად მომზადებულია ლ. ქუთათელაძის და ნ. კასრაძის მიერ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1946, გვ. 30.

²⁶ აღწერილობა: მ. ქავთარის მიერ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, III, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის, მ. ქავთარის, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძის და ქ. შარაშიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 246).

თეთრი ქალაღდის 16 ფურცლისაგან შედგება. ესეც ნაწერია არაკალიგრაფიული, მაგრამ ადვილად გასაგები ხელით. სასვენი ნიშანია წერტილი, რომელიც დიდ ცეზურაზეა დასმული, ოღონდ ზოგან გამორჩენილია. სტრიქონის ბოლოს, სართომო სიტყვებიდან გამოყოფილია ერთი, უკანასკნელი ასო, თუმცა ყველგან არა.

S 2400 ნუსხა H 38-სებურად ბოლომდე შევსებული არაა. ტექსტი მთავრდება ბოლო ფურცლის პირველი გვერდის (16 r) შუა წელზე. დასასრულს არის პატარა ანდერძი, საიდანაც ვგებულობთ, რომ იგი გადაუწერია დავით ივანეს ძე ამირიძეს 1881 წლის 11 მაისს. აი, ეს ცნობაც: „წელსა ჩუპა-სა, მაისის ია-სა გადავწერე მე, დავით ივანეს ძემ ამირიძემ, მოურავმა. ვინც წაიკითხოთ, შენდობა მიბძანეთ“ (16 r).

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ S 2400-ის დედანი ამგვარი დაბოლოებისა ყოფილა, დავით ამირიძეს კი იგი დაპრულებულ ნაწარმოებად ესახება.

როგორც აღნიშნეთ, S 2400 ტექსტობრივადაც განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს H 38-თან. ეს სიახლოვე იმდენად დიდი და ნიშანდობლივია, რომ, მიუხედავად ტექსტის გაფორმების მხრივ ზემოთ აღნიშნული განსხვავებებისა (სასვენი ნიშანი, ბოლო ასოთა გამოყოფა), ჩვენ წინაშე დგება საკითხი — იგი უშუალოდ ამ უკანასკნელიდან გადაწერილი ხომ არ არის?

დავიწყოთ იმით, რომ გვაქვს ცალკეული წაკითხვები, როდესაც S 2400 და H 38 ერთად არის და სხვებისაგან გამოირჩევა. აი, ეს შემთხვევები:

A 860 და სხვა ნუსხები:

- 12 ბ საბრკით
- 19 ბ ქარაენთ
- 22 ბგ ექსორია
- 43 დ შემოვიღე
- 47 დ გულდიდ
- 76 ბ უარსოსა
- 86 ბ მოსიღამე
- 111 დ მისთვის
- 125 ბ შორად
- 144 გ მით
- 147 ბ ცა

S 2400 და H 38:

- საფრხით
- ქარაენი
- ექსორია
- ესე დასად
- გული
- უაროსა
- მოსიღამე
- მარსთვის
-
- თუ
- სცა

და სხვა.

ის შემთხვევები, როდესაც S 2400 და H 38 ერთად არის და A 860-სა და სხვა ნუსხებს მიჰყვება, ქვემოთ, სათანადო ადგილას, იქნება ნაჩვენები.

S 2400-ში გვხვდება ზოგიერთი იმგვარი წაკითხვა, რომელთა მიზეზი თითქმის H 38 უნდა იყოს:

1. მე-18 სტროფის პირველი სტრიქონი ხელნაწერთა უმრავლესობაში ასე იკითხება:

„უამთა ერაკლე მეფისთა გამოჩნდა ქელბამ მოამედ“.

ხაზგასმული სიტყვის ნაცვლად ზოგიერთ ნუსხაში არის „მოჰამედ“, „მუჰამედ“, „მოჰამედ“, S 2400-ში კი უცნაური ფორმით გვაქვს — „მოამედ“. ეს სიტყვა სხვა ადგილას სხვა ხელნაწერებში, მათ შორის S 2400-ში, ზემოთ აღნიშნულისამებრ სხვადასხვაგვარად იკითხება, მაგრამ არსად მ-ით არ გვხვდება. მხოლოდ ამ სახით ამ ადგილას იგი დასტურდება H 38-ში, სადაც მ მკრთალად არის წარმოდგენილი.

2. 43-ე სტროფის მესამე სტრიქონია:

„ნამუსიკად, ნამუსიკად, ნამუსიკად, ნამუსიკად“.

H 38-სა და S 1511, H 394 ხელნაწერებში ყველგან არის „ნამუსიკად“.
H 38-ში სხვაგანაც და აქაც კ ვ-ს მსგავსად წერია. S 2400-ში კი გვაქვს:

„ნამუსავად, ნამუს ავად, ნამუს ავად, ნამუსავად“.

3. 52-ე სტროფის მესამე სტრიქონი:

„მსწრაფლ გაბრიელ ერისთავმან ჯელოთ იპერა იგ წამ ერთსო“.

S 2400-ში „იგ“-ის მაგივრად იკითხება „იმ“, ხოლო H 38-ში გ კამოკვე-
თილი არ არის, ხაზს ქვემოთ არ ჩამოდის და მ-ს ჰგავს.

4. 57-ე სტროფის მესამე სტრიქონი:

„ცუნდრუკობდეს წარმდებობით, ბორგვით კერპებს უზორვიდეს“.

S 2400-შია „კერპს“, რაც რიტმს ამახინჯებს. H 38-ში „კერპებს“ სიტყვა
იქნა ნაწერი, „ებ“ წაშლილის შთაბეჭდილებას ტოვებს.

5. მე-100 სტროფის პირველი სტრიქონი:

„მაჰმად უღოსო სჯულის წიგნი არც ეკითხა, არც ესმოდა“.

S 2400-შია „არა რჯულის“, რაც აგრეთვე რიტმს არღვევს. H 38-შია
„რჯულის“, ოღონდ წინა ორი ასო წერისას ისეა ნაწვალები, შესაძლებელია,
„ას“ ან „არა“ ასობად იქნან ამოკითხულნი.

ახლა განსხვავებათა შესახებ.

S 2400-ში საკმაოდ არის შეცდომები, დაუდევარი დამოკიდებულება დედ-
ნისადმი. ამ შემთხვევებში იგი განცალკევებით დგას. კერძოდ, მასში გამოტო-
ვებულია მე-2,4, 42,3, 86,3, 95,3—4 — 99,1—3, 123,3-ე სტროფები და სტრი-
ქონები²⁷ (აქ გვერდის ბოლოს აღნიშნულია 95-ე სტროფის მესამე სტრიქონის
პირველი, ე. წ. გადასასვლელი სიტყვა „მშობელს“, მაგრამ მომდევნო გვერდზე
წერა გრძელდება 99-ის მეოთხე სტრიქონით — „და შიშობს...“).

მექანიკურად შეერთებულია 81-ე სტროფის მეოთხე და 82-ის პირველი
სტრიქონები. 81-ე სტროფის მეოთხე სტრიქონია:

„სიბრძნით იცნა შემოქმედი, ვინ მას მისცა მტერთა ძლევა“.

82-ის პირველი სტრიქონი:

„თარა გარდახდა, განვიდა საწუთოს ცხოვრებისაგან“.

S 2400-ში კი გვაქვს:

„და სიბრძნით იცნა შემოქმედი განვიდა საწუთოს ცხოვრებისაგან“.

უფრო ნიშანდობლივია ვარიანტული სხვაობანი. აი, შედარებით მნიშვნე-
ლოვანი განსხვავებული წაკითხვები:

²⁷ მასში არ არის აგრეთვე 157-ე სტროფის მესამე სტრიქონიც, მაგრამ ეს მისი პროტო-
გრაფის ბრალია. ამ სტრიქონს არ იცნობს აგრეთვე A 860 და H 38 ნუსხებიც.

H 38-ის წაკითხვები:

- 6 ბ რიტორად
- 11 ბ გვიც
- 13 ბ გაიდგამს
- ბ ცრულ
- 22 დ გამორია
- 23 ბ ყუფს
- ბ იგლოვს
- 44 ა სენა ქერამის
- 52 ა მოინდომა
- 55 ბ ყმა
- 60 ბ აგარ ივლტვის
- 66 ა წყვილთ
- 71 ბ ცუდად
- დ სიცრუისა
- 83 ბ მხსნელად
- 85 ბ განმართლდა
- 94 ა ურიათ
- 95 ბ მოივლინა
- 100 გ ეხლათა
- 103 დ ამისგან
- 104 ბ გამოჩნდა
- 106 დ ვის
- 107 ბ მოსავს; იქმნება
- 109 დ ჰსწორს
- 110 დ მწვე
- 122 ბ მით ნახეიარი ვაშლისა
- 126 დ იწამოს
- 129 დ გაუცვლა
- 132 დ შუა ყვეს
- 142 დ ვარ
- 148 დ ცანთ
- 154 გ დაისაჯოს

S 2400-ის წაკითხვები:

-
- გვიძღვს
- გაიბამს
- ცულ
- გაურია
- ყოფს
- იგლევს
- სენი ქერამის
- მოივონა
- ყრმა
- ვანიელტის
- წილთ
- ტყვილად
- სირცხვილისა
- მზრუნველად
- განმართელ
- ურიბზ
- მოიყვანა
- ეხათა
- მისგანა
- გამოხდა
- ეს
- მოსეს; თქმანება
- სწერს
- მას
- ნახეიარ ვაშლი
- ირწმუნოს
- გაუწყდა
- შუა ჰყვეს
-
- ცად
- დაატანჯოს
- და სხვა.

ვიმეორებთ, ყველგან აქ S 2400 განცალკევებით დგას.

აშკარაა, აქედან უმეტესობა დედნის შეცდომით ამოკითხვის შედეგად არის მიღებული. რასაც, ყველა მხრიდან ჩანს, დავით ამირიძისათვისა უცხო მოვლენად ვერ მივიჩნევთ. მხოლოდ რამდენიმე წაკითხვა თუა ისეთი (გაიდგამს/გაიბამს, იგლოვს/იგლვს, მოინდომა/მოივონა, ცუდად/ტყვილად, სიცრუისა/სირცხვილისა, მხსნელად/მზრუნველად, მოივლინა/მოიყვანა, მწვე/მას), ტექსტის შეგნებული ცვლილება და სხვა წყაროს არაებობა რომ ვაფიქრებინოს.

ამ უკანასკნელი თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს რამდენიმე სხვა ვარიანტიც, როცა S 2400 H 38-ს შორდება და სხვა ნუსხებს ემთხვევა. ანდა H 38-ის მცდარი წაკითხვა მასში სწორად არის წარმოდგენილი:

1. 69-ე სტროფის მეორე სტრიქონია:

„მესობლუ და მესფოთენი, ცრუ-ფიც, მარაუ-მტაკებელნი“.

H 38-ის ვადამწერს ჯერ დაუწერია „მესფოთარნი“, შემდეგ „არ“ წაუშლია და მის ადგილას „ე“ ჩაუწერია. მივიღეთ „მესფოთენი“, როგორც ყველა სხვა ნუსხაშია. მხოლოდ S 2400-ში ვვაქვს H 38-ის ადრინდელი ვარიანტი — „მესფოთარნი“.

2. 72-ე სტროფის მეორე სტრიქონი:

„მამამთავრისა მათისებრ უღვთო არს ვითარა თარად“.

ასეა ხელნაწერთა უმრავლესობაში. H 38-ის გადაწერს ჯერ დაუწერია „ვითარად“, შემდეგ „ღ“ გადაუხაზავს. მხოლოდ S 2400-ში დასტურდება H 38-ის პირვანდელი ფორმა — „ვითარად“.

3. 75-ე სტროფის ბოლო სტრიქონი:

„ხილულის, უხილავისა ვარ შემოქმედი მეო და“.

აღნიშნული სიტყვა ასეა ყველა ხელნაწერში, მათ შორის, S 2400-ში. H 38, A 860-სა და მის მიმდევარ S 1511, H 394 ნუსხებში იკითხება „მეორედა“.

4. 78-ე სტროფის მეორე სტრიქონი:

„ვის წინასწარ ქადაგებდენ, ყურნი ვერას გამოსცნობდენ“.

H 38-ის გადაწერს ჯერ დაუწერია „ველარას“, შემდეგ „ღ“ გადაუხაზავს და აღუდგენია ყველა დანარჩენი ნუსხისებური ვარიანტი „ვერას“. მხოლოდ S 2400-შია H 38-ის პირვანდელი რედაქცია — „ველარას“.

5. 101-ე სტროფის მეოთხე სტრიქონი:

„აბარაბის ცოდვის მთხრებელში სვიმონ პოვეს ვინ პარაკაღ“.

ასეა ყველა ხელნაწერში, მათ შორის S 2400-ში. მხოლოდ H 38-სა და A 860-შია „მთხრელში“.

6. ამგვარივე ვითარებაა 110-ე სტროფის პირველ სტრიქონში. თითქმის ყველა ხელნაწერში, მათ შორის S 2400-ში, სწორად წერია სიტყვა „ზაბურს“ (=დავითს). მხოლოდ A 860-სა და H 38-შია მისი დამახინჯებული ფორმა — „ზაზურს“ (S 1508-შია „ზამზურს“).

7. 125-ე სტროფის მესამე სტრიქონს ყველა ხელნაწერი, მათ შორის S 2400, ასე წარმოგვიდგენს: „მწად, რომ **გვგემო**, კვერთხი დაესცხო...“ მხოლოდ H 38-შია მცდარი ფორმა — „ვეგემო“.

რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, თავისი დედნის ზოგიერთი უზუტატობა დავით ამირიძეს კონტაქტის მიხედვით თავად გაეწვორებინა, მაგრამ, რამდენადაც მისი ნამუშევრიდან ჩანს, საეჭვოა, ყველა მათგანი მისი ნახელავი იყოს.

ამრიგად, S 2400 ზედმიწევნით მიჰყვება H 38-ს, სხვაობა მათ შორის ცოტაა, რომლის დროსაც იგი უმეტეს შემთხვევაში ცალკე დგას. აშკარაა, თუ მეტი არა, მათ უახლოესი საერთო წყარო მაინც აქვთ. ადვილი შესაძლებელია კი, აღნიშნული ნუსხა უშუალოდ H 38-იდან იყოს გადაწერილი და მისი თავისებურებანი გადაწერს ეკუთვნოდეს, მაგრამ ზოგიერთი მათგანის გამო ამის დაბეჭითებით თქმა ჭირს.

9. S 951g

როგორც აღვნიშნეთ, S 951g გაგრძელებაა H 38-ისა. იგი ფართო ფორმატის, აუკინძავი, უყდო ხელნაწერია, შედგება რვა ფურცლისაგან და შეიცავს იაკობის ნაწარმოებს 158-ე სტროფიდან ბოლომდე²⁸ (1 r — 7 r). აქედან 6 v და

²⁸ აღწერილი აქვთ ე. თაყაიშვილსა (ოპისანიე..., II, გვ. 493) და თ. ბრეგაძეს (I, გვ. 618).



ბოლო, მე-8, ფურცელი მთლიანად დაუწერელია. კალიგრაფი ორივე ნაწილში ერთიანად დაწერა ბაცი შავი მელნით (ყავისფერში რომ გადადის), გაკრული, მაგრამ ადვილად გასაგები ხელით. S 951 გ-ს ქალაღი თარიღიანია, ჰვირნიშანი უჩვენებს 1831 წელს (ფ. 8), რაც იმის დასტურია, რომ იგი, ისე როგორც H 38, ამ წლის ახლო ხანშია დაწერილი.

ორივე ხელნაწერი ერთნაირი ფორმატისა და არსებითად ერთნაირი გაფორმებისა არის. აქაც სტროფგამყარი „და“ ტექსტიდან გამოცალკევებულია. სასვენი ნიშნები აქაც მხოლოდ სტრიქონთა ბოლოსა და აშული, ჯერ ორწერტილია, შემდეგ — წერტილი. ზოგიერთი სტროფი და სტრიქონი შიგადაშიგ, ბოლო ნაწილი კი მთლიანად, უნიშნოა. აქაც ძირითადად სტრიქონთა ბოლო ორი ასოა გამოცალკევებული, მცირე ნაწილში — ერთი ასო, აქა-იქ, გრძელ სტრიქონებში — არც ერთი.

განსხვავება ამ ორ ნუსხას შორის ქალაღშია. H 38-ის ქალაღი ლურჯია, S 951 გ-ისა — თეთრი. განსხვავებული ქალაღი და ამ ნუსხათა ცალ-ცალკე არსებობა უფრო იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ იპინი ერთ ხელნაწერწიგანდ გამიზნული და, მით უფრო, შეკრული არასოდეს ყოფილა.

S 951 გ-ს ტექსტი იმგვარივე თავისებურებებს ამჟღავნებს, რასაც H 38. ძირითადად იგი იმეორებს A 860 და მის მიმდევარ ნუსხათა წაკითხვებს, დაშორებისას უმეტეს წილად განცალკევებით დგას. აი, ყველაზე მნიშვნელოვანი ვარიანტები, როდესაც S 951 გ თავისი ჯგუფის ნუსხებს შორდება და თავისებურია:

A 860 და სხვა ხელნაწერები:

- 221 ა მათ
- 240 გ სულში
- 255 გ სმენას
- 261 გ თვისი

S 951 გ:

- მან
- სჯულში
- წყენას
- მისი

S 951 გ-ს თავისებური წაკითხვები ძირითადად ე. წ. კალმისმიერი შეცდომებია:

A 860 და სხვა ხელნაწერები:

- 173 გ ეშმაკნი
- 193 ა სწერს
- 209 ა იკითხე
- 212 გ ესაიასგან
- 222 დ როს
- 234 დ გშენის
- 260 ა ზეცად
- 285 გ აშთობს
- 289 დ მიეხვდით

S 951 გ:

- ეშმაგნი
- სთერს
- კითხე
- ესაიაზგან
- როს
- გეშინის
-
- აშფოთს
- მიეხვდით

და სხვა.

გვაქვს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც S 951 გ-ს გადამწერი თავისსავე დაშვებულ შეცდომას ასწორებს:

231-ე სტროფის მე-3 სტრიქონის პირველი ნახევარი ყველა ხელნაწერში ასე იკითხება: „რქვეს: აბრაჰამ ვით გიხილავს...“. S 951 გ-ს გადამწერს ჯერ დაუწერია „სთქვეს“, შემდეგ ის წაუშლია და დაუწერია „რქვეს“.

ყველა ხელნაწერში, ორიოდ გამონაკლისის გარდა, 276-ე სტროფის მესამე სტრიქონი ასეა წარმოდგენილი:

„ძველს სჯულში «ნაჯიშად» იყო იგ ისრაელთა ერისა“.



A 860-ში წერია „რჯულში“. S 951 გ-ს გადაწერა ჯერ დაუწერია „რჯულში“²⁹, შემდეგ კი აღუდგენია დედნიანული „რჯულში“.

არის ისეთი შემთხვევაც, როცა S 951 გ უპირისპირდება თავისი ჯგუფის ნუსხებს და სწორ, ავტოლისეულ ტექსტს წარმოგვადგენს. მაგალითად, 233—242-ე სტროფები ეხება „წმინდათა“ ხატების საკითხს და ხელნაწერთა უმრავლესობაშიც სათაური შესაბამისია: „სიტყვის-გება წმინდათა ხატთათვის“.

A 860 და მის მიმდევარ ყველა ხელნაწერში, გარდა S 951 გ-ისა, „წმინდათა“-ს მაგივრად შეცდომით წერია „წიგნთა“, S 951 გ-ში სწორად იკითხება — „წმინდათა“. ადვილი შესაძლებელია, დედნიანული შეცდომა აქ S 951 გ-ს გადაწერის კონტექსტის მიხედვით თავად გაესწორებინა.

დანარჩენი ვარიანტები, როდესაც S 951 გ თავის ჯგუფს შორდება და თითო-ოროლა სხვა ხელნაწერს მიჰყვება, იმგვარია, რომ იპინი S 951 გ-ში ან მის პროტოგრაფში საერთო წყაროს გარეშე, დამოუკიდებლად შეიძლება გაჩენილიყო.

შემდეგი ნუსხები, რომლებსაც A 860 და მის მიმდევარ ხელნაწერებთან საერთო აქვთ, S 1511 და H 394-ია. ესენი კი ზედმიწევნით მიჰყვებიან ერთმანეთს.

10. S 1511

ეს არის დავით რექტორის ცნობილი ანთოლოგიის პირველი ნაწილი²⁹. იაკობის ნაწარმოებს 1066—1124-ე გვერდები უჭირავს (მეორე პაგინაციით: 281 r — 310 r). დავითს ამ მონაკვეთის წერა დაუმთავრებია 1823 წლის 22 ივნისს. იაკობის ნაწარმის ბოლოს ის იუწყება: „დასასრული, აღვსწერე აღექვის ძემან, დავით რექტორმან, წელსა ჩუკა, ქ(ორონი)კ(ონ)ს ფია, თუმსა იუნისსა კბ“ (გვ. 1124).

თხზულება ვადანუსხულია დავით რექტორისათვის დამახასიათებელი ლამაზი ხელით, შავი მელნით, სტროფის დასაწყისი სიტყვები და სათაურები — წითელი მელნით. სარითმო სიტყვებიდან გამოჩანილია ბოლო ასო. თითოეული თავის დასასრულს გავლებულია სწორი ხაზი. სტროფის ბოლოს არ ხმარობს „და“-ს. სასვენი ნიშნები: დიდი ცეზურის შემდეგ მძიმე, სტრიქონთა ბოლოს ორწერტილი.

ხელნაწერის მომგებელია გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილი³⁰.

11. H 394

ეს კი დავით ეგნატეს ძე თუმანიშვილის გადაწერილი კრებულია³¹. იაკობის თხზულება მოთავსებულია 64 r — 92 v გვერდებზე. წინ კალიგრაფი აღნიშნავს: „სრულ იქმნა ქელითა მდივნის, ეგნატის ძის, თეოდის დავით თუმანიშვილისათა, ქალაქსა ტფილისს, წელს 1825-სა, მაისის 10-სა“ (გვ. 43 v). უნდა ეიგულისხმოდეს, კრებულის დანარჩენი ნაწილი, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოებებიც, ამავე მაისს თუ არა, მომდევნო თვეებს შიგნით ეკუთვნის.

²⁹ ორივე ნაწილი აღწერილია ვ. თაყაიშვილისა (მოხსენებ., 11, გვ. 194—238) და მ. შანიძის მიერ (სკოლექციის აღწერილობა, 11, გვ. 251—295).

³⁰ იქვე, გვ. შესაბამისად 195, 294.

³¹ აღწერილია ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ (სკოლექციის აღწერილობა, 1, გვ. 294—296).

იაკობის თხზულება, ისე როგორც მთლიანი კრებული, ნაწერია შავი მკვრივ ფონით, სათაურის უმეტესობა და სტროფთა დასაწყისი ასოები — მხედრულად დიდი ასოებით. აქაც გამოყენებული არ არის სტროფგამყარი „და“, ხოლო სარიტმო სიტყვებიდან არშიაზე გამოტანილია ბოლო ასოები. სასვენ ნიშნებად დიდი ცეზურის ადგილას ნახმარია მძიმე, სტრიქონთა ბოლოს — ორწერტილი, სტროფების დასასრულს კი — ორწერტილი და ტირე.

თხზულების წინ (გვ. 63 v) ფერადი ნახატია: აქლემზე ზის ჩალმიანი მაკ-მადიანი, რომელსაც თავზე კუდიანი და რქიანი ეშმაკი დასტრიალებს. მარჯვნივ დგას სამღვდლო სამოსელში გამოწყობილი ქრისტიანი, რომელსაც მათვენ კვერთხი აქვს მიშვერილი.

დავით თუმანიშვილს იაკობის ნაშრომში ჩაუტრთავს მის მიერვე შეთხზული 4-სტროფიანი თავი: „სიტყვის-გება ღორის კორცის ჭამისათვის, თუ რაისათვის იწყეს ჭამა“ (გვ. 91 r). იგი მიჰყვება „მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ ორსტროფიან თავს — „სიტყვის-გება ღორის კორცის ჭამის დაბრალებისათვის“ (სტრ. 276—277). დავითი არშიაზე თვითონვე შენიშნავს: „ღორის კორცის ჭამის მიზეზი ესრეთ იყო, შემოქმედელს იაკობს ასე არ ეთქუა და მე დავწერე და გავლექე და შთაუშმატე თავადმა დავით ეგნატი მდიენის ძემ თუმანოვანს. თ. დ.“.

აი, ეს სტროფები:

**„სიტყვის-გება ღორის კორცის ჭამისათვის,
თუ რაისთვის იწყეს ჭამა“**

ოდეს მოციქულ მაშინი ნათელსა ასცემდენ მავალთა,
ულმრთო, ურჯულთ, ლ(მრთ)ის მბრძოლთა, ჰურათაცა მრავალთა,
მიხტდებოდინ სიბრძნესა, სარწმუნოდ ზე აღსავალთა,
მისთვის ლაღვიდენ ხახამთა, უხმობდენ გარდამავალთა.

თუთ გვბრძანებს სახარება, მადლი ექცა პირწასხმულსა,
მსგავს ამისა ჰურიანი, უარყოფდეს ქრისტეს მსჯულსა,
მირბობდენ მოქიეულნი, წინ უცემოდნენ წერილსა წულსა,
ზოგთა ეპურათ მტკიცედ მსჯულს, ქრისტესათვის დაჰსდენ სულსა.

მაშად ღონედ მოიგონეს ეს და მათ და მოქიეულთა,
აქმედნიან ღორის ხორცსა, შეუქმნიდენ გზით ზღართულთა,
აღარ ეძლოთ მათ ჰურიათ, მიქეოდენ თვსთა მსჯულთა,
ჰურიანი ნაქისობდენ, ებასრეოდნენ მათ მისრულთა.

ეთთა მათდა, ეგრეთ თქვენცა, მოგახმარებთ მახმედნიანთ,
რომ არ გეძლოსთ მისის ჭამით, შეეშთხეიენთ მუსაფიანთ;
თავს თუ მოხრავთ ძელიან-ყბიანთ, მადლი გექმნასთ ოსმანიანთ,
მაქის წყალო რაღად ვინდათ, ქონი ისეთი წვერთა თმანიანთ!.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამ ჩანარსა, იაკობ შემოქმედელის ნაშრომის ტექსტი ამ ხელნაწერებში ერთნაირია. ერთი, უმთავრესი, რედაქციული ნიშანი, რომელიც ამ ნუსხებს ახასიათებს და სხვებისაგან განარჩევს, ანტონ კათალიკოსისეული ორთოგრაფიაა, რომლითაც მთელი ტექსტი თავიდან ბოლომდეა გამსჭვალული. გვაქვს: მსთქუა, მსბრწიან, დაჰუნშენ, სამსჭუალნი, ჩტმნ-თჷს და მისთანები, ახალი ან რუსულიდან შემოსული ფორმები: მახმად, მახმა-დიანი, მიხელ, გაბრილ, (ნაცულად „მიქელ“ და „გაბრიელ“-ისა), პატრიარხი და სხვა.



აი, ძირითადი მაგალითები, რომლებითაც S 1511 და H 394 მიჰყვება და თავისებურებას გვიჩვენებს: 268-ე და 278-ე სტროფებში მესამე სტრიქონები მხოლოდ ამ ნუსხეებში ენაცვლება ერთმანეთს. 240-ე სტროფში რითმებია: მეტები, ხატები, კატები, ხლტები. მხოლოდ დასახელებულ ხელნაწერებშია: მეტია, ხატებია, კაცებია, ჰხლტებია.

წაკითხვები:

A 860 და სხვა ნუსხები:

9 დ მზად
11 ბ ებრდღინავთ
16 დ უმწყს იქმნების
34 ბ სულ სურნელებით
46 გ ასმენს
60 ბ იელტვის
118 დ ყავთ/ვართ
133 ა ჯართი
147 გ რამ
150 გ მათს
151 ბ ხბოს თავს
163 ბ რამ
193 გ უწოდა
214 გ მიმოსვლად
დ ნაცვლად
233,0 ხატთათვის
247 ბ კიდევ
279 ბ წყლით თუ
289 ა თქმა

S 1511 და H 394:

მზა
ებრდღინათ
უმწყემს იქმნეს
სუნ სუნელებით
ასმენს
იტყვის
არს
ჯავრით
—
მას
ხბოსა
რომ
ეწოდა
მიმსულელად
მცულელად
+ ესრეთ
კლდე
წყლითურთ
თქმანი

და სხვა.

უფრო საყურადღებოა ის ვარიანტები, რომლებსაც ეს ნუსხები იძლევა იმ ადგილას, რომლებიც A 860-ს აკლია. უპირველესად ისინი საინტერესოა A 860 ნუსხასთან მიმართების თვალსაზრისით. ვნახოთ ეს მაგალითები:

1. 157-ე სტროფის მესამე სტრიქონია:

„კარგს ავად იცნობთ, ავს — კარგად, ნათლითგან ღმერთმა მით გაქვსო“.

ეს სტრიქონი A 860, H 38 და S 2400-ში გამოტოვებულია. S 1511-სა H 394-ში გვაქვს სრულიად თავისებური ვარიანტი:

„სატანა წინამძღურადა გყავს, სული იმისკენ მიგაქვსო“.

აღსანიშნავია, რომ იგი ამ ნუსხეებში წარმოდგენილია არა მესამე, არამედ მეოთხე სტრიქონად.

2. 185-ე სტროფის მეოთხე სტრიქონი:

„თხა, მარცხნივ მყოფი ცხოვარის, ვეპვ, დანდებს გიზამს ვერძელსა“.

A 860 და მის მიმყოფ S 951 გ ნუსხაში „გიზამს“ გამოტოვებულია. S 1103-სა და H 2101-ში მის ადგილას იკითხება „შერება“ / „შრგება“, ჩვენთვის საინტერესო S 1511-სა და H 394-ში კვლავ ყველასგან განსხვავებული სიტყვაა — „იქმს“.

3. 202-ე სტროფის მეოთხე სტრიქონი:

„სწორს გზას დამცდარხართ, კლდეს მისდევთ, მართებულია ბრევებისა“.

აღნიშნული სიტყვები არ იკითხება A 860-სა და მის მიმყოლ S 1101, H 2101, S 951 გ ნუსხებში, S 1511-სა და H 394-ში ისევე განსხვავებული ვარიანტია — „თუთ თავის თქუენის მოკლვისა“.

4. 238-ე სტროფის მეოთხე სტრიქონი:

„დასცა, დაწვა, დაამტვრია, კერპნი შექმნა დანასულნი“.

ასეა ხელნაწერთა უმრავლესობაში, მათ შორის A 1103-სა და H 2101-ში, A 860-სა და S 951 გ-ში „დაწვა“ გამოტოვებულია. S 1511-სა და H 394-ში ისევე და იქვე თავისებური ვარიანტია — „მან და“.

5. 270-ე სტროფის მესამე სტრიქონის შესახებ ზემოთ გვექონდა მსჯელობა. S 342, A 860 და S 951 გ ნუსხებში იგი ნაკლულად არის წარმოდგენილი:

„ინჯილსა ეწერა მტერობით მოშალეს მით ამად“.

ნაჩვენები იყო, რომ ნაკლულ ორ მარცვალს ხელნაწერები სხვადასხვანაირად ავსებენ. მხოლოდ S 1511-სა და H 394-ში „მოშალეს“ შემდეგ დამატებულია „ბერძენით“.

თავის მხრივ, ყველა ეს მაგალითი, მსგავსებასთან ერთად, იმის მაჩვენებელია, რომ S 1511-სა და H 394-ს თუ მათ პროტოგრაფს A 860 ნუსხასთან ორგანული კავშირი აქვს.

S 1511 და H 394 აქა-იქ ემთხვევა S 2775-სა და S 1508 ნუსხებს და განცალკევებით დგას. აი, შედარებით მნიშვნელოვანი მაგალითები:

ხელნაწერთა უმრავლესობის წაკითხვები:

S 2775, S 1508, S 1511 და H 394-ის წაკითხვები:

97 ა მოწამეთა

მოწამეთა

109 დ ყორანს

ფურყანს

136, 0 წიგნი

წინა

192 ბ მრწმენეს (+ S 1508)

მწამდეს (მრწამდეს S 1511)

246 დ სომღულლობას

სონღულლობას

249 ა მსაჯულსა

მას სჯულსა

და სხვა.

ზოგიერთთან ისედაც ჩანს, კონტექსტის მიხედვით კი ყველასთან თვალნათლივია, რომ ამგვარი დამთხვევები შემთხვევითი ხასიათისაა და საერთო წყაროდან არ მომდინარეობს.

განსხვავება S 1511-სა და H 394-ს შორის მხოლოდ უმნიშვნელო ორთოგრაფიული და კალმისმიერი შეცდომებით განისაზღვრება. ნიმუშად მოვიყვანო პირველი-ათი სტროფის განსხვავებას:

S 1511:

H 394:

1 ბ სამგუამოენის

სამგუამოენის

გ სერაქიმნი

სერამლიმნი

დ წუთხნი

წუხნი

2 ბ ბორცუ

ბორც

უძრავ

უძურავ

3 ა გესვენ

გესუმენ

ბ შობითგან

შობიდგან

5 ა წინასწარმეტყუშით

წინასწარმეტყუშლოთ

ბ მესუტეთ

მესეეტეთ

გ გვედრი

გვერდი



დ განმხრწნელთა	განმხრწნელთა
ჰსიღღელთა	სიღღელთა
7 გ გამოსცნობდეს	გამოსცნობდეს
8 ბ მისად	მისდა
9 გ ჰბრძენთ	ბრძენთ
კარგად	კარგათ
დაეკემობ	დაეკემობ

მაშასადამე, S 1511 და H 394 ნუსხები ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან და ორივეს ერთად ზოგიერთი თავისებურება მოეპოვება, რითაც ისინი ცალკე გვუფად გამოიყოფა.

ახლა იმ საერთოს შესახებ, რომლებიც A 860, S 1103, H 2101, H 38, S 2400, S 951 გ, S 1511 და H 394 ნუსხებს ერთმანეთთან აქვს:

**S 842, S 2775-ისა და S 1508-ის
წყაიხებები:**

- 10 გ წულთა
- 22 გ ეს ორია
- 46 ა განიკურნის იქმნის
ბ ათქმევს
- 65 ბ ძეგლთა / ძეგლად / ძეგლთა
- 71 ა მოგვიტხრობს
დ ქულბაგს
- 74 ა ირჭებოდეს
- 81 ბ საბრვე
- 109 გ ნაუბარი
- 114 გ რამ
- 115 გ სადავის
- 118 დ ყათ
- 122 დ გესლს
- 130 ბ ვინ
- 135 ა მტერად

158 სტროფიდან აკლდება H 38 და S 2400 ნუსხები და ემატება S 951 გ.

- 180 გ სამშოელი
- 214 გ ყრუთ (+ H 394)
- 222 დ არა უყოს
- 233 0 წმინდათა (+ წმინდათ S 951 გ)
- 234 დ დვალს (+ 1511, დვალ H 394)
- 238 ა სძღენა
- 248 დ თქმულა
- 254 დ ბრდღენვა
- 255 გ ზედ მისის ხლით

- 261 გ თავის
- 281 ა ხაშს აბანოსა
(+ S 1511, H 394)
- 283 გ განმზადებელს³²
- 286 გ უტყვები
(უტყუმი S 1511, H 394)

**A 860, S 1103, H 2101, H 38,
S 2400, S 1511 და H 394-ის**

წყაიხებები:

- წულთა (წულთ H 2101)
- ექსორია (ექვს ორია H 38, S 2400)
- იქ მწამს განიკურნის³² (
იქი განიკურნის S 1103, H 2101)
- ითქმევს
- ძეთაგან (ძეთაგან S 1511, H 394)
- მოგვიტხრობს
- ამბობს (ფრად S 1103, ფდ H 2101)
- იჭრებოდეს (იჭრებოდის S 1103, H 2101)
- საქმე
- ნაბოძეარი (ნათებარი S 1103, H 2101)
- რომ
- სად არვის
- ვართ (არ S 1511, H 394)
- გულს
- მას
- მეტად (მეტათ H 38)

სამოელი (სამოველი S 1511)

- ყურთ
- არ (რა S 1508) უყოსო (უყოს H 2101)
- წიგნთა
- დავალს
- ძღვენი
- თუმცა
- ბრდღვა
- ზედაი სისხლით A 860, S 951 გ,
ზედათ სისხლით S 1103, H 2101,
ზედა სისხლით S 1511, H 394
- თვისი (მისი S 951 გ)
- ხაშსო ბანოსა

**განმზადებულს
იტყვები**

და სხვა.

³² „განიკურნის“ A 860-ში ზევიდან არის ჩაწერილი.

³³ საერთომ სიტყვაა.



აქვე უნდა მოვიხმოთ და ამავე რიგში განვიხილოთ აგრეთვე A 860-ის ნაკლები სიტყვები, რომლებსაც S 1103, H 2101 და S 1511, H 394 სხვადასხვაგვარად ავსებენ:

1. 185-ე სტროფის მეოთხე სტრიქონის („თხა, მარცხნივ მყოფი ცხოვარის, ვეპვ, ფანდებს გიზამს ვერძულსა“) „გიზამს“ A 860 და S 951 გ ნუსხებში გამოტოვებულია. მის ნაცვლად S 1103 და H 2101-ში არის „შვრება“ / „შვრება“, S 1511 და H 394-ში — „იქმს“.

2. 202-ე სტროფის მეოთხე სტრიქონში („სწორს გზას დამცდარხართ, კლდეს მისდევთ, მართებულია ბრძევისა“) A 860, S 1103, H 2101 და S 951 გ ნუსხები ხაზგასმულ სიტყვებს არ იცნობს. S 1511 და H 394-ში მათ ნაცვლად იკითხება „თვთ თავის თქუენის მოკლვისა“.

აღნიშნული რედაქციის ხელნაწერებიდან უფრო მტკიცედ შეკრულ ჯგუფს ქმნის A 860, H 38, S 2400, S 951 გ, S 1511 და H 394 ნუსხები. ბევრ შემთხვევაში, როცა ეს ნუსხები ერთად არის, S 1103 და H 2101-ის ჯგუფი S 342-ს ემთხვევა.

მიემართოთ ისევ ზემოთ დამოწმებულ A 860-ის ნაკლებ ადგილებს:

1. A 860-ში არ ჩანს 157-ე სტროფის მესამე სტრიქონი („კარგს ავად იცნობთ, ავს — კარგად...“). ამ სტრიქონს არ იცნობს აგრეთვე H 38 და S 2400, ხოლო S 1511 და H 394-ში სრულიად განსხვავებული ვარიანტია, თანაც მეოთხე სტრიქონად, S 1103 და H 2101 კი S 342-სა და დანარჩენ ნუსხებს მიჰყვება.

2. 238-ე სტროფის მეოთხე სტრიქონში S 342 და რამდენიმე სხვა, მათ შორის S 1103 და H 2101, ნუსხაში იკითხება სიტყვა „დაწვა“, A 860-სა და S 951 გ-ში იგი გამოტოვებულია, S 1511-სა და H 394-ში განსხვავებული ვარიანტია — „მან და“.

სხვა წაკითხვები:

S 842, S 1103, H 2101 და სხვა

ნუსხების წაკითხვები:

- 11 დ სატაცო
- 31 ბ, 37 ა სპათ
- 44 ბ უშზადეს
- 73 ბ მუდამ
- 75 დ მეოდა
- 77 გ დომეუზიანთა

- 94 დ მლალო
- 102 გ განაფიცები
- 108 ბ მოძღრობითა
- 115 გ სადავის
- 121 ბ და
- 129 ბ ზაიდა (+ S 1511, H 394)
- 132 ა მოკვდა რომ
- 133 ბ ბალდას ნაჟაფ

A 860, H 38, S 2400, S 1511 და

H 394 ხელნაწერთა წაკითხვები:

- სატაკანო (სატაკო S 1511, H 394)
- სპარსთ
- ემზადნეს (ემზადნეს S 2400)
- მრუდად
- მეორედა
- დომლუზიანთა (დომლუზიანთა S 1511, H 394)
- მელაო
- განაფიცები
- მოძღვრებითა
- სად არვის
- დგა
- ზაკვიდა
- ~
- ბალდად ნაჟაბ

უკვე ვიცით, 158-ე სტროფიდან H 38 და S 2400 თავის ჯგუფს შორდება და მათ ნაცვლად S 951 გ ემატება. 173-ე სტროფის მეორე სტრიქონში S 342, მისი ჯგუფისა და S 1103, H 2101 ნუსხები იძლევიან წაკითხვას „გამდიდრებული“. A 860, S 951 გ, S 1511 და H 394 ნუსხებში მის მაგივრად არის „გადიდებული“. და სხვა.

უეჭველია, S 1103 და H 2101 ნუსხათა ჯგუფის S 342-თან ეს მსგავსება შემთხვევითი ხასიათისა არ არის. არა გვეგონია, S 1103-ის გადამწერს დამატებით

სხვა დედნით ესარგებლა. მაშინ ვარიანტთა თანაფარდობა სხვაგვარი იქნებოდა. ვფიქრობთ, უფრო საეარაუდოა, S 1103 მომდინარეობდეს A 860-ის წინარე ხელნაწერიდან, რომელშიც არ იყო ყველა ის თავისებურება, რომელიც ახლა A 860-ში გვაქვს.

საერთოდ, A 860 და მის მიმდევარ ხელნაწერთა ჯგუფის პროტოგრაფი რომ S 342 ნუსხის ტიპისა არის, ეს ტექსტში თითქმის ყველგან იგრძნობა. ის კი არა და, ზოგიერთი მონაცემი იმგვარია, ექვს ბადებს, იგი უშუალოდ S 342-დან გადაწერილი ზომ არ არის. მაგალითად 155—177-ე სტროფებში მოთხრობილია, თუ როგორ შეიქმნა ბიბლიური წიგნები. შინაარსის შესატყვისი სათაური ამ თავს მხოლოდ S 2775 და S 1508 ხელნაწერებში აქვს: „უკეთუ წიგნთათვის გეთხვიდეს მოპმედიანი / მოპამადიანი, შენ ესრეთ არქვი / მიუგე“. „წიგნთათვის“ პირველადობას ბაგრატი ნაშრომიც ადასტურებს: „უკეთუ წიგნთათვის გეტყოდა მოპამედიანი, არქუ მას“ (9 v). A 860 და მისი ჯგუფის ხელნაწერებში „წიგნთათვის“ მაგივრად წერია „წმინდათათვის“ / „წმიდათათვის“, რაც გავიკრებებს იწვევს — საიდან გაჩნდა ამგვარი, ყოველად შეუსაბამო ვარიანტი. თითქოს შეცდომის სათავე S 342 უნდა იყოს. მასში აღნიშნული სიტყვა ასეა წარმოდგენილი: „წმინდათათვის“, სადაც, ჩანს, „დ“-ს ადგილას თავიდან „თ“ წერებულა და კალიგრაფს „დ“-დ თვითონ გადაუქეთებია. თვალნათლივია, S 342-ის პროტოგრაფში „წიგნთათვის“ წერებულა და ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს იგი დამახინჯებულად გადმოუღია. ამჟამად იპიც, A 860 და მის მიმყოფ ხელნაწერთა ჯგუფის პროტოგრაფს იგი შემდეგ „წმინდათათვის“ სიტყვად „გაუმართავს“.

მაგრამ გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც. მაგალითად: 197-ე სტროფის მეორე სტრიქონი S 342-ში ამგვარად იკითხება:

„თქვენც კრება ქნთ შეიხ მუფთაჲ ესქერი მდინეხითა“.

A 860, მის მიმდევარ და S 2775, S 1508 ნუსხებში „მუფთაჲ“-ის შემდეგ ემატება სიტყვა „ყაზი“. ცხადია, ეს უცხო სიტყვა საერთო წყაროს გარეშე ვერ გაჩნდებოდა. ხოლო როგორია ეს წყარო — პირდაპირი, უშუალო თუ დამატებითი — არ ვიცით.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, დანამდვილებით მხოლოდ ერთი შეგვიძლია ვთქვათ: A 860 და მისი მიმდევარი ხელნაწერთა ჯგუფი S 342 ნუსხის ტიპისა არის. მათ შორის არსებული სხვაობანი, უფრო კი თავისებურებანი, მათივე გადამწერის ან მათი წინარე ხელნაწერთა გადამწერ-რედაქტორების ნახელავია.

თუ ყოველივე ზემოთ ნათქვამს შევაჯამებთ, შემდეგ დასკვნებს მივიღებთ:

1. იაკობ შემოქმედელის „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ ხელნაწერები ერთმანეთისაგან მხოლოდ ორთოგრაფიული, გრამატიკული და ცალკეული სიტყვიერი და ფრაზეოლოგიური ნაირკითხვებით განსხვავდებან. ამიტომ მათ რედაქციულობაზე მსჯელობა პირობითია.

2. ამ ხელნაწერების ერთგვარი გამაერთიანებელია S 342. ყველაზე მეტი საერთო დანარჩენ ნუსხებთან მას აქვს. როდესაც ესა თუ ის ხელნაწერი ან ხელნაწერთა ჯგუფი გამოიყოფა, მასთან დგას სხვა ხელნაწერები ან ხელნა-


წერთა ჯგუფი. S 342-ს ინდივიდუალური რედაქციული ნიშნები თითქმის არ მოეპოვება. ეს ზოგადი მონაცემი და კონკრეტული ადგილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ავტორისეული ტექსტი ყველაზე უკეთ მასშია საძიებელი.

3. რამდენადმე დამოუკიდებელი რედაქციული სახეები აქვთ ცალ-ცალკე S 2775-ს, S 1508-სა და A 860-ს ყველა დანარჩენ ხელნაწერთან ერთად. ამ უკანასკნელიდან ქვეჯგუფებად გამოიყოფა: ა) S 1103, H 2101, ბ) H 38, S 2400 და S 951 გ (ფაქტობრივად H 38 და S 951 გ ერთი ხელნაწერია, გ) S 1511, H 394.

შეაძლებელია H 2101 უშუალოდ S 1103-იდან, ხოლო S 2400 H 38-იდან იყოს გადაწერილი და მათი თავისებურებანი მათ ვადაწერთ ეკუთვნოდეთ.

იაკობ შემოქმედელის „უსჯულოს მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“
ხელნაწერთა ურთიერთმიმართების

ს ქ ე მ ა



Б. Ш. ДАРЧИА

РУКОПИСИ „ПРЕНИЯ НЕВЕРНОГО МУХАММЕДА И ХРИСТИАН“
ИАКОВА ШЕМОКМЕДИНСКОГО

Резюме

В труде рассмотрены рукописи стихотворного произведения церковного деятеля и писателя XVII в. Иакова Шемокмединского — „Прения неверного Мухаммеда и христиан“, установлены их редакционные особенности и взаимоотношения, что изображено на приложенной схеме.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

კეთილხან ბიზარაშვილი

 გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებანი და ქართული
 სამწიგნობრო ტრადიციები

 გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა უშუალო
 ასახვა ქართულ მწერლობაში

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანები¹, ბუნებრივია, ასახებოდა ქართულ აზროვნებაში — თეოლოგიურ თუ მხატვრულ ლიტერატურაში. აქ ორი მხარეა გასათვალისწინებელი: 1. გრიგოლის და მისი თხზულებების ცალკეული ადგილების პირდაპირი თუ არაპირდაპირი დამოწმება ძველ ქართულ მწერლობაში, რომლის მაგალითები უამრავია, რადგან გრიგოლის თხზულებანი ყველაზე პოპულარული იყო ბიბლიის² შემდეგ და, როგორც ჩანს, იგი ერთგვარად გათავისებულად კი იყო ქართულ მწერლობაში. გარდა პირდაპირი დამოწმებისა („გრიგოლი იტყვს ღმრთისმეტყველი“ — გიორგი მერჩულე, გიორგი მცირე, საბას „სწავლანი“ და სხვ.), ხშირია გრიგოლის თუ მისი კომენტატორის სახეების, გამონათქვამების, განმარტებების გამოყენება და პერიფრაზირება ავტორის მოუხსენიებლად (ეფრემ მცირის ანდერძები, მემპატიაეები, მესობტეები³, საბას ლექსიკონი⁴ და სხვ.) 2. გრიგოლის თხზულებების გავლენა ქართულ საღვთისმეტყველო აზროვნებაზე, მისი შემოქმედების კვალი ქართულ მწერლობაში მხატვრული სახეების, ფრაზეოლოგიის, მსოფლმხედველობის თვალსაზრისით (მაგ., გრიგოლი, როგორც იოანე პეტრიწის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ან გრიგოლის უცნობი ციტირება, რომელიმე ასკეტური ძეგლიდან გადმოსული ქართულ მწერლობაში⁵ და სხვ.), ყოველივე ეს თხოულობს გამოწვლილვით კვლევას.

¹ გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული თარგმანი და უთარგმნელი ლექსებიც შესწავლილია იხ. ქ. ბიზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული ვერსია. საღვთისმეტყველო ნაშრომი, თბ., 1989. К. Безарашвили, Грузинская версия поэзии Григория Назианзина. Автореферат, Тб., 1990. იხ. აქ დასახელებული შრომები. გრიგოლის პოეზიათა თარგმანები შეისწავლება ხელნაწერთა ინსტიტუტში.

² J. Noret, Grégoire de Nazianze, l'auteur le plus cité après la Bible dans la littérature ecclésiastique byzantine:—Forschungen zu Gregor von Nazianz, Bd. 2, Paderborn..., 1983, p. 259—266.

³ ზ. სარჯველიძე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის იდენტიფიკაციისათვის. მაცნე, ისტ., არქ+ ეთნოგრ. და ზელოვ. ისტორიის სერია №1, 1976, გვ. 151—152. ცხორება მუფთ-მუფთსა დავითისი, მ. შანიძის გამოცემა, თბ., 1992, გვ. 121—127. ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები, თ. ოთხმეზურის გამოც., თბ., 1989, გვ. 57—62 (იხ. ამ შრომებში დასახ. ლიტერატურა).

⁴ თ. ოთხმეზურის დასახ. შრომა, მ. რაფაეა, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი სიტყვის გაგებისათვის („შური“). მაცნე, ელს, №3, 1989, გვ. 88—94. დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის ლექსიკოგრაფიული ხასიათის სქოლიოებისა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიმართებისათვის. იქვე, გვ. 68—77. ქ. ბიზარაშვილი, ეფრემ მცირე, ელინოფილები და ბერძენულ-ქართული ლექსწყობის საკითხები (იხ. ტერმინოლოგია). — ფილოლოგიური ძიებანი, II, თბ., 1995, გვ. 338—342.

⁵ იოანე პეტრიწი, შრომები, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1940, გვ. XXX—Ll. კ. კეკელიძე, ძველ ქართულ ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 302—303. იხ. ე. კელიძე, ძიებანი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის შესახებ. ფილოლოგიური ძიებანი II, 1995, გვ. 164—167, მისივე, იოანე პეტრიწის ერთი წყაროსათვის („ჩემი იგი აბტიკალი“). კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესია, 20. XI. 1995.

ამჯერად უმთავრესად ვეხებით გრიგოლის პოეზიის კვალს ქართულ მწერლობაში, მისი პოეტური ხატისა და სიტყვის გათავისებას ქართულ მხატვრულ აზროვნებაში. გზადაგზა მიემართავთ მის სხვა შრომებსაც — პომილიებს, ეპისტოლეებს. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია გრიგოლ ნაზიანზელის დიდაქტიკური პოეზიის (ეფრემ მცირის „ასეული იამბიკოს“) გაკლენის კვალი არჩილის დიდაქტიკურ პოეზიაზე („ლექსნი ასნი ორმუხლნი“)⁶. იმავე თხზულებას — „ასეულ იამბიკოს“ ასახელებენ იოანე პეტრიწის „სათნობათა კიბის“ ერთ-ერთ წყაროდაც⁷. მსგავს სენტენციურ გამონათქვამებს შეიძლება შევხვდეთ ამ ტიპის თხზულებებს შორის, მაგ., „უქმო საქმე სჯობს უსაქმოსა სიტყუასა“ (ოთხტაპედის ანონიმური თარგმანი, PG 37, c. 1, 2, 33, სტრ. 6, 1. შდრ. „სჯობს საქმე უქმო სიტყუასა უსაქმოსა“ — ეფრემ მცირის „ასეული იამბიკოს“. 9, 1; იოანე პეტრიწი, სათნობათა კიბე, ი. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1968, თ. XI, ტაეპი 106). შდრ. მათე 12, 36⁸. ასეთივეა „სჯობს უყრმოა, ვიდრე სულელია ქონება შეილთა“ (ოთხტაპედი, I, 2, 32, v. 41—42). შდრ. დ. გურამიშვილი: „სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა უწვრთნელის შვილის ყოლასა“ (უწვრთნელი ძაღლის ყოლა თავისი მნიშვნელობით ამ კონტექსტში გრიგოლ ნაზიანზელის სენტენციის უყრმოობას უტოლდება — უწვრთნელ სულელ შვილს ან სულ უშვილობა ან ძაღლის, თუნდაც უწვრთნელის ყოლა სჯობია) და სხვ. (შდრ. ეფრემ მცირე, არჩილი. — ლ. მენაბდე, დასახ. სტატია, გვ. 725—726).

საგულისხმოა ერთი ასეთი მაგალითიც. „სიბრძნე სიკრულისას“ ზოგი სახე თავისი ბუნების — სახისმეტყველებითი განმარტების მიხედვით ჩვეულებრივი მეტაფორა ან ეპითეტი კი არაა („ამხანაგი — ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაღლე დაურღვეველია. ამხანაგი — ლხინი ფრიადია... ამხანაგი — გულთათელია...“ — „თათვალი“), არამედ უფრო მეტი კავშირი აქვს „სიტყვის კონაშო“ მოცემულ სახისმეტყველებით გააზრებასთან („კერპი — აჩრდილიაო არსებისა“ და ა. შ.). ეს ტრადიცია შედარებულია გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიასთან⁹ („სიცილი — ლაწუთა დუღილი, ...ქალწულება — განსლვაჲ სხეულისაგან... მარხვა — მტერისა ბრძოლისა მიმართ განსლვა...“ — „საზღვარნი ზრქელკერძობითნი“. I, 2, 34)¹⁰ და მიჩნეულია, რომ არის პატრისტიკული

⁶ ლ. მენაბდე, არჩილის ერთი თხზულების წყაროსათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXI: 3, 1963, გვ. 723—728.

⁷ ი. ლოლაშვილი, ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან, თბ., 1980, გვ. 167.

⁸ შდრ. Iulian. or. VII, H. L. Davids, De Gnomologieën van sint Gregorius van Nazianz, Utrecht, 1940, p. 32.

სხვათა შორის, ბერძნული სენტენციური გამონათქვამები უხვადაა გრიგოლის გნომურ ლექსებში. ასე რომ, გასაკვირი არაა მათთან შეხვედრა ქართულ დიდაქტიკურ პოეზიაშიც. ქართული მწერლობის ძველში დადასტურებულია ბევრი მაგალითი ასეთი სენტენციებისა (მაგ., ლომისა და შაიშენის დაპირისპირება, ბორბტის შიერ სიყვითის ვერ ქმნა, კრჩხობის მრუდელ სიარული და სხვ.), რომელთა წყაროდ გრიგოლის პომილიებს ასახელებენ (იხ. ცხორება მეფეთ-მეფისა დაეთისი, მ. შანიძის გამოც., თბ., 1992, გვ. 122—124). ისინი გრიგოლის პოეზიაშიც გვხვდება (ოთხტაპედი 24, 4; 48, 3; ორმუხლუდი 121—122. შდრ. წყაროები: პლატონი, სოლონი, თეოგნიდ, მენანდრე, ევრიპიდ, არისტოფანე და სხვ. — ლ. დე-ოტისი, დასახ. წიგნი, გვ. 98, 116, 69—70). შდრ. I, 2, 27; v. 1—2; 11, 1, 11; v. 408; or. 43, or. 26.

⁹ რ. სირაძე, სახისმეტყველებითი გააზრება სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაშო“, ეურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, 2, გვ. 227.

¹⁰ ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების ანონიმური ქართული თარგმანებიდან, თსუ შრომები (ლიტერატურათმცოდნეობა), 285, 1989, გვ. 156—165.



სახისმეტყველებითი განმარტების წესი, დამახასიათებელი სახისმეტყველებითი განმარტებისათვის საბას ლექსიკონშიც (შდრ. ეფრემ მცირის თეოლოგიური ლექსიკონი — ფსალმუნთა განმარტებებისათვის) და იგავეზშიც (იგულისსმება იგავეური მნიშვნელობის სიბრძნით გაშუქება), სადაც სიტყვის სულიერი, იგავეური, ლოგოსური შინაარსი არის გახსნილი ჩვეულებრივი მნიშვნელობის მიღმა (შდრ. სახარებისეული იგავეები)¹¹.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ ასეთი განმარტება დამახასიათებელია გრიგოლ ნაზიანზელის როგორც პოეზიისათვის, ისე ჰომილეტიკისათვის და, საერთოდ, ორატორული ხელოვნებისათვის (რამდენადაც ორატორული ხელოვნება, როგორც სასკოლო ნორმა, შუა საუკუნეების მწერლობის ყველა ეანრს მოიცავს)¹². საბასეული მაგალითი „ამხანაგისათვის“ („სიბრძნე სიტყვიდან“) ამ შემთხვევაში პირდაპირ პარალელს ამჟღავნებს გრიგოლ ღვთისმეტყველის XI ჰომილიასთან („გრიგოლის მიმართ ნოსელისა“). რიტორიკული ხელოვნების ეს თავისებურება, ისევე როგორც რიტორიკის ყველა სხვა თავისებურება, ეფრემ მცირის თარგმანშია დაცული: „მეგობრისა სარწმუნოესა არაა არს ნაცვალის საცვალელებ არსთაგანი არცა ერთი, არცა რაა საწონ სიკეთისა მისისა. მეგობარი სარწმუნოა — საფარველი მტკიცე (ეკლ. 6, 14—15) და განმაგრებულ სამეუფო; მეგობარი სარწმუნოა — საუხჯე სულიერი... მეგობარი სარწმუნოა — ნავთსადგურ განსუენებისა“ და ა. შ. „ხოლო უკუეთუ ძეცა ნათლის (ი. 12, 36; ეფეს. 5, 8), გინა კაც ღმრთის (IV მგ. 1, 9; I ტიმ. 6, 2)... ეგერა ნიჭ ღმრთისა...“ და ა. შ. (A — 109, 116r; PG 35, col. 832, B 10 — C 5. შდრ. ეფთვიმეს თარგმანი: „მეგობარი სარწმუნოა საფარველ არს მტკიცე“ და ა. შ. (A-1, 242v).

საბას საგარაუდო წყარო აქ ორია და ორგვარია. ერთი მხრივ, საბას სენტენცია — „ამხანაგის უკეთესსა შენ რას იშოვნი? ამხანაგი თუ არ სიყვარული, საქიშპო არა არის რა“ უშუალო პარალელს პოულობს აღნიშნული ჰომილიის ფრაზასთან — „მეგობრისა სარწმუნოესა არაა არს ნაცვალის სანაცვლებელ...“ და გრიგოლის პოეზიასთანაც: „არაა უმჯობეს მოყუარეს მონაგები, ბოროტსა კაცსა ნუ მოიგებ მოყუარედ“ (ორმუხლელი, v. 97—98¹³). საბას მსგავსია ზემოთ წარმოდგენილი მთელი მონაკვეთი გრიგოლის XI ჰომილიისა. მეორე მხრივ, ორგვარია იმიტომ, რომ იგი სარგებლობს არა მხოლოდ უშუალოდ წყაროს ფრაზეოლოგიით, არამედ წყაროს მეთოდითაც — ეს კი რიტორიკული მეთოდია, პოეზია იქნება გრიგოლისა თუ პრიჩა.

მსგავსი საერთო ადგილები და გააზრება შეიძლება უამრავი დაიძებნოს ქართულ მწერლობაში, მაგრამ, მეორე მხრივ, საგულისხმოა უფრო სხვა, კერძოდ, ის, თუ ფრაზეოლოგიურად, ინტონაციურად როგორ ესადაგება ქართველი მწერლის სიტყვა თავის „წყაროს“, ან შეიძლება გრიგოლ ნაზიანზელი რომელიმე კერძო შემთხვევაში უშუალო წყარო არ იყოს. მაგრამ იგრძნობოდეს ავტორის ასოციაციური მიმართება ლიტერატურასთან, რომლითაც ის ღებულობდა განათლებას, ანდა შეიძლება უბრალოდ ტიპოლოგიურ თანხვედრასთან გვჭონდეს საქმე. იმის საჩვენებლად, თუ როგორაა გათავისებული გრიგოლი ქართულ მწერლობაში, მისი პოეზიის ნიმუშების მოხმობა მოგვიხდება ყველაზე მეტად. გრიგოლის ორატორული პროზის გაველენა ბუნებრივიც იყო ნებისმიერ

¹¹ რ. სირაძე, დასახ. წერილი, გვ. 221—240.

¹² H. Hunger, Aspekte der griechischen Rhetorik von Gorgias bis zum Unter-gant von Byzanz, Wien, 1972 გვ. 3-27. M. Guignet, St. Gregoire de Nazianze et la Rhetorique, Paris, 1911, გვ. 104—120, 135.

¹³ წყაროდ დასახელებულია ანტიკური სენტენცია (კერძოდ, კინიკოსთა). იხ. პ. ლ. დე-ვიდსი, დასახ. წიგნი, გვ. 69.

მწერლობაზე, რადგან იგი სასკოლო ნორმა იყო, პოეზიაში კი უკეთ წარმოჩენდება ის, თუ რა იზიდავდა ერის სულიერ ძალას და რით საზრდოობდა იგი უმეტესად.

გრიგოლი ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი ღირსებებით შემკული პოეტია ბიზანტიელ ჰიმნოგრაფთა შორის, ხოლო ქართულად ნათარგმნ ბერძენ პოეტებს შორის მისი აღსარებითი ჰიმნები ამავე თვისებით გამოირჩევიან, ამიტომ მისი შემოქმედების გავლენა (თუ შორეული გამოძახილი, თუნდაც არაპირდაპირი და გაუცნობიერებელი) შემდგომდროინდელ ქართულ პოეზიაზე სწორედ მისი პოეზიის ამ თავისებურებით უნდა იყოს გამოწვეული¹⁴. ვფიქრობთ, რომ მის მცირე მოცულობის ჰიმნთა პოეტური სამყარო, მხატვრული სახეები, მხატვრული ენა (რამდენადაც ისინი ჰიმნოგრაფიის ძირითადი მოტივებია, განწყობილებების ორიგინალური და ინდივიდუალური დამუშავებით, განცდის სიღრმითა და პიროვნული ხასიათით გამოირჩევიან) ირეკლება ქართულ პოეზიაში ტიპოლოგიურად მახლობელი სახეების სახით. კერძოდ, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიას ფრაზეოლოგიურად, ინტონაციურად, მსოფლმხედველობით ტიპოლოგიური პარალელები აქვს ქართული მხატვრული აზრის განმაახლებლებთან — დ. გურამიშვილთან და ნ. ბარათაშვილთან (პიროვნულ-ინდივიდუალური „მე“-ს გაძლიერების თვალსაზრისით). ეს გაააგებიცაა, რადგან ქართულ მწერლობაში ბერძნული არალიტურგიკული პოეზიიდან მხოლოდ გრიგოლის პოეზია ჩანს საკუთრივ ლიტერატურული ინტერესებით თარგმნილი¹⁵ (გრიგოლი კი ყველაზე დიდი წარმომადგენელია ბერძნული არალიტურგიკული პოეზიისა). ხოლო თავად ფაქტი მისი გადაწერისა და არსებობისა XVIII—XIX საუკუნეებში ერთ-ერთი გამოხატულება უნდა იყოს ევროპეიზმისა ჩვენს მწერლობაში. ესთეტიკურ აზროვნებაში აღმოსავლურობის დაძლევის თვალსაზრისით ქართულ რომანტიზმს წინ უსწრებს სწორედ გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ხელნაწერი კრებულები.

სანამ უშუალოდ ამის განხილვაზე გადავიდოდეთ, მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს იმის დასადასტურებლად, რომ გრიგოლის ლექსების ქართული თარგმანები გავრცელებული იყო XVIII—XIX საუკუნეებში და მხოლოდ ხელნაწერთა გადაწერების ცნობიერების არეში არ ტრიალებდა.

გრიგოლის პოეზიას რომ კითხულობდნენ და იცნობდნენ XVIII საუკუნეში, ამას ადასტურებს ერთი XVIII ს. ანონიმური 16-მარცვლიანი მინაწერი ანბანთ-

¹⁴ იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის სახისმეტყველება, თსუ შრომები, 261, 1986, გვ. 121—142. მისივე, გრიგოლ ნაზიანზელის ერთი ჰიმნის ძველი ქართული თარგმანის ინტერპრეტაციისათვის, „მაცნე“, ელს, 1982, № 4, გვ. 68—79. მისივე, სიმბოლურ სახეთა ტრანსფორმაცია ჰიმნოგრაფიაში, „მაცნე“, ელს, 1983, № 3, გვ. 66—84. მისივე, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობიდან. თსუ შრომები, 269, 1987, გვ. 80—95. აღნიშნული შრომები ადრეულ პერიოდშია შექმნილი, როცა ემპირიული გატაცებით ვეყრდნობოდით ნაირგვარ ლიტერატურას (მათ შორის ზოგჯერ თეოსოფურსაც) და დიალექტიკის კანონზომიერებებიდან გამომდინარე მივაჩინდა, რომ ქრისტიანული შინაარსი თანდათან უნდა შემოსულიყო ბერძნულენოვან ჰიმნოგრაფიაში. განვადებთ რა „ეკრეჯალს“ ამ შრომიდან, ეტოვებთ მათში ყველაზე არსებითს — გრიგოლის პოეზიის სიმბოლური სახეების მიმართებას შემდგომდროინდელ ლიტურგიკულ ჰიმნოგრაფიასთან, რათა შეძლებისდაგვარად ცხადვყოთ ქრისტიანული პოეზიის განვითარების გზა და წმ. გრიგოლის პოეზიის ადგილი მასში.

¹⁵ იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული ევრსია, სადი-სერტიკისი ნაშრომი, თბ., 1989, გვ. 202—236 (თავი V, § 2, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული ევრსიის შემქმნელი მწიგნობრული სკოლა და ეპოქის ლიტერატურული ინტერესები).



ქება („ქებანი მამათანი“) X ს. ხელნაწერზე (A-86, 82v. იაკობის წირვა)¹⁶:

„არონ ვახსენით პირველად. უწინ იყო ძველი მღვდელი,
ბართლომეს ქება შეუთხზავთ, განგვათლა ლამე ბნელი,
გრიგოლს გუტაცებენ ეშმაკი, ვით რომ ნაყროვანი მგელი,
დიონოსისა ვაქებდეთ, მოგვძლუნა ქრისტეს ძელი“.

მინაწერის ავტორი უნდა იცნობდეს გრიგოლის პოეზიის შინაარსს (საფიქრბელია, ქართულ თარგმანში)¹⁷. უნდა იცნობდეს გრიგოლის ჰიმნურ-აღსარებებს ბოროტთან, დემონთან შინაგანი ბრძოლის შესახებ, სადაც ბოროტის, სატანის, ეშმაკის სახე ხშირად მგელთანაა შედარებული, მაგ.,

„ვიდრემდე მტერი გიპარავს ზაყუვათა მიერ.../ მოგვ ლეწათა მიერ...
მიგპარავს შენ, მიგპარავს ბოროტი...“ (A : S 256B, 56v; c. II, 1, n. 80)
„ნუსადა პარეით მტერმან თან-წარმიტაცოს
ჭოჭოხეთისა მწარეთა ბჭეთა სიღრმედ.
ბოროტ არს ესე. მზირ მოყურეთა შენთა...“ (A 53v; c. II, 1, n. 62)
„მომპარე გულსა მაცთურითა ლეწითა...“ (A 54; c. II, 1, n. 58)
„და კულად მოვალს მზირად მგელი ჯნოსათს,
გლიწნის, გიტაცებს ველურითა კრომითა,
ვიდრემდის არა შორს მყოფელი ღმრთისაგან
საქმელად კბლთა მომსრუელთა მიგყევანოს...“ (A 53v; c. II, 1, n. 79)

(იხ. აგრეთვე გრიგოლის პოეზიის ნათარგმნ ტექსტებში მთელი თავი „ბოროტისა მიმართ“¹⁸ და სხვ. უთარგმნელი ლექსებიც — PG 37). გრიგოლის ჰომილიებშიც გვხვდება მგლის სახე (ὁ λύκος) ბოროტების აღსანიშნავად ბერძნული ტექსტის კონკორდანსის მიხედვით¹⁹. მართალია, ეს სახე ხშირად გვხვდება საზოგადოდ ქრისტიანულ მწერლობაში (მაგ., იოანე ოქროპირის ლოცვაში ნათქვამია: „მეყავნ მე ნაკვერცხალი ყოვლადწმიდისა ბორცისა და უხარწნელისა სიხლისა შენისა განმწმედელ და განმანათლებელ... რაათა არა მრავალყამ განშობებული ზიარებისა შენისა სანადირო ვიქმნე გონიერისა მგელისა“ და სხვ.), მაგრამ ვფიქრობთ, ზემოთ დასახელებულ ეპიგრაფაში შინაარსობრივად და ფრაზეოლოგიურადაც სწორედ გრიგოლის პოეზია იგულისხმება. ვინც კარგად იცნობა გრიგოლის პოეზიას, მისთვის უცხო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ამ პოეზიისათვის მეტად დამახასიათებელია აღნიშნული სახის ხშირი გამოყენება სწორედ ზემოთ წარმოდგენილი შინაარსით.

გრიგოლის პოეზიისადმი ინტერესი არც XIX საუკუნეში ნელდება. ამდროსაა ვადწაწერილი მისი ზოგიერთი ხელნაწერი. მისი ერთი სენტენციური ლექსი („სტქუა ვინმე ოქროსმოყუარეთამან...“ A 52v; c. 1, 2, n 39) თეიმურაზ

¹⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერლობა (A) I, თბ., 1973, გვ. 300. არეოპაგიტული კრებულის, დიონისე არეოპაგელ და პეტრე იბერი ძველი ქართულ მწერლობაში, ი. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1983, გვ. 105.

¹⁷ გრიგოლი და მისი შემოქმედება რომ ვათავისებელი იყო ქართულ მწერლობაში, ამას ცხადყოფს მისი განმარტებული ქართული სახელწოდება — ლეთსმეტყველი, ისევე როგორც დავით ეწოდება ფსალმუნს, დიონისოს — დიონისე არეოპაგელის წიგნს, ასეთივეა „ფერემა“, „დამასკელი“ და სხვ. შდრ. გაბრიელ მცირე: კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტ. ისტ., I, გვ. 401. წარმოდგენილ შემთხვევაში გრიგოლი სახელითაა მოხსენიებული დიონოსისთან ერთად.

¹⁸ ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის ჰიმნების ანონიმური ქართული თარგმანები (წინასიტყვაობა და ტექსტები), თსუ შრომები (ლიტერატურათმცოდნეობა), იბეჭდება.

¹⁹ Thesaurus Sancti Gregorii Nazianzeni. Enumeratio lemmatum. Orationes, Epistulae, Testamentum, curantibus J. Mossay et CETEDOC Universitas Catholica, Lovanii Novi, Brepols. Turnhout, 1990.



ბაგრატიონის მოხმობილი აქვს იამბური ლექსის სახედ²⁰ და ნუსხურ ნიმუშად²¹ ჩანს, რომ ფრაზები გრიგოლის პოეზიიდან დამკვიდრებული იყო ამ პერიოდის მოღვაწეთა ცნობიერებაში. გრიგოლის ეს სენტენცია მისი გნომური ლექსებიდან ანტიკური სენტენციის ნიმუშზეა შექმნილი (*Gutta fortunae prae dolio sapientiae* — წვეთი ბედნიერებისა მთელ კაპრ სიბრძნეზე უმჯობესია) და ესეც უწყობდა ხელს მის საყოველთაო გავრცელებას. თეიმურაზ ბაგრატიონს რომ ზეპირად მოჰყავს გრიგოლის ზემოთ დასახელებული ლექსი, ჩანს იქიდან, რომ ერთგან „წუეთის“ ნაცვლად „ცუარი“ წერია („მთნავს ცუარი სვსა, ვიდრე ცუარი სიბრძნისა“). მთარგმნელი კი შეგნებულად გაუზრბის სიტყვა „ცუარის“ ორჯერ ხმარებას ლექსში და ერთგან მას ცვლის სიტყვით „წუეთი“ („წუეთი სვსა“, „ცუარი სიბრძნისა“). „წუეთის“ ადგილას „ცუარი“ არც ერთ ჩვენთვის ცნობილ ნუსხაში არაა (მათ შორის არც პეტერბურგულ ნუსხაში თეიმურაზის კოლექციიდან. L: c-9). თეიმურაზი აკროსტიქულ იამბიკოსაც უძღვნის გრიგოლ ღვთისმეტყველს (აკროსტიქში იკითხება: გრიგორი), როგორც მართლადმარებელს, დრკუ რიტორთა ღვარძლის აღმომფხვრელს, იესო ქრისტეს განმაცხადს²².

სხვათა შორის, გრიგოლის ლექსები მარტო სასულიერო დანიშნულებისათვის არ გადაიწერებოდა (ანტონის სკოლა). მისი შემცველი ზოგი ხელნაწერი საერო წრეებისთვისაც ჩანს შექმნილი. მაგ., L: c-9 თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ ან მისი შეკვეთითაა გადაწერილი 1788 წ. D: S-379 კი დავით დიდიანის, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, ქართულ ხელნაწერთა კოლექციონერის და მწიგნობრის შეკვეთითაა გადაწერილი XIX ს-ში მისი ბიძის გრიგოლ წერეთლის ნაქონი (ხაჭარია არქიმანდრიტი ავან ნაბოძები) ხელნაწერიდან (C: S-348). გარდა ამისა, ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა ურთიერთმიმართებიდანაც ჩანს, რომ უნდა არსებულებოდა კიდევ სხვა შუალედური ხელნაწერებიც არსებულ ხელნაწერთა შორის²³, ე. ი. ხელნაწერი იყო უფრო მეტი, ვიდრე დღეს ჩვენ ვიცით. ამიტომ, როგორც ჩანს, მათში მოთავსებული გრიგოლის პოეზიაც ფართოდ გავრცელებული თუ არა, ხელმისაწვდომი მაინც უნდა ყოფილიყო XVIII—XIX სს. განათლებული წრეებისათვის, რომლებიც ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნით თუ ორიგინალური ნიმუშებით იზრდებოდნენ, და შესაძლოა, უცხო არ ყოფილიყო დ. გურამიშვილისა და ნ. ბარათაშვილისათვისაც.

რაც შეეხება ფრაზოლოგიურად მახლობლებლობას და ტიპოლოგიურად პარალელურ სახეებს, ასეთია, მაგ., ქრისტიანულ მწერლობაში ფართოდ გავრცელებული სენტენცია: „შეიცან თავი შენი“ (ყნბზ: *სეაჲტნ*). შდრ „ეძიებდნთა“ (*ქრესაჲ აჲტნ*—ოთხტ. 14,1; შდრ. ამ სტროფის კომენტარი: „იხილე თავი თვისი“—*ქრესაჲ აჲტნ*; შდრ. ოთხტ. 34 კომ. *ყნბზაჲჲ აჲტნ*—ქართულ თარგმანში ეს ფრაზა არაა). შდრ. „ცან თავი თვისი“ (*ქრესაჲ აჲტრჲ*—

²⁰ თ. ბაგრატიონი, გვარნი ანუ საზომი ქართულისა ენისა სტიხთა. ქართული პოეტის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.), გ. შიქიძის რედ., თბ., 1954, გვ. 39, 71.

²¹ ს. პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი H-11, თეიმურაზ ბაგრატიონის ლთოვრაფიული ფაქსიმილე 1821 წ., ასმთავრული, ნუსხური და ხეველი წერის ნიმუშები (P. P. Орбели, Грузинские рукописи, ИВ, АН СССР, I, М.-Л., 1956, გვ. 156).

²² თ. ბაგრატიონი, მხატვრული თხზულებები, ლ. მეფარიშვილის გამოცემა, თბ., 1987, გვ. 29.

²³ იხ. ქ. ბეზარაშვილი, დასახ. საღვთისწიკო ნაშრომი, თ. III, ხელნაწერები და მათი ტექსტობრივი თავისებურებანი, გვ. 109—125.

c. II, 2 n. 78, v. 2 „საკუთარი სულისადმი“)- შდრ. გამოკრებილი სენტენციების კრებული გრიგოლის თხზულებათაგან (XVIII ს. კრებ. S—63, 50 r)²⁴; „იციან თავი შენი კეთილად: რომელი ვინ ხარ და რომელი ვინ იქმენ და ესრეთ სადმე ადვილად მიემთხვიო სიკვდილსა დასაბამ სახისა“. ამის წყარო უნდა იყოს გრიგოლის გნომური ორტაბედი—PG 37, c. I, 2, 31, V. 7—8; Γνωθι: σεσαυτόν ἄριστε, πῖθθεν καὶ γστει; ἐτῆχθη; || Ρεῖθ᾽ κεν ἄνε τῆχῃ καλλεος ἀρχετῆπος²⁵. „შეიცან თავი შენი, კეთილო, თუ რისგან და როგორ ხარ შექმნილი და ანუ ადვილად მიეახლები პირველსახის მშვენიებას“ (მხოლოდ ამ გამოკრებილ სწავლანში სიტყვა „მშვენიერის“ — καλλεος — ნაცვლად არის სიტყვა „სიკვდილი“). ეს გამონათქვამი: „გამოიძიე თავი შენი, თუ ვინ ხარ“, „იხილე თავი შენი“, „გულისკმა-ყავ სული შენი“ და მისთ. გვხვდება დიდი კავადოციელების — ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნოსელია, გრიგოლ ნაზიანზელის შრომებში, მათ შორის, როგორც ვხანხეთ, ხშირია გრიგოლის პოეზიაში და კიდევ ბევრ სხვა ქრისტიან ავტორთან, მაგრამ ფრაზეოლოგიურად, ინტონაციურად, ასოციაციურად დავით გურამიშვილის ცნობილი გამონათქვამი უფრო გრიგოლის ერთი ლექსის ანონიმურ ქართულ თარგმანს ეხმარება:

—იციან თავი თვისი: ვინ ხარ და სადა მიხვალ,
 ვინაა მოხუდ შენ და სადა დგომაა გიორს“
 (S-2568, 53v; PG -37, c. II, 1, n. 78)
 „უმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
 ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“
 (დ. გურამიშვილი)

გამორიცხული არ არის, გურამიშვილს ხელთ ჰქონოდა გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ანონიმური თარგმანების შემცველი რომელიმე XVIII ს. ჩვენთვის ცნობილი ან უცნობი კრებული (ან მიიღო ლიტერატურული ვარემოდან — ეახტანგ VI-ის მწიგნობრული წრიდან იცნობდა მას. ისევე როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული შეხედულებით, ამავე წრიდან უნდა სცოდნოდა მას არეოპაგიტული კორპუსის ეფრემ მცირისეული თარგმანები, როგორც მისი მისტიციზმის ერთი შესაძლებელი წყარო)²⁶, მაგრამ დასაშვებია უბრალო თანხედრაც. დ. გურამიშვილიც საკუთარ ცნობიერებაში ჩაღრმავებული, თვითშემეცნებით დაკავებული პოეტია²⁷. პიზნოგრაფიული პოეზიის ზემოქმედება კლასიკური და აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაზე და, კერძოდ, დ. გურამიშვილის პოეზიაზე (როგორც ფორმის, ისე იდეურ-თემატიკური თვალაზრისით) ცხადყოფილია ჩვენს მეცნიერებაში²⁸.

²⁴ ამ ტიპის გამოკრებილი სწავლანებისათვის იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ქართული ვერსიებიდან (ეფთვიმე ათონელის „სწავლანი სულიერნი“); მრავალთავე, XVI, 1991, გვ. 72.

²⁵ ანტიკური პარალელებია: სოკრატე, კინიკოსები და სხვ. იხ. ჰ. ლ. დევიდსი, დასახ. წიგნი, გვ. 26.

²⁶ ნ. ნათაძე, „დავითიანის“ დიდი საიდუმლო, ლიტერატურული წერილები, თბ., 1973, გვ. 214—237 (იხ. გვ. 222—228).

²⁷ თვითშემეცნების ანალიზის შესახებ გრიგოლის პოეზიაში იხ. დასახ. სტატიები: „გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის სახისმეტყველება“ და სხვ. (სქოლიო 14).

²⁸ ს. ცაიშვილი, დავით გურამიშვილი, თბ., 1986, გვ. 38.



ორ გვარი სიბრძნის ურთიერთ მიმართებულ უკუაწესულ
გამოხატულება გრიგოლისა და დ. გურამი უკუაწესულ
შემოქმედებაში

ზემოთ დასმულ კითხვაზე დ. გურამიშვილი ბიბლიურ-ქრისტიანული პასუხის ცოდნას გულიანობას, ისევე როგორც გრიგოლი. ამას ცხადყოფს დავითის მცნებისა და სწავლა-მოძღვრების არაერთგზის მოხსენიება და ასეთი სტროფიც: „ურიათ გმეს და უარყვეს უფალი ტკბილი იესო, / მათ მიაი სწავლა-მოძღვრება არარად მიიჩნიესო“²⁹. საკუთარი თავის შეცნობა ღმერთის შეცნობას ნიშნავს, საკუთარი ღვთიურ დაწესებული არსის ცნობას, ღვთაებრივი სახის, პირველსახის პოვნას თავის თავში, სამყაროს გაცნობიერებას, ადამიანის, სამყაროს არსის, წესრიგის გააზრებას, საკუთარი წარმომავლობის, ცოდვების გაცნობიერებას, კაცობრიობის სულიერი ისტორიის ცოდნას — ღვთის ხატად შექმნილობა, ცოდვით დაცემით სულიერი სამოთხიდან გამოძევება, პირველქმნილი პარაფრაზის დაკარგვა, მიწიურ არსებობაში ჩამოსვლა და შემდგომ კვლავ დაკარგულის მოპოვება და გზა ხსნისაყენ, მომავალი მარადიული ცხოვრებისაკენ ქრისტეს შემწევობით განწმენდის და განღმრთობის საშუალებით. თავის ცნობა ქრისტეს ცნობას ნიშნავს საკუთარ თავში („არა უწყნითა თავნი თვნი, რამეთუ იესუ ქრისტე თქუენ ჴორის არს?“ — I კორ. 13, 5), ღვთის ნების გაცნობიერებას („გულისხმა-ჰყოფდით, რამ-იგი არს ნებად ღმრთისაჲ“. ეფეს. 5, 17). ეს კი ზღვით, სულიერი, ზეგარდმო სიბრძნის (ლ. 11, 49; კათ. ეპისტ. 1, 5; 3, 17), „უხილავი საუნჯის“ (დ. გურამიშვილი) შეცნობისა და მოპოვების გზაა, რომელიც ადამიანური გონების ნაყოფი არაა და მიუწვდომელია მისთვის. უპირველესი ცოდნა, რაც ადამიანმა უნდა მიიღოს, სწორედ ეს საღვთო ცოდნაა — განსჯა ქრისტიანობის არსზე: „დაიწყო სიტყვა სიბრძნისა, პირველ ბრძენთაგან ბრძნობილი, / მის მგრძნობელისა დიდისა სულია მიერ გრძნობილი, / შევაკო ერთი უფალი...“ და ა. შ. (დ. გურამიშვილი). იგი „საიდუმლოდ დაფარული სიბრძნეა ღვთისა“ და არაა „სიბრძნე კორციელი“ (II კორ. 1, 12), „სიბრძნე ამის სოფლისა“ (I კორ. 3, 19; 2, 6—7), „მცნებაა ღმრთისა“ და არაა მოძღვრება და „სწავლაჲ კაცთაჲ“ (მრ. 7, 7—8; მთ. 16, 23; 15, 9), ან „მოძღვრებაჲ უცხოჲ“ (ებრ. 13, 19) და „სიბრძნე ჴლაპართაჲ“ (II პეტრ. 1, 16). ამიტომ იგი განსხვავდება სხვა ნებისმიერი ცოდნა-სწავლებლისაგან („ეკრძაღე თავსა შენსა, ნუსადა იქმნეს სიტყუთაჲ ფარული გულსა შინა შენსა უმჯულოებისა“, II შჯ. 15, 9)³⁰. ეს საღვთო სულიერი ცოდნა ეხმარება ადამიანს საკუთარი თავის შეცნობაში და ერთადერთი საგზაღია იმქვეყნად წარსამძღვარებელი. ყოველგვარი სხვა ცოდნა, ა-

²⁹ ქრისტიანი უპირველესად ქრისტეს მოწაფეა, რომელიც ყოველგან და ყოველთვის „სწავლება“ (მთ. 4, 23; 9, 35; მრკ. 10, 1; ი. 7, 14 და სხვა). ხარისმატიული სწავლება განსხვავდება სასკოლო ნორმისაგან და სრულიად სხვაგვარი სწავლებაა ახალი „სკოლისა“... სამყარო სკოლა, მისი სულიერი ისტორია — პედაგოგიური პროცესი და გამოცდილება, პიროვნება — მოსწავლე ყრმა (С. С. Аверинцев, *Поэтика ранневизантийской литературы*, М., 1977, გვ. 160—161, 171—172). ამ გაგებაზე გრიგოლიც მარადიულ ყრმად, ბავშვად (παις) და მოწაფედ (μαθητής) თვლის თავის თავს (ორ. 19 — PG-35, 1045 A): „მე ცხოვრებასა ამას ეყო, ვითარცა მრწამსი და მოწაფე, ვიდრეცა ტკბილთა მიერ სიტყუთა მწარენი იგინი და მარლიანნი წარუღუნენ“.

³⁰ შტრ. ეახტანე VI-ის განმარტება ვეფხისტყაოსნის ტექსტისა „კვლა მიწურსა მიწურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს“; „საღმრთო სიბრძნეს იყოთვიდეთ და თარგმნიდეთ. საღმრთო საქმე არცა ვისგან იზრახოს და დაიწუნოს და არც სხვას სოფლის საქმესა თუ უსჯულოთ სჯულს შეუდაროს და შეუწონოს“... „როგორც პაულე მოციქულე ბრძანებს, სიბრძნენი ამის სოფლისანი — უმეტრება წინაშე ღვთისა... მრავალნი უცოდნარნი ღვთის ცნობით ბრძენნი და ფლასდოფოსნი შეიქმნენ“. (შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ეახტანესეული გამოც. 1712 წ., თბ., 1975, გვ. სვხ. ტმე).



სოფლიური სიბრძნე მხოლოდ და მხოლოდ ამ საღვთო სიბრძნისაგანაა წარმოშობილი. სხვაგვარად მარტოა ამქვეყნიური ცოდნა, მეცნიერება ფუჭია, უქმია, მკვდარია. მხოლოდ ღვთის სიყვარულთან შერწყმული ცოდნაა სასარგებლო, რადგან სიყვარული გამოარჩევს კეთილს („მეცნიერებაა განალაღებს, ხოლო სიყვარული აღაშენებს“, I კორ. 8, 1). უსიყვარულოდ კაცი ვერ წვდება შესამეცნებელი საგნის არსს. ჭეშმარიტი შემეცნება მხოლოდ საღვთო სიყვარულით ხორციელდება. ჭეშმარიტი შემეცნების უნარს ღმერთი იძლევა („უყუეთუ ვისმე ჰგონიეს, ვითარმედ იცის რაამე, არაღარა უცნობიეს, ვითარ იგი ჯერ არს ცნობაჲ“ (I კორ. 8, 2. შდრ. სოკრატე), „ხოლო რომელსა უყუარს ღმერთი, იგი ცნობილ არს მის მიერ“ (I კორ. 8, 3). შდრ. I კორ. 13, 2, 8. ეს საღვთო ცოდნა „მარიალია დასაწებელი“³¹ (დ. გურამიშვილი).

მხოლოდ ამგვარი საღვთო ცოდნითა და სულიერი წვრთნით „მოიხმარება ჭკუა“. ამგვარი სიბრძნის გარეშე „ჭკუა უხმარია“, „ჭკვიანი კაცი ბრყვიანია“³², ისევე როგორც სახარების იგავის ქალწულები არიან სულელები ლამპრის ზეთის — სულიწმინდის მადლის მოპოვების გარეშე (მთ. 25, 9). სულიერი გამოცდილება ცოდნასთან ერთად „ავის და კარგის გარჩევის“ შემეცნებელი სიბრძნეა. მის გარეშე „ჭკვიანი უწვრთნელი ვერ მიხვდება, რასაც ნდომობდეს“ („და ყოვლადვე ისწავებენ და არასადა მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა შემძლებელ არიან მოსლვად“. II ტიმ. 3, 7). ეს „საუწყე თან ექნების“ ამ სწავლა-მცნების მქონე ბრძენს, ღვთის შემეცნების სამსახურში ჩაყენებული ცოდნა (ἀγῶς) საუნჯეა. „ხელი არ შეეკარების .. არც მალვით მოიბარების“ (შდრ. πλοῦστον ἀγῶστον, κτέαυ ἀγλοπον, II, 2, 5, v. 158—174). ამ სწავლა-

³¹ შდრ. „სიბრძნით იქცეოდეთ გარეშეთა მათ მიმართ... სიტყუაჲ თქუენი მარადის მადლთა, ვითარცა მარიალია შეზავებულ იყუნ, რაათა უწყყოდთ, ვითარ-იგი შეჰგავს თქუენდა თვითოელსა სიტყუს-მიგებაჲ (კოლოს 4, 5—6). ეს სიმბოლიცა ხშირად გამოიყენება წმინდანთა ღვთივანდობრივობის აღსანიშნავად (მაგ., წმ. ანტონის „სიტყუაჲ შეზავებულ იქუნდა საღმრთოთა მარიალითა“ — მამათა ცხოვრება, 1975, გვ. 43). საყურადღებოა, რომ ამ თვალსაზრისით განიჩნევა ერთმანეთისაგან გიორგი მერჩული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გრიგოლის საღვთო სიბრძნის მადლი შეზავებული სიტყუა („სიტყუაჲ მისი იყო შეზავებულ მარიალითა მადლისათა. რაჟამს იტყუნ, ბრძნად აღდის პირი თვის და წესი განუჩინის ენასა თვისსა“ — თ. 2) და გუარამ მამფალის ამსოფლიური სიტყუა-ხელოვნება („იყო იგი ფრიად სიტყუაჲელოვან“ — თ. 42), რომელიც როგორც ამქვეყნიური სიბრძნე ჟაიხვთოს საეკლესიო კრებაზე საღვთო „სიტყუს გამოცხადებით“ იძლია. გრიგოლ კი „სავე იყო სიბრძნითა ორისავე ცხოვრებისა“. სიტყუაჲლოვნებას, ორატორულ ნიჭს (ἐπέλευς) ბერძნული რიტორიკის თეორიის მიხედვით) ანტიკურ რიტორიკაში ბუნებრივი ნიჭი — φῦσις ერწყმოდა. შუა საუკუნეების რიტორიკის თეორიაში φῦσις საღვთო სიბრძნესთან ნაზიარებათა შემოქმედებაში ღვთაებრივმა შთაგონებამ, ღვთივანდობრივობამ შეცვალა (იხ. ფოტი პატრიარქი პავლე მოკაქელზე და მოქალ ფსელოსი გრიგოლ ღვთის-მეტყველებზე—G. L. K u s t a s, The Literary criticism of Photius. A christian definition of style. *Ελληνικά*, t. 17, 1962, გვ. 132—169. A. M a y e r, Psellos' Rede über den rhetorischen charakter des Gregorios von Nazianz, *Byzantinische Zeitschrift* 20 (1911), გვ. 48—60 (ტექსტი). ეს ზეციური სიბრძნის წყარო წესს განუწყებს ენას, წარმართს მკვერტყველებს სახეს, ფორმას. გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის მიხედვითაც, ἡδύτης მხოლოდ გარკვეული საფარველია ღრმა საღვთო ზრისა (PG-37, c. 11, 1, 39, v. 37—41). გრიგოლ ხანძთელის მიხედვითაც, ერისკაცნი „შეუღლსამოძიებნასა მათსა (სასულიერო პირთა, — ჭ. ბ.) იუთხიან და ითხოიან სიტყუსა გამოცხადება, რამეთუ მათ მიერ ისწავებდეს მცნებთა ღმრთისათა და მოწამელ იუბნის თქმულთა მათთა“ (თ. 42).

³² შდრ. ვკლ. 2, 12—13. Ср. «глупость, понятая не как интеллектуальный недостаток, но как надлом воли и одновременно безбожие» (С. С. Аверинцев, Назв. книга, გვ. 156).

ბ. შაცენა, ენისა და ლიტერატურის სერია, 1994, № 1, 4.



მცნების მჭობი სხვა არაფერია“. „უცოდინრობა ავია“, ბოროტებაჲ³³ უსწავლელობა უსწავლეობა („უსწავლელთ, უსწავლოთ მომაქცეველი“) ჯა ა. შ. (დ. გუ-რამიშვილი). ზემოთ განხილული სტროფი „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს“... სწორედ „სწავლა მოსწავლეთა“³⁴ ს წარმოდგენილ სტროფთა შორის არის ჩარ-თული. გრიგოლ ლეთისმეტყველის მთელი პოეზიაც შემეცნების ზემოთ ჩამო-თვლილი გზების გავლას³⁵.

ეს სიბრყივე ქვეით ბაღლობის, სულიერი სიყმაწვილის და სიჩჩოების ტოლფასია გრიგოლ ლეთისმეტყველთან. მის ჰომილიათა მიხედვით, ასეთნი — უუგუნურესნი (**ἀφροιστεροι**) იყვნენ ის ახალგაზრდები ათენში, რომელნიც ყმაწვილური სიშლეგით ელტვიდნენ სოფისტებს (**σοφιστοιμαυσιον** „ბრძენბორგ-ნეულობენ“. or. 43. § 15. PG 36, 513 D4; A 109, 24 r). უსწავლელთ (**ἀπα-δεδαι;**), უგუნურთ (**ἀφροισι**) უწოდებს გრიგოლი მათაც, ვისაც ვერ გაურჩევია კეთილი და ავი გარეშე მოძღვრებაში და თანდათან სცილდება ღმერთს, ანდა „რომელთაც დამბადებელსა ზელა აღადგინეს დაბადებულნი“ (Or. 43, §1 PG 36, 508 c1, 509 A2; A 109, 21 v—22 r). ბაგემრედ უგუნურს (**στρεβίχλειος φραων**) უწოდებს იგი აგრეთვე მას, ვინც ზეტისმეტად მიმნღობია გონებისა, „სიტყუათა საჩინოებასა და უსწავლეობით (**αυ ἀμαθίη**) ცალიერ-ჰყოფნ ჯუარსა“. ამგვარ განსწავლულს იგი სადად მეტყველს ამჯობინებს, „მინდობილსა სიტყუათა მარტივ-თასა“ (**τις ἀποις ρήμασιν ἐπηρεϊδόμενιος**—or. 32, § 26. PG 36, 204 c)³⁶. და ბოლოს, უგუნურია, „უბრძნო და უგულისხმო“ (**ἀσοφοι και ἄσυνετοι**) ან „უსწავ-ლელნი სიბრძნისათვის“ (**περι τῶν σοφίαν ἀπαίδευται**—or. 38, § 14. PG 36, 328 A; A 109, 14 r) მისთვის ყველა ის, ვინც ვერ წვდება საღვთო სიბრძნეს და ჭეშმარიტებას და არც სურს გამოიძიოს იგი. ასეთნი არიან „სა-კეთარი უსწავლელობისა მიერ ბრძენ, ვიდრელა სიბრძნისა მიერ“ (**δὲ ἀπαίδευσιν σοφοί, ἢ δὲ σοφίαν**—or 14, § 32. FG 35, 900 D—901A. A 109, 171 v). ასევე უგუნურ (**ἀσοφοι**) ბრძენთ უწოდებს იგი გარეშე სიბრძნის მომღვერთ (I, 2, 10, v. 181—199) და ა შ.

გრიგოლ ლეთისმეტყველი განარჩევს ერთმანეთისაგან ოდენ „სიტყვთ ბრძენს“, მაგრამ „სულით განუსწავლელს“ (**ψυχῶν ἀπαίδευτων**) ჭეშმარიტი საღვ-თო სიბრძნის მქონესაგან. მისი ფორმულირებაა: „სიბრძნე პირველი (**Σοφία πρώτη**) არს სიბრძნისა [კაცობრივისა] შეურაცხყოფაჲ, რომელი-იგი სიტყუათაგან ცუდთა შეიწმინდების“ (or. 16, § 1. PG 35, 936 c4. A 1, 299 r- 316 v). გრიგოლმა არ იცინ, თუ როგორ უნდა უწოდოს იმ საფისტებს, ფილოსოფოსებს, გრამატიკ-ოსებს, ბრძენთა ბრძენთ, რომელთაც არა აქვთ პირველი მოძღვრება (**πρωτος λῆγος**; or. 36, § 12. PG 36, 279 A 1—4).

საინტერესოა, რომ ეფერემ ასური თავის ჰიმნში ერთმანეთის გვერდით ხმარობს ერთი ძირიდან ნაწარმოებ ამ ორ სიტყვას — სულელს (**sakhlī**) და ჭკვიანს (**sūkīnē**). ამით იგი გვიჩვენებს, რომ ადამიანური ინტელექტი მისი

³³ იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის სახისმეტყველება, თსუ შრომები, 261, 1986, გვ. 121—142.

³⁴ სხვა ჭკვიანის სიბრყივე, ანუ ინტელექტი სულიერების გარეშე (შდრ. „არა ვიყო უგუნურ **აფროსი**), რამეთუ ჭეშმარიტი ვიქუა“ — II კორ. 12, 6) და სხვა კრისტესთვის სულელ, ანუ ამქვეყნიური ცოდნის ნაცვლად საღვთო სიბრძნის ქონა (შდრ. „რამეთუ სულე-ლი იგი ღმრთისაჲ (**τὸ μαθησὶν τὸν Θεόν**) უბრძნეს კაცთა არს“ — I კორ. 1, 25. შდრ. აგრეთვე „უუგუნურეს ვარ ყოველთა კაცთა და სიბრძნე კაცისაჲ არაჲ არს ჩემ თანა“ — იგავ. 30, 20). გრიგოლის განმარტებით (ექვთიმე ათონელის თარგმანი), „ესე ამისთვის თქუა, რაითა გამოა-ჩინოს, ვითარმედ არა აქუს თავით თვისთ სიბრძნეჲ, არამედ მიცემულ მიცემულთაჲს მისგან მადლისა და სრულებისა“ (or. 20, § 5; PG 35, 1069 Ḳ 14; A 1, 353r-v). აქ ექვთიმე ურთავს საკეთარ განმარტებას: „რომელი-იგი უაღრეს არს და უზეშთავს კაცობრივთა მეცნიერებათა“.



სურვილისამებრ შეიძლება წარიმართოს ან სინათლისაკენ (ანუ ქრისტიანულ გზით) და ან სიბნელისაკენ (ანუ ელნიური ცთომილებიან გზით)³⁵.

როგორც ზემოთ ვნახეთ, დ. გურამიშვილთან, ისევე როგორც რუსთაველთან და ქრისტიან ავტორებთან სიბრძნე და ჭკუა — საღვთო ცოდნა და ამქვეყნიური ცოდნა, გონება-ინტელექტი ემიჯნება ერთმანეთს („სიბრძნისა ერთი დარგი, საღვთო საღვთოდ გასაგონი...“; „მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხედებინა...“; „ბრძენი ზამს მისად მაქებრად...“), ამოფლიურ გონებას, ინტელექტს არა აქვს უმაღლესი შემეცნების, საზოგადოებრივი, საღვთო საიდუმლოს წვდომის უნარი. ამ გაგებით სიბრძნე ჭკუაზე (ინტელექტზე) აღმატებულია. საბას განმარტებითაც „სიბრძნე — ესე არს მშობელი ჭკუვისა და განმსჯელი ცნობათა“ (შლრ. ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, თბ., 1984, გვ. 103—104).

გრიგოლის მიხედვითაც, გონიერება პრაქტიკული ცოდნაა, გამოცდილებაა, სიბრძნე კი უმაღლესი, არსებულის (τὰ πάντα) ხილვა და ცნობა, ჭკრეტა და შემეცნება (ψευδαισι) სულიერი თვალთა და საღვთო მადლით, ამიტომ იგი ადამიანურ გონიერებაზე აღმატებულია და უპირატესია (Φθόνος ἔστι πρᾶγματῶν ἐμπειρίας, ἢ Σοφίας ὑμᾶς ἐμὲ δὲ τῶν ἄλλων θεία. PG 37, c II, 1, 34, v 61—62. „გონიერება—საქმეთა მეცნიერება, / სიბრძნედ შერაცხე მყოფთა ხილვა და ცნობა. S—2568, 59 r). იგი ამბობს, რომ ამქვეყნიური სწავლა-განათლება ზეციერი საღვთო სულიწმინდის სიბრძნის, ვითარცა დღეოფლის, მსახურაია: καὶ γὰρ ὁκταὶον τῆν σοφίαν τοῦ Πνεύματος / Ἄνωθεν ἔσαν, ἐκ θεοῦ τ' ἀφ' ἑμῶν / Δέσποιναν εἶναι: τῆς χάριτος παιδείας, / ὡς ἔρη φεραπαίνυς.. (II, 2, 8, v. 245—249); ღვთის სიტყვა (θεὸς λόγος) ჩრდილავს ადამიანური გონების მრავალფეროვან სიტყვას (καλῶνται πάντα φρενὸς βροτεῖς τρεπτόν πλῆθειν ἄ μῆσιν. II, 2, 7 v. 43—45; II, 2, 5, v. 265), კაცობრივი მეცნიერებებით (ἢ ἀνθρωπίνης σοφίας) მოიპოვება დიდი მეცნიერება, ჭეშმარიტება, § 21. PG 36, 53 A; A 87, 149 r). გრიგოლის პოეზიაში გონება ზეციურ ღვთაებრივ აზრს, სიბრძნეს ემორჩილება და მისკენ არის მიმართული (...ἐγείρε θεὸν νόον—I, 2, 31, v. 5: ψαχὶν ὀραγίσι: σοφίας: μίξα. II, 1, 1, v. 195; II, 1, 11, v. 112—114; I, 2, 10, v. 40—44).

გრიგოლი საუბრობს ორგვარ სიბრძნეზე (ἀμφοτέρη σοφίη)—ჩვენს (ἡμετέρη), ანუ საღვთო სიბრძნეზე და უცხო (ξένη), ანუ ამსოფლიურ სიბრძნეზე (II, 1, 16, v. 24—26)³⁶ შლრ. უცხო „ზღაპრობა“ (ξενος μῦθος) და „ჩემი კანონი“ (ἐμὸς νόμος I, 2, 10 v. 412-413). ლექსში „საკუთარი ლექსების შესახებ“ (PG 37, c. II, 1, 39) იმაზე საუბრობს, რომ ფუძე მოძღვრებებს (ἀρχαὶ ματαίῃσ—ს. 15) უნდა გამოერჩეს ღვთივმოთაგონებული (θεοπνεύστων μυσθ—v. 10) ჭეშმარიტი მოძღვრება. გარეშე სიბრძნიდან (ἐκτοθεν. v. 64), რასაც ჩვენს სიბრძნეს (τῶν ἐμῶν. v. 64) უპირისპირებს, იგი მხოლოდ გნობურ აზრებს, მოკლე გამონათქვამებს იღებს სასწავლო დანიშნულებისთვის. გრიგოლიც ახალგაზრდებს ასწავლის, მათ უძღვნის თავის პოეტურ ქმნილებებს.

როცა პიროვნებაც სიბრძნით (სულიერი სწავლების, ქრისტიანული მოძღვრების ნათელით) შეიცნობს თავის თავს გრიგოლისა და გურამიშვილის პოე-

³⁵ A. Palmer, The Merchant of Nisibis. Saint Ephrem and his Faithful! Quest for Union in Numbers. Early Christian Poetry. A Collection of Essays... Leiden, New York, Köln, 1993, p. 173.

³⁶ შლრ. სიბრძნე ღმრთისა (ლ. 11, 49), სულიერი სიბრძნე (კათ. ეპისტ. 1, 5), ზეგარდამო სიბრძნე (კათ. ეპისტ. 3, 17) და სიბრძნე ამის სოფლისა (I კორ. 3, 19), სიბრძნე კორციელი (II კორ. 1, 12), მოძღვრება უცხო (ებრ. 13, 19), სიბრძნე ზღაპრობა (II პეტრ. 1, 16). შლრ. გრიგოლის უცხო ზღაპრობა (ξενος μῦθος PG 37, 710, v. 412) და სხვ.



ზის მიხედვით, მაშინ იგი მისწვდება საღვთო ჭეშმარიტებას და მის აქვეყნად ყოფნის აზრსაც — ზრუნვას ღვთის შემეცნებისათვის, განღმრთობისათვის, პირველახის დაბრუნებისათვის, ამქვეყნიური ღვაწლით იმქვეყნიური უკვდავებისათვის. საღვთო სიბრძნის ცნობით ჭეშმარიტებასაც ნობილი ადამიანი უარყოფს ფუჭ ამქვეყნიურ საგანთა შემეცნებას, ცოდვას, ბოროტებას, სიცრუეს, ძლევს ამქვეყნიურ სიბნელეს, დაბრუნდება უფლის წიაღში და მოიპოვებს თავისუფლებას. რადგან ცოდვის, ბოროტების მონა თავისუფალი ვერ იქნება („სენათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათვის-სუფლენეს თქუენ“ (ი. 8, 32). ხოლო „არს ჭეშმარიტება იესუს თანა“ — იფეს. 4, 21. ქრისტეა „ჩუენდა სიბრძნე ღმრთისა მიერ, სიმართლე, სიწმიდე და გამობნა“ — I კორ. 1, 30, და „აზნაურება მატუნ ქრისტე იესუსს მიერ“. (გალატ. 2, 4).

როგორც ვხედავთ და როგორც აღნიშნავენ, შუა საუკუნეებში წაშლილია ზღვარი თეოლოგიურ და ლიტერატურულ მოაზრებებს შორის და მოძღვრება ორგვარ სიბრძნეზე საფუძვლად ედება თეორიულ-ლიტერატურულ შეხედულებებს.³⁷

ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართება
გრიგოლ ღვთისმეტყველისა და დ. გურამიშვილის
თხზულებების მიხედვით

შემოთქმულს ორგვარ სიბრძნეზე მიყვავართ გრიგოლისა და გურამიშვილის მოეზის ქრისტიანული სახისმეტყველებიდან გამომდინარე აეთი ტიპოლოგიური პარალელისავენ, რომელიც ფორმა-შინაარსის მიმართებას უხება: გრიგოლისათვის ელინთა ზღაპრობა, სიცრუე არაჭეშმარიტი და მიუღებელია, მაგრამ ზოგჯერ იყენებს მის სახეებს, როგორც ნიმუშებს, შედარებისათვის (II, 2, 5). უმეტესად იგი პირდაპირ ააშკარავებს ანტიკური ზღაპრობის ასოფულიერ მნიშვნელობას და ცხადყოფს სიმაღლეს და სიბრძნეს საღვთო ჭეშმარიტებისა³⁸. გურამიშვილმაც „არ შეძქვა“ მის მიერ დარგული იგავთ ხე ზღაპრული, ანუ გამოწავონე სიუჟეტით, ფორმით, მითოსური სიმბოლიკით (გამონაკლისია „ქაცვია მწყემსი“, რომელიც მაინც ამ კუთხით კრავს და აგვირგვინებს „დაეითიანს“), ასევე ზედმეტი სამკაულებით (ცნობილია, რომ გურამიშვილმა სწორად გაიგო რუსთველის საღვთო-საეროს დაპირისპირების, იგავთა ხის ორგზისა ნაყოფის მნიშვნელობა), არამედ ორმაგი სემანტიკის შემცველი (ჩვეულებრივი და სახისმეტყველებითი მნიშვნელობის მქონე) სახეებით წარმოადგინა იგი, რადგან „უფრო ადვილად ავლიან ზედ ყრმანი დასარბეველად“. ამიტომ „ყრმათ მოუშადა ტყილი მაჭარი“³⁹ (გრიგოლის კომილიების ორგვა-

³⁷ რ. სიბრძნე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975, გვ. 279.

³⁸ K. Demoen, The Attitude towards Greek poetry in the Verse of Gregory Nazianzen. Early Christian Poetry. p. 235—252 იხ. აგრეთვე c. II, 2, 7; c. II, 1, 34 და სხვ. უფრო მეტია ასეთი სახეები გრიგოლის კომილიებში (კომ. IV, V, XXXIX, XLIII). კომენტატორის მიხედვით, გრიგოლი „ზღაპრობათა თანამეტყუეებითა (დაპირისპირების ზერხით. — კ. ბ.) აღმაღლებს დიდთა ამით და ჭეშმარიტთა თბრობათა, რომელიცე აღმატება არს საქმეთა წინათა, ვარეშეთა სამხილებელად შემოღებული“ (A 109, 19v).

³⁹ შავ. გურამიშვილი თავიდანვე განმარტავს სიმბოლიკურ სახეებს: „აქამდეო ბადეო, თვალთა მიეც ანდეო, / სენ ამ ღვესთა იგავი, თარგნე თუ გიყვარდეო“; „სახით იგავად სოქმელად მამა მზეთამზედ ითქოსა, / ძე ღვთისა მხოლოდ-სობილი მზე სიმართლისა იქოსა, / მისთეს სწულთოს მნათობან მზემ თინათინი ირქოსა, / ეს წიგნი წმინდად სახმარო აზინ განმარტოსა“. ასეთია მთელი თავი —უკვდავების წყაროს იგავთ ახსნა“ და სხვ.



რი აზრია — საჩინოსა და ფართლის შესახებ — საუბრობს მიქაელ ფსელოსიც. გრიგოლი საიდუმლო დოგმებზე მსჯელობას და ისტორიულ თხრობებს უნაცვლებს ერთმანეთს და ალევგორიულად გამოხატავს მას, ისე, რომ არ ხსნის ალევგორიას, ზოგჯერ კი ცხადყოფს დაფართულს, იხ. დასახ. გამოცემა, § 23)⁴⁰.

გურამიშვილის ლექსი არ არის შექმნილი დაახლოებით იმ გავებით, როგორც გრიგოლმა ან ფოტი პატრიარქმა განმარტეს საღვთო წერილის და ადრე-ქრისტიანული ლიტერატურის სადა მოუკაზმველი სტილი (ფოტიოსზე იხ. ზემოთ — შენ. 31). „ამისთვის მე არ შევსძევ“ რიტორიული სამკაულების, გრიგოლის სიტყვით, „ეკლიანი ყვავილების“ ნაკლებობას გულისხმობს, ქრისტიანულ სისადავეს სტილისას, ფორმის ნაკლებად მჭევრმეტყველობას (შდრ. or. 4 — PG 35, 597 B; შდრ. II კორ. 11, 6: „დალადათუ უცებ ვარ სიტყვთა, არამედ არა ცნობითაცა“. საეკლესიო სტილის ამ თავისებურებას ფოტიოსი და ფსელოსი გამოხატავენ ტერმინით *ἀπλότης*⁴¹, ეფრემ მცირეც სახარებასა და პავლენს „ლიტონითა სიტყვთა აღწერილს“ უწოდებს — A 24, 3v. იოანე დამაკელის დიალექტიკა, მ. რაფავას გამოცემა, 1976, გვ. 68). გრიგოლი ამას უწოდებს სადა ენით ფილოსოფოსობას (*ἐμφιλοσόφει: τῆ εὐτελεία τῶν λόγων*) პლატონის დახვეწილი სტილის ნაცვლად (*Πλάτωνος εὐκλαῖα*—c. II, 1, 12, v. 302—308), რადგან, მისი აზრით, რიტორიული სამკაულები არაფერს ნიშნავს (*εὐδὲν το κέρειον*—v. 302). შდრ. ექმი მჭევრმეტყველება—*κείνη εὐκλαῖα* II, 1, 11, v. 112—114).

ქრისტიანული სიტყვის უბრალოება მისი ღირსებაცაა, რადგან აქ მისი აზრი — ჰეშმარიტებაა თავად მშვენიერი, რომელიც თავისი სისადავით (*τοῖς ἀπλοῖς ρήμασι*) ადამიანურ სიტყვაზე, დახვეწილ სტილზე აღმატებულია (or. 32 და სხვ. იხ. ზემოთ). ეს არის ის, რასაც გრიგოლი წარმართული ლიტერატურის ეკლიან ყვავილებს ან საერო სამკაულებს უწოდებს, რომელსაც არ უნდა დაესესხოს ქრისტიანი ორატორი, ამვე დროს გრიგოლი გარეშე სიბრძნიდან, წარმართული წიგნებიდან კეთილის გამოცალკევებას ეკალთა შორის ვარდის მოპოვებას უწოდებს (*ρῶδ' ἔξ ἀκαθῶν*—c I, 2, 10, vv. 214—217; II, 2, 8, v. 62). წარმართული თხზულებებიდან სასარგებლოს გამორჩევას ბასილი კესარიელიც ეკალთა შორის ვარდის კრფას ადარებს⁴². როგორც ჩანს, ეკალი ფართოდ გავრცელებული სახეა ქრისტიანულ მწერლობაში. გარეშე სიბრძნესთან და რიტორიკასთან დაკავშირებული. ეფრემ მცირის მიხედვით, იოანე დამაკელს „ამათთა“ (გარეშეთა) ეკლოვანებითა მოუზღუდავს ვენაჯისა ამის თვისისა ნაყოფთა შეუენიერება. ხოლო უშინაგანეს რაჲ ვენაჯისა შევიდოდეთ და ტვენებისა მადლთაჲსა განხილვაჲ გუწუადოდის, მალიად მოვისთულოთ სიტკბობაჲ“ (A 24, 2v). გრიგოლი ეკლის და ვარდის სახეს სიძნელეთა გადაღაჯვის ჩვეულებრივი მნიშვნელობითაც იყენებს, შდრ. რუსთაველი): *ზντας ῥῶδ' ἔξ ἀκαθῶν ἄς ἡ παροιμία σπλεγομεν* (ep. 183; ed. P. Gallay, p. 132. როგორც იგავი ამბობს, ეკალთა

⁴⁰ ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ალევგორიული განმარტება რიტორიკის ნორმა-და მიჩნეული ბიზანტიური რიტორიკის თეორიაში (M. Guignet, op. cit., p. 261—262) და საღვთო სიბრძნის ტრფილის გამოსახვასაც ემსახურება (შდრ. გრიგოლის, რუსთაველის, გურამიშვილის განხილული ნაწყვეტები).

⁴¹ იხ. ქ. ბენარაშვილი, მიქაელ ფსელოსი საღვთოსმეტყველო სტილის შესახებ. ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია, ტ. III, თბ., 1995, გვ. 108—156.

⁴² PG 31, 569 C 14—15, Василий Кападокийский, О том, как молодым людям извлечь пользу из Языческих книг. Памятники византийской литературы IV—IX вв., М., 1968, с. 57.

შორის ვკრეფ ვარდებს, შდრ. II, 1, 11, v. 472—473). ამასთან, ეკალი შეცოდებათა აღმნიშვნელი სიმბოლოცაა ლოცვებში: „დაჰსწვენ ეკალი ყოველთა შეცოდებათა ჩემთანი“ და მისთ. შდრ. წმ. ბასილი ზოგს ექმნებოდა „ზღუდე მტკიცე“, ზოგს კი — „წერაქუ, მკოდელ კლდისა... ადვილ განმღეველ ქაცოვანთა მათ და მაგინებელთა ღმრთეებისათა“ (ორ. 43, § 32. A 109, 34r).

საეკლესიო ანუ საღვთისმეტყველო სტილი გულისხმობს ღვთისმეტყველებას თავისი სიტყვის სისადავითა და კეთილშობილებით („მარტივი და აზნაურებითი სიტყუაჲ კეთილშობილებად შერაცხილ იყო“ — *τὸ δὲ ἀπλᾶν τε καὶ εὐχρῆς τὸν λόγον*—ორ. 21, § 12. PG 35, 1093 C. A 109, 126 r—v). გრიგოლისვე მიხედვით, რიტორიკა, გარეშე, საერო ლიტერატურა ჩაყენებული უნდა იყოს საღვთო მეცნიერების სამსახურში (ორ. 6 ორ. 25. ობ. ექმით). შდრ. რიტორიკული სიტყვა (*λόγος*) საღვთო სიტყვის მსახურია (იხ. *Λόγος θεορραπειτής*—c. II, 1, 11. vv. 111—114): „რომელნი დაბადებულ ვართ სიტყვერებისათვის და სიტყვთ (იხ. *λόγος*) მიჯაწრაფთა სატყუა შიმართ (პირვ. *Λόγος*. ორ. 25, § 1. PG 35, 1197 A 11; A 292), „მისცეთ სიტყუანი თქვენნი (*τὸν λόγον*) [საღმრთოსა] მას სიტყუასა (*τῷ Λόγῳ*. ორ. 19, § 10. PG 35, 1053 C 15—D 5. A 1, 82 r. შდრ. II, 1, 38, v. 51; II, 2, 7, v. 43—49; II, 1, 1, v. 96—100).

როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ, გრიგოლი მოძულეა სოფიზმისა, წარმართული მოძღვრების უნაყოფობისა, ყალბი მრავალსიტყვაობისა, მეორე მხრივ, უშვებს რიტორიკის, როგორც ფორმის, ღირსეული სამკაულის არა ბოროტად, არამედ კეთილად გამოყენებას ღვთისმეტყველების სამსახურში. ნათელი სტილით გადმოცემას და ა. შ.⁴³. „ხოლო სიტყუათათვის ოდენ (*τὸν λόγον... μᾶλλον*) სურვიელ ვეჭმე“—ორ. 4, § 100. PG 35, 633 C 16—636 A 1. S 383, 184 r. შდრ. PG 37, C II, 2, 5, v. 158—222. ობ. აგრეთვე გრიგოლის ლექსები ქვემოთ). გურამიშვილიც იღებს რიტორიკას, როგორც ფორმას, როგორც შუა საუკუნეების ნორმას პოეზიისათვის, რადგან პოეზიისა და რიტორიკის არსი ერთი და იგივეა შუა საუკუნეებში⁴⁴, რომლისათვის ერთნაირად საჭიროა გონებაც და სიბრძნეც — ამსოფლიური ცოდნა-ხელოვნება და საღვთო შთავგონება: „ერიტორობ გონება-სიბრძნე მცირითა“ და ორივეს — რიტორიკას და სიბრძნეს ღვთისგან წარმოშობილად მიიჩნევს: „ღმერთო, რომელსა გაქონან არსის საყდარსა ჯდომანი, / რომელმან მოეც მიჯნურთა ტრფიალთ სურვილის ნდომანი, / რიტორია — ლექსი გულისა, სიღრმე, სიბრძნისა ზომანი...“ შდრ. ვახტანგ VI: მოშაირეს თუ „სიბრძნე და რიტორება არა აქუს, გაჭირვებაში სიტყუა შეუშოკლდება და ლექსიც გაუჭირდება“⁴⁵.

⁴³ M. Guignet, Op. cit., p. 43—70.

⁴⁴ С. Аверинцев, Назв. книга, с. 274.

⁴⁵ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, გვ. სეზ., სტილთა სხვადასხვა დონეებზე ბიზანტიურ მწერლობაში ობ. I. S e v e n k o, Levels of style in Byzantine prose, Internationale Byzantinischen Kongress. Akten I, 1, Wien, 1881, 289—312. p. 298. აქ საუბარია იმაზე, რომ მიუხედავად ქრისტიანული მწერლობის ბუნებითი ქვეშარიტების უპირატესობის აღიარებისა რიტორიკაზე, როგორც მკვერმეტყველებით მოკაზმულ სიტყუეზე, ბიზანტიურ მწერლობაში ბავის საგნად მაინც მიჩნეულია ანტიკური რიტორიკის ნორმები, როგორც დახვეწილ ფორმას. IV ს. ქრისტიანა მწერლები (მათ შორის ყაბადოკიელი) თავიანთი მაღალი სტილით II სოფისტისკის მიერ გამოუმუშავებულ ნორმებს მისდევნენ. მათ მოახერხეს ქრისტიანული მაღალი აზრის ასევე მაღალ, დახვეწილ ფორმაში მოთავსება. სწორედ ქრისტიანული მწერლობის ეს ანტიონომია ასახული გრიგოლისა და გურამიშვილის ზემოთ წარმოდგენილ გამოთქვამებში (ერთი მხრივ, უარყოფა რიტორიკული სამკაულებისა და მეორე მხრივ, მისი რაღაც ზომით მიღება). გრიგოლის მომლითათა კომენტატორი ბასილი მინიშუსი (X ს.) ასე ათანხმებს მათ: „გამოზრდაჲ სულისა სიტყუათა (*λόγος* — რიტორიკა) და საღმრთოთა სწავლათა მიერ“ (ორ. 43—ეფრემ მცირის თარგმანი A 109, 36r). ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით გურამიშვილის პოეზიის აღნიშნული სტილური ნიშნის კავშირზე ქრისტიანული ლიტერატურის სისადავესთან (სადა სტილთან განსხვავებით მაღალფარდობებისაგან) და არაფერს ვამბობთ მის ხალხურობაზე, რაც ეპოქითაა განპირობებული და სხვ.

გრიგოლიც ზემოთ აღნიშნულ თხზულებაში „საკუთარი ლექსების“ შესახებ ამბობს, რომ ცდილობს შეარწყყას მომხიბლავი, სასიამოვნო (τερπών) სასარგებლოს (τά χρησιμώτερα), ანუ სიტყვიერი ხელოვნების მშვენიერება და საღვთო მოძღვრება, იგი ცდილობს ხელოვნებით, რიტორიკული ოსტატობით დაატკბოს მცენების სიმწარე (τέχνη γλακίαν τὸν πικρὸν τῶν ἐπισημῶν—II, 1, 39, v. 37—41). მეორე მხრივ, სიტყბო, თავლი უფლის მცენების სწავლაა, ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნის სიმბოლოა. გრიგოლ ხუცესის წმ. გრიგოლის მნიშვნელობით (იგულისხმება სიბრძნის ფილოსოფოსობა თავისი ჭეშმარიტი მნიშვნელობით (იგულისხმება სიბრძნის მოყვარეობა, როგორც „არა ეგოდენ სოფლიოვსა სწავლულებისა, რაოდენ მონაზონებისა სახელი“ — ეფრემისეული შეისწავე A 292, 360 r). „ეთარცა თავლითა, ეგრეთ დაატკბოს სიმწარესა სწავლისასა“ (τοῖς ἐπαίνοις τῶν λόγων κα ταγλακίαισι. PG 35, 288 C 1—7. A 109, 255 r). შტრ. გურამიშვილის ტყბილ-მწარის მონაცვლეობა სწავლისას. დავითის მცენების (ბიბლიური დავითის და ქართველი პოეტის მცენების), ანუ საღვთისმეტყველო სწავლების მიყოლა მწარის ჭამას გულისხმობს უპირველესად, რაც საღვთო სიბრძნის მიუწვდომლობასა და დაფარულის ხილის სიძნელეს გამოხატავს⁴⁶. თუმცა

⁴⁶ ამვე დროს ეს არის სიმწარე განსაცდელის გზით სულიერი წვრთნისა, საღვთო სიბრძნის წვდომისა არა მარტო ტერეტო, არამედ საქმით — გამოცდილების საშუალებით: „ველოვნება არს ტკივილი მიწოდომილი“ — *τεχνὴ μὲν ἐστὶ σθένους ἐξ ἐπιουσίας*— S 2568, 60 v. c. 1, 2, 34, v. 134). ხელოვნება (τέχνη) აქ ცვალებად მოუღწეოთა ცოდნა, გამოცდილებაზე დამყარებელი (ქართული ანონიმი მთარგმნელის მიხედვით, „ტკივილით მიუთომილი“). კონკრეტულ-გარკინობილობით ცოდნა, განსხვავებით *ἐπιστήμη*-საგან (მეცნიერება, ზედმიწევნულება), როგორც მარადიული კატეგორიების ცოდნისაგან. შტრ. გურამიშვილი: „ნუ გენაღვლებს სწავლაზე ყრბის წყველის ცემით კილა“: „წყველის ცემით დამშუშავს სკობას საუკუნოდ ცეცხლში ბმათა“: „უსწავლელობა არს წარსაწყმედელი“ და მისთ. შტრ. წმ. ბარსანოფი ამბობს: „ღმერთი შოღლით სცემს ყველას, ვისაც ძელ იღებს“. შტრ. აგრეთვე or. 21-ის ბასილი მინიმოსეული კომენტარი: „ქრისტე, ვითარცა ღმერთი, ჩვენთა ბოროტთა მოგონებთა და საქმეთაგან შეთხზულობა შოღლითა სცემს და ამხილებს სენილისა ჩვენთა და ვითარცა მეფე მონათათს, სამართლად საგუემოლსა იყუმებს — ეფრემ მცირის თარგმანი A 109, 135r). აქ იგულისხმება სიტყვის „სწავლა“ — იღვევ ერთი მნიშვნელობა, „მოძღვრებისა“ და „წვრთნის“ მნიშვნელობების გარდა, — „ტანჯვა“, იფრე „დასჯა“, „არამეთ რომელი უფარს უფალსა, სწავლის (ταῖς ἐπέ) და ტანჯის (μαστιγῶν) ყოველი შვილი, რომელი შეიწყნაროს“ (ებრ. 12, 6), „ტკივილ უწოდეს შრომისმოყვარეობასა თვისისა სწავლულებისასა...“, or. 19, Com. 19, Jer. 15, 1 r. ე. ი. სწავლა-მოძღვრების მიღება, სიბრძნის წვდომის გზა ტკივილი, შეპირებებით, იგვე სიმწარით. ანუ ტანჯვით (ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით) სავე გამოცდილებით გამოწვეულ მტკივნეულ სულიერ გარდაქმნებს გულისხმობს, რასაც მოსდევს „განსვენება“, ანუ ხსნის გზის პოვნა ქრისტიანული სწავლების სრულყოფის შემდეგ — „ეგრეთ მოსწავლე სწავლასა რა სრულყოფს, განსვენება“. ამ მნიშვნელობით, სიბრძნის წვდომის სიმწარით სავე გამოცდილების მნიშვნელობით, გრიგოლის ოთხმუხლედის ეპიგრაფის ეფრემ მცირისეულ თარგმანში ეფრემის მთარგმნელის ჩამატებული სიტყვები „ტკივილით ნამშუავი“. იგულისხმება გრიგოლის ეს შრომა, რომელიც სულიერ სწავლას შეიცავს სიბრძნისას. აქაც ეფრემის მთარგმნელის ჩამატებული სიტყვა „ჭეშმარიტი“: *σφιδίς* — „სიბრძნისა მის ყოვლად ჭეშმარიტისა“ (სრული ტექსტი იხ. ქვემოთ). გრიგოლის სწავლების საგანია როგორც თეორიული ღვთაური სიბრძნე (σφιδίς) ისე პრაქტიკული, ცხოვრებისეული, ზნეობრივი სიბრძნე (φρονήσις), რომელსაც წარმოშობს საქმით გამოცდილება“ *πραγμάτων εἰσαίρεσις*— II, 1, 14, v. 2—3. S-2568, 54v). ასევე ხსნის გზის სწავლებას გულისხმობს გრიგოლი, როცა ლექსში „საკუთარი პოეზიის შესახებ“ ამბობს, რომ მის არასოდეს გადაუხვევია ღვთის სიტყვისაგან და შესაბამისად, ჭეშმარიტებას ასწავლის სხვებსაც (II, 1, 39, v. 32. შტრ. „ეღვა მტკიცედ მპყრობი მე ჭეშმარიტებისა“. — II, 1, 14, v. 37; S 2568, 55r). გრიგოლის მეტი პოეზია და მთლიანად მისი შემოქმედება და მოღვაწეობა ამის მაგალითია. გურამიშვილის „მართლის თქმა“ გარდა „ტკივილი“ სიმართლისა, უხვენის ჭეშმარიტების სიმბოლოდ გადმოცემასაც გულისხმობს, აღბათ, და ასეთი ღრმა



ამ კონტექსტში „ტკბილი“ გურამიშვილისა („ჯერ მწარე ჰამე კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებას“), რუსთველია სსჯავსად („ტკბილსა მწარე ჰპოვებს“), მოპოვებული სწავლების, სიბრძნის სიტკბოება გულისხმობს, ამქვეყნიური წარმავალი სიმწარის შემდეგ (შდრ. გრ. ნაზ. or. 19. იხ. ზემოთ). ეს არის მწარე (πικρός) გულისტკმანი, ამქვეყნიური სიამენი, ხოლო ტკბილია (γλυκύς) თავლის უტკბილესი სატყეები უფლისა (or 40, § 38. PG 36, 413 B 12. C 3 A 109, 109 rv), ხოლო „გემოვნება“ სამყაროს არსის გახსნა, თავის შეცნობა-უფლის შეცნობა, ე. ი. მწარე სწავლება „კენწეროში გატკბილებულია“ წვდომის შედეგად (რადგან ქაცვია ზოლოს ამბობს: „მასწავლი ტკბილადა, რად ვაგზდი წბილადა მე შენ, მამაო“), მაგრამ სხვაგან გურამიშვილი ტკბილს, მსგავსად გრიგოლის ზემოთ წარმოდგენილი ლექსისა, განმარტავს როგორც სასიამოვნო ფორმას, სიტყვა-კანშულობას: ქაცვიას ეუბნება მამა: „შე ლექსად სიტყვებს ამად ვაწყობდი, / უფრო ტკბილად ჩნდა ამას ვატყობდი, / არ მაქენდა იმედი შენ ამბად ისმენდი მოუწყენელად“ (შდრ. ამავე სასიამოვნო ფორმას, გრძნობად ტკბობას (αἰσθησις, რომელმაც შემდეგ ესთეტიკურის მნიშვნელობა მიიღო) გულისხმობს რუსთველი — „თქმა ლექსებისა ტკბილისა: „კვლა აქაცა ეამებვის, „ხელოვნობდეს“, „ენა-მუსიკობდეა“ და მისთ. ფორმა, გამოხატული რიტორიკის ცნებებით (γλυκύτης, ἦξις — სიტკბოება, საამურობა) დაპირისპირებულია საღვთო შინაარსის სიმალღესთან, სიძნელესთან — „მიჯნურობა პირველი... ძნელად სა-

გაგებით იგი არჩილის სკოლის გაგებაზე ბევრად აღმატებულია (გურამიშვილმა ხომ სწორად ვაივო რუსთველის იგავთა ხის — გამოწავლის, მხატვრული სიპართლის მნიშვნელობა, როგორც ჰუმანიტარული სიმბოლო რად მიმყვანებელი გზა და საშუალება). დავითთანაც ამ ნიშნით — ჰუმანიტარული სწავლების მიზნით ბრძენა დასახული ბაძვის საგნად (ისევე, როგორც ქრისტე, სიყვარული, კეთილი და სულიერია დასახული ბაძვის საგნად მოცუქულთათვის, ხოლო მოცუქულთა — ხალხსათვის — I კორ. 4, 16; 11, 1; 14, 1; გალ. 4, 18). გურამიშვილი ამით იწყებს და ამით ათავსებს ღვთის სხვადასხვა საბოძარის ჩამოთვლას („ბრძენი საღვთო არს, ბრძენის, საუნჯე თან ექნებია... ბრძენი სიტყვითა დარჩებოს, ოსტატო თავის ხელთა... მეათე — მიჯნურობა სურვილი, ჭრფილთა შენამბორობა“: „აჲ ბრძენი უნდა სოფელში ვგვით, ვით წმინდა ბერია, / ცხოვრობდეს, ერს ასწავლიდეს, გახადოს შეცნირია... / ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახედვის ვრია“: ასევე ღვთიერი წარმოშობის და უკრტის საგნებთან — საღვთო მიჯნურობასთან (გურამიშვილთანაც, როგორც რუსთველთან, მიჯნურობა საღვთო სიბრძნის ტრფილის ნიშნავს) და შარობასთან დაკავშირებით იწყებს რუსთველი სხვადასხვა საქმიანობის ჩამოთვლას: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს... კვლა მიჯნურობა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს...“ (ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა მიჩნეული, რომ „მიჯნურობის“ ცალკე ზელობად გამოყოფა გურამიშვილს რუსთველმა შთაგონა — ნ. ნათაძე, დასახ. წერილი, ე. ხ. ნ. თბიძემ, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული ეფთხისტურობანი, თბ., 1993, გვ. 54). ღვთისაგან ნაწყლობებუ ყოველი საქმე, სიყვარულით აღსრულებული, ისე ღმერთში ერთიანდება (შდრ. I კორ. 12, 7—11; რომ. 12, 5—9; ეფეს. 4, 11—16). ამასთან, ცხოვრების გზის არჩევის აღწერა, აღმიახური მოღვაწეობის სფეროს კატალოგიაცა, ანუ რიტორიული ჩამოთვლა ცნობილი რიტორიული სქემაა, ბერძნულ პოეზიაში გამოყენებული (საფო, პორაციუსი და სხვ.). ანტიკურის მიზნადა ერთი საგნის, მოვლენის სხვა საგნისაგან გამოჩენვა და მასზე აღმატება (C. S. Аверинцев, Риторика как подход к обобщению действительности. Поэтика древнегреческой литературы, М., 1981, с. 22—33). გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიაში ეს იღებს ქრისტიანული ცხოვრების უპირატესობის აღიარების სახეს ამქვეყნიურ სიმდიდრეზე, ძალაზე, კეთილდღობაზე. ამქვეყნიურ სიმდიდრეს სულიერია სიმდიდრე — ჟვარი, ქრისტე უპირისპირდება (с. 1, 2, 10, v. 456—467; PG 37, col. 713—714, შდრ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის სახის-მეტყველება, გვ. 124). ამ თვალსაზრისით, რუსთველისა და გურამიშვილის ზემოთ დასახელებული რიტორიული სქემა ქრისტიანული მწერლობის ტრადიციებს ეფუძნება. მათთან კატალოგის ბოლოს დასახელებული მიჯნურობა, როგორც საღვთო სიბრძნის ტრფილი, ყველაფერზე აღმატებული ჩანს.

თქმელი საქირო“), ეს პირველი ეტაპია სწავლებისა, შემდგომ კი იგი გადადის იკავიდან განმარტებაზე: „სიტყვა განმარტებით, არ კლება, მატებით... ყველას მოგიტობრობ ჭეშმარიტებით“⁴⁷, ე. ი. ამბის, ანუ ჭეშმარიტების სწავლება მწარეა და მოსაწყენი მისი სიძნელის და მიუწვდომლობის გამო ყრმისთვის ტყბილი ფორმის — ლექსის გარეშე. ჩანს, რომ გურამიშვილისა და გრიგოლის გააზრება ფორმა-შინაარსის მიმართებისა სახისმეტყველებითი გამოსახვისას ერთნაირია.

ამგვარად, ტყბილისა და მწარის მონაცვლეობა ორგვარი სიმბოლიკითაა გამოხატული თავად გრიგოლთანაც. ერთი მხრივ, როგორც ვნახეთ, ეს არის მცნების სიმწარე, მისი წვდომის სიმწარე, ღვთის მიხედვით ცხოვრების სიმწარე („სიმწარე საღმრთოდ ცხოვრებისა და აღმართობისა, უფროასლა დაშწყებელათათვის და გემოვნებითა უმაღლესობისა...“ — *διὰ τὸ πικρὸν τοῦ κατὰ θεὸν βίου*—*or. 45, § 17. PG 36, 6 18 A 6. A 109, 198 rv*). მეორე მხრივ, ეს არის წარმართული სიბრძნის, მათი წიგნების სიმწარე (*πικρὴ ἀλμυ* — *c. c. II, 1, 34, vv. 157—160*). ამ სიმწარისათვის კი საღვთო მოძღვრება დამატებობელია; ენაა ჩემი, „რომელი ვარეგანთა მათ სიტყუათა მიერ იწუართა და საღმრთოათა ამათ და შინაგანითა მიერ განგანათლეთ და აზნაურ-გყავეთ იგი და მწარე იგი და უსუამი მერანი ძელითა მით ცხოვრებისათა და ვატებეთ“ (ისევე როგორც მოსემ დაატკბო იგი უფლისგან ნაჩვენები ძელით — *შდრ. გამოსლ. 15, 23*)—*γλωττα, ἦν ἐν τοῖς ἔξωθεν παιδευθεῖστων λογίσι, τοῖς ἕτοιμοῖς ἔξεργεισασμεν, καὶ τῆν πικρὰν καὶ ἀποστον Μετῆραν τῷ τῆς ζωῆς ἔξω κατεργασάμεν*—*or. 36, § 4. PG 36, 269 B. S 383, 272 r*).

გრიგოლიც ახალგაზრდებს მიმართავს და კიდევ მათ, ვისაც უყვარს სიტყვიერი ხელოვნება, ე. ი. სიტყვაჯამული ფორმით აქაც (*c. II, 1, 34*) ამყარა სახისმეტყველებითაა წარმოდგენილი მაღალი საღვთისმეტყველო შინაარსი, რათა სასიამოვნო სიტყვის, მართებელი (საღვთო) ტკბობის საშუალებით (*δὶ ἡδονῆς σεμνῆς*) ახალგაზრდები მიიყვანოს საღვთო სიტყვასთან ზიარებისაკენ (*ἀγχεσθαι πρὸς θεὸν καινωσιν*—*vv. 90—91*), სანამ მათში კეთილი (*τὸ καλὸν*) არ განმტკიცებულა. ასე რომ, ეს პირველი ეტაპია განსწავლისა, სანამ, პავლეს მიხედვით რომ ვთქვათ, პიროვნება „წურთილი გონებით“ მტკიცე საზრდელის მოქენე არ გახდება და ჭეშმარიტების შემეცნებისაკენ არ გადადგამს ნაბიჯს (*ებრ. 5, 12—14*).

ხოლო შემდეგ კი, როცა დროთა განმავლობაში კეთილი, ანუ ჭეშმარიტი განმტკიცდება მასში (*πῆξιν δὲ τὰ καλὰ ἐν χροῖαν ἀβῆξ*), მოაცილებს მას ხატოვან სიტყვას (*ὑποσπᾶσταντες...τὸ κόμψον*) და დატოვებს და დაცავს მხოლოდ ყველაზე არსებითს — კეთილს (*τὰγαθὸν φιλάξομεν II, 1, 39, v. 94—96*). გადავა ჭეშმარიტ საღვთო მშვენიერებაზე (*καλὰ ανιχνεσων II, 2, 4, v. 59—66*). „რამეთუ ყოველი, რომელი მიიღებნ სძესა, უმეცარ არს სიტყუათა მას სიმართლისასა, რამეთუ ჩჩვლ არს, ხოლო სრულთაა არს მტკიცე იგი საზრდელი, რომლითა სახითა მით გონებანი წურთილნი ჰქონედ ცნობაჲ კეთილისა და

⁴⁷ ამ პასაჟს, როგორც ეპოქის ლიტერატურული შეხედულებების გამომხატველს, ყურადღება მიაქცია პროფ. რ. ბარამიძე. მისიანობით, აქ იგავის ან ლექსის პირობითობის ნაცვლად ამბად თხრობის უპირატესობაზე და ლექსის ესთეტიკურ ასპექტზეა ყურადღება გამახვილებული (რ. ბარამიძე, დ. გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი“. ძველი ქართული მწერლობის მატინე, 1, თბ., 1984, გვ. 79—81).



ბოროტისა“ (ებრ. 5, 13—14). ასე რომ, ამ გაგებით გრიგოლისა და გუგუშვილის „ყრმა“-*γέσις* არა მარტო ახალგაზრდულ ასაკს და გონებრივ სიჩქოვბას, არამედ სულიერ ასაკს, სიჩქოვბას და უწევრთნელობასაც ნიშნავს პავლეს ანალოგიით (შდრ. or. 20. § 4; A 1, 352v). მათ ჰქუთ ბაღლობას (*παιδία... ταίς φρέσι:ν*) ტკბილი სიტყვის — სიტყვა-კაზმულობის სიყვარულიც გამოხატავს (შდრ. ზემოთ გრიგოლი), ანუ ეს არის ძველი ბერძნუბივით ესთეტიკური ტკბობით გატაცება⁴⁸. მიზანი კი მათი გონებით სრულყოფაა (*ταίς δέ φρεσι:ν τελεσι:ν*) (შდრ. I კორ. 14, 20)⁴⁹.

ამასთან, გრიგოლს არ სურს, რომ უცხოთ, გარეშეთ ჰქონდეთ უპირატუნობა ამ საქმეში, ე. ი. წარმართულ ანტიკურ პოეზიას უპირისპირებს ქრისტიანული ღრმა სულიერი შინაარსის მქონე პოეზიას (*οὐδ' ἐν λόγοι:σιν πλέον διδάσκουσιν; ξένοι:σιν ἤμασιν ἔχει:ν*). ამიტომ არჩევს ფერადოვან სიტყვას, ანუ სიტყვაკაზმულ ფორმას (*καυχουσμενοι:σιν λόγοι:σιν*), თუმცა, მისივე სიტყუებით, ჩვენი, ანუ საღვთო სობრძის მშვენიერება ჰერეტაშია, თაქად აზრშია — *το καλλισ:ν ἤμιν ἐν φεαορία. II, 1, 39, v. 49—50*). ყოველივე ამას გრიგოლი განუმარტავს: მათ, ვისთვისაც შინაგანის, დაფარულის მჭვრეტელობა მახლობელი და ძვირფასია (*γυνάμχεδ' ἤμιν, ἰδὲ σοφοί:σιν τῶν ἔνδον... v. 58—59*). შდრ. გურამიშვილი: „ქრთილის პურის ქერქშია შიგ თაქთუხი ჩავდეთ, ქერქი გაფრცვენ, განავდე, შიგნით გულს კი სუამდეო“.

ელინურის (წარმართული) და ქრისტიანული მიმართება გრიგოლთან და ქართულ მწერლობაში ქრისტიანული საფუძვლიდან გამომდინარე საგულიანობა კიდევ ერთი არსებითი ტიპოლოგიური პარალელი გრიგოლისა და გურამიშვილის პოეზიისა. ამისათვის უნდა გაეიხსენოთ უპირველესად ტერმინ „ელინურის“ ისტორია. ეს ტერმინი, გარდა ეთნიკური მნიშვნელობისა, ახალი აღთქმიდან მოყოლებული, წარმართობის და წარმართულის სინონიმი განდა⁵⁰ და კულტურულ-თეოლოგიური მნიშვნელობა შეიძინა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ქრისტიანობის წარმართობაზე გამარჯვების ღრდიდან, ამ ტერმინს წმ. მამებთან უარყოფითი

⁴⁸ შდრ. სოკრატის, პლატონის მიხედვით, ოდენ ესთეტიკური ხედა ბერძნული საზოგადოების ბავშუობას მოასწავებს. პლატონის მიხედვით, პოეზიას, მითოლოგიას, ხელოვნებას მხოლოდ პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს ბავშუთა აღსაზრდელად, რასაც ბალღურ გართობაც, ოამაშობად (*παιζή*) მიიჩნევს, ფილოსოფიას — გონებრივად მომწიფებულ კაცთა საქმედ (*Republ.*, II, 377 ac, 378e; X, 602 b), ხოლო ფილოსოფოსს — მშვენიერს, ჰუმარტების შემშენებლად (*Republ.*, V, 474, cd, 476e; VI, 485c, 487c). პლატონმა პოეზია სახელმწიფოში არ დაუშვა მისი მიმეტური მუნების გამო (*Rep.* 111, 392; X, 595 ab), სიტყუიერი ტყუილის გამო (II, 382 e), რთაც იგი ჰუმარტებას, სინამდვილეს სცილდება (X 598b) და ლანდებს ქმნის (X 601a — 602d; 603b), სულიერი პარმონის დამარღვეველია, გრძნობათა ამშუელი, ზნეობის განმრყენელი (X 605c — 606c). დასაშვებია მხოლოდ ისეთი პოეზია, რომელიც სასარგებლოა (X 608a—d). ესენია პიმნები ღმერთებისადმ, კეთილზნეობრივ აღამიანთა ქება და მისთ. (X 607a; 111, 401b).

⁴⁹ ბიბლიურ-ქრისტიანული მწიგნობრობისათვის აღამიანის უმაღლესი დანიშნულება განუწყვეტელ (ახალგაზრდობიდან სიბერემდე) სწავლაში და გონებით სრულყოფაშია. ეკლესიის წიღში, როგორც „სკოლაში“ სხვადასხვა სულიერი ასაკი ენაცლება ერთმანეთს (C. Аверинцев, *Поэтика... с. 158, 162*). სხვა ყრმობა, როგორც უტოდველობა, სულთერი სრულყოფილ და სიბერეზე (I კორ. 14, 20; მთ. 18, 3; 11, 25) და ასევე რძის მეტაფორით გამოხატული სწავლება, როგორც ბავშუერი სისადავე (წმინდა სიტყუიერი რძე — I პეტრ. 2, 1—2) და სხვა ზემოთ წარმოდგენილი სულიერი სიჩქოვბა, როგორც ჰუთ ბაღლობა და გონებით უსრულობა.

⁵⁰ E. Hatch, H. Redpath, *A Concordance to the Greek Testament*, ed. P. W. F. Moulton, Edinburgh (s. v. *Σκλήρ*)



გაგება აქვს და ქრისტიანობის საპირისპირო მნიშვნელობით იხმარება. ამასთან, პარალელურად გამოიყენება ტერმინი *ἐλληγισμός*, *ἐλληγισμός* — ელინურად მეტყველება, ელინური ენა. ასე რომ, ტერმინი „ელინიზმი“ გამომატველია, მეორე მხრივ, ბერძნული კლასიკური ცივილიზაციის მემკვიდრეობითობისა ბიზანტიურისათვის. რაც გამოვლენილია არქაიზაციაში, ატიციზმებში, ლიტერატურული ფორმის ბაძვაში.⁵¹ *Ἑλληγισμός* კარგი სტილის, ენის სიწმინდის, გრამატიკული სისწორის აღნიშნველია (*καθαρότης*-ის სინონიმია) რიტორიკის თეორიაში არისტოტელედან მოყოლებული (Arist. Rhet. III, 2.1) და სიტყვის ღირებებებში (*ἀρεταὶ λέξεως*) შედის⁵². რადგან ტერმინებმა „ელინები“, „ელინური“ კულტურულ-თეოლოგიური მნიშვნელობა მიიღო ნაციონალურის პარალელურად, ამიტომ საკუთრივ, ნაციონალურის აღსანიშნავად შემოვიდა ტერმინები *Helladikoi*, *Graikoi*. მაგ. იოანე მალალასთან (VII) და *Chronicon Pascale*-ში, (VIII-ს) ათენაისს ეწოდება *Helladike*, როგორც საბერძნეთის მოსახლეს და *Hellenis*, როგორც წარმართს⁵³.

ტერმინ „ელინურის“ ეს მნიშვნელობანი აისახა ქართულ ნათარგმნ ძეგლებშიც, სადაც *Ἑλληγ.* *Ἑλληγισμός* ითარგმნება ხან როგორც „ელენი“, „ელენური“ (ელენთა ზღაპრობა, სწავლულება), ხან როგორც „წარმართი“, „საწარმართო“ (წარმართული, გარეშე სიბრძნე, სწავლულება, მჯული და სხვ.), ხან კი როგორც „მეკერპე“, „კერპთმსახური“ და მისთ. ზოგჯერ ტერმინები *Ἑλληγιστής*, *Ἑλληγιστὴ* წიგნთან, წერილთან, მეტყველებასთან დაკავშირებით ითარგმნება როგორც ბერძნული — „ბერძლმეტყვეელი“. „ბერძლ“ (ლ. 23, 38; ი. 19, 20; საქმ. 9, 29)⁵⁴.

ეფრემ მცირის დროისათვის ტერმინი „ელინური“ ითარგმნება ხან როგორც „წარმართული“, ხან კი როგორც „ელინური“. გრიგოლ დვთისმეტყველის 16-სიტყვედის და მისი კომენტარების თარგმანში უპირატესობა ენიჭება „ელინურს“ ტერმინული სიცხადისათვის. გრიგოლის ჰომილიების ბასილი მინიპისეული (X ს.) კომენტარების თარგმანში ტერმინ „საწარმართოს“ იშვიათად იყენებს ეფრემი და თანაც იქვე კონტექსტში, სადაც ხაზგასმითაა საუბარი წარმართულ სამსახურებელზე, ზღაპრობაზე, ტერმინოლოგიაზე („ღრმა და საწარმართო სიტყუა“) ან წიგნებზე (or. 43, com. 20, 70, 89, 165...) ან გარეშე სიბრძნეზე („გარეშენიცა წარმართთა ფილოსოფოსთაგანნი“ — or. 40, com 17) და ა. შ. ბასილის კომენტარების ეფრემისეულ თარგმანში ტერმინ „ელინურის“ კულტურული ღირებულებაა უფრო წინ წამოწეული, კერძოდ, გარდა წარმართულისა, აღნიშნულია მისი ენობრივ-სტილისტური მნიშვნელობა, ენობრივი ელინურობა („ღრამატიკოსობისა თუკი არს ელენეყოფა ენათა *φλωσσαν* *ἐξἑλληγιστεῖν*)—or. 43. com. 70, A 109, 29 r. Paris. Co:1. 240, § XI, (f. 27 r)

⁵¹ The Oxford Dictionary of Byzantium, v. 2, Oxford, 1991, 911—912 (s. v. Hellenes, Hellenism).

⁵² G. L. K u s t a s, Studies in Byzantine Rhetoric (*Ἀναλέξα Βλῆσανῶν* 17), Θεσσαλονίκη, 1973, p. 86.

⁵³ P. Charanis, The term „Helladikoi“ in Byzantine texts of the 6.7. 8 th centuries. *Ἐπιστολὴς Ἐπιστολῶν Βυζαντινῶν Σπουδῶν*, εἰς τὴν γῆ Ἀθῆναι. 1953, p. 619—620.

⁵⁴ ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის მასალები, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გამოსაცემად მომზადებული ლ. კვიციანიშვილის მიერ.



(შდრ. ზემოთ განხილული *ἔλλητισμός*, როგორც რიტორიკის ელემენტი, კარგი სტილის აღმნიშვნელი). ზოგან იგი („ელინი“, „ელინური“ და მასთან „ათინანი“, „ათინელი“ და მისთ.) გამოიყენება ელინური განათლების, აღზრდის *Paideia*-ს აღსანიშნავად უარყოფითი შინაარსის გარეშე, როგორც ქრისტიანობის სამსახურში მდგარი და ა. შ. (ორ. 43, *com.* 43, 53, 60, 65, 141 და ა. შ.). მაგ. ათინა „დედაა არს ფილოსოფოსობისაჲ“. *ორ.* 43, § 14: A 1, 139 რ. შდრ. ათენი ამ მნიშვნელობით — დავითის მემატიანე, მებოტბეები, რუსთაველი.

გრიგოლმა დამაჯერებელი არგუმენტებით დაუკავშირა მანამდე კულტურულ-რელიგიურად წარმართთა კუთვნილებად მიჩნეული ბერძნული ენა და განათლება (*ἔλληγίσειν*) ქრისტიანობას. ივლიანე განდგომილის განმამკიქებელ სიტყვაში (*ორ.* 4 — *PG.* 35, *col.* 641—645) გრიგოლმა ცხადყო, რომ ეს ენა ბერძენ ქრისტიანთა ენაცაა, ელინური განათლება — ქრისტიან ბერძენთა კუთვნილება, ხოლო ენობრივი და რელიგიური ელინურობა კი სხვადასხვაა. *ἔλληγισ-*

μός იდენტიფიცირებულია ქრისტიანულთან და ამიერიდან გაგებულია როგორც ჩვეულებრივი ქრისტიანული აღზრდა, ბიზანტიურ კულტურაში ჩართულობა⁵⁵. ამ თვალსაზრისით, გრიგოლის პომილის ეს ადგილი მიჩნეულია ჩერნორიზეც ხრაბრის (IX—X სს.) თხზულების „ასოთათვის“ წყაროდ⁵⁶, სადაც ის ისევე იკავს სლავური დამწერლობის და ენის და, აქედან გამომდინარე, მწერლობის, კულტურის ღირსებას, როგორც გრიგოლი — ქრისტიანულ ბერძნულ კულტურას (ივლიანეს ედიქტის წინააღმდეგ). ჩვენთვის საყურადღებოა, რომ ეროვნული ენის ღვთაებრიობის მტკიცება, ენის საღვთო შინაარსი ერთნაირადაა გახსნილი სლავ და ქართველ მოღვაწეებთან, „ქებაჲს“ ავტორთან⁵⁷. ამ გაგებით, ცნება „ქართული“ შუა საუკუნეებში ცნება „ქრისტიანულს“ უტოლდება თავისი მნიშვნელობით (რუსთაველი, გურამიშვილი). ისევე როგორც ბერძენი თუ არაბერძენი ქრისტიანი ხალხის ეროვნული ანბანი და ენა, როგორც ღვთის წყალობა, მიჩნეულ იქნა ქრისტიანობის კუთვნილებად.

რუსთველთან „სოფლის ზღაპარი“ („აწუთროს ზღაპარი“ — გურამიშვილთან), ანუ „სპარსული ამბავი“ (შდრ. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, გვ. სვ. თავისი მოგონილი ზღაპარი, ტყუილი) ამქვეყნიურს, ცრუს, წარმართულს, არაქრისტიანულს, არასასულიეროს, ანუ საეროსაც გულისხმობს (უცხოთან და გამოწავიანთან ერთად)⁵⁸, რომელიც ქართულად, ანუ ქრისტიანულად, არის ნათარგმანები (განმარტებული). ანუ აქ იგულისხმება ის, რომ ძველ მითიურ (ზღაპრულ) მოდელში ახალი ქრისტიანული სულიერი შინაარსია ჩადებული და საღვთო ქეშმარიტება სიმბოლურადაა გაცხადებული. ამქვეყნიური ცოდნა, საწუთისოფლო აზროვნება უპირისპირდება საღვთო ქრისტიანულ სიბრძნეს და მისი („საღვთოდ გასაგონის“) გამოშატველი სიმბოლოა.

⁵⁵ B. W y s s, Gregor von Nazianz. Reallexikon. für Antike und Christentum. Bd. XII. Stuttgart, 1983, *col.* 818—819. R. D o s t a l o v a, Tivos to *ἔλληγισμ.* Controverse au sujet du legs de l' Antiquite au 4e siecle, From Late Antiquity to Early Byzantium, Praha, 1985, *p.* 179—183.

⁵⁶ К. И в а н о в а, Един вероятен източник на «За буквите» от Черноризец Храбър — Литературознание и Фолклористика, София, 1983, *c.* 82—88.

⁵⁷ რ. სირაძე, კულტურულ-ისტორიული პარალელები. „ქებაჲ და დიდებაჲ ქართლისა ენისაჲ“ და ჩერნორიზეც ხრაბრის „ასოთათვის“, „ლიტერატურული საქართველო“, 29. XI. 1985, გვ. 12.

⁵⁸ შდრ. მთი როგორც ცრუ სიტყვა (*ჭახმჯე ჯძყა*), მხატვრული გამოწავიანი, რომელსაც თავისი ქეშმარიტება გააჩნია (კლათონი, „სახელმწიფო“, 377 A). შდრ. რ. სირაძე, დასახ. წიგნი, გვ. 190—195; ნ. ჯიშკარიანი, „სპარსი“ — „სპარსულს“ მნიშვნელობისათვის XII ს. ქართულ საერო პოეზიაში. საქ. მეც. აკად. მოამბე, 90, № 3, 1978, გვ. 753—756.

დ. გურამიშვილიც ამბობს: „ბრძენსა კაცსა ვებევნები, ეს ობოლი მამიძნეობისა და მამიძნეობისა, / თუ რამ იყოს სხვის სჯულისა, მომიქციოს, გამიქართლოს, / ან თუ იყოს შატყუვარა, ეცადოს, რომ განმიმართლოს“. „სხვისი სჯული“ გურამიშვილთან არა მარტო ხალხურ, ზოგჯერ საერო წარმართულ რიტუალურ სიმღერებს და სასიმღერო კილოებს გულისხმობდეს შეიძლება (რაც მისი პოეზიის სტილური ნიშანია გარეგნული ფორმა — მაგ., „ახა წმ. კოპალეს“ სანაცვლოდ „სამღერალი ხარებობის დღეს“; სიტყვა ესე ღვთისა... „ეეო, მეო, ქალო ქალთა-მზერო“-ს სანაცვლოდ სათქმელი; არია, რომელ არს გოდება, რუსულად „ახ. კაც სკუნო“ და მისთ.), არამედ ამქვეყნიურ ცოდნას, საწუთისოფლო აზროვნებასაც ნიშნავს, „ცრუის საწუთროს ყბედობას“, „საწუთროს ზღაპარს“, „მატყუვარას“, განსხვავებით „ჩვენი“, ანუ ქრისტიანული, ცოდნისაგან (მდრ. პავლენი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იხ. ზემოთ), რომელიც ქრისტიანული სიმბოლიკითაა გარდასათქმელი ბრძენის მიერ, ანუ საღვთო ხედვით და აზროვნების მქონე პიროვნების მიერ („მამინათლოს“, „მომიქციოს“, „გამიქართლოს“, ამ შემთხვევაში სინონიმური მნიშვნელობის ცნებებია).

გრიგოლ ღვთისმეტყველისათვის უცხო და ცრუ სწავლა-მოძღვრებით გატაცება (αἰθμία, ἄλλοτριος λόγος τε καὶ σοφισμασ—II, 1, 61) ღვთის ხატისაგან, საღვთო სიბრძნისაგან დაცილების ტოლფასია (εἰκὼν κενόθευαι, ἄφρον ἕσθ—II, 1, 61) ამიტომ იგი საგანგებოდ უსვამს ხაზს ზემოთ აღნიშნულ ლექსში „საკუთარი პოეზიის შესახებ“ (II, 1, 39, v. 10—15), რომ მისი ლექსების ანტიკური ფორმა (τὸ μέτρον—საზომი) პირობითია, რათა სიამოვნებისა და ლირაზე დაკვირის ნაცვლად (ἀντ' ἰσμάτων... καὶ λαι:σμάτων v. 44), დუქი მოძღვრების ნაცვლად (λογοῦ ματαιίου v. 15) ანტიკური წარმართული ფორმით (საზომი, ლექსიკა, დახვეწილი არქაული ბერძნული) გადმოსცეს სრულიად განსხვავებული, ღრმა, ბრძნული საღვთო აზრი და მოძღვრება (ἔνδον v. 59: σοφώτερον v. 13: πάντα ῥιψαρευτα; λόγος, ἀντὶν ἔχουθα; τῶν ἡσιπνεύστων μόνον v. 9—10). ფორმისა და შინაარსის ამგვარ შერწყმას იგი სრულიად განსხვავებულ, მანამდე უცნობ გზას უწოდებს სიტყვისას (ἄλληλ... τῶν λόγων ἔδον v. 22), რაც შეესაბამება ტერმინის ἄλληλγειν ახალ გაგებას, ქრისტიანობის სამსახურში ჩაყენებას. ასევე ქრისტიანული თავისი შინაარსით რუსთაველის „ქართულად ნათარგმნები“ სპარსული, ზღაპრული ამბავი და გურამიშვილის „გასაქართლებელი“, მოსაქცეული, მოსანათლი სხვისი სჯულის“ ლექსი (სიუჟეტური თუ სალექსო ფორმა).

ერთა რიტორიკული ხერხი გრიგოლის პოეზიის ეფრემ მცირისეულ თარგმანში და რუსთველთან („პინდურის“ და „სპარსულის“ ცნებებზე) ამასთან დაკავშირებით სანტერესოა გრიგოლის გნომური ოთხტაყედის (I, 2, 33) ეპიგრაფი და მისი ეფრემ მცირისეული ქართული თარგმანი: Γρηγορίου πόσις εἰμ᾽ ἑτεροδοτικῶν ὄψ|| ||Γνώμαι; πνευματικαί; νυγητόσων φαλαττω σοφής; „გრიგოლის შრომა ვარ, ხოლო ოთხმხულობით დაეცავ სწავლათა შინა სულიერთა მოსაკვენებელსა სიბრძნისასა“ — ანონიმური ზუსტი თარგმანი XII—XIII სს. (S—2568, 38r); „გრიგოლის ვარ მე[ტყვილით ნამუშავევ], / ოთხმხუვლედისა [პინდურისა] დამცველ ვარ, / [მისაცემელად] ცნობათა სულიერთა / და სიბრძნისა მის [ყოვლად ქეშმარტიბია] / მოსაკვენებელ [ღირსებით მოსწავლეთა]“ — ეფრემ მცირის თარგმანი. მთარგმნელის მიერ დამატებული ფრაზებზე კავებშია ჩასმული (იხ. „ასეული იამბიკო“ ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოცემულ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში, 1. თბ., 1946, გვ. 365). ჩანს, რომ გრიგოლი ამ ეპიგრაფში საუბრობს ფორმა-შინაარსის მიმართებაზე. შინაარსია ქრისტიანული სულიერი სწავლა-მოძღვრება, სიბრძნე, რომელიც გამოხატულია ოთხმხუვლედის ფორმით — ოთხტაყეპიანი იამბური ტრიმეტრით.



ეპიგრაფის ქართულ თარგმანში ანტიკური ფორმისა და ქრისტიანული სისურველი ურთიერთმიმართების პრობლემა უფრო გამაძაფრებელია ჩამატებებით. ამასთან, როგორც ეფრემ მცირის თარგმანის სათაურიდან ირკვევა (რაც ბერძნულში არაა დადასტურებული), იგი განკუთვნილია ქრისტიან მოსწავლეთათვის იმ წარმართული ლიტერატურის სანაცვლოდ, რომლის სწავლებაც სკოლებში მათთვის აკრძალა ივლიანე განდგომილმა 362 წ. ედიქტით — „მუკლები იამბიკოა სასწავლოადა წილ წარმართთადა, რომლისაგან განაყენა ქრისტიანნი ივლიანე განდგომილმან“; ანუ სხვანაირად ე. წ. „ასეულის იამბიკო“.

ეს სათაური ასახავს ბრძოლას ქრისტიანთა კარგი განათლებისათვის IV საუკუნეში და გვაწვდის კულტურულ-ისტორიული ხასიათის ინფორმაციას ბიზანტიის ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდის შესახებ — ქრისტიანთა განათლების შესახებ ივლიანეს რეპრესიების დროს. ივლიანეს 362 წ. ედიქტის კონტრაპროგრამას გრიგოლიც გამოეხმაურა. ლექსში „საკუთარი პოეზიის შესახებ“ მან გამოხატა მისი ეპოქისათვის დამახასიათებელი მისწრაფება — შეექმნა მრავალფეროვანი ქრისტიანული პოეზია, რომელიც ხარისხის მიხედვით შეედრებოდა კლასიკურ პოეზიას, ხოლო ქრისტიანული შინაარსით კი აღემატებოდა მას⁵⁹. ამისათვის მიმართა მან კლასიკურ ფორმას, როგორც საუკეთესოს პოეზიაში, როგორც სასკოლო ნორმას. ამასთან, ნაცნობი კლასიკური ტკბილი ფორმით ანტიკური ფუჭი მოძღვრების ნაცვლად გრიგოლს უნდა წარმოეჩინა ქრისტიანული მაღალი აზრი სულიერად ჩველათათვის.

„ასეული იამბიკოს“ სათაურის და ტექსტის ეფრემისეული ინტერპრეტაცია ასახავს გრიგოლის მთელი პოეზიის აზრს, სადაც იგი არაერთგზის აცხადებს რომ ანტიკური ფორმა მისი ლექსებისა მოხმობილია ქრისტიანული სასულიერო სწავლების გადმოსაცემად (c. II, 1, 39, vv. 37—43). (ქართველი მოღვაწის ეფრემ მცირის ინტერპრეტაცია გრიგოლის პოეზიის და მთლიანად მისი შემოქმედების ღრმა გააზრებას და გათავისებას ეფუძნება და საკვლევ თემასთან ამდენადაა დაკავშირებული).

აქ ყურადღებას იქცევს ეფრემ მცირის მიერ სიტყვა „ოთხმუხლედთან“ დამატებული სიტყვა „ჰინდური“, ე. ი. ივლისხმება, რომ ჰინდური ოთხმუხლედის ფორმით გამოხატულია ქრისტიანული შინაარსი. რა კავშირშია „ჰინდური“ ოთხმუხლედთან, როცა მარცვალითაოდენობისათვის ამ ადგილას ასევე წარმატებით შეიძლებოდა ჩასმულიყო სიტყვა „ბერძელი“, მით უმეტეს, რომ აქ მართლაც ბერძნულ სალექსო საზომზეა საუბარი და არა ჰინდურზე, აღმოსავლელზე? რას ნიშნავს აქ „ჰინდური“, რომელიც აშკარად ფორმასთან — სალექსო საზომთან არის დაკავშირებული და დაპირისპირებულია ქრისტიანულ შინაარსთან, ისევე როგორც ზემოთ განხილულ გრიგოლის ლექსში დაპირისპირებულია ანტიკური ფორმა (საზომი) და ქრისტიანული შინაარსი ან რუთველთან თუ გურამიშვილთან — წარმართული მითიური ფორმა (სიუჟეტური თუ სალექსო ფორმა) და ქრისტიანული შინაარსი?

ასეთი მოსაზრებისათვის საჭიროა სიტყვა „ჰინდოს“, „ჰინდურის“ გააზრების ისტორიის შესწავლა უცხოურ და ქართულ მწერლობაში. ამ მხრივ საყურადღებოა თვით ბიზანტიური მწერლობის მონაცემები. ვ. ბოლოტოვის დაკვირვებით ჩანს, რომ ტერმინები „ჰინდო-ინდოეთი“, თავდაპირველად სინდპუს ტომის აღმნიშვნელი, შემდგომ კარგავს კონკრეტულ ეთნიკურ მნიშვნე-

⁵⁹ შტრ. W. E. v. e n e p o e l, The Place of Poetry in Latin Christianity. Early Christian Poetry. A Collection of Essays edited by J. den Boeft and A. Hilhorst, Leiden, New York, Köln, 1993, p. 36—60.

ლობას და ზოგადად მუქი ფერის კანის მქონე ხალხის აღმნიშვნელი ხელმოწერა. შემდგომ კიდევ უფრო ფართოვდება მისი მნიშვნელობა და არაბეთის ნახევარკუნძულს, აფრიკის ნაპირებსაც მოიცავს. ძველი მწერლები ინდოეთს უწოდებდნენ სამხრეთ აზიისა და აგრეთვე შავი ზღვის სამხრეთით მდებარე მდიდარ ქვეყნებს, რომლებზეცად მათ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. ასევე არა აქვს განსაზღვრული მნიშვნელობა ტერმინ „ეთიოპიასაც“. ისიც არ იყო მკაცრად გეოგრაფიული ტერმინი. პომეროსიდან მოყოლებული მისი ადგილმდებარეობა სადაც აფრიკის (ეგვიპტის) სამხრეთით იყო მიჩნეული. შემდგომ „ეთიოპი“ შავკანიანთაც გაიგივდა, ისე რომ საზოგადო სახელად იქცა და ამ ნიშნით „ჰინდოს“ მონაცვლეც გახდა. ბოლოს ეთიოპიასაც ინდოეთი ეწოდა. ასე რომ, II—V სს. ბერძენი მწერლებისათვის უამრავი ინდოეთი და ეთიოპია არსებობდა. მათ შრომებში ამ ტერმინთა ურთიერთშენაცვლების არაერთი შემთხვევაა დადასტურებული⁶⁰.

ისინი ისეთივე განვრცობილი ცნებებია, როგორც რუსული ხალხური „არაბი“. ასეთ განზოგადებას ხელს უწყობდა ისიც, რომ როგორც ბოლოტოვი ამბობს, ბერძენ ინტელექტუალებსაც კი მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ბარბაროსთა ეთნიკურ სამყაროზე და მათ ზოგადი, ძველი ბერძნული წყაროებით ცნობილი სხვა ხალხის სახელთაც მოიხსენიებდნენ, მაგ., სკვითები იყო მათთვის შავი ზღვის ჩრდილოეთით მცხოვრები ყველა ხალხი და ა. შ.⁶¹.

ეთნიკურ-გეოგრაფიული სახელების ასეთი აღრევა რიტორიკულ ხერხადაც კი იქცა, მაგ., როგორც აღნიშნავენ, X—XIV სს. ბიზანტიური ეპისტოლოგრაფიისათვის დამახასიათებელი იყო საყოველთაოდ გავრცელებული ისეთი რიტორიკული ხერხების ხმარება, რომელთა მიზანი იყო შინაარსის დეკორატიზაცია, აბსტრაქცია, გაბუნდოვანება. ამ მიზნით გამოიყენებოდა იშვიათი არქაული გეოგრაფიული სახელწოდებები (მაგ., Michael Psellos, ep. 205) და ხალთა განზოგადებული სახელწოდებები, ნაცვლად კონკრეტულისა (მაგ., სკვითები რუსებიც არიან და უნგრელებიც — Mich. Psell., ep. 46), კონკრეტული ეთნიკურ-გეოგრაფიული სახელწოდებების დასახელებით აღნიშნება ზოგადი ცნება (მაგ., სკვითები ყველა ბარბაროს ხალხს ეწოდება — Manuel Paleologos, ep. 18)⁶².

ისევე როგორც „სკვითები“ გამოიყენება ზოგადად ბარბაროსთა აღმნიშვნელად, ასევე გამოიყენება „ჰინდო“ ზოგადად შავკანიანთა დაბალი რასის მიმართ. მსგავს მაგალითად მიიჩნევს თ. ოთხმეზური ბასილი მინიმუსის (X ს.) ეპისტოლის (იგი ერთვის გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიების ბასილისეულ კომენტარებს, და „მიმართულია იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტისადმი) ეფრემ მცირისეულ ქართულ თარგმანში „ეთიოპელის“ (Αἰθίοψ) ჰინდოთი“ გადმოცემას (და მის მოხსენიებას მაიმუნთან ერთად, მასთან ვათანაბრებას), რაც ზემოთ აღნიშნული ტრადიციით, ზოგადად შავკანიანს გულისხმობს. მხოლოდ ავტორი მას იყენებს არა კონკრეტული მნიშვნელობით, არამედ საკუთარ თავთან შედარების კონტექსტში თავის დამდაბლებისა და მეო-

⁶⁰ В. Болотов, Лекции по истории древней церкви, т. II, СПб, 1910, с. 244—246. Жизнь святых. Изложения по руководству Четьих — Миней св. Димитрия Ростовского, М., 1902—1911, т. II, с. 140, т. III, с. 827. ამ ტერმინების აღრევა ძველ ქართულ და სომხურ თარგმანებშიც ბიბლიური ტექსტებისა და სხვა ძეგლებისა, შესაბამის ბერძნულ წყაროებზე და მოკიდებული ცლარჯული მრავალთავე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკლევა დაურთო თ. მგალობლიშვილმა, თბ., 1991, გვ. 124—125. მამათა ცხორებანი, ვ. იმნაიშვილის გამოცემა, თბ., 1975, გვ. 446—448).

⁶¹ ვ. ბოლოტოვი, დასახ. შრომა, გვ. 244.

⁶² Т. Попова, Византийская эпистолография, в книге: Византийская литература, М., 1974, с. 184, 218.



რე მხრივ, განათლებული ბიზანტიელის ქედმაღლობით. ამ შემთხვევაში⁵³ რიტორიკული ხერხია. ბასილი ამბობს საყუთარ შრომაზე, რომ იგი „უტკბილო არს და უშუერ...“, არამედ ჩვენდა ესე არს ყოლადი და პატიოსანი, ვინაჲთგან ციღამტკაველსაცა და ჰინდოსა დიდჰასაკ ჰგონიეს თითოეულსა თავი თვისი და შუენიერება საგონებელ უჩნს თვისთა შობათა თვისი იგი უსახურებაჲ“. სიტყვა „ჰინდოს“ („ჰინდურის“ მაგალითი ჭერჯერობით ვერ დავადასტურებ) რიტორიკულ ხერხად გამოყენება ეფერემისტვისა ცნობილი უნდა ყოფილიყო ივლიანეს განმაქიქებელი სიტყვის დავით ტბელისეული თარგმანითაც, სადაც იგი სწორედ ივლიანესთან დაკავშირებითაა ნახმარი უარყოფითი შინაარსით: „ჰინდომან (Αἰθιοπία) ვითარ იქციოს ფერი იგი თვისი, ეგრეთცა ბოროტისა მისგან თავისა შეუძლებელ იყო შეცვალებაჲ კაცთა სიძულულისაჲ“ (ორ. 4, § 62, S 383, 172 v). ასეთივე რიტორიკული ხერხია იმავე ეპისტოლეში „ათენელის“ გამოყენება არაქრისტიანის, წარმართის მნიშვნელობით⁵⁴, ამავე თვალსაზრისით, ზემოთ განხილული ტერმინი „ელნურცი“ ან Hellenes, როგორც წარმართულის სინონიმად ფართოდ ვაერცვლებული, რიტორიკული ხერხის მნიშვნელობითაც გამოიყენება. ევაგრის საეკლესიო ისტორიაში, მაგ., სარკინოზებსაც Hellenes ეწოდება⁵⁵.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა აგრეთვე ცნობილი იტალიელი მედიევისტის, სემიოლოგის და მწერლის უმბერტო ეკოს რომანის „ვარდის სახელის“ სიმბოლიკა, რომელიც შუა საუკუნეების ტრადიციებისა და სახისმეტყველების შესანიშნავ ცოდნაზეა აგებული. საბაბტოს ბიბლიოთეკა-ლაბირინთის ერთ-ერთ განყოფილებაში სახელწოდებით „აფრიკა“ გაერთიანებულია ურჯულთა მიუღებელი წიგნები, არაბული ტრაქტატები, ანტიკური წიგნები და აგრეთვე სამეცნიერო წიგნები, რითაც ქრისტიანებიც სარგებლობდნენ (აქუელეუნი, ფრონტონი; აგრეთვე მარციან კაპელა და სხვ.), ხოლო „КРИГИ ОТКУДА НИБУДЬ ИЗ ИНДИИ“, რომელიც სადაც „ეგვიპტის“ და „იუდეის“ განყოფილებაშია, მოიცავს არამეულ წიგნებს, მათემატიკურ, ასტრონომიულ წიგნებს, წიგნებს უცნობ ენებზე და სხვ.⁵⁶. არც აფრიკას და არც ინდოეთს არა აქვთ აქ კონკრეტული გეოგრაფიულ-ეთნიკური მნიშვნელობა. ისინი ურჯულოს, წარმართულს, უცხოს, უცნობის გამომხატველია. ამავე ბიბლიოთეკაში თავად ანტიკურ პოეტთა და ფილოსოფოსთა წიგნები მოთავსებულია სახელწოდებით „აქაია“ და არა „ელდაა“, რადგან ბერძნული აღარ ნიშნავს უკვე მხოლოდ ანტიკურს. აქაია კი საბერძნეთის არქაული, ანტიკური სახელია, მისი მეტონიმი⁵⁶.

გავიხსენოთ, რომ ეფეზისტყაოსანშიც ინდოეთი და სხვა აღმოსავლური ქვეყნები სიმბოლური, მითოსურ-ზღაპრული აღმოსავლეთია და არა რეალური, კონკრეტული, ისტორიულ-გეოგრაფიული და ამ გაგებით „უცხოხსაც“ აღნიშნავს (შდრ. ინდო ტარიელზეა ნათქვამი „უცხოხსა და საკვირველსა ყმასა რასზე გარდევკიდე, „უცხო მოყმე“ და სხვ.). „ამბავი სპარსულიც“ ეფეზისტყაოსანში „უცხოხს“ (გაუცხოებულ სიუჟეტს) გულისხმობს გამოწვანთან

⁵³ თ. ოთხმეტური, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარების ისტორიიდან. მრავალთავი X V, თბ., 1989, გვ. 25.

⁵⁴ P. Charanis, დასახ. წერილი, გვ. 619—620.

⁵⁵ V. Эко, Имя розы, перевод с итальянского Е. А. Костюкович, послесловие Ю. М. Лотмана, М., 1989, с. 270—272.

⁵⁶ ამის ანალოგიად შეიძლება შეიქმნათ ისევე ბასილი მინიმუსის ეპისტოლე, სადაც ათენელში არაქრისტიანი, წარმართი იგულისხმება, რადგან ათენის აკადემია VI საუკუნემდე ანტიკური განათლების ცენტრი იყო საქრისტიანოში (იხ. თ. ოთხმეტურის დასახ. სტატია, გვ. 25). იგივე სურათია გრიგოლის მომღილებზე დართულ ბასილის კომენტარში.

ერთად, რაც მითოსურ-ზღაპრულ სიუჟეტურ მოდელსაც ნიშნავს, ანუ წარმართული თულ. საერო ფორმის (იხ. ზემოთ), ხოლო „უცხოს“, „გარემეს“ (Ζαυος. ზქომევ) ქრისტიანულ ლიტერატურაში აქვს წარმართულის, საეროს, გარეშე სიბრძნის, საწუთისოფლო აზროვნების მნიშვნელობა, განსხვავებით „ჩვენი“, ანუ ქრისტიანული საღვთო სიბრძნისაგან (იხ. ზემოთ გრიგოლი).

ამ თვალსაზრისით, ეფრემ მცირის მიერ გამოყენებული ტერმინი „ჰინდუ-რი“, როგორც რიტორიული ხერხი, ალევორიული მეთოდით ასევე უცხოს, წარმართულს უნდა ნიშნავდეს, ე. ი. უცხო, წარმართული, საერო საზომით — თთხმუხლუდი იამბიკოს ფორმით ქრისტიანული, ანუ „ჩვენი“ (როგორც სასულიერო მწერლობაში ეწოდება მას) სულიერი შინაარსი, სიბრძნე-მოძღვრება არის გადმოცემული. ამ გაგებით ეფრემ მცირის „ჰინდური“ გრიგოლ ღვთისმეტყველის „უცხოს“, ვეფხისტყაოსნის „სპარსულის“, უ. ეკოს „აფრიკავგვიპტე-ინდოეთ-აქაიის“ ტოლფასი ტერმინია.

ეფრემი ამ ადგილას ვერ გამოიყენებდა ტერმინ „ელინურს“ მარცვალთაოდენობის გამო. ტერმინ „ბერძულს“ კი, იმავე „ელინურის“ მეორე შესატყვისს ქართულში, რომელიც აქ შეავსებდა მარცვალთაოდენობას, უკვე აღარა აქვს მხოლოდ წარმართულის, ანტიკურის გაგება, ენასთან დაკავშირებითაც გამოიყენება და კულტურულად ქრისტიანობის კუთვნილებადაა ქცეული (მდრ. „სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ“ — გ. ათ ცხ.). ამასთან, რომც ჩატეულიყო მარცვალთაოდენობაში ტერმინი „ელინური“ და ეფრემს გამოიყენებინა იგი, ამ კონტექსტში ის უკვე ისეთ სიმძაფრეს აღარ შეიცავდა წარმართულის აღსანიშნავად ანტიკურ ფორმასთან, სტილთან, ლექსწყობასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეფრემის თარგმანებში ბასილის კომენტარებისა „საწარმართო“, „ელინი“, „ელინური“, „ათინა“, „ათინელი“, „ატტიკელი“ და მისთ, არა მხოლოდ განმაქიქებელი შინაარსითაა მოხმობილი, არამედ ენობრივი, კულტურული თუ ისტორიული შინაარსით. ასეთია ის ადგილები, სადაც ან ენობრივ ელინურობაზეა საუბარი, ან ელინური განათლების ადგილზე, ელინურ განსწავლულობაზე ქრისტიანობის სამსახურში და მისთ. — or. 43, com. 43, 46, 53, 60, 65, 70, 141 და სხვ. გრიგოლის პოპილიეზშიც საგანგებოდაა საუბარი გარეშე სიბრძნის, ცოდნის აუცილებლობაზე ქრისტიანთათვის და მის გამოყენებაზე ქრისტიანობის სამსახურში (რასაც ცალკე შევეხებით). ეფრემს კი სურს ხაზი გაუსვას ივლიანეს ედიქტის საპასუხო ქმედების სიმძაფრეს და დააპირისპიროს სწორედ წარმართული და ქრისტიანული, რაც გამოიხატება სათაურის მისეულ ინტერპრეტაციაში და ჩანართებში (საერთოდ, ამ თხზულების ეფრემისეულ სათაურში, ფრაზეოლოგიაში ჩანს ივლიანეს განმაქიქებელი სიტყვების — or. 4,5 და გრიგოლ ხუცის „წმ. გრიგოლის ცხოვრების“ თარგმანების კვალი). ამისთვის იყენებს ეფრემი სწორედ ტერმინ „ჰინდურს“, როგორც უცხოს, გარეშეს, წარმართულის აღმნიშვნელს. ეფრემმა სწორად გაიაზრა გრიგოლის მთელი პოეზიის ზემოთ განხილული თავისებურება — წარმართულის საწინააღმდეგო შინაარსის, ქრისტიანული აზრის წარმართული ფორმითვე გადმოცემა, რის განმარტებასაც გრიგოლმა სპეციალური თხზულება უძღვნა — ზემოთ განხილული ლექსი „საკუთარი პოეზიის შესახებ“ (II, 1, 39), ამავე საკითხებს ეხება იგი ზოგ სხვა ლექსში და პოპილიეზში⁸⁷, განსაკუთრებით, or. 4, § 4—5, A 87, 280 f. (მდრ. საბას დამოწმება: „ჰინდური — „გრიგოლის იამბიკოში“).

ამგვარად, „სპარსულის“ არატრადიციულ ალევორიულ გააზრებას ვეფხისტყაოსანში, როგორც უცხოს, წარმართულის, საეროს, არაქრისტიანული გამო-

⁸⁷ რაც უკვე განხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში და აქ აღარ შევყვარდებით (იხ. M. Guignet, Op. 43—70).

7. მაკნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1994, № 1—4.

მხატველ ლიტერატურულ-თეორიულ ტერმინს თავისი ლიტერატურული წინამორბედი ჰყავს ჭრეჭერობით მხოლოდ ეფერემ მციროს სახით⁶⁸, რომელიც თავის მხრივ, ქრისტიანული ლიტერატურის კერძოდ, გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედების, ღრმა გააზრებას ეფუძნება.

ყოველივე ზემოთ თქმული ფორმა-შინაარსის მიმართებაზე ბიზანტიელ და ქართველ ავტორებთან შუა საუკუნეების ქრისტიანული ტრადიციებითაა გამოწვეული. ანტიკური კულტურის მიბაძვა ბიზანტიური ლიტერატურის ძირითადი თვისებაა. იგი კლასიკური მოდელი და რიტორიკული ნორმაც კი იყო შუა საუკუნეებში, მაგრამ ბაძვის საგანი იყო არა შინაარსი, არამედ კლასიკური ტრადიციული ლიტერატურული ფორმები — სტილი, ენარი, მეტრი, სახეები, ზოგჯერ სიუჟეტიც და სხვ.⁶⁹

⁶⁸ ამ საკითხთან დაკავშირებით გვინდა აქვე აღვნიშნოთ, რომ სადონსტრატციო ნაშრომში (გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული ეგზიზი, 1989, გვ. 340—343, იხ. დანართის თ. II — გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია და ბერძნულ-ქართული ლექსწყობის საკითხები) გამოთქმა „ოთხმეტლადი ჰინდური“ ეფერემ მციროს სალექსწყობო ტერმინად გავიზარეთ, როგორც ბერძნული ოთხმეტლადის აღმნიშვნელი (რადგან აღმოსავლური ლექსის რომელიმე სახეობაზე საუბარი აქ თავიდანვე გამოვრიცხეთ, ხოლო სალექსწყობო ტერმინები ეფერემ მციროსთვისაა დამახასიათებელი არეობაგიტული კორპუსის, ეფერემ ასურის, გრიგოლ ნაზიანზელის შრომების მისეულ თარგმანებში). ჩვენთვის ამოსავალი იყო ის, რომ სიტყვა „ბერძნული“ უფრო შეიცავს კონკრეტულ ლოკალურ მნიშვნელობას, ხოლო სიტყვა „ჰინდო“, „ჰინდური“ ძველ ქართულ ტრადიციად არა მარტო კონკრეტულს, არამედ უფრო ზოგადი შინაარსის გამოხატველია — შვეი, ეთიოპი, უდაბნოს მკვიდრი, ინდოელი — იხ. კ. წერეთელი, ქართულ ბიბლიურ ტექსტებში ტერმინების „ჰინდოსა“ და „ჰინდურის“ ხმარების ერთი შემთხვევის შესახებ. საიბიბლო კრებ. ა. შანიძე 100, თბ., 1987, გვ. 217—223. კ. დანელია, „ჰინდო“ სიტყვის მნიშვნელობა ვეფხისტყაოსანში, „ლიტერატურული საქართველო“, 12. III, 1982. ე. ხინთიბიძე, „ვარლაჰ და იოსაფის“ ეთიოპია, თსუ შრომები, 261, 1986, გვ. 67—76. შდრ. ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებულ ლექსიონის მასალები და „ვეფხისტყაოსნის“ ავადმეფური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალები (ინახება აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტში), S. V. 'Ivǝs, 'Ivǝzas — ჰინდო, ჰინდური), ხოლო ვეფხისტყაოსანში მეტაფორული მნიშვნელობის შემცველიცაა, როგორც ყველა ქრონიკით, უნივერსალურს, იდეალურს ნიშნავს. ნ. კენჭოშვილი, „ინდო“ სიტყვის გაგებისათვის ვეფხისტყაოსანში, მაცნე, ელს, № 2, 1987, 92—97). ამ გაგებით, ეფექტობა, რომ აქ იგულისხმებოდა ბერძნული ოთხმეტლადის არაჩვეულებრიობა, ორიგინალობა, როგორც გნომური ლექსის განსაკუთრებული საზომისა, რომელიც საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა იყო ამ ტიპის პოეზიაში და წარმართული იყო თავისი წარმოშობით. ამით იგი თითქოს ზედროული იყო, პირობითი და ერთნაირად გავრცელებული არა კონკრეტულ დროში, არამედ ყველა დროში და სივრცეში (ანტიკურშიც და ბიზანტიურშიც) და, შესაძლოა, სხვა არაბერძნულ სამყაროშიც. ამავე დროს ეს „ჰინდური“ ოთხმეტლადი არატრადიციულია, უცხოა ქართულისათვის, რადგან ბერძნული იამბური ოთხმეტლადი ქართულად 5-ტეაპიანი იამბიკითაა გადმოცემული (ხოლო 12-მარცვლიანი იამბური ლექსი, ანტიკური ბერძნული იამბიკოდან წარმოშობდა). ბიზანტიურის გზით შემოვიდა ქართულში და ქართულ სასულიერო პოეზიაში მოიკიდა ფეხი). ასე რომ, ეფერემ მციროს თარგმანში ბერძნული ოთხმეტლადი ჰინდურად, ანუ სხვანაირად, უცხოდ, განსაკუთრებულად, არატრადიციულად უნდა ყოფილიყო გადმოცემული (განსხვავებით ანონიმისაგან, რომელიც ზუსტად იცავს ბერძნული ოთხმეტლადის ოთხმეტლადობას). მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ ფორმას ეხებოდა. ეფექტობა, რომ უფრო სწორი იქნება ფორმა-შინაარსის ზემოთ განხილული დაპირისპირებული გააზრება, განსახილველი სიტყვი გამოხატული.

⁶⁹ H. Hunger, On the Imitation (*Mimesis*) of Antiquity in Byzantine Literature, *Dumbarton Oaks Papers*, 23—24, 1969—70, p. 16—38. R. J. Jenkins, The Hellenistic Origins of Byzantine Literature. *DOP* 17, 1963, p. 39—52. A. Garzya, *Visages de l'Hellénisme dans le monde Byzantin* (IV^e—XII^e), Byzantion, t. 55, 1985, p. 463—482. ამ გაგებით საერო ფორმის მიბაძვას, გრიგოლივით მასთან ვაპაექრებას გულისხმობს ეახტანე VI-ცა „სპარსთაგან თარგმანში“: „სპარსთ კთი მეღექსებოა იცოდნენ... ვითამ ეს მასზედ მოინდომა: ასეთი ს აქვე სხვაშედ (—სპარსეთში—) კ. აკაელიძე, ეტიუდები IV, გვ. 126) რატომ იყოსო, რომე ქართული არ იყოსო... რუსთველმაც სპარსის ლექსის ბაძუდ სთქვა...“ (ეახტანესეული ვეფხისტყაოსანი. სევ—სევ).

გრიგოლისა და გურამიშვილი პოეზიის სხვა
ტიპოლოგიური ურთიერთმიმართებანი

ორივე ავტორთან — გრიგოლთან და გურამიშვილთან — ბიბლიური ქრისტიანული საღვთისმეტყველო ცოდნა-სიბრძნე და გამოცდილება დასახულია ადამიანის, უპირველესად ყმაწვილის, თვითშემეცნების აუცილებელ პირობად. საკუთარი თავის შემეცნებიდან იწყება ღვთის და სამყაროს (გურამიშვილთან ამას ემატება სამშობლოს) შემეცნება, მისი ისტორიის, სულიერი ცხოვრების გზის გააზრება, საკუთარი თავის ჩართვა ამ სულიერ ცხოვრებაში და მოაზრება სამყაროს ნაწილად — საკუთარი დანიშნულების შეცნობა ამქვეყანაზე, ღვაწლი და თავდადება კაცთათვის. ეს შუასაუკუნეობრივი მოაზრებაა სამყაროს, როგორც სკოლისა და პიროვნების, როგორც ქრისტეს მოწაფისა (იხ. ზემოთ).

ორივე პოეტი სიბერის ქვამს თავის თავში იკრებს მთელ ქრისტიანულ ცოდნას, სულიერ გამოცდილებას, საღვთო სიბრძნეს. ისინი ყოველივე საუკეთესოს ძველი მწერლებიდან კრებენ ერთად, აზოგადებენ ბიბლიური სახიამეტყველებით და თავის ნაღვაწს უძღვნიან ახალგაზრდებს (რაც ასაკით სიჩხობასთან ერთად სულიერ სიჩხობასაც უნდა გულისხმობდეს იხ. ზემოთ). იხ. „ბერ და მეცნიერ ვარ მრავალთა“ (S—2568, 54 v. PG, 37, II, 1, 14, v. 1); *Κύπριος ὡς γέρωα, λαλεῖν εμαυτὴ τὰ περιῶνσυναγματο* (II, 1, 39, v 54—55); *Αὐτὸν ἔχασθαι τῶν θεοκινῆστων μυστῶν* (იგულისხმება *λογοῦν*) (v. 9—10); *τοῖς νέοις* (v. 37). მთელი აღმოსავლური, დასავლური, ელინური ცოდნა (*λογοῦς*), რომელიც მივიღე, ქრისტეს ფერხთით დავდე. ამ ცოდნამ დაუთმო დიდი ღვთის სიტყვას (*εἰξάντα μὲγαλοῖο θεῶν Λογῶ* II, 2,7. v. 43—45)⁷⁰, შდრ. დ. გურამიშვილი: „ვამე ცოდვილსა, მე უმადლოსა, დავრდომილობით უხუც-უმღარდლოსა...“, „მე უშვილომ ეს ობოლი მძლივ ვაგზარდე დიდის ჭირით: რაც ეციოდი საცოდნელი მის ვასწავლე სიბრძნე-მცირით“; „ყრმათ შევავედრე ეს წიგნი“ და სხვ.

ახალგაზრდა არ უნდა მოწყდეს თავის ფესვებს, არ დაკარგოს სულიერი ხედვა ჭეშმარიტი მარადიული ფასეულობებისა, არ დაკარგოს თავისი თავი სამყაროში სულიერი ცხოვრების წყაროს მოკლებით, ჭეშმარიტი ღვთაებრივი სიბრძნისაგან, მადლისაგან დაცილებით, ღვთისგან ქმნილი მარად მღვიძარბედეს და „არ შეიქნას ლამპარ-შრეტელი“ (დ. გურამიშვილი, შდრ. გრიგოლი)⁷¹.

ამიტომ ხშირია ორივე პოეტთან მიმართებები, ვედრება ღვთისადმი — ნათლიაადმი სულიერი საზრდოს მიღებისათვის, სულიერი ცვარისათვის, გულისა და გონების განმანათლებელი საცნაური ნათლისათვის („მზევ, მომხედე პირის ბრწყინებით... მიხილე მე ბრმასა თვალი, მაცნობე სღვად გზა და კვალი... მეგულეო შენ ჩემად მსხნელად, შემექმნისხარ ჭკვით საძებნელად...“; „მიუწოდომელო ნათელი გრძელო ძველო დღეო, ვით მე ვთხოვე, ჭეშმარიტი შენ გზა მალუწყეო...“ „დიდება შენდა, ნათელო, ერთო, სამ-სახეო, ამინთე მე ბნელს სანთელი და მამინათეო“; „მასვი მე მადლით მწყურვალსა“ და მისთ. შდრ.: გრიგოლი⁷².

უამრავია ცალკეული სახეობრივი პარალელები ისევ ზოგად ქრისტიანული ტიპოლოგიით გამოწვეული: სულისა და ხორცის დაპირისპირება („ყვავის სხეული, ზრუნვათა თანა წარმსრბოლი“ I, 2, 32, v. 102⁷³). „ვცოცხლობ და

⁷⁰ შდრ. ჩვენი სტატია — გრ. ნაზიანზელის პოეზიის სახიამეტყველება, გვ. 124.

⁷¹ იქვე, გვ. 127.

⁷² იხ. დასახ. სტატია.

⁷³ იქვე, გვ. 138 და სხვ.

კვედები, დამემოწმოს, ვინაც არს ბრძენი./სულით მომკვდარ ვარ, უკუეთუ ხორცი მზეაობრობს./სულით ცხოველი მიჯობს ვიყო, დე მოკვდეს ხორცი“ (PG 37, c. II, 1, 48). შდრ. გურამიშვილი: „სულს კი აშკლობ, ხორცს ასუქებ, აწ ცხოვრება ვით იქნება?“ „სული მშობრდება, ხორცი შმობრდება“; „ხორცია მიწა ტალახი, საწუთროს ფეხით ნალახი./სული უსხეულ მყოფელი, აქვს საუკუნო სოფელი./ხორცი მკვდარხმელი ბალახი, აყოებულად ნანახი./სული ცხოვრებით მპყრობელი, ვით ბაზმა გაუქრობელი“ და სხვ.); ან კიდევ სატანა, ეშმაკი ქურდ-მპარაყად, მგლად იწოდება ორივესთან (იხ. ზემოთ გრიგოლი, შდრ. გურამიშვილი: „რად არ ეშინის მგელთაგან, ღამეა, ვანა დღისია?“ „თავს გველება ქურდ-მპარაყი, მას უღარაჯეო“ და სხვ.); ღვთის ხატს დაცილება („ხატება ღმრთისა განქარდება, უქმია განსჯა./ხატება ქრება ჩემსა შორის, უხრწნელის ღვთისა შეგინებული საბოძვარი...“ (II, 1, 61). შდრ. გურამიშვილი: „ვამე ჩემო საესავო, ტყბილო ცხოვრებისა წყარო./გავეყარე შენს სახესა, ვა თუ ველარ შავეყარო...“); ცალკეული ნიუანსები ქრისტიანული სახისაქვეყნელებისა, მაგ., „გამოიხაზვის ჩემს (გულში) ქრისტე“ (II, 1, 57). შდრ. გურამიშვილი: „გულზედ მქონდა მოხაზული ცხოვრებისა წყაროს ღარი“. შდრ. „გამოიხატოს ქრისტე თქვენ შორის“ (გალატ. 4:19); „ხართ წიგნ სამოციქულო ქრისტესა.. დაწერილნი არა მელნითა, არამედ სულითა ღმრთისა ცხოველისათა... ფიცართა შინა გულისა კორციელისათა“ (II კორ. 3:3); „ხოლო ცხოველ არღარა მე ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ თანა ქრისტე“ (გალ. 2:20) და სხვ.

ორივე პოეტის პოეზია ფსალმუნისმიერ ლირიკულ ნაკადზეა ამოზრდილი და ამიტომ ტიპოლოგიურად მახლობელია მათთან ქრისტიანული სიმბოლიკა. ფსალმუნისმიერი პიროვნული სატყეარი, რომელიც ყველა მორწმუნის ღალადებად აღიქმება, ბაძვის საგნადაა დასახული ორივე ავტორთან სიმბოლური სახეებით, პიროვნული თვითშემეცნებით. ცოდვა-მადლის კატეგორიების ქრისტიანული გააზრებით. ეს არის ფსალმუნური ტიპის აღსარებითი ჰიმნები. ხშირია მიმართვა მაცხოვრისადმი ცოდვებისაგან ხსნის ვედრებით, საკუთარი სულისადმი მიმართვა — გოდება, ტირილი საკუთარი სულიერი შეჭირვების, სულიერი კვდომის, ცოდვით დაცემის, ზეციური სახისაგან დაცილების გამო, საწუთროს გამო და სხვ.⁷⁴ (სოფლის სამღურავი ღვთის განგებასთანაა დაპირისპირებული და განზოგადებულია ბიბლიური პირველცოდვის მოტივით, როგორც საკუთარი ნების ბოროტისკენ წარმართვის შედეგი — ასეა გრიგოლთან. ჰიმნოგრაფებთან და ყველა ქართველ ქრისტიან საერო პოეტთანაც, დაწყებული რუსთველით).

ტიპოლოგიურად მახლობელია ორივესთან აგრეთვე ავტობიოგრაფიული ამბების სიმბოლური გააზრება — კაცობრიობის სულიერ ისტორიაში პიროვნული სულიერი ბიოგრაფიის ჩართვა (პირველცოდვა, კერძო პიროვნული ცოდვა და სხვ.). გრიგოლის ავტობიოგრაფიულ პოემებში სიმბოლურია ყოველი ყოფითი დეტალიც კი, მაგ., დასალუბავად განწირულ გემზე არაქრისტიანულ გარემოში შიში უნათლავად სიკვდილის გამო, რეალურად და ამავე დროს სიმბოლურად ცხოვრებისეულ ზღვაში, მორევში ყოფნა და ვედრებღვთისადმი და შიში მისი ვერ ხილვისა და ა. შ. (II, 1, 4 და სხვ.). შდრ. დ. გურამიშვილის ტყვეობა არაქრისტიანულ გარემოში, ხაროში ყოფნა და ვედრება ღვთისადმი — მზეთა-მზისადმი დასათბობად ტირილითა და მისთ. (რასაც დაწვრილებით აღარ შევხვებით). ორივე პოეტთან პიროვნული (გურამიშვილთან ეროვნულიც) განზოგადებულია ზოგადკაცობრიულამდე ბიბლიუ-

⁷⁴ შდრ. ჩვენი ზემოთ დასახ. სტატეები.



რი სახისმეტყველებით⁷⁵. მსგავსია ცხოველი განცდა ბიბლიური სიმბოლოებით გააზრებული პიროვნული „მე“-სი. თვითშემეცნების გზა მოიცავს პიროვნული (სამშობლოსაც — გურამიშვილთან), სამყაროს, ამიტომ „დავითიანი“ იწყება გამლექსავის სახელის მოხსენიებით, ღვთის შესხმით, მთავრდება ასევე პოეტის სულის მოხსენიებით. პოეტის სახელი და დავით მეფესალმუნე ჩაენაცვლებიან ერთმანეთს „დავითიანიში“. თუმცა მაინც გამოიყოფა პოეტის ინდივიდუალური სული. გრიგოლ ღვთისმეტყველიც ზოგჯერ პირდაპირ ასახელებს თავის სახელს ჰიმნებში⁷⁶, მით უმეტეს, ავტობიოგრაფიულ პოემებში. ლიტურგიული პოეზია საყოველთაოა, სადაც ზოგადად ცოდვილი ადამიანია წარმოდგენილი (მე და ჩვენ ენაცვლება აქ ერთმანეთს). გრიგოლთან და გურამიშვილთან ერთეული პიროვნებები — პოეტები არიან წარმოდგენილი: ცოდვილი პიროვნება — გრიგოლი, ცოდვილი პიროვნება — დავითი. ზოგადი განცდაც აქ პიროვნულ-ინდივიდუალურია, პიროვნული პოეზიაა ზოგადკაცობრიულამდე აყვანილი ბიბლიური სახისმეტყველებით, რომელიც სადაა, არაპრაგმატულია, მაგრამ მთელი სამყაროს დამტვეი, რადგან მარადიული სახეება წარმოჩენილი, პირველხატებისაკენ მიმყვანებელი.

როგორც ვხედავთ, გრიგოლის განსჯით, თვითშემეცნებით პოეზიას თავისი ფსალმუნისმიერი ლირიკული ნაკადით, აღსარებითი ხასიათითა და ინტიმური ინტონაციებით, მცირე ფორმის ჰიმნებით, პიროვნულსა (ავტობიოგრაფიულსაც) და ზოგადკაცობრიულს სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატვით, გოდებების მოტივებით, დაფარული, მიუწვდომელი ჭეშმარიტი მოძღვრების სიტყვაკაზმული სასიამოვნო ფორმით ვადმოცემით, ქრისტიანული დედაქტივით, ახალგაზრდებისადმი მიმართვით და სხვ. ბევრი რამ აქვს საერთო დ. გურამიშვილის პოეზიასთან, რომელიც ასევე საკუთარი სულიერი პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან იღებს სათავეს. გრიგოლ ნაზიანზელის და დ. გურამიშვილის პოეზიაც ფსალმუნური აღსარებითი ტიპის ლირიკას წარმოადგენენ, პიროვნულ-ინდივიდუალურ მსოფლგანცდას ამკვიდრებენ. სუბიექტური საწყისის განვითარებით პოეზიაში დ. გურამიშვილი პიროვნული ლირიკის დამკვიდრებამდე მიდის. მისი თვითშემეცნებითი პოეზია ახალი ტიპის პოეზიის დასაწყისის სათავეა ქართულ მწერლობაში. მას შემოაქვს ახლებური სახის ლირიკული სუბიექტი, რომელიც იგივე ავტორია, მისი მეორე პოეტური „მე“⁷⁷. ჩვენ ვიტყვით, რომ ამაში მის შორეულ წინამორბედად გრიგოლ ნაზიანზელის აღსარებითი და ავტობიოგრაფიული პოეზია შეიძლება მივიჩნიოთ, რომლის ნაწილი ქართულადაცა თარგმნილი. უმეტესად კი ისინი ტიპოლოგიურად მახლობელი პოეტებია (პიროვნულ-ინდივიდუალური თვითშემგარძნების განვითარება ორივე პოეტთან მათი პოეზიის ქრისტიანული და აღსარებითი ხასიათითაა გამოწვეული). თუმცა დ. გურამიშვილთან ყოველივე ეს „დავითიანიში“ მოფიქრებული კომპოზიციური ერთიანობითაა წარმოდგენილი, რასაც აქ თან ერთვის აგრეთვე ისტორიული, ეროვნული და სხვა მომენტები.

⁷⁵ ჩვენ ვხედავთ გურამიშვილის პოეზიის მხოლოდ იმ ძირითად მძლავრ ნაკადს, რაც შუა საუკუნეებს სახისმეტყველებითაა განპირობებული, რთაც მისი ტიპოლოგიური პარალელები გრიგოლთან სრულიად ბუნებრივია და არაფერს ვამბობთ მისი ეპოქის ლიტერატურათმცოდნის დამახასიათებელ სხვა შენაქადებზე, ყოფიერებასთან შერწყმული ყოფითი სიმბოლოების განსხვავებულ თავისებურებებზე და ნუანსებზე, სერიოზულისა და ირონიის იმგვარ მიმართებაზე, რომლის ფესვები ისევ შუა საუკუნეებშია (შდრ. Y. Эко. назв. книга) და სხვა, რაც ცალკე კვლევის საკითხია.

⁷⁶ იხ. ჩვენი სტატია — გრ. ნაზიანზელის პოეზიის სახისმეტყველება, გვ. 124.
⁷⁷ შდრ. რ. სირამაძე, დავით გურამიშვილის მეორე პოეტური „მე“. წერილები, იბ., 1980, გვ. 116—148.



ეს მსგავსებანი და განსხვავებანი გრიგოლისა და დავით⁷⁸ მწერლების კიდევ მოითხოვს კვლევას. ამჯერად კი აღვნიშნავთ, რომ ქრისტიანული აღსარებითი ხასიათის გამო ორივე პოეტი მწვავედ საუბრობს პიროვნებაში სულიერის, ღვთიურისა და ქვედამზიდველის, დემონურის ბრძოლის შესახებ და სხვ. ჩვენი ორი პოეტი ამ მხრივ, არა მარტო ენათესავენ ერთმანეთს, არამედ ორივე თავისი დროისათვის პირველად იწყებს პიროვნული ლირიკის დამკვიდრებას. გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია არის ქრისტიანული ჰიმნოგრაფიის დასაწყისი არა მარტო ქრონოლოგიურად, არამედ მისი პოეზიისათვის დამახასიათებელი ანტიკურისაგან განსხვავებული შუა საუკუნეების ქრისტიანული პოეზიისათვის ჩვეული ნიშნების მიხედვითაც (იხ. ქვემოთ ჰეგელი-სეული კლასიფიკაცია).

როგორც აღნიშნავენ, თვითშემეცნებითი ლირიკის დამკვიდრება და ამისათვის სუბიექტივიზმისა და პიროვნული განცდების შემოტანა, პიროვნულ-ინდივიდუალური „მე“-ს გაძლიერება აღსარებითი ქანრის თხზულებებით და პირადი სულიერი ცხოვრებით, ზოგადის სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატვა ქართულ მწერლობაში დ. გურამიშვილის უმთავრესი დამახატურებაა. ასეთი რამ პოეზიაში მანამდე არ გვხვდება და იგი მნიშვნელოვანია მხატვრული აზრის განახლების თვალსაზრისით ჩვენს მწერლობაში. ამ მხრივ, როგორც ახალი ლირიკა, იგი რომანტიზმის წინამძღვარიცაა. ამგვარი სიახლე, პირდაპირ თუ არა, ზოგადად მაინც აადვილებდა ლირიკაში რომანტიკული სუბიექტის დამკვიდრებას⁷⁹. ჩვენ დაუშვებდით, რომ ტიპოლოგიურად გრიგოლის ლირიკაც ასევე ახალი სახის პოეზიის მათემატიკური იყო ანტიკურიდან ბიზანტიურზე გარდამავალ პერიოდში, ხოლო მისი ქართული თარგმანი (განსაკუთრებით აღსარებითი ნაწილისა თავისი მხატვრული ღირებულებით და არა მხოლოდ თეოლოგიური მნიშვნელობით, როგორც არალიტურგიკული პოეზიის სხვა ნიმუშები) დ. გურამიშვილის პოეზიასთან ერთად ასევე მხატვრული აზრის აღორძინების ნიშნად, ევროპეიზმის ერთ-ერთ გამოვლინებად და რომანტიზმის წინამძღვრად შეიძლება ჩაითვალოს XVIII—XIX სს. საქართველოში (ქრონოლოგიურად მაინც). პიროვნულ-ინდივიდუალურის გაღვივებას ამ პერიოდში ეს პოეზიაც ეხმარება (სწორედ ამ დროს XVIII—XIX საუკუნეებში გადაწერილი და გამრავლებული).

ევროპეიზაცია ქართულ მწერლობაში და გრიგოლის პოეზიის ქართული თარგმანი

საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებით ევროპეიზაციის საშუალებებს შორის ჩვენს როგორც საერო, ისე სასულიერო მწერლობაში ასახელებენ აღმოსავლური მოტივების დაძლევას და შემდგომ ევროპულ მწერლობასთან კავშირს (უშუალოდ თუ რუსული ლიტერატურის მეშვეობით)⁷⁹. ჩვენ დაუშვებდით, რომ აქვე შეიძლებოდა ევროპეიზაციის საშუალებებს შორის შემოსულიყო ბერძნულიდან შესრულებული ძველი თარგმანების (განსაკუთრებით, არალიტურგიკული სასულიერო მწერლობის ნიმუშების თარგმანების) XVIII—XIX საუკუნეებში გადაწერისა და გამრავლების პროცესი. ასეთია ჩვენს შემთხვევაში გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კრებულები, როგორც ამ

⁷⁸ რ. სირაძე, რამდენად განეკუთვნება ახალ ქართულ მწერლობას ე. წ. გარდამავალი ხანის მწერლობა? კრებ. „ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები“, თბ., 1987, 193—204 (იხ. გვ. 201).

⁷⁹ შდრ. დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977. ბ. გონჭილაშვილი, ევროპეიზმის პრობლემა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში, თბ., 1993. რ. სირაძე, დასახ. წერილი, გვ. 195, 203.

დროს გადაწერილი, ხოლო თავად გრიგოლის პოეზია რომანტიკულ პოეზიასთან ტიპოლოგიურად მახლობელია (რომანტიზმის კავშირზე ქრისტიანულ კულტურასთან და ქართული რომანტიზმის ქრისტიანულ წყაროებზე იხ. ქვემოთ).

თუ ევროპეიზმი ჩვენს მწერლობაში აღმოსავლური მოტივების დაძლევით იწყება, ხოლო აღმოსავლურის დაძლევა ესთეტიკურ აზროვნებაში ქართული რომანტიზმით ხორციელდება და თუკი მიიჩნევენ, რომ რომანტიზმის აღმოცენებას ხელი შეუწყო ჩვენი მწერლობის „ხელახალმა ევროპეიზაციამ“, განსაკუთრებით ე. წ. „გარდამავალ ხანაში“⁸⁰, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლის პოეზიის ხელნაწერი კრებულები წინ უსწრებს რომანტიზმს აღმოსავლურობის დაძლევისა და ევროპეიზმის დამკვიდრების საქმეში ჩვენს მწერლობაში, როგორც თავიდანვე ტიპოლოგიურად ევროპული მწერლობიდან მომდინარე, ან ხელახალი ევროპეიზაციის ფუნქციის ერთ-ერთი მატარებელი XVIII—XIX სს. გარდამავალ ხანაში ხელახლა გადაწერითა და გამრავლებით. გარდამავალ ხანას ხომ სწორედ რომანტიზმის ნიშნის მიხედვით მიაკუთვნებენ ახალ მწერლობას, რომანტიზმის წანამძღვრებს ხედავდნენ ამ პერიოდის ემიგრანტულ პოეზიაში, გარდამავალი ხანის ბატონიშვილთა ლირიკაში. ლირიკის მომძლავრებას ამ პერიოდში რომანტიზმის გამოვლენის ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევენ⁸¹. სწორედ ამ პერიოდში (XVIII—XIX სს.) გადაწერილი გრიგოლის პოეზიის ზოგი კრებულები (მოუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი თავდაპირველად XVIII ს. ანტონის სკოლის ინტერესებისთვისაა გადაწერილი — პეტრიწული სკოლის ლიტერატურული პროდუქციის აღორძინების, განახლებისა და გამრავლების თვალსაზრისით) რომანტიზმის ამ ნიშანთა და წანამძღვართა გამოვლინების ერთ-ერთ დამადაპტურებლად გვესახება და გარდამავალი ხანის იმავე ინტერესების სფეროში შემოდის, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ (ერთ-ერთი ხელნაწერი თეიმურაზ ბაგრატიონის კალექციიდან (L : C—9), როგორც ჩანს. ტრიალებდა ქართველ ემგრანტთა და ბატონიშვილთა წრეში).

სასულიერო და რომანტიკული პოეზიის მსგავსება-განსხვავებანი (გრიგოლ ნახიანელი, ნ. ბარათაშვილი)

რაც შეეხება გრიგოლის პოეზიის ტიპოლოგიურ მიმართებას რომანტიზმთან და ნ. ბარათაშვილის პოეზიასთან, აქ უპირველესად გასათვალისწინებელია შემდეგი მომენტები: ბიბლიური და ქრისტიანული პოეზია საყოველთაოდაა მიჩნეული რომანტიკული პოეზიის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ⁸². შუა

⁸⁰ რ. სირაძე, „შეწვენიერება ნათელა ზეცით მოსული“ (ნ. ბარათაშვილის ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი). კრებ. „ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები“, თბ., 1987, გვ. 210. „ხელახალ ევროპეიზაციას“ იმიტომ ამბობენ მკვლევარნი, რომ ქართული მწერლობა ტიპოლოგიურად იმთავითვე ევროპული იყო, რადგან ვითარდებოდა მედიევალურ მწერლობათა აღმოსავლურ-ქრისტიანულ (თუ აღმოსავლურ-ევროპულ) კულტურულ-ისტორიულ არეალში. ეს გზა ერთგვარად გამოუღდა ჩვენი მწერლობის ე. წ. აღორძინების ხანაში სპარსო-ფილოზის მომძლავრებით. მასზე რეაქცია მაშინვე გამოიხატა არჩილის სკოლის ანტისპარსო-ფილური ტენდენციებით. მაგრამ აღმოსავლურობის დაძლევა საბოლოოდ თვალსაჩინო გახდა სწორედ „გარდამავალ ხანაში“ (იხ. რ. სირაძე, რამდენად განეკუთვნება ახალ ქართულ მწერლობას ე. წ. გარდამავალი ხანის მწერლობა..., გვ. 203).

⁸¹ იხ. რ. სირაძე, დასახ. წერილი, გვ. 200.

⁸² მაგ., იკვლევენ ქრისტიანულ გრძნობას რომანტიკულ პოეზიაში. იხ. E. Duboudot, *Le sentiment Chrétien dans la Poésie Romantique*, Paris, 1901 და სხვ.



საუკუნეების ხელოვნებას რომანტიკულს უწოდებდნენ პეგელი და მის პირველი თეორეტიკოსები და რომანტიკულ პოეზიას ქრიტიანულად მიიჩნევდნენ, ინტიმური გრძობების მასაზრდოებელს, აბსოლუტური შინაგანი ცხოვრების წარმომაჩინებელს, ინდივიდუალური პიროვნული საწყისის წინ წამომწევს, შინაგანი „მე“-ს გამხსნელს, ღრმა ლირიზმის გამომავლინებელს, რაც ჯერ კიდევ ამ პოეზიის საფუძველში — აღმოსავლურ ფსალმუნსა და ქრისტიანულ პოეზიაში წარმოჩნდა უპირველესად ანტიკურ ლირიკასთან შედარებით⁸³. ხოლო ახალ დროში ნიადაგი გახდა რომანტიზმის, როგორც მიმართულების წარმოშობისათვის. მხოლოდ ქრისტიანული მსოფლმხედველობისაგან განსხვავებით, რომანტიკული კონფლიქტი ახალი სულისკვეთებითაა ნასაზრდოები. ეს არის შეუსაბამობა რომანტიკულ იდეალსა და სინამდვილეს შორის, ახალი ხასიათის ფსიქოლოგიური კონფლიქტი მთელ სამყაროსთან, ცხოვრების დისპარმონია (და არა მხოლოდ სულისა და ხორცის, მიწიერისა და ზეციურის დისპარმონია), გონების ტრაგედია და არა მხოლოდ პიროვნების სულში არსებული შინაგანი ბრძოლა და წინააღმდეგობანი. აქედან გამომდინარეობს რომანტიკული ტრაგიკული შინაგანი გაორება, განცდათა თვითნაღიზი, ობოლი სულის ესთეტიკა, და სხვ. და, რაც უმთავრესია, შეუსაბამობა არა მარტო ოცნებასა და სინამდვილეს შორის, არამედ ოცნებისა და რწმენის მანამდე უცნობი გათიშულობა⁸⁴.

გარეგნულად რომანტიზმის ინტელექტუალური, განსჯითი სახისმეტყველება ქრისტიანული პოეზიის სახისმეტყველებას ჰგავს. როგორც აღნიშნავენ, ამის გარეშე ვერ იქნება მართებულად აღქმული ბარათაშვილის მედიტაციური ნაწარმოებები⁸⁵. ჰომოგრაფიული და რომანტიკული პოეზიისათვის საერთოა გამომსახველობითი საშუალებები — ძველი ბიბლიურ-ქრისტიანული ფორმა (თემები, მოტივები, ლექსიკა, ფრაზეოლოგია: წყვილი, ნათელი, უდაბნო, ლამპარი და სხვ.). მათგან ბევრი რომანტიკულ პოეზიაში ახალ დანიშნულებას და მნიშვნელობას იძენს (მაგ., ზეცა, ბოროტი სული და სხვ.).

ბიბლიურ-ქრისტიანული მწერლობა (განსაკუთრებით პოეზია), როგორც XIX ს. რომანტიზმის წინამძღვარი (ევროპულია და ქართულიც), შესწავლილია⁸⁶. ბიბლიურ-ქრისტიანული მოტივების, ფსალმუნურ-ჰიმნური ლირიკის დიდი ტრადიცია ქართულ მწერლობაში (აქ შეიძლება ჩაერთოს გრიგოლის არალიტერატურული ჰიმნების თარგმანიც) ქართველი რომანტიკოსებისათვის იმავე დანიშნულებას ასრულებდა, რასაც — შუა საუკუნეების ქრისტიანული ლიტერატურა ევროპული რომანტიზმისათვის, და მსოფლიო ქრისტიანულ

⁸³ Гегель, Лекции по эстетике, III, Соч., т. XIV, М., 1958, გვ. 314, 321—326. Гегель, Эстетика, II, М., 1969, გვ. 259—299. შტრ. პეგელის მიერ ხელოვნების სამ სახედ დაყოფა: სიმბოლური (აღმოსავლური), კლასიკური (ანტიკური), რომანტიკური. (შუა-საუკუნეების ქრისტიანული). ევროპული რომანტიკოსებმა ბოლომდე სახეს გამოყოფდნენ. რომანტიზმის თეორეტიკოსთათვის იხ. ი. ვეგენრიძე, რომანტიზმის არსისა და მის ნარსახეობათა შესახებ, — ქართული რომანტიზმის საკითხები, თბ., 1982, გვ. 8—35. მ. კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, თბ., 1983, გვ. 7 (შესავალი — რომანტიზმის წარმოშობა და მისი საფუძვლები).

⁸⁴ შტრ. ა. პუშკინი: «Наш век — неверный день... Ум ищет Божества, а сердце не находит» («Безверие»); ი. ლერმონტოვი: «...Мир земной мне тесен, я тебе проникнуть я боюсь, и часто звуком громких песен я, Боже, не тебе молюсь... в заблужденные бродит мой ум далеко от тебя...» («Молитва»); ე. ტრეტიაკოვი: «Не плоть, а дух растлился в наши дни, и человек отчаянно тоскует. ...Безверием палим и исушен...; и жаждет веры, но о ней не просит...» («Наш век»).

⁸⁵ რ. სირაძე, აზრის სიღაშზე და ინტელექტუალური სახეები, „ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები“, თბ., 1987, გვ. 190.

⁸⁶ ჩვენში ეს საკითხი გაშუქებულია პ. ინგოროვას, ა. გაწერელას, გ. კენაძის, გ. ასალოანის, მ. კაკაბაძის, გ. კალანდარიშვილის და სხვათა შრომებში.

კულტურასთან ზიარების საშუალებას ქმნიდა⁸⁷. ამიტომაც მოსალოდნელი ტიპოლოგიურად მახლობელი სახეები რომანტიკულ პოეზიასა და ქრისტიანულ ჰიმნოგრაფიაში⁸⁸. ზოგჯერ მსგავსება რომანტიკულ და ძველ ქართულ მწერლობას შორის იდეათა პარალელიზმით აიხსნება⁸⁹, ან ერთი საერთო ბიბლიური წყაროდან მომდინარე თემის ერთგვარი ლიტერატურული ადაპტაციით⁹⁰, ერთნაირი ბიბლიურ-სიმბოლური სახეებით გადმოცემული სარწმუნოებრივ-სუბიექტური განწყობილებებით.

ამ მხრივ გამოჩნავს ბაირონის „ებრაული მელოდიების“ ფსალმუნური ნაწილი, პუშკინის მიერ ეფრემ ასურის ლოცვის პირდაპირი გარდათქმა („Отцы пустынноики...“), რომანტიკოს ი. ი. კოზლოვის ელეგია „Вольное подражание св. Григорию Назианзину“ და მისთ. ი. კოზლოვს ახასიათებდა, საერთოდ, რუსი თუ ევროპელი პოეტებისაგან თავისუფალი თარგმანით გადმოელო ის, რაც მის სულიერ საქყაროს პარმონიულად ეთანხმებოდა. მათ შორის რუსული ფილოსოფიური პოეზიის შედევრადაა მიჩნეული აღნიშნული ელეგია, რომელიც გრიგოლ ნაზიანზელის ელეგიის („ადამიანური ბუნების შესახებ“, 1, 2, 14) თავისუფალი მიბაძვითაა შექმნილი. მართალია, კოზლოვის შემოქმედებიდან გარეგნულად თითქოს მხოლოდ ეს ერთი ლექსი ეხმაურება ქრისტიანულ ლირიკას, მაგრამ მთლიანად მისი შემოქმედების მანერა, მისი ელეგიები, ლოცვები ქრისტიანული პოეზიით ჩანს ნასაზრდოები⁹¹.

გრიგოლ ნაზიანზელის აღნიშნული ლექსი რომანტიკოსი პოეტისათვის მასაზრდოებელი შეიძლებადა ყოფილიყო რომანტიკოსთათვის დამახასიათებელი ბუნებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, მწუხარება-მელანქოლიით და სხვ., თუმცა განსხვავებანი ქრისტიანულ და რომანტიკულ პოეზიებს შორის მაინც დიდია. ბუნების ფონზე ხდება განსჯა მარადიული პრობლემებისა — ადამიანის არსებობის, წარმავლობის, მასში ღვთაებრივისა და მიწიერის შეუთანხმებლობის შესახებ. გრიგოლისა და კოზლოვის ლექსებზე ექვევითაა გაჯერებული, გონების ბრძოლით თავისსავე თავთან და იმქვეყნიური ნათლის იმედით მთავრდება. ლიტურგიკულ პოეზიაში, ჩვეულებრივ, ამქვეყნიური ამოებების თემას, რაგინდ მძაფრი და შთამბეჭდავი ფერებით არ უნდა იყოს იგი

⁸⁷ შტრ. რ. სირაძე, „შემეცნიერება ნათელა, ზეციო მოსული...“, გვ. 220.
⁸⁸ ტიპოლოგიური პარალელიზმისათვის იხ. ა. გაწერელია, პოეტურ გამოთქმათა ისტორიული მოდიფიკაციის საკითხისათვის, პოეზია და სტილიტიკა, თბ., 1977, გვ. 63—87.
⁸⁹ გ. ქიქოძე, ნ. ბარათაშვილი, რჩ. თხზ., 1, 1963, გვ. 102.
⁹⁰ გ. კალანდარიშვილი, ბაბილის ლიტერატურული ადაპტაცია ქართულ რომანტიკოსთა პოეზიაში, „ამანე“, ელს, 1981, № 1, გვ. 15—29.
⁹¹ აღნიშნავენ, რომ მისი თვითმოყოფადი მხატვრული სახე «Сердце цветет» გადავიდა ა. ფეტის შემოქმედებაში, ისევე, როგორც მისი სხვა სახეები იმევიდრეს რუსმა პოეტებმა (Иван Козлов, Стихотворения, Составление, вступительная статья и примечания В. Н. Сахарова, М., 1973, გვ. 13). შტრ. ბარათაშვილის სიტყვებს მტკუნებელი, ანუ სულის ყვაელო, ცურ ცვართაგან ნაშლი: „დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმტანა ყვაელო, მტკუნებელი სიტყვებს, სუნნელებითა აღსილი“. შტრ. გურამიშვილი: მე — „აბრაამის ყვაელო დაუქნობელი“, მისი სიტყვილით „დამიქნა გულის ყვაელო“ და მისთ. ეს სახე — სულის, გულის ყვაელობა ფსალმუნისმიერია (131, 18), გაურცლებულია საზოგადოდ ჰიმნოგრაფიაში („ეპა, ბერწო სულო ჩემო და ნაყოფთაგან ცუდო, აღყუავენ ღმრთისა მიერ“ — ანდრია კრიტილი, ძლსპირნი და ღმრთისმშობლისანი, ე. მეტრეველის გამოც., თბ., 1971, გვ. 88) და გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიაშიც, როგორც სულის ყვაელობა უხრწნელი ქრისტესათვის იხ. ან: *αὐτὸς φάτις Ἰησοῦς ἠγάπησεν ἄνθρωπον*, II, 1,1, v. 539 და სხვ. შტრ. აგრეთვე ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის სახისმეტყველება, გვ. 128). ასე რომ, ასეთი ტიპოლოგიური პარალელიზმი ფსალმუნურ-ქრისტიანული ნაკადითაა განირობებული.



გადმოცემული, ახლავს იმქვეყნიური ხსნის იმედი. ამდენად, როგორც აღნიშნავენ, გადმოცემულია ზოგიერი, თავშეკავებული, გონებისმიერი გაწონასწორებული ფორმით⁹². გრიგოლი კი, როგორც ვთქვით, ლიტურგიკული საგან განსხვავებული პიროვნული სუბიექტური ლირიკის შემქმნელია. იმქვეყნიური ხსნის ქრისტიანული იმედი, რა თქმა უნდა, მასთანაც არის, მაგრამ ამქვეყნიურ ცხოვრებაში ამას თან სდევს მარადიული ექვის (განსხვავებით მისი პოშილეებისაგან), ბოროტთან ბრძოლის, თავად „ლირიკული გმირის“ გონების, სულის გაორების მოტივები. ეს აქ (კერძოდ, აღნიშნულ ლექსში) გამოხატულია ჯერ გრძნობა-გონების ბუნებრივი თავისუფლების გადმოცემით (*Χεῖρτερος νόος*), რაც გამოვლინდება ექვებში (თუ ღვთისგან არაა სული, მაშინ როგორია მისი ბუნება?), ხოლო ლექსის დასასრულს ეს ექვი თვითშემეცნების გზით იცვლება მხსნელი ჰემმარიტების შემეცნებით (*ἑσθλὸς νόος*), გამარჯვებით შინაგან წინააღმდეგობებზე, ექვებზე. მორჩილებით სიტყვისადმი — ღვთის ნებისადმი, რწმენით, რომ ამოდ არ შევექმნივართ ღმერთს, რომ იქ გაბრწყინდება და საცნაური გახდება ღვთის პირისპირ ხილვისას, აქ შეუშეცნებელი. სწორედ გონების ადამიანური თავისუფლებისა და ღრმა დაეჭვების მიხედვით, რაც გრიგოლის ელევგის დასაწყისში არის გამოხატული, შესაძლებელია მისი შედარება რომანტიკოსებთან (გრიგოლი: „ვინ ვარ, საიდან მოვდივარ, და საით მივდივარ, არა უწყი და არც არვინ არს მათუწყებელი“ (I, 1, 14, v. 17—18). შდრ. ბარათაშვილი: „მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ საღლა იყოს?“ და ა. შ.).

როგორც აღნიშნავენ, გრიგოლმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქრისტიანულ ელევგის და შეიტანა მასში მწუხარების განცდა, რომელიც განსხვავდება ანტიკური⁹³ თუ სხვა პოეზიის (მაგ., რომანტიკულის) ელევგიათა მელანქოლიისაგან. ქრისტიანულ პოეზიაში მწუხარება გამოწვეულია არა იმქვეყნიურის, ოცნების წარმავლობით, თუნდაც ამსოფლიური მეცნიერების ამოებით (რადგან როგორც ეკლესიასტე ამბობს, „რომელმან შეიძინა მეცნიერება (*γνῶσις*), შეიძინა ღმობა“. 1, 18), არამედ იგი წარმავალ იმქვეყნიურ მწუხარებაზე მალა-მდგომია, ღრმა და ჰემმარიტი მიზეზებით განპირობებული, და ამიტომ ქრისტიანისათვის მუდმივია ჰემმარიტი ღრმა შინაგანი მწუხარება სულისა და ხორცის ბრძოლის გამო, ორგვარი გონების (კეთილისაყენ და ბოროტისაყენ მიდრეკილი გონების) გამო (როგორც გრიგოლი უწოდებს მას). იგი ჰემმარიტების ძიებით, ღვთის შეუცნობლობით გამოწვეული მწუხარებაა, სულის მწუხარება ჰემმარიტ ზეციურ სამშობლოზე და ა. შ. ეს არის საღმრთო მწუხარება, დაკავებული მიღმურის, მარადიულის, დაფარულის ჰერეტიით და შემეცნებით. იგი ძნელად შესამეცნებელი ღვთაებრივი სიბრძნის ვერ მიწვედომით გამოწვეული ტკივილი და მწუხარებაა, რომელიც საკუთარი ნების ღვთის ნებისადმი დამორჩილებით, გულისსიტყვის შეკრებით მიიღწევა („ოდეს შეჰკრიბნე გულისა სიტყუანი, შვან მათ მწუხარებაჲ საღმრთოჲ და მწუხარებაჲმან შვენს ცრემლნი და გლოვაჲ...“; „ხოლო საღმრთოჲ მწუხარებაჲ განსდევნის ცოდვისა მწუხარებასა...“⁹⁴), რადგან თავისუფლდება მისგან (ცოდვის მწუხარებისაგან) უფრო

⁹² შდრ. იოანე მინჩხის პოეზია, ლ. ხაჩიძის გამოცემა, თბ., 1987, გვ. 93.

⁹³ А. Говоров, Григорий Богослов как христианский поэт, Казань, 1896, гв. 213, 237.

⁹⁴ მამათა სწავლანი, ი. აბულაძის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 316, 5.

მაღალ საფეხურზე ასკლისას, უზენაესის წვდომისას, ე. ი. ბრძენი, მხედველი ამსოფლიური მწუხარებისაგან თავისუფლდება საღმრთო მწუხარებისათვის. ეს არის სულის მწუხარება, რომელიც სრულყოფილებისას უფრო და უფრო ივსება უკმარისობის გრძობით, ისევე როგორც მეტის ცოდნა-შემეცნებით კიდევ უფრო აშკარავდება ჩვენი უცოდნობა. გრიგოლის მთელი პოეზიაც საღმრთო ხედვა, საღმრთო მწუხარებაა ჯა ა. შ. სწორედ ამაშია ქრისტიანული პოეზიის არსებითი განსხვავება სხვა პოეზიისაგან. ამიტომ რომანტიკოსისათვის, მაგ., ბარათაშვილისათვის, უცხო არაა ცოდნა ამგვარი მდგომარეობისა, როცა იგი ამბობს: „მაგრამ, სულ, იგი ცრემლი არ სტიროდა ამ სოფელსა, / სახე შენი მოწყენილი არა ჰგავდა ხორციელსა“. აქაც ამქვეყნიური ცრემლის ნაცვლად არახორციელზე, არამწიერზეა მინიშნება, მაგრამ ეს უფრო ესთეტიკური განცდაა, ვიდრე პირადი სულიერი რელიგიური გამოცდილება. უფრო სწორად, სულიერი განცდა ესთეტიზირებულია.

დაეუბრუნდეთ ისევ ელევგას. წყლის პირს განმარტოებისას ამქვეყნიური ამოების განსჯის მოტივით გრიგოლთან დაკავშირებით შეიძლება ბარათაშვილის ფილოსოფიური ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“ გავვახსენდეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბუნების გასულიერება და რომანტიკული ამალეებულობა ქრისტიანი ავტორისათვის უცხოა. მაგრამ ბუნება მისთვისაც სულიერი მდგომარეობის შესაბამისია⁹⁵. წყალი აქაც და იქაც წუთისოფლის, ადამიანური ყოფის წარმავლობის, მარადი მდინარების სიმბოლოა. ეს ტიპოლოგიური ანალოგიაა მხოლოდ, ზოგადრომანტიკულისა და ქრისტიანული ნათესაობით გამოწვეული. იდეათა პარალელშია და არა პირდაპირი მიზანძვა, როგორც იყო კოზლოვის შემთხვევაში (მით უმეტეს, რომ გრიგოლს აღნიშნული ლექსი არც ყოფილა ქართულად თარგმნილი). აქაც განსჯის, მედიტაციის ფორმაა, ღირიკული მონოლოგი, რომელიც შინაგან დიალოგს ემყარება და თვითშემეცნებით ეძლევა პასუხი კითხვას სიცოცხლის არსის შესახებ. ამ თვალსაზრისით, ბარათაშვილის ეს ლექსიც, რომელიც ტრადიციული რომანტიკული სულისკვეთებით იწყება (ბუნება პოეტი განწყობილების თანაზიარია, წუთისოფლის ფილოსოფიური განსჯა — აღუვსებელი საწყაული, როგორც ადამიანის ამქვეყნიური კეთილდღეობით დაუკმაყოფილებლობა და ადამიანში გაღვივებული ახალი რომანტიკული სულიერი სამყაროს, იდეალების, ოცნებების დაუკმაყოფილებლობაც არის ამვე დროს), ამქვეყნიური მოღვაწეობის ქრისტიანული გააზრებით მთავრდება. როგორც აღნიშნავენ, ამსოფლიური დიდების ამოების ეკლესიასტესმიერი მოტივის შემდეგ ლექსი ლიტურგიკულ პოეზიაში მოღვაწე ერთი დიდი ქართველი პიმნოგრაფის იოანე მინჩხის დარად ქრისტიანული ხსნის იდეით გამოწვეული მოწოდებით მთავრდება — ადამიანის („სოფლის შვილის“) ამქვეყნიური ქმედების, მოღვაწეობის აუცილებლობაზე⁹⁶. „სოფლისათვის ზრუნვა“ სულიერ აქტივობას, მღვიძარებას გულისხმობს სულიერი სიკვდილის საპირისპიროდ, „სოფლის შვილობა“ მოქალაქეობრივი დანიშნულებაცაა და ამსოფელში ზესთასოფლისათვის სულიერი მოღვაწეობაც, რაც ნებელობითი აქტია.

ბარათაშვილის ღირიკისათვის ინტონაციურ კონტურს ქმნის რამდენიმე პიმნოგრაფიულ-ლოცვითი დაპამბევა⁹⁷. ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ ერთ-

⁹⁵ შტრ. А. Бизе, Историческое развитие чувства природы, СПб., 1902, с. 18—22, 25—27.

⁹⁶ იოანე მინჩხის პოეზია, გვ. 98—99.

⁹⁷ А. Гацерелия, Грузинское стихосложение (краткий очерк). Проблемы эстетики и теории литературы, Тб., 1979, ув. 107.



ერთ მთავანზე და გრიგოლის პოეზიასთან მის მიმართებაზე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბარათაშვილი ძველი ქართული მწერლობით იზრდებოდა⁹⁸, მაგრამ ქრისტიანულ ჰიმნოგრაფიასთან ან თუნდაც დასავლურ რომანტიზმთან ქართულის ზოგი საერთო ნიშანი ყოველთვის რაიმე კონტაქტით ვერ აიხსნება. ჩვენს შემთხვევაში (გრიგოლის პოეზიასთან მიმართებისათვის), როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ პოეზიის შემცველი კრებულების გავრცელების მიხედვით არ შეიძლება გამოირიცხოს უშუალო კონტაქტი, მაგრამ ქვემოთ უმეტესად ეპისკოპოს ტიპოლოგიურ თანხვედრაზე. განსახილველი ტიპოლოგიური ანალოგია გრიგოლისა და ბარათაშვილის პოეზიათა ერთ საკითხში სწორედ იდეათა პარალელიზმს ან ერთი და იმავე თემის ერთნაირ ლიტერატურულ ადაპტაციასაც შეიძლება წარმოადგენდეს.

მართალია, ნ. ბარათაშვილს, როგორც რომანტიკოს პოეტებს, ახასიათებს ბიბლიურ-ქრისტიანულ გრძნობათა გათავისება, სუბიექტური განწყობილების ბიბლიურ-ქრისტიანული ტრადიციული სახეებით გადმოცემა, მაგრამ განსახილველ შემთხვევაში არა მხოლოდ ფრაზეოლოგიური დამთხვევაა ნიშნული და აშკარა, არამედ ისიც, რომ მსგავსი მოტივაციის, განწყობილებების მსგავსი სახეებით, კომპოზიციური აგებულებით გადმოცემის მიხედვით ერთმანეთს თითქმის მხოლოდ ეს ორი პოეტი ენათესავება.

როგორც ვიცი, გრიგოლს აქვს მთელი ციკლი ლექსებისა, ჰიმნური აღსარებებისა („ბოროტისა მიმართ“) ბოროტთან (იმავე დემონთან, სატანასთან, ეშ-მაკთან) შინაგანი სულიერი ბრძოლის შესახებ, რომლებშიც დიალოგიზებულ მონოლოგებით წარმოიხილია ზნეობრივი სრულყოფილების და ამქვეყნიური საყრდენის — რწმენის მიძიებელი „ლირიკული გმირი“ („წარვედ, მ სულო, ბოროტთამცა შეაწოთო...“ „მეველტე, მ მევეცო, ბოროტო, კაცისმკვლევლო“... შდრ. ნ. ბარათაშვილის ლექსი „სულო ბოროტო“). ამგვარმა მარადიულმა ბიბლიურმა სახეებმა და განწყობილებებმა, პიროვნულად და შინაგანად ნაგრძნობმა, როგორც ვთქვით, ასაზრდოეს შემდგომდროინდელი პოეზია და განსაკუთრებით რომანტიზმი, სადაც იგი უკვე ახალ რომანტიკულ შინაარსს იძენს (ბარათაშვილამდე და გურამიშვილამდე საუკუნეებით ადრე ქართულ ნათარგმნ თუ ორიგინალურ პოეზიაში ეს ბიბლიური წარმოდგენები და განწყობილებები ტრადიციის ძალით უკვე ცოცხლობდნენ მთლიანი პოეტური სისტემის სახით, საიდანაც იმეძვიდრა ისინი რომანტიზმმა).

მართალია, რომანტიკოსთა შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია და ერთერთი ცენტრალური ფიგურაა ბიბლიური წარმომავლობის პოეტური სიმბოლო — სატანის, ლუციფერის, ბოროტი სულის პერსონიფიკირებული სახე, რომელსაც რომანტიკოსებმა განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა მისცეს, მაგრამ ქართული რომანტიკული დემონიზმის თავისებურება ისაა, რომ დემონი, ბოროტი სული — ევროპული რომანტიზმის ერთ-ერთი ძირითადი პერსონაჟი აქ არ არის პერსონიფიკირებული. ლუციფერის ან მეფისტოფელის სახელის მქონე პერსონაჟები ქართულ რომანტიკულ პოეზიაში არ გვხვდება⁹⁹,

⁹⁸ ამაზე მიუთითებს მისი ბიოგრაფი — ი. მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა, თბ., 1945, გვ. 17—50. ქრისტიანულ მწერლობას გათავისება არა მარტო ბარათაშვილის პოეზიის მოტივებს ემხნევა (რაც აღნიშნული ტიპოლოგიითა გამოწვეული), არამედ მისი ენის არქაიზმაც. გ. კუცაძის მიხედვით, მთავარი ის ყო არაა, მიმართავს თუ არა ბარათაშვილი ძველ ფორმებს, არამედ ის, თუ რამდენად სდებს იგი მათში ახალ შინაარსს და რამდენად ახერხებს მათ საშუალებით სათქმელის გამოხატვას. ესაა მისი პოეტური ინდივიდუალობის შემქმნელიც (გ. კუცაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, გვ. 218). ნათქვამი გრიგოლის პანენსაც მიესადაგება, რომელმაც მისი დროისათვის უკვე არქაული ანტიკური ფორმით გამოხატა სრულიად ახალი ქრისტიანული შინაარსი.

⁹⁹ თ. ნუცუბიძე, ქართული რომანტიზმის ტიპოლოგიის საკითხები, თბ., 1984, გვ. 3.



ხოლო ბარათაშვილის სული ბოროტი მერანთან და ყორანთან ერთად ეროვნული სახისმეტყველების ნიმუშებადაც კი იქცენა¹⁰⁰. გარდა ამისა, ევროპული რომანტიზმის ლუციფერის ტრაგიკული სახე არსებულის წინააღმდეგ მებრძოლი მარადიული ამბოხისა და შურისგების სიმბოლოდაა ქცეული (მაგ., ბაირონის „კაენში“), ადამიანის გონების ძლევაშისილების ნიშანია, თუმცა „დიდი კაენშით“ მოცული¹⁰¹. ამ მხრივ, ბარათაშვილის ბოროტი სული უფრო ტრადიციულ ქრისტიანულ გაგებასთანაა ახლოს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ეპოქალური შინაარსის სახეს, მასაც მიღებული აქვს ახალი რომანტიკული ინტერპრეტაცია. ისიც მწუხარე სულია, გონება, ფხიზელი აზრი, მაგრამ რომანტიკული ყმაწვილური ილუზიების — „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოების“, „წრფელი ზრახვების“ — მომსპობი, სულის მშვიდობის დამარღვევი, რომელიც ცრუ დაპირებებით ატყუებს და ვერ მოუპოვებს ჯოჯოხეთში სამოთხეს, ვერ ანიჭებს ლირიკულ გმირს ამსოფლად აღთქმულ თავისუფლებას და ბედნიერებას. ეს გონების ტრაგედიაა, რწმენისა და სასოების გარეშე დარჩენილი, ღვთაებრივი მადლის, სიკეთის, სიყვარულისა და სიბრძნის გარეშე დარჩენილი ფუჭი, უნაყოფო, ცივი გონების ტრაგედია, „ჰკუთი ურწმუნო“, „გულით უნდო“, „უსაგნოდ“ მარტოდ შთენილი პიროვნების ინტელექტუალური ტრაგედია, რაც ხელს უშლის სულიერ ღვაწლს. ასეთი სულიერი სიცარიელის განცდა ბოროტისადმი ბრმა რწმენის შედეგია, როცა ღმერთის შემეცნების ნაცვლად პიროვნება სულიერ სიბნელეში, უდაბნოში აღმოჩნდება. ოდენ გონება და ინტელექტი ბარათაშვილისათვის უნაყოფო ნიჭია და რწმენის გარეშე, ღვთის მადლისა და სიყვარულის გარეშე მკვდარია, რადგან ნათქვამია „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“ (მთ. 22, 37). „და უწყოდი ღმერთს ყოველი საიდუმლო და ყოველი მეცნიერება და მაქუნდეს ღმერთს ყოველი სარწმუნოება და სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არა-ვე-არა ვარ“ (I კორ. 13.2). ამ მხრივაც ბარათაშვილისეული გააზრება ბოროტი სულისა, სულიერებისაგან დაცლილი გონებისა ქრისტიანულია¹⁰².

ამგვარად, ბარათაშვილის „სული ბოროტოში“ არაა უარყოფილი ამ სახის ბიბლიური ტრადიციული ქრისტიანული გაგება (რაც გრიგოლთანაც გვაქვს). როგორც ადამიანის სულის, გულის, გონების სიკეთეს მოკლებული მზარისა, რომელსაც რწმენა უპირისპირდება. გრიგოლისათვის ბრძოლა დემონთან, ბოროტთან ქრისტიანული მსოფლმხედველობითაა ნასაზრდოები (სასულიერო ჰიმნოგრაფიის სინანულის და შეწყალების თემაა წარმოდგენილი, რაც ქრისტიანული თვალთახედვით ყველაზე სრულყოფილი მდგომარეობაა სულისა). ბარათაშვილისათვის კი — ახალი რომანტიკული განწყობილებებით და სულისკვეთებით (ბრძოლა ბედისწერასთან). თუმცა გარგნული ფორმით, კომპოზიციური აგებულებით, მოტივაციით და ფრაზეოლოგიურად ისინი ერ-

¹⁰⁰ ო. ს. ბარათაშვილი, *შეხვედრები ნათელი...*, გვ. 223.

¹⁰¹ გ. ასათიანი, *ვეფხისტყაოსნიდან ბატონიამდე*, თბ., 1974, გვ. 43, 170—171.

¹⁰² პეშკინის ან ლერმონტოვის დემონი ტრადიციული სიმბოლიკითაა წარმოდგენილი («Дух отрицания, дух сомнения... не верил он любви» — «Демон», Пушкина: «Он недоверчивость вселяет, он презрел чистую любовь... покажет образ совершенства и вдруг отнимет навсегда... не отстанет пока живу я, от меня...» — «Мой демон» Лермонтова), მაგრამ ბარათაშვილის „სული ბოროტო“ გააზრებით, კომპოზიციურადაც უფრო ახლოა ქრისტიანულ ჰიმნოგრაფიასთან, ვერძოდ, გრიგოლის აღსარებით ჰიმნებით „ბოროტისა მიმართ“.

თად დგანან¹⁰³. და ამიტომ, მიუხედავად განსხვავებული ტრადიციების რწმენისა („სულო ბოროტოში“ ღმერთი დაცილებულია ღირსიანი გმირისაგან და აქ არ ჩანს პენიტენციური ღირსისათვის დამახასიათებელი ნიშნები — თვითგვემა, გოდება, შეცოდებათა ჩამოთვლა, უფლის შიში და იმედი და არც გრიგოლის აღნიშნული ჰიმნებისათვის დამახასიათებელი განწმენდის შინაგანი მოთხოვნილება და ამაღლებისაკენ, ნათლისაკენ მისწრაფება; ხოლო სხვა მის ლექსებში რელიგიური რწმენა ესთეტიზებულია, ანდა რომანტიკული რწმენა უფრო ესთეტიკურ ფენომენებშია წარმოდგენილი), მაინც ბარათაშვილის „განვედი ჩემგან, ჰოე მაცდურო სულო ბოროტო“ თითქოს ტრადიციულ გრძნობათა გათავისებების გზით, მოტივაციით, ფრაზეოლოგიურად გრიგოლის აღნიშნულ ლექსებს გაგვახსენებს: ეშმაკის განგდება ადამიანისაგან ბიბლიის (კერძოდ სახარების) ქართულ თარგმანებშიც ამგვარი ენობრივი ფორმითაა გადმოცემული („განვედი ჩემგან ან მისგან“. მრკ. 1, 25; 5, 8; ლ. 4, 35; 5, 8 და ა. შ.). ბიბლიური საფუძველი საერთოა ორივესთვის (გრიგოლისა და ბარათაშვილისთვისაც).

მართალია, ლექსის ტრაგიკულ განცდას აძლიერებს ბოროტი სულის მიერ მოგვრილი სიცარიელის, სიბნელის, წყვიდადის, შავად მღელვარე ფიქრის განცდა, მაგრამ ამასთან შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ განგდება ბოროტისათვის თავისთავად უფლის მოხმობაცაა, გზაა სასოებად, ლოცვად, ღვთის სიბრძნის შეცნობის სიხარულამდე, ღმერთთან კავშირის მოპოვებამდე მიმყვანებელი (შდრ. „ჩემი ლოცვა“), რადგან ბოროტი მაინც გაცნობიერებულია, მხილებულია (მას ებრძვიან, პასუხს სთხოვენ), მისი შედეგი — ცოდვა მოაზრებულია, სიკეთისაგან გამორჩეულია, რწმენის უპირატესობა თავისთავად აღიარებულია, რადგან „ჰკუთით ურწმუნოების“ ავი შედეგი შეცნობილია. ესეც სულიერი ღვაწლია, სინანულამდე მიმყვანებელი. ბარათაშვილის მთელი პოეზია ცნებიდან რწმენისაკენ მიმავალი მღელვარე სულიერი გზის გამოხატულებაა.

ჩვენ უფრო იმაზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომ მიუხედავად ამ საერთო ბიბლიურ-ქრისტიანული საფუძველისა, გრიგოლისა და ბარათაშვილის ლექსებს ანათესავებს გააზრება, განწყობილება, მოტივაცია, კომპოზიცია. როგორც აღნიშნავენ, არაფერია მოულოდნელი, რომ ადამიანის სულში მიმდინარე პროცესების ქრისტიანულ მოდელს რომანტიკოსი პოეტის განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო და თვითხალრმავებისა და თვითშემეცნების გამოსახატავად ქრისტიანული კულტურის მიერ უკვე მოპოვებული ცნებებით ესარგებლა¹⁰⁴.

წარმოვადგენთ ორივე ავტორის თხზულებებს, რათა თვალსაჩინო იყოს პარალელებიც და განსხვავებანიც:

¹⁰³ გ. ასათიანის სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ლექსში არც ერთი ფერი არაა დასახელებული, „სულო ბოროტო“ იწვევს მიწისქვეშა „შავად მღელვარე“ სტიქიის ასოციაციას. იგი ამ ლექსს განიხილავს „ცისა ფერთან“ დაპირისპირებაში, სადაც მიწიერი სიმშობისაგან გათავისუფლებული სული ლაღად მიფრინავს ზესკნელისაკენ. (გ. ასათიანი, დასახ. შრომა, გვ. 168). ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან ჰიმნოგრაფიაში და გრიგოლის პოეზიაშიც ბოროტი, სატანი, ბელარიი სახისმეტყველებით სწორედ შავად მღელვარე ქვესკნელის წყლებს უყარდებდა, ხოლო ფროთენქმნილი, განწმენდილი სული ასევე ისწრაფვის ზეცისაკენ (შდრ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის სახისმეტყველება და დასახ. სტატიები).

¹⁰⁴ გ. კალანდარიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 19.

გრიგოლის ჰიმნების ციკლი

„ბოროტისა მიმართ“¹⁰⁵

„მოხუდელ, ბოროტო, არამედ დაეყენე...
ჭუარსა წინ გიყოფ ცხოვრების ჩემის მცველსა,
სოფლის შემკრველსა და ღმერთისად ძღუნად
მიმართელსა.
ამას მიპირდე, ნუ კუალად გამოჩნდები,
მიწოდს შე მადლი უხარწნელსა წინამდგომსა“
(II, 1, 60 — S 2568, 53v).

„ესე შენისა ზაკვისა, უფლისა ბოროტო,
მიმპარავ გულსა მაცთურითა ლიქნითა,
მარწმუნებ ტკბილთა გემოთა შეტკბობასა.
ვერ მარწმუნო შენ, ესე აღამ მარწმუნა.
მიწად მიიქეტ და თავდათრგუნელი იქმენ,
რათა... შე განვევლტო ვნებასა“
(II, 1, 58 — S 2568, 54r).

„რად შემაიწრებ და ესოდენ მაპირებ?
კუდა ღმერთი ჩემთვის და რამეთუ დაიწყო,
პრიდე ნათელსა, წარედ, ჰ კაცისმკვლელო,
რამეთუ პირველ გემოთა ვსცეთ შწართა.“

წარედ, წარედ, აჲ ვაგრამენ მე ბრძოლა შენი.
დადათუ გაქუნდეს სული მსგავსი ჩემი,
თანად გონება, ყოფილადვე ვერ მარწმუნო“
(II, 1, 60 — S 2568, 54r).

„კვმოვ ღმერთისა მიმართ, რაჲ ესე? მსწრაფლ
განმევლტე,
მევლტე მ მკეცო, ბოროტო, კაცისმკვლელო;
რასა მაშფოთებ, არა ვნებთა ჩემგან?
ჩემგან შორს იქმენ, ნუსადა გწყლა ჭუართა,
რომლისა ძალსა უძრწის ეშმაკთა ძალი“
(II, 1, 56 — S 2568, 54v).

ნ. ბარათაშვილის

„სული ბოროტო“

სული ბოროტო, ვინ მოგიხმო
ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის

შენ აღმაშფოთრად?

მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე
სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის
ბრმა სარწმუნოება?
ამას უქადლი ჩემს ცხოვრებას,
ყოფილად
თითქოს მამღვედი ამა სოფლად
თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა

დამისახადე,

და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედსა
გარდამიქცევედი!
მარქვი, რა იქმენ საკვირველნი
ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი
ზრახვანი?
სად ხარ აღმშფოთო, მიპასუხე,
ნუ იმალები,
რატომ გაუცდდა ძალი შენი

მომჯადოები?

წყველიმც იუოს დღე იგი, როს
შენთა აღთქმათა
ბრმად ვუმსხვერპლებდი, მივანდობდი
ჩემს გულისთქმათა!

მას აქეთ არის, დაუჯარგე
მშვიდობა სულსა

და ვერც ლელვანი ვნებათანი
მოკლენ წურფილსა!

განვედი ჩემგან, ჰოა მაცთურო,
სული ბოროტო!

რა ვარ აჲ სოფლად დამთენილი
უსაგნოდ მარტო,

ქაუთი ურწმუნო, გულით უნდო,
სულით მახვრალი?

ვაი მას, ვისაც მოჰხვდეს ხელი
შენი მსახვრალი!

1. გრიგოლის ჰიმნური აღსარებების აღნიშნული ციკლის („ბოროტისა მიმართ“) ლექსები უშუალოდ ბოროტისადმი მიმართვით იწყება („მოხუდელ, ბოროტო, არამედ დაეყენე...“, „რად შემაიწრებ და ესოდენ მაპირებ...“, „ესე შენისა ზაკვისა უფლისა, ბოროტო...“) ბოროტი სულისადმი პირდაპირი მიმართვით იწყებს ნ. ბარათაშვილიც („სული ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად...“).

2. შემდეგ საუბარია იმაზე, რომ ბოროტი სული, რომელიც „ცხოვრების მცველია“ გრიგოლთან („წინამძღვარი“ ბარათაშვილთან) სულს უშფოთებს ლირიკულ გმირს („რასა მაშფოთებ?“ — გრიგოლი. „ვინ მოგიხმო ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად...“ „სად ხარ აღმშფოთო?...“ — ბარათაშვილი), მის ცდუნებას ცდილობს „ტკბილთა გემოთა შეტკბობით“ („მიმპარავ გულსა მაცთურითა ლიქნითა“ — გრიგოლი. „ტანჯვათა შორის სიამეთა

¹⁰⁵ გრიგოლის პოეზიის ზემოთ წარმოდგენილი ადგილები სხვადასხვა ჰიმნებიდანაა მოტანილი. მაგრამ ისინი ერთნაირია მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, ერთ ციკლს ქმნიან საერთო სათაურით „ბოროტისა მიმართ“.



დამისახავდი...“ „შენთა აღთქმათა ბრძოდ ეუმსხვერპლებდი, მივანგრეწეწეწე გულისთქმათა...“ „სად წარმოღე სულის მშვიდობა... ჰოა მაცთურო...“ — ბარათაშვილი), ბარათაშვილთან კი არ უსრულებს ლირიკულ გმირს მაცთურო აღთქმას, არ აძლევს დაპირებულ თავისუფლებას და სულიერად დაცარიელებულს ტოვებს მას.

3. დასასრულ, ორივე პოეტთან არის მტკიცე გადაწყვეტილებით თქმული მიმართვა ბოროტისადმი („წარვედ, მ სულო, ბოროტთამცა შეაშობ...“ „ჩემგან შორს იქმენ...“ „ნუ კუალად გამოსჩნდები...“ „ჰრიდე ნათელსა, წარვედ, მ კაცისმკლველო... წარვედ, წარვედ, აწ ვაგრძენ მე ბრძოლა შენი...“ „მეუღტე, მ ვეცო, ბოროტო, კაცისმკლველო...“ — გრიგოლი, „განვედი ჩემგან, ჰოა მაცთურო სულო ბოროტო...“ — ბარათაშვილი), გრიგოლთან შინაგანი მოთხოვნისგან და ღმერთის რწმენით („დაღათუ გაქუნდეს სული მსგავსი ჩემი, თანად გონება, ყოვლადვე ვერ მარწმუნო...“ „მიწოდს მე მადლი უხრწნელსა წინამდგომსა“ და სხვ.), ბარათაშვილთან ცხოვრებისეული მწარე გამოცდილებით მიღებული იმედის გაცრუებით და სულიერი სიცარიელით („რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ ზარტო, ჰკუთი ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვარალი...“)¹⁰⁶.

მიუხედავად ორივე პოეტისათვის დამახასიათებელი დიდი ეპიკისა და რწმენისა, გრიგოლისაგან ბარათაშვილს უმთავრესად მაინც ის განასხვავებს, რომ სულ სხვაა წმ. ჰაინის ბრძოლა ბოროტთან. სულიერ ბრძოლებში გამოცდილი და გამოწვევითილი, ის არ საუბრობს „უღელვანი ვენებათანის“ მიერ წყურვილის მოკვლახე, „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოებაზე“, რაც სრულიად პუნებრივია რომანტიკოსისათვის და „ყმაწვილურია“ არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არაა ჯერ გონებით სრულობა — შეუთმენებელია ღვთაებრივი ჰემარიტება და მის ნაცვლად რომანტიკული ოცნებაა, ილუზიაა, გონებით ყრმობაა — ყმაწვილური გულუბრყვილო განსჯა სამყაროს არსზე, ბედნიერ მომავალზე, არამედ „ყმაწვილურია“ იმიტომაც, რომ ახალგაზრდობის გამო გონების თვალი ცოდვისათვის ბრმაა, ცოდვა მისთვის უცხოა, არა აქვს ღრმად გააზრებული. („ოდეს იგი ვიყავ ყრმა, ვიტყოდე ვითარცა ყრმაა, გულისხმავყოფდ ვითარცა ყრმაა, შერაცხილ ვიყავ ვითარცა ყრმაა; ხოლო ოდეს ვიქმენ მამაკაც, დაუტევე სიყრმისა იგი“. I კორ. 13,11; შდრ. I კორ. 14,20). სულიერ ბრძოლებში გამოუცდელსა და გამოუწრთობელს ბოროტი ადვილად ჩაუკლავს ამგვარ „ბრმა სარწმუნოებას“. წმ. გრიგოლი კი თავიდანვე ებრძვის ბოროტს, იცის მისი ზრახვები, გათვითცნობიერებული აქვს მისი მოქმედების გზები, საშუალებები და მწარე შედეგები („მოხვედი, ბოროტო, გამოვიცან შენი ზრახვები“. II, 1,54; შდრ. II კორ. 2,11), იცის მასთან ბრძოლის ხერხები და საშუალებები, რადგან ქრისტიანობისათვის არსებითია მაცხოვრის, მხსნელის იღვა. გრიგოლსაც ჰყავს იგი, აქვს ჯვარი, რომელსაც უძრწის ეშმაკთა ძალი, ლოცვა და ხმობა ღვთისადმი, ნათლისადმი და სხვ. ეს არის უმთავრესი, რაც განასხვავებს რომანტიკულ პოეზიას ქრისტიანულიდან. მიუხედავად მათი გარეგნული მსგავსებისა.

¹⁰⁶ აღნიშნული მდგომარეობა, როცა ბოროტი განდევნილია, მაგრამ ღვთაებრივი ნათლის სხივი მაინც არ ჩანს დაცარიელებულ სულში, გრიგოლ ნაზიანზელს გამოხატული აქვს სხვა პოეზია („და თუმცა ილტვის ჩემგან სწრაფეთ ბოროტო სული/გული, ველო: ცარიელქმნილი მაინც მზად არის//სამყოფლად ექმნას შეუფებას ბიწიერების“. II, 1,66), თუმცა შექვენას ისევე ღვთისგან ითხოვს, ჰაინი იწყება და მთავრდება ღვთისადმი მიმართვით და ვერცხვით („რა შემართება ღვთის სიტყვად, მიიხარ რა მომღმეს... შენის წყალობით აღმომივსე სიღრმე სულისა“).



როგორც აღნიშნავენ, ნ. ბარათაშვილმა ქართულ პოეზიას უმემკვიდრეობაში განსჯითი აზრის რწმენამდე აყვანა. ილიას „ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ“ („მგზავრის წერილები“) აშკარად ბარათაშვილი-სეულია¹⁰⁷, ხოლო ჩვენ კი ვიტყვიდით, რომ ბარათაშვილის წინამორბედი (და არა უშუალო წყარო) კონკრეტულ შემთხვევაში გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ძველი ქართული თარგმანებია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის თარგმანებს უკვლოდ არ ჩაუვლია. ქართულ ენაზე გადმოღებულ გრიგოლის პოეზიას, დღევანდელი თვალთახედვით თუ მივეუდგებით, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მეცნიერული (კოდეცილოგიურ-ტიქსტოლოგიური ან ლიტერატურის ისტორიის) თვალსაზრისით, არამედ ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც. უკვე აღვნიშნეთ მისი მნიშვნელობა ქართული მწერლობისათვის როგორც ფორმისა და შინაარსის, მხატვრული ღირსებების თვალსაზრისით, ისე ქართულ მოღვაწეთა მწიგნობრული ინტერესების წარმოსაჩენად¹⁰⁸. გრიგოლის პოეზიის, ისევე როგორც მისი ჰომილიების, თარგმანებს თავისი კვალი დაუმიჩნევია ქართულ პოეზიაზე. საერთოდ ქართულ მწერლობაში, აზროვნებაში, ლიტერატურულ ფორმებზე. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ (ნათარგმნ თუ ორიგინალურ) არალიტურგიკულ პოეზიაში გრიგოლის პოეზიას განსაკუთრებული ადგილი უკავია არა მხოლოდ მოკულობისა და მნიშვნელობის მიხედვით, ანდა მხატვრული ღირსებების მიხედვით, არამედ შემდგომდროინდელ ქართულ პოეზიაზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენის თვალსაზრისითაც. რადგან ქართული არალიტურგიკული პოეზიიდან არც ერთ სხვა ძეგლს (თავისი სპეციალური დანიშნულების გამო) ასეთი შედარებით ფართო გამოძახილი არ ჰქონია. როგორც ჩანს, გრიგოლის ჰომილების თარგმანები ცალკე, ეუღლად და განმარტოებით კი არ მდგარა ქართულ მწერლობაში, არამედ მას ცოცხალი და უწყვეტი კავშირები ჰქონია ქართულ აზროვნებაში, როგორც ჰიმნური პოეზიის მარადიული სახებისა და განწყობილებების მატარებელს.

გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ძველი ქართული თარგმანები (განსაკუთრებით, მცირე ჰომილების თარგმანები) თავისი გამომსახველობით დღესაც დააკმაყოფილებს თანამედროვე მკითხველის სულიერ თუ ესთეტიკურ მოთხოვნილებებს და მიიქცევს მის ყურადღებას.

P. S. უდიდესი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით გვინდა აღვნიშნოთ, რომ აწ განსვენებულმა ბიზანტიანელმა პროფ. ალექსანდრე ალექსიძემ ჩვენს საღისერტაციო ნაშრომზე დაწერილ რეცენზიაში გაამართლა ამგვარი მუშაობა — „ეროვნული სულის ღრმა წიაღთა ამგვარი კვლევა ამა თუ იმ ეპოქის სულიერ, გონებრივ, ესთეტიკურ მოთხოვნათა დონის გათვალისწინებით“. მისი აზრით, ბერძენ ავტორთა სახების, მოტივების კვალი, პოეტური ხატის, სიტყვის გათავისებების წარმოჩენა ქართულ თეოლოგიურ-მხატვრულ აზროვნებაში და ამგვარი მასალის თავმოყრა მოსამზადებელი საფუძველია წიგნისათვის, რომელიც ოდესმე უნდა დაიწეროს — ბერძნული სახების, მოტივების, ტოპოსების შესახებ ქართულ ენობრივ-მხატვრულ სამყაროში. ამ ტიპის წიგნი უკვე არსებობს ფრანგულ ენაზე — ერნსტ რობერტ კურციუსის ფუნდამენტური ნაშრომი შუა საუკუნეების ლათინური ტოპოსების შესახებ ევროპულ ლიტერატურაში (E. R. Curcius, La littérature européenne et la Moyen

¹⁰⁷ რ. სირაძე, დასახ. წერილი, გვ. 224.
¹⁰⁸ იხ. ჩვენი დასახ. საღისერტაციო ნაშრომი.



Age latin, Paris, 1948). ჩვენ დავეძინეთ, რომ ამ მხრივ, არა მარტო ზოგადად ბერძნულ-ქართულ ჰიმნოგრაფიაში, არამედ კონკრეტულად ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალაშიც კიდევ ბევრი რამ არის საძიებელი და საკვლევი.

ამასთან, ისახება გზები არა მხოლოდ გრიგოლის პოეზიის სახეების ტიპოლოგიური კავშირების ძებნისა ქართულ პოეზიაში, არამედ მთლიანად გრიგოლის შემოქმედების, მისი აზროვნების, როგორც ქრისტიანული რიტორიკის საუკეთესო წარმომადგენლის ტიპოლოგიური პარალელების გამოვლენისა ქართულ მწერლობაში. ამ მხრივ, ბიზანტიური რიტორიკის თეორიის ათვისება, გაათვისება და თეორიული გააზრება ქართველ მოღვაწეთა მიერ ეფრემ მცირიდან დაწყებული (რაც უშუალოდ გრიგოლის შრომებს და მათ კომენტარებს უკავშირდება) გასდევს მთელს ქართულ მწერლობას და მის ყველა ენარს — პოეზიასაც, ისტორიოგრაფიასაც და სხვა, რაც ერთ-ერთი საკვლევი საკითხია.

К. П. БЕЗАРАШВИЛИ

СОЧИНЕНИЯ ГРИГОРИЯ НАЗИАНЗИНА И ГРУЗИНСКИЕ ЛИТЕРАТУРНЫЕ ТРАДИЦИИ

Резюме

В статье рассмотрено непосредственное влияние грузинского перевода поэзии Григория на грузинскую литературу и выявлены типологические параллели. Помимо уже известных фактов (следы грузинского перевода гномических стихов Григория Ефрема Мцире в дидактических сочинениях Иоанна Петрици и царя Арчила-И. Лолашвили, Л. Менабде) обнаружен и освещен новый материал: 1. Сведения приписок к разным рукописям о распространении этих переводов поэзии Григория в церковных и светских кругах в XVIII — XIX вв. 2. Типологические параллели гимнографической части поэзии Григория в творчестве возобновителей грузинской художественной мысли — Д. Гурамишвили и Н. Бараташвили с точки зрения усиления лично-индивидуального „Я“. Причем, сам факт распространения этих переводов в XVIII — XIX вв. в статье принят как одно из проявлений европеизма („повторной европеизации“) в грузинской литературе. В смысле преодоления восточного влияния грузинскому романтизму предшествовали именно рукописные сборники грузинского перевода поэзии Григория.

В статье также рассмотрен вопрос о двойственной мудрости, т. е. о двух видах мудрости (имеется в виду учение о взаимоотношении между человеческой и божественной мудростью) в сочинениях Григория Богослова и Д. Гурамишвили. Рассмотрены также некоторые одинаковые риторические приемы, употребленные обоими поэтами, а также Ефремом Мцире и Руставели, рассуждая о взаимоотношении между языческой формой и христианским содержанием сочинения.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოდოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილება

წარმოდგინა ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა



გურამ კარბოზია

სხვათა სიტყვის ნაწილაკი „ვეფხისტყაოსანში“

სხვათა სიტყვის ნაწილაკი -ო სპორადულად ძველ ქართულშივე იხმარება. ფართოდ გამოიყენება საშუაღსა და ახალ ქართულში¹. ხშირად იხმარება იგი „ვეფხისტყაოსანში“.

-ო ნაწილაკი, როგორც წესი, III პირის ნათქვამს დაერთვის. იშვიათად გვხვდება I და II პირის ნათქვამთანაც, ე. ი. ენაცვლება -მეთქი და -თქო ნაწილაკებს. შდრ.².

ა) «მონაო ასმთისი». — «რა იცისო, — ვარქვი, — ჰკითხე!» 357₁.

ბ) უბრძანა, თუ: „წადი, უხმე! უმისობა ვით გავსძლო? მოახსენე: «რად დაპბრუნდი შენ, მამისა სიცოცხლო? მოდი, კმუნეა გამიქარე, გულსა წულულსა მეწამლო. და ვითბრა ჩემი სამიზეხო, მე თუ ლბინთა რად დავლო?» 104

ესე უთხარ: «ამის მეტსა მოციქულობ ნურას ნუო...» 1475₁

-ო ნაწილაკი ან სარიტმო სიტყვას ერთვის (ე. ი. ტაეპის ბოლოშია), ან სარიტმო სიტყვასთან არ არის დაკავშირებული (ე. ი. ტაეპის შიგნითაა). ტაეპის ბოლოს -ო ნაწილაკი ყოველგვარ სიტყვასთან გვხვდება: სახელთან (არსებითთან, ზედსართავთან), ნაცვალსახელთან, ზმნასთან, ზმნიზედასთან. ტაეპის შიგნით კი -ო ნაწილაკი, როგორც წესი, ზმნას (ზმნა-შემასმენელს) დაერთვის. გამოჩაკლისი ამ წესიდან ცოტაა. შდრ.

უშენოსა მოწონება ვისიმეაო გულსა მიცა,
ღმერთი მომკლავს, ამას იქით თავსა ვეტყვი, ამას ვსწვრთიოა 415₃₋₄
ვაგლახ მეო, რა გაიმბე ფათერაკად, მცთარმან, შმაგად! 629₁
ებრძანა: «რა შენ გაგყრივარ, მას აქათ თვეო საშია...» 471₂
ფიცი ფიცა საშინელი: «თავიკაო კლდეთა ვიცე!...» 1149,
რა შეხედნა, მან ესე თქვა: «თუ არ მზეო, ისი ვინა?» 983₂

ტაეპის ფარგლებში -ო ნაწილაკი მხოლოდ ერთხელ იხმარება, რამდენი წინადადებისგანაც უნდა შედგებოდეს ტაეპი (სხვანაირად: რამდენი ზმნაც უნდა იყოს ტაეპში)³. გამოჩაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როცა ტაეპში ერთი და იგივე სიტყვა (ზმნა) არის გამეორებული (გვიშველეთო, გვიშველეთო,

¹ შ. შიშიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1973, გვ. 195 შდლ.

² შავალითები მოყვანილია „ვეფხისტყაოსნის“ 1988 წ. გამოცემის მიხედვით.

³ ტაეპის შიგნით ნახმარი -ო ნაწილაკი, ჩვეულებრივ, პირველ ზმნას ერთვის. შდრ.

რა სცანო, რა კმენ, მოამბე, ეტრ შენი მოაჯე ველად. 135₃

ამას ღამე ნუ მოხვალო, ვერა მპოვებ შენთვის მზსა. 1093₃

ცხადად უთხრა: „შევკლებიო, მომიყენე ცხენი წინა“. 889₁

ნუ წახვალო, დაგაწამოთ, სიცოცხლეა ჩვენი ვირეს! 643₄

თუმცა დასტურდება რიგით მეორე ზმნაზე დართვის შემთხვევებიც:

„ნეტარ რა უმძიხს, რა სკირსო?“ — შექმნეს ამისი ცილობა. 564₄

„მე უკეთ მოვკლავ, მე გჯობო“, სიტყვანი ვეაქიღენით. 198₃.



მეკობრეთა ამოგვეწყვიდნეს! 1372ვ), ანდა როცა ტაეპი ორი პერპლექსის სათქვამს მოიცავს, ე. ი. როცა დიალოგი გვაქვს (ზემოთ დამოწმებული ტაეპი: «მონააო ასმათისი». — «რა იცისო, — ვარქეი, — კითხე!» 357ქ).

ზშირად პირდაპირი ნათქვამი რამდენიმე ტაეპს, მთელ სტროფს მოიცავს. თუ -ო ნაწილაკი სარიტმოდ სიტყვაა დაერთვის, იგი შეიძლება სტროფის შემადგენელ ყველა ტაეპში გვექონდეს. ანდა შესაძლოა ზოგი სარიტმოდ სიტყვა იყოს ამ ნაწილაკით გართულებული, ზოგი კი — არა. პირველი რიგის მაგალითია:

მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო,
ენახ რამე ეშმაკისა სიციფე და სიბილწეო,
ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეით ზეო,
და ვამიშეია შეჭირება, არა მგამა ყოლა მეო“. 118

იხ. ავრ. სტრ. 60 (დავიდრეჯია, მეფეო, აღარ გიციანის პირიო), 739 (კვლა პირშივე ეტყვის ვაზირსა: „მე სიტყვა შევამცირეო...“) და სხვ.
მეორე რიგის მაგალითებია:

თინათინ უთხრა: „ჰე, მზეო, შენთა მჭერეტელთა ლხინებო,
რადმცა ვაგწირე, თუ ეთა გაყრასა მოვითმინებო!
ღმრთისაგან დღეთა თხოვისა ნაცვლად სიკვდილი ვინებო,
ავრემცა მივი, რაზომსა მე ცრემლსა დავიღინებო!“ 1567

ოთხა ტაეპიდან მხოლოდ ორშია -ო ნაწილაკიანი სიტყვა.

ესე უთხარ: «ამის მეტსა მოციქულობ ნურას ნუო,
ხელე წასლე არ დაეშალო, არცა საქმე გაეთუო:
მე არ მზამს არაბთ მეფე, რომე სიტყვა გაეცრუო,
და ამოდ ვსთხოვო ქალი მისი, შეეხებუო, შეეაგუო»“. 1476

აქ კი მხოლოდ პირველ ტაეპშია -ო ნაწილაკი.

როცა -ო ნაწილაკი ტაეპის ბოლოკიდურ პოზიციაში არ არის (ე. ი. ტაეპის შიგნითაა), იგი, ჩვეულებრივ, ერთხელ გვხვდება, თანაც ნებისამიერ ტაეპში: თავკადურში, ბოლოკიდურში ან შიგნითაში. შდრ.

ა) -ო ნაწილაკი პირველ ტაეპშია (იგულისხმება პირდაპირი ნათქვამის შემცველი ტაეპები):

მართ მეფემან ყმათა ბრძანა აეთანდილის თაყვანება:
„ესეაო მეფე თქვენი, ასრე იქმნა ღმრთისა ნება,
დღეს ამას აქვს ტახტი ჩემი, მე — სიბერე ეთა სნება,
და ჩემად სწორად მსახურებდით, დაიჭირეთ ჩემი მცნება!“ 1541

«როსანს შეერთოთო, — დულარდუბტს მეფესა უბრძანებია, —
ჯეროთ ქორწინებად არა მცალს, აწ გული ცეცხლნადებოა,
შემოიქცევი, შევისძლობ, ეინ ცისა მზედ ნაქებია». 1236₁₋₃

ბ) -ო ნაწილაკი ბოლო ტაეპშია:

მიბრძანა: «მიკვირს, რად მოხვე მშლელი პირისა მტკიცისა,
ვამწირავი და მულთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა?!
მაგრა ნაცვალსა პატყსა მიგეტმისო ზენა, მი-, ცისა!» 521₁₋₃

ფატმან, უსამ და მონანი ტირან ცრემლითა ცხელითა,
იტყვიან: „მზეო, რა გვიყავ? დაგვევენ ცეცხლითა მწველითა!
რად დაგვაბნელენ შენისა მოშორებებისა ბნელითა!
და და-ცა-გემარბენო ხელითა, ჩენითა დამმარბეულითა!“



გ) -ო ნაწილად სტროფის შუა ტაეპშია:

მეფესა ეთქვა ამისი დიადი მადრიელობა,
 ებრძანა: „ლომო, არა გჳირს შენ ომთა გამდრეკლობა,
 აწ მავა შესსა თათბირსა ჰგავსო შენივე ჳეელობა.
 და წა, მავრა მომხედეს, რალა ექმნა, თუ სიშორისა გრძელობა!“ 144

პირდაპირი ნათქვამი არცთუ იშვიათად რამდენიმე სტროფს მოიცავს. ამ შემთხვევაში -ო ნაწილად შეიძლება პირველსავე ტაეპში, პირველსავე წინადადებაში იყოს. მაგ.,

პირსა იხოჳს, ღაწეთა სისხლი ჩასდიოდა მისსა მჳერტესა:
 „რაცა ექმნო, არ უქნია არცა შმაგსა, არცა რეტსა:
 წყალი სწრაფით რად დაეასხი ცეცხლსა, მწელად დასაშრეტსა!
 და ჩჳარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ღზისსა მერისმეტსა.“

მე მოვკალ ჩემი მოყუარე: რა მმართებს გაწბილებულსა?
 თავსა ვაბრალობ საქმესა, არ დასმით გავონებულსა!
 ცრუ კაცი კარგად ვერა იქს საქმესა გაძნელებულსა,
 და თქმულა: «სიწყინარე გმობილი სჯობს სიჩჳარესა ქებულსა!» 1338—1339

იხ. აგრ. სტროფები: 430_გ—433 („დიდი მაცო თქვენი ვალი, ჩემგან ძნელად გარდისდების“ — ამას მოჳყევება 13 ტაეპი), 1481_გ—1484 („მიყოთ კარგი ქველადი მომართებამან შენამან“ + 13 ტაეპი), 1027—1030 („გარდახდეს, ჳადრეს: ჩვენ ვართო მობაღდადენი ვაჳარნი“ + 15 ტაეპი).

დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როცა სხვათა სიტყვის ნაწილად პირდაპირი ნათქვამის პირველსა და ბოლო წინადადებაში (ე. ი. პირველსა და ბოლო ტაეპში) გვაქვს.

196—207₂ სტროფები მოიცავს ხატეული ძმების მონათხრობს ტარიელთან შეხვედრის თაობაზე:

ათანდილ მოდგა, ეუბნა მით კაცთა გულმდღღარეთა;
 მით უთხრეს მათი ამბავი, ტირილით მოუბარეთა:
 „ჩვენ ვართო მშანი სამნივე. — მით ეღდენთ ცრემლთა მწარეთა, —
 და ღია გვაქვს ციხე-ქალაქი ხატეთს არეშარეთა.“

ამას მოსდევს 10 სტროფი და ბოლო, მე-12, სტროფში ეს მონათხრობი ანე თავდება:

აღარ დაბრუნდა, წაეიღა წყნარად და აღჩჳარებლად,
 აგერა მივა, ნახეო, იგი მზეებრ და მთეარებლად“.

მრავალსტროფიან პირდაპირ თქმაში -ო-ნაწილადიანი სიტყვა ხშირად კიდურა ტაეპებში კი არა გვაქვს, არამედ — შიგნითაში. და ეს -ო-ნაწილადიანი ფრაზა, რომელიც დიდადაა დაშორებული როგორც საწყისს, ისე ბოლო წინადადებას, მეტად უჩვეულოდ გამოიყურება ნაწილადით გაურთულებელი წინადადებების ფონზე. ერთი დამახასიათებელი მაგალითი:

ათანდილ უთხრა: „მე შენი გაყრა არ მომეთმინების;
 თუ გაგყურები, თვალთაგან ცრემლიცა დამედინების.
 მართალსა გითბრობ, ამისი კადრება ნუ გეწყინების,
 და შენ ვისთვის ჳეედები, მაგითა მას არა არ ეღზინების.
 რა აქიმი დასწულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
 მან სხვა უხმოს მყურნალი და მაჳაშისა შემტყვევბარი,
 მას უამბოს, რაცა სჳირდეს სენი, ცეცხლთა მომღებბარი:
 და სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.“

რაცა გიბზრა, მომისმინე, ბრძენი ვეტყვი, არა ხელი:
ასი გმართებს გაგონება, არ გუყოფის, არ, ერთხელი;
კარვად ვერას ვერ მოაღუნს კაცი აგრე გულფიცხელი.
და აწ მე მინდა ნახვა მისი, ესგან დამწევას ცეცხლი ცხელი.
იგი ვნახო, სიყვარული მისი ჩემთვის დავამტყიცო;
მოვახსენო, რაცა შეენას, მეტი საქმე არა მიცო.
შენ გენუევე, შემავერო, ღმერთი იღმერთო, ცაყა იცო,
და ერთმანერთი არ გავწიროთ, მაფიცო და შემომფიცო.
რომე აქათ არ წახვიდე, შენ თუ ამას შემეპირო,
მეცა ფიცით შეგაყვებ, არასათვის არ გავწირო,
კვლა მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოკვდე, შენთვის ვირო,
და ღმერთსა უნდეს, ვისთვის ჰკვდები, მისთვის აგრე არ გატირო“. 658—662

როგორც ვხედავთ, პირდაპირი ნათქვამის შემადგენელი 20 ტაეპიდან მხოლოდ მეთოთხმეტეში იჩენს თავს სხვათა სიტყვის ნაწილაკი. და სწორედ ამ უჩვეულო პოზიციამ შეაპირობა, უთუოდ, მისი მნიშვნელობის მცდარი ინტერპრეტაცია „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემაში: -ო ნაწილაკი აქ -მეთქი-ს ფარდად ჩაითვალა⁴. რასაკვირველია, ეს ასე არ არის და ლიტერატურაში ადრე გამოთქმულ სწორ თვალსაზრისს (მეტი საქმე არა მიცო = მეტი საქმე არა მაქვსო⁵) რევიზია არ სჭირდება.

-ო-ნაწილაკიანი ტაეპი პირდაპირ ნათქვამში შიგნით (არაკიდურა პოზიციამში) შეიძლება ერთზე მეტიც იყოს. გავიხსენოთ 597—606 სტროფები, ტარიელი ვადმოგვცემს ფრიდონის ნათქვამს:

პირველ მიბზრა: «არა ვიცი, რა ხარ, ანუ რას გამსგავსო?
ანუ ვგრე რამ დავლია, ანუ პირველ რამ გავგესო?
რამან შექმნა მოყვითანედ, ვარდ-ვიშერი რომე რავხისო?
და ღმერთთან მისგან ანთებული სანთელიმცა რად დავგესო?
მულაზნაზრის ქალაქი, ახლა მე მაქვსო რომელი;
ნურადინ-ფრიდონ სახელ მქვს, მეფე ვარ მუნა მქდომელი».

ამას მოსდევს რვა-ნახევარი სტროფი. 40 ტაეპიდან -ო ნაწილაკი გვაქვს მექამესა და მეხუთეში: აქედან ერთში — ტაეპის ბოლოს (რავესო), მეორეში — ტაეპის შიგნით (მაქვსო).

სხვათა სიტყვის ნაწილაკის უცნაურ და უჩვეულო, ასე ეთქვათ, უადგილო ადვილას დასმა, რაც რუსთაველის ენის დამახასიათებელ სტილისტიკურ ხერხს წარმოადგენს, გვიანდელი ხანის გადამწერებისათვის გასაგები აღარ იყო და ბევრი ასეთი ადგილი რიგ ხელნაწერში „გასწორებულთა“, გადაკეთებულია. ეს სწორებანი კი შემდგომ გამოცემებშიც შევიდა. აი, ამის რამდენიმე მაგალითი:

- 1) ასმათისა და ტარიელის საუბარი ტექსტში ასეა ვადმოცემული:

„რად დამბრუნდი? — მოახსენა, — მიბზრა, რაცა წაგეკიდა“
მან უბრძანა: „მონადირე მეფე ვინმე გარდმეკიდა,
ჰყვეს ლაშქარი უთვალენი, ბარგი მძიმედ აეკიდა,
და იგი მინდორს ნადირობდა, დაეფანა ბარგი, და-
სევდად მეცა კაცთა ნახვა, ცეცხლი უფრო გავიადე. —
არ მივეო ახლოს შეყრაღ, — თავი ჩემი შევიწყალე,
მათგან მკრთალი შემოგბრუნდი, ტყვის შიგან დავიმაღე“.
და თქვა: „ნუთუმცა უყემრიდა, რა გათენდეს, წავალ ხეალე“. 267—268

⁴ იხ. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ, თბ., 1974, გვ. 218: „მიცო — მაქვს-მეთქი (აზრია: გარწმუნებ, გუთუნები, მეტი საქმე არა მაქვს-მეთქი)“.

⁵ ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1957, გვ. 393.

ხელნაწერთა უდიდესი ნაწილი 268²-ში მიველ / მიველო ფორმებს წარმოადგენს. მხოლოდ ორიოდ ნუსხა ცვლის სხვათა სიტყვია ნაწილებს ზმნას უნაწილაკოთი. D¹ D²-ში გვაქვს არა მიველ (ამასვე იმეორებს m)⁶, A⁴-ში — აღარ მიველ, B⁸-ში — არ მიუელ. B⁸-ის წაკითხვას ბეჭდავს f. არსებითად ეს წაკითხვა l n p z-ში (არ მიუვე), o r y-ში (არ მიუველ) და q-ში (არ მიველ). ხელნაწერთა უმრავლესობისა და მთელი რიგი გამოცემის -ო-ნაწილაკიანი ფორმა, რასაკვირველია, მართებულია და არ უნდა შეიცვალოს. აქვე დავძენ: უმართებულა -ო-ნაწილაკიანი ზმნის შემცველი წინადადების ტირეებით გამოყოფა სხვა ფრაზებისაგან. ტირეები აქ ზედმეტია⁷.

2) 68-ე სტროფში ვკითხულობთ:

— მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილებასა.
 ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქო შედრეკილობა-კლებასა.
 კარგთა კაცთასა ვეჭმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა,
 და მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდენ ქებასა!*

მეორე ტაეებში ხელნაწერთა უდიდესი ნაწილი და გამოცემათა აბსოლუტური უმრავლესობა ნუ იქო / ნუ იქმო ფორმებს იცავენ. მხოლოდ B⁵ B⁶-ში გვაქვს ნუ იქ, ამასთან ტაეების წაკითხვა მთლიანად შეცვლილია: „წამოდი, ხეალე ვისროლოთ, ნუ იქ შედრეკა-კლებასა“. სასკოლო გამოცემა ამ შემთხვევაშიც ვერ ეგუება -ო-ნაწილაკიანი ფორმის „ულაგო ალაგას“ გამოჩენას და მას კონიექტურით ცვლის: „ბრძანე, ვისროლოთ, ნულა იქმ შედრეკილობა-კლებასა!“ ამ კონიექტურის უმართებულობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

3) 298—299 სტროფები პოემის გამოცემებში ბოლო დრომდე ასე იკითხებოდა:

ასმით უთხრა: „ლომო, ცრემლოთ მაგა ცეცხლსა რა ერგების!
 მე ვითა ვთქვა წვევა თქმისა, რათგან ეგრე არ ეგების!
 ეხედავ, ესე ხელი ვინმე მოყმე შენთვის წაეგების,
 და ცნას მიზეზი შენთა წყლულთა, ქმნას, რა ღონე აეგების.
 მეხეწეებოდა, ლამოდა ჩემგან რასამე სმენასა,
 ნუ უყოს ღმერთმან, გაძლება მეშეცა ვით მივეც ენასა!
 თუ რას სცნობს, ვეჭობ ამისგან თქვენსა რასამე ღენასა.
 და არს უკეთესი, რაცალა სწადს განგებასა ზენასა“.

s t u გამოცემების ნუ უყოს ხელნაწერთაგან დასტურდება A² C³ C⁵ D¹-ში, B⁷ B⁸-შია ნუთუ ყოს, დანარჩენ ნუსხებში იკითხება ნუ ყოსო (D³ D⁴ — ნუ ყოს). გამოცემათაგან მხოლოდ b-ში გვაქვს ნუ ყოსო: f l n o p z ემყა-

⁶ „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ხელნაწერთა და გამოცემათა ლიტერები იხ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 3, გვ. 201—202.

⁷ ამის თაობაზე იხ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 3, გვ. 185.

* f l n o p ნუთუ (f i ნუ თუ) ყოს ღმერთმან (f ღმერთმან) გაძლება, მეშეცა ვით მივეც (f მიესცე) ენასა! შდრ. ტაეების თარგმანებანი: «Быть может, бог даст (тебе силы) выдержку, я же как могу положиться на (свой) язык! (могу ли я рассказать об этом?)» (Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре. Подстрочный перевод с грузинского С. Иорданишвили, Тб., [1966], с. 63); «ვეფხრობდო, ეგების ღმერთმა მისცეს გაძლება, სიმტკიცე შენს მოსვლამდის, მე აბა როგორ უნდა შეამბნა» (ვუკ. ბერიძე, ვეფხისტყაოსნის კომენტარი, თბ., 1974, გვ. 116). 6. ნათამდე თაის სასკოლო გამოცემაში ტაეები ასე დაბეჭდა: ნუთუ ყოს ღმერთმან, გაძლება მეშეცა ვით მივეც ენასა! (= თუ იზამს ღმერთი (რომ მე ამ მოყმეს შენი ამბავი ვუთხრა), ამას ჩემი ენა როგორ გაუძლებს? z, გვ. 98). მეოთხე გამოცემაში წაკითხვა სახეცვლილია: ნუ, თუ ყოს ღმერთმან! გაძლება მეშეცა ვით მივეც ენასა?! [= ნუ იზამს ღმერთი (რომ მე ამ მოყმეს შენი ამბავი ვუთხრა)! ამას ჩემი ენა როგორ გაუძლებს?! z, 1992, გვ. 105].



რებიან B⁷ B⁸-ის ვარიანტს⁸, jk-ში ნუ ყოს არის დაბეჭდილი (სუ ყოს ღმერთმანა), რაც ყოველად მიუღებელია უმაგავსი ღმერთმანა ფორმის გამო.

-ო-ნაწილაკიან ფორმათა უჩვეულო ადგილას დასმის სპეციფიკური რუს-თველური წესის გათვალისწინება, ვფიქრობ, იძლევა იმის საფუძველს, რომ ხელნაწერთა დიდ ნაწილში დაცული ნუ ყოსო ამოსავალ წაკითხვად მივიღოთ, ნუ ყოს / ნუთუ ყოს / ნუ თუ ყოს კი გაუგებრად, სახამუშოდ ქცეული ტექსტის „გასწორების“, „გამართვის“ ცდად მივიჩნოთ. უადგილოდ ჩათვლილი და თავიდან მოშორებული -ო ნაწილაკი ერთ შემთხვევაში ზმნაზე სასხვისო ქცევის უ- ნიშნის დართვით იქნა კომპენსირებული (შდრ. 268გ-ში მომხდარი მსგავსი ცვლილება: არ მივეო > არ მიუვე), მეორე შემთხვევაში კი დაცული მარცვალი თუ კავშირის დართვით არის შევსებული.

4) ამავე სტროფის მომდევნო ტაეპში ექვს იწვევს ვეპობ ფორმატ. ძველსა და რუსთველისდროინდელ ქართულში ეპტ- ფუძიდან ნაწარმოები ზმნა უთემისნიშნოა, შდრ.:

კაცმან საქმე მო-გვაროს, ვეპვ. კმუნვასა ესე სჯობდეს. 1064

ვეპვ. რა სცნა, შენცა მამართლო, ჩემი სულთქმა და ახია. 1074

აწ ვეპვ. რომე ჩემად ნაცვლად თანა მკედართა წაიტანდით. 2904

-ობ-თემისნიშნაიანი ვეპობ / ვეპვობ ქართულში გვიანდელი ფორმაა. ჩვენთვის საინტერესო ტაეპში იგი მიღებული ჩანს პირვანდელი -ო-ნაწილაკიანი ფორმიდან — ვეპო (< ვეპტ-ო. როგორც ცნობილია, ძველად ო-ს წინ ტ არ გამოითქმოდა და არც იწერებოდა), რომელიც დაცულია A¹⁰ A¹¹ B² B⁸ B¹² C¹ C² C³ C⁴ C⁵ C⁷ C⁸ ნუსხებში. -ო-ნაწილაკიანი ფორმა რომ ბევრ გადამწერს აგდებდა საგონებელში, ამას ვარიანტების სიუხვე (ვეპვ, ვეპ, ვეპვ, ვეპობ, ვეპობ) მოწმობს.

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარმა რედაქციამ აღადგინა ამოსავალი წაკითხვები (ნუ ყოსო, ვეპო)⁹ და პოემის 1988 წლის გამოცემაში სხვათა სიტყვის ნაწილაკიანა ამ ფორმებმა კუთვნილი ადგილი დაიკავეს ტექსტში.

5) -ო ნაწილაკის გამოყენების სპეციფიკურობა, უფრო სწორად, ამ სპეციფიკურობის გაუთვალისწინებლობა არის იმის მიზეზი, რომ სწორად არ არის ინტერპრეტირებული ერთი ადგილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში. შეგახსენებთ ამ ადგილს. როცა ავთანდილმა ფატმანისგან მოისმინა ნესტან-დარეჯანის ამბავი, ჰკითხა: „...ქაჯნი უხორციონი რას აქნევენ, მიკვირს, ქალსა?!“ ამის პასუხად

ფატმან უთხრა: „მოისმინე, მართლად გხედავ მანდა მკრთალსა,

და არ ქაჯნია, კაცნიაო, მონღობიან კლდესა სალსა.

ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი

კაცნი გრძნებისა მცოდნენნი, ზედა გახელოვნებულნი. 1242გ — 1243გ

ამას მოსდევს კიდევ რვა ტაეპი, რომლებშიც ფატმანი აგრძელებს სათქმელს.

აკადემიური ტექსტის დამდგენმა მთავარმა რედაქციამ გაიზიარა ი. გიგინეიშვილის ვარაუდი, რომ კაცნიაო აქ ნიშნავს: „ამბობენ, კაცები (აღამიანები) არიანო“. მკვლევრის სიტყვით, „ფატმანს დანამდვილებით არ ეცოდინებოდა ქაჯების ამბავი, სხვათა ნათქვამს უნდა იმეორებდეს“¹⁰.

⁹ „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 4, გვ. 186.

¹⁰ „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1985, № 2, გვ. 189.

სინამდვილეში -ო ნაწილაკი ფატმანის პირდაპირ ნათქვამს ეკუთვნის და ეს შემთხვევაც ერთ-ერთი რიგითი მაგალითია სხვათა სიტყვის ნაწილაკის თავისებური ხმარებისა, მრავლად რომ დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“.

6) ასევე უმართებულოდ მიმაჩნია **ასმათო** ფორმის კვალიფიკაცია „ვეფხისტყაოსანის“ 1352-ე სტროფში:

მათ¹¹ რა ნახეს, შემოპყვილეს სიცილით და კბილთა ჩენით;
 „ჰე, **ასმათო**, მოგვივიდა მოწყალეა ღმრთისა ზენით;
 ეპოვეთ მთვარე დაყარულე, რაცა გვწაღდა, იგი ექმენით,
 და აწ გაგზედით ბედისაგან ცეცხლთა შრეტით, ქირთა ლხენით!“

მიაჩნიათ, რომ „**ასმათო** წოდებითი ბრუნვის ხალხური ფორმაა, რომელიც დღესაც გვხვდება და, სავარაუდოა, რუსთველსაც აქვს ნახშირი“ (ი. გიგინეი-შვილი)¹².

პირთა სახელებზე წოდებითი ბრუნვის ნიშნის დართვა არც ძველ ქართულს, არც ახალ სალიტერატურო ქართულს არ ახასიათებს. არც რუსთველთან არის ის მოსალოდნელი. **ასმათო**-ში -ო წოდებითი ნიშანი კი არ არის, არამედ სხვათა სიტყვის ნაწილაკი.

შემდგომმა დაკვირვებამ შეიძლება კიდევ გამოავლინოს სხვათა სიტყვის ნაწილაკის სპეციფიკური ხმარების სხვა მაგალითები.

Г. А. КАРТОЗИА

ЧАСТИЦА ЧУЖОЙ РЕЧИ В ПОЭМЕ РУСТАВЕЛИ «ВИТЯЗЬ В БАРСОВОЙ ШКУРЕ»

Резюме

Постановка частицы чужой речи -о -о «дескать, мол» на необычное место—во внутреннюю (а не крайнюю—начальную или конечную) фразу (строку) в пространной прямой речи—является стилистической особенностью языка Руставели. С учетом этой особенности предложены новые чтения и интерпретации некоторых мест в тексте поэмы.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული „ვეფხისტყაოსანის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ა. გვახარამ.

¹¹ ე. ი. ტარიელმა და ავთანდილმა.

¹² „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1988, № 3, გვ. 159.

გიორგი ცოცანიძე

სალექსიკონო მასალის შერჩევის პრინციპისათვის ერთენოვანი ლექსიკონის შედგენის დროს

ლექსიკოგრაფს, რომელიც ხელს მიჰყოფს რომელიმე ენობრივი მონაცემის — მთლიანი ენისა თუ დიალექტის ლექსიკონის შედგენას, უპირველეს ყოვლისა, დაუდგება სალექსიკონო ერთეულთა შერჩევის საკითხი, ე. ი. საჭირო ხდება იმის ცხადი გააზრება, თუ მეტყველების ნაკადში თანდათანობითი სეგმენტაციის გზით გამოყოფილ ერთეულთაგან რა უნდა აისახოს ლექსიკონში როგორც დამოუკიდებელი სალექსიკონო ერთეულები და რა — არა. ეს ნიშნავს, რომ გარკვევით გამოიჩინოს ენის მეცნიერული ანალიზის ლექსიკური დონე მისი როგორც ქვედა, ისე ზედა დონეებისაგან. ქვედა დონისაგან გამოიჩინა თავიდან აგვაცილებს იმის საშიშროებას, რომ არ აგვერიოს ერთმანეთში ენის ორი უმთავრესი ინგრედიენტი — გრამატიკა და ლექსიკა, ხოლო ზედა დონესთან ზღვარის დადება კი დაგვაზღვევს იმისაგან, რომ არ გავიღუთ ენობრივი ფენომენის ერთი სფეროდან მეორეში — ენიდან მეტყველებაში.

თუ ამოვალთ ლექსიკონის ზოგადი განსაზღვრიდან, რომ ლექსიკონი არის ენის მთელი ლექსიკური მარაგის ამახველი ნაშრომი, ანუ ენის ამა თუ იმ წესით დალაგებული და განმარტებული სიტყვების სრული კრებული, ეს ამოცანა რაიმე სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. იოლ საქმედ მოგვეჩვენება იგი იმ შემთხვევაში, თუ მივიღებთ სიტყვის, როგორც სალექსიკონო ერთეულის აგრეთვე უზოგადეს განსაზღვრას, რომ იგი არის ენის უმთავრესი სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეული, რომლის დანიშნულებაცაა სავნების, პროცესების და თვისებების დასახელება¹. თანაც თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ამა თუ იმ ენაზე ყველა მეტყველი პრაქტიკულად სრულიად იოლად ახერხებს მეტყველების ნაკადში სიტყვების გამოყოფას, მიიჩნევს რა ამ უკანასკნელად ორ ვირტუალურ პაუზას შორის მოქცეულ ერთეულებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლექსიკოგრაფი შეადგენს მეტყველების ნაკადში ამ წესით გამოყოფილი ერთეულების ნუსხას და ეს იქნება განზრახული ლექსიკონის სიტყვანი. მერე რჩება უმარტივესი ამოცანა — ამ სიტყვების ანბანთრიგზე გაწყობა და დასახული მიზნის შესაბამისი განმარტება ან თარგმნა.

მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, ასე მარტივად არაა. აქ დგება ერთიმეორესთან დაკავშირებული და გადაჯაჭვული არაერთი არცთუ იოლად მოსავლელი საკითხი, რომლებიც ხშირად იქცევა ხოლმე სპეციალისტებს შორის მწვავე პოლემიკის საგნად.

საკითხთა წყება ასეთია:

1. ლექსიკური მნიშვნელობა, როგორც სეგმენტის ლექსიკურ ერთეულად მიჩნევის საფუძველი. რა არის ლექსიკური მნიშვნელობა. რითი განსხვავდება იგი გრამატიკული მნიშვნელობისაგან?

¹ В. Г. Гак. Русский язык. Энциклопедия, 1979, с. 302.



2. ლექსემები — მრავალწევრიანი და ერთწევრიანი. სიტყვაწარმოებითი და ფორმაწარმოებითი მიმართებები (სიტყვაფორმათა ერთ ლექსემად გაერთიანების საფუძველი).

3. ამასთან დაკავშირებით ქართული ზმნის ქცევის, გვარისა და კაუზატიურ ფორმათა ლექსიკურობის საკითხი.

4. დამხმარე სიტყვათა კლასი — ერთწევრიანი ლექსემები. არის თუ არა ყველა დამხმარე სიტყვა ფორმალურად ავტონომიური ერთეული. აქედან გამომდინარე, გრამატიკული მორფემისა და არავტონომიური დამხმარე სიტყვის გარჩევის კრიტერიუმი.

5. სიტყვა და შესიტყვება. შესიტყვების ლექსიკალიზაციის პირობები.

სიტყვის ზემოთ წარმოდგენილი ზოგადი განაზღვრება რომ განვავარდოთ. ფორმალური მიმართების თვალსაზრისით სიტყვა შედგება მორფემებისაგან (შეიძლება ერთსაგანაც), რომელთაგან განსხვავდება დამოუკიდებლობითა და მეტყველებაში თავისუფალი წარმოქმნადობით. თავის მხრივ კი წარმოადგენს საშენ მასალას წინადადებისათვის, რომლისაგანაც იმით განსხვავდება, რომ არ შეიცავს თხრობას, რაიმე შეტყობინებას სიტუაციის შესახებ. სიტყვის ამგვარი განსაზღვრა შეესაბამება ბენვენისტიკულ განსაზღვრას, რომლის მიხედვითაც სიტყვა ენობრივი ერთეულია, რომელსაც აქვს ფორმა იმის გამო, რომ იგი იყოფა ქვედა დონის ენობრივ ერთეულებად — მორფემებად და აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი თვითონ არის შემადგენელი ნაწილი ზედა დონის ერთეულისა — წინადადებისა². მაშასადამე სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა განისაზღვრება როგორც მისი უნარი, იყოს წინადადების სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი, მისი ინტეგრანტი.

თუ ლექსიკურ მნიშვნელობას ამ თვალსაზრისით შევხედავთ, ე. წ. სრულ-მნიშვნელოვან სიტყვებსა და დამხმარე სიტყვებს შორის განსხვავება არ არის — ერთნიც და მეორენიც თანაბრად არიან წინადადების ინტეგრანტები, მისი საშენი მასალა. მაგრამ სხვაობა მათ შორის მაინც არის და იგი სიტყვების გარემომცველ სამყაროსთან მიმართებაში მდგომარეობს: პირველნი გამოიყენებიან საგნებისა და მოვლენების სახელდებისათვის, თავის თავში შეიცავენ ცოდნას გარემომცველი სამყაროს შესახებ, ხოლო მეორენი ამყარებენ გარკვეულ მიმართებებს პირველი რიგის სიტყვებსა და სინამდვილეს შორის. პირველნი, შეიძლება ითქვას, სინამდვილის ეტიკეტებია, ხოლო მეორენი ორგანიზატორები, რომელნიც აწესრიგებენ მეტყველების პროცესს. პირველნი ენის მთელი სიტყვიერი მარაგის ცენტრალურ, მის ძირითად ნაწილს ქმნიან. ლექსიკის ეს ნაწილი, შეიძლება ითქვას, უსასრულოა, რამდენადაც ყოველ ცოცხალ ენაში სიტყვათა წარმოქმნა მუდმივად მოქმედი, ცოცხალი პროცესია. მეორე ნაწილი რაოდენობრივად მცირეა და თითქმის უცვლელი, რადგანაც ლექსიკის ამ უბანში ადგილი არა აქვს სიტყვათა წარმოქმნას. სხვაობა ლექსიკის ამ ორ სფეროს შორის ისიცაა, რომ პირველნი, ე. ი. სრულმნიშვნელოვანი სიტყვები ფორმაცვალებადნი არიან — ერთი საგნის ან მოვლენის აღმნიშვნელი სიტყვა ტექსტში შეიძლება ნაირ-ნაირი ფორმით, რამდენიმე გრამატიკული ვარიანტის სახით შეგვხვდეს, ე. ი. ლექსემა მრავალწევრიანია, ხოლო მეორენი, დამხმარე სიტყვები, ფორმაუცვლელნი არიან და ტექსტში შეიძლება შეგვხვდნენ ერთადერთი ფორმით. მაშასადამე, ეს უკანასკნელნი ერთწევრიანი ლექსემებს განეკუთვნებიან.

² Э. Бенвенист. Уровни лингвистического анализа, Общая лингвистика, 1974.

როდესაც ლექსიკოგრაფი ადგენს ენის სალექსიკონო სიტყვებს, მეორე — ფორმალურ სიტყვათა სფეროსთან ურთიერთობა მარტივი გადააწყვეტია — იგი უბრალოდ აღწერს მეტყველებაში შეხვედრილ სიტყვაფორმებს და უცვლელად შეიტანს ლექსიკონში. უფრო რთულია პირველ, ფორმაცვალებად, სიტყვათა სფეროსთან დამოკიდებულების საკითხი. ამ ტექსტში გამოვლენილ სიტყვაფორმათაგან ბევრი აღმოჩნდება ერთი და იგივე ლექსემის კუთვნილება, ანუ ერთი და იმავე სიტყვიან სხვადასხვა გრამატიკული ვარიანტი და დადგება მათი იდენტიფიკაციის საკითხი. აი ამ არ არის ადვილი იმის გარკვევა, თუ ერთი ძირის ნაყარი ფორმებიდან რა მიეკუთვნოს ერთ ლექსემას და რა სხვადასხვა. დგება სიტყვაფორმათა დერევაკიულ და ფლექსიურ (რელაციურ) მიმართებათა გარკვევის პრობლემა. ქართული ენის სინამდვილეში სახელურ სიტყვაფორმებთან ეს ძნელი ამოცანა არაა: ყოველი ორი ფორმა, რომელთაც ერთმანეთისაგან სარელაციო აფიქსები განასხვავებს, ერთი ლექსემის წარმომადგენლები იქნება, ხოლო ის სიტყვაფორმები კი, რომლებიც სადერევაკო აფიქსებით განსხვავდება, სხვადასხვა ლექსემებს განეკუთვნება და, მაშასადამე, ლექსიკონშიც დამოუკიდებელ ერთეულებად აისახება: ცხენი, ცხენმა, ცხენს, ცხენები ერთი და იგივე „ცხენი“ ლექსემის წევრებია, მაგრამ ცხენოსანი, საცხენე, უცხენო სხვადასხვა ლექსემების წარმომადგენლებია და შესაბამისად ლექსიკონშიც ცალ-ცალკე ერთეულებად უნდა ასახოს.

გაცილებით რთულად დგას ზმნურ სიტყვაფორმათა იდენტიფიკაციის საკითხი. სირთულეს ქმნის ზმნის სარელაციო ფორმათა უაღრესი მრავალფეროვნება ქართულში, გრამატიკულად განსხვავებულ სიტყვაფორმათა ორი პლასტის არსებობა, რომელთაგან ერთის ფორმები ქმნის დროკილოურ მიმართებათა საფუძველზე აგებულ პარადიგმატულ წყებას — ე. წ. დრო-კილოთა სერირებსა და მწკრივებს, ხოლო მეორე — ქვედა პლასტის ფორმები ამ მწკრივებს უდევს საფუძვლად. ესაა აკაკი შანიძისეული უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიებისგან წარმოქმნილი ფორმების პლასტები³. ქართველ ლექსიკოგრაფთა შორის უთანხმოება სწორედ ამ ფენებთან დამოკიდებულებაში იჩენს თავს. პირველი რიგის, ე. ი. უღლების კატეგორიათაგან ნაწარმოებ ფორმებთან მიმართებაში ყველანი ერთი აზრისანი არიან: ზმნის სხვადასხვა პირის, რიცხვის, დროის, კილოს, მწკრივის ფორმები ერთი ლექსემის კუთვნილებაა და, ცხადია, ისინი ლექსიკონში ცალ-ცალკე არ შევა. ხდება მათი იდენტიფიკაცია ერთ ლექსემად, შეირჩევა სასათაურო სალექსიკონო ფორმა და აისახება ერთ სიტყვად. აზრთა სხვადასხვაობა გვარის, ქცევის, კაუზატივის ფორმებთან დამოკიდებულებაში იჩენს თავს. ლექსიკოგრაფთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით ისინი სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებია. ოღონდ ლექსიკონში შეტანის თვალსაზრისით სრული თანხმობა არც ამათ შორისაა: ერთნი ამ ფორმებს უყოყმანოდ შეიტანენ ცალკე სალექსიკონო ერთეულებად⁴, მეორენი კი მათ ცალკე ერთეულებად არ გაიტანენ, ოღონდ ასახავენ სიტყვა-სტატიის ბუდეში მთლიანი სიტყვაფორმების სახით და ამას ტექნიკური გაადვილების მოტივს უდებენ საფუძვლად⁵. მეორე თვალსაზრისით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფორმა ერთი ლექსემის კუთვნილებაა, რამდენადაც არც გვარის, არც ქცევისა და არც კაუზატივის ფორმები ახალ ლექსიკურ მნიშვნელობას არ სძენს სიტყვას. ამიტომ ლექსიკონშიც ერთ

³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 165.

⁴ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

⁵ ქართული დიალექტის ლექსიკონი, შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მეხივილი, ლ. ნოზაძე, 1981.

ერთეულად, ერთი სასათაურო სიტყვაფორმით აისახება⁶. ჩვენ ამ მეორე მხარის სავარაუდოდ ვეგვიჩნდება, რომ სხვაობა ზმნის გვართ, ქცევითა თუ კაუზაციით განსხვავებულ ფორმებს შორის მხოლოდ რელაციურია, გრამატიკულია და არა ლექსიკური: აშენებ, იშენებ, უშენებ, შენებ, აშენებინებ, ისევეა ერთი ლექსემის გრამატიკული ვარიანტები, როგორც ვაშენებ, აშენებ, აშენებ, ვაშენებდი, ვაშენებდი, ავაშენებ, ავაშენებდი, ავაშენებდი, ავაშენო, ამიშენებია, აგიშენებია და ა. შ. ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა ყველა ამ სიტყვაფორმაში ერთი და იგივეა — კედლის აყვანა ქვაზე ქვაზე დადებით. შენება სიტყვა ამ მოქმედების სახელდებაა, მოვლენის ეტიკეტია და იგი არ იცვლება არც პირის, დროის, კილოს, რიცხვის ფორმათა წარმოებისა და არც ქცევისა და გვარის ფორმათა წარმოებისა. სხვაობა აქ მხოლოდ და მხოლოდ გრამატიკულ მიმართებებშია. რა ფორმითაც უნდა წარმოვიდგავს ეს ზმნა მტყვევლებაში, მისი ლექსიკური მნიშვნელობა „შენება“ უცვლელია.

მაშასადამე, ლექსიკონში დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულად აისახება სიტყვა. სიტყვა კი ის სეგმენტური ერთეულია, რომელსაც გააჩნია ორი მხარე: ფორმა, რომელიც გამოიხატება იმით, რომ შედგება მორფემებისაგან და მნიშვნელობა, რომელიც გამოიხატება იმით, რომ იგი შედის წინადადების შემადგენლობაში როგორც მისი სტრუქტურული ელემენტი.

სიტყვები, თავის მხრივ, ორ ჯგუფად განიყოფებიან: ა. ფორმაუცვლელად, ანუ დამხმარე სიტყვებად, რომელთაც აქვთ მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობა და იგი მუდმივია; ბ. ფორმაუცვლელად ანუ არულმნიშვნელოვან სიტყვებად, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობას ყოველთვის თან ახლავს გრამატიკული მნიშვნელობა. პირველი, ე. ი. ლექსიკური მნიშვნელობა აქაც უცვლელია, მუდმივია, ხოლო გრამატიკული მნიშვნელობა იცვლება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის. სწორედ ეს, გრამატიკულად განსხვავებულ ფორმათა სიმრავლე, ქმნის გრამატიკულ ვარიანტებს, რომლებიც ერთ ლექსემაში ერთიანდებიან. ლექსემის ცენტრი ლექსიკური მნიშვნელობაა.

აქვე დგება ლექსიკონში შეპატანი სიტყვის სასათაურო ფორმის საკითხი. ცხადია, ლექსიკოგრაფმა გრამატიკული ვარიანტებიდან ის ფორმა უნდა შეარჩიოს, რომელიც მინიმალურადაა დატვირთული გრამატიკული მნიშვნელობებით და, შესაბამისად, უფრო ცხადად იკვეთება ლექსიკური მნიშვნელობა.

ფორმაუცვლელი სიტყვებისა და სახელთა სასათაურო ფორმების შერჩევის საკითხი ქართულ ლექსიკოგრაფიაში დავას არ იწვევს. პირველნი, ცხადია, აისახებიან ერთადერთი ფორმით, სხვა ფორმა მათ არცა აქვთ, ხოლო მეორეთათვის მიღებულია მხოლოდითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმა.

აზრთა სხვაობა ზმნის სალექსიკონო სასათაურო ფორმის შერჩევისას იჩენს თავს: ლექსიკოგრაფთა ერთი ნაწილი ზმნის სასათაურო ფორმად გაიტანს საწყისს ანუ მასდარს, თვლიან რა, რომ ზმნური სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა სწორედ ამ ფორმაშია ყველაზე ცხადად გამოხატული, ესაა მოქმედებისა თუ მდგომარეობის დასახელების ფორმა (ვ. თოფურია, ი. აბულაძე, ა. შანიძე...). მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ საწყისი (ინფინიტივი) ქართულ ზმნას არ გააჩნია, მასდარული ფორმა კი სახელია და არა ზმნა, ამიტომ ზმნის სალექსიკონო სასათაურო ფორმად ირჩევენ აწმყო დროის მე-3 პირის ფორმას (ქართული ენის

⁶ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973; ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავეთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961; თ. უთურგაიძე, თუშური კლო, 1960.



განმარტებითი ლექსიკონი). ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ ამ თვალსაზრისის მომხრეები, როგორც ვთქვით, ცალკე ლექსიკურ ფორმებად მიიჩნევენ ზმნის გვარის, ქცევის ფორმებს. ეს მნიშვნელობები კი მასდარში ვერ აღსახება და თვლიან, რომ თუ სალექსიკონო ფორმად მასდარს გავიტანთ, ლექსიკურ ერთეულებს ვკარგავთ.

ჩვენ, რაკი ვთვლით, რომ ზმნის გვარისა და ქცევის ფორმები ცალკე ლექსიკური ერთეულები არაა, ხელს არაფერი გვიშლის, რომ პირველ თვალსაზრისს მივემხროთ.

წინადადება სიტყვებისაგან შედგება, სიტყვები — მორფემებისაგან. ე. ი. სიტყვა — მეტყველების ორ ვირტუალურ პაუზას შორის მოქცეული მონაკვეთი — იშლება შემდგომი ქვედა საფეხურის აგრეთვე მნიშვნელობის მქონე ფორმალურ ელემენტებად და ამ ელემენტებს მორფემებს უწოდებენ. ლექსიკოგრაფთა ერთი ნაწილი ამ მორფემებსაც ლექსიკონში მიუჩენს ადვილს (ასე იქცევა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც). ლექსიკონის ზემოთ მოყვანილი განსაზღვრის თანახმად მორფემები ლექსიკონში არ უნდა შევიდეს, რადგან მათ აქვთ მხოლოდ მორფოლოგიური მნიშვნელობა: ფუნქციონირებენ სიტყვის ფარგლებში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილები და არა წინადადების ფარგლებში. ასე უნდა იყოს ლოგიკურად. რაკი ელემენტი მორფემაა, ის ლექსემა ვეღარ იქნება. ასეა მოსალოდნელი თეორიულად, მაგრამ ყოველთვის ასე მარტივად არაა საქმე: სიტყვის ფორმალურ ელემენტებად დაშლის შემდეგ მიღებული ერთეულები ფუნქციური მიმართების თვალსაზრისით ერთნაირი არაა. ერთი ნაწილი თუ წმინდა მორფოლოგიური მნიშვნელობისაა, მოქმედებს მხოლოდ სიტყვის ფარგლებში, როგორც მისი სტრუქტურული ელემენტი, მეორე ნაწილი აშკარად განსხვავებულია მათგან და გვევლინება როგორც წინადადების შემადგენელი ნაწილი. ასეთებია ქართული ენის სინამდვილეში სახელურ სიტყვებთან თანდებულები და ნაწილაკები, ხოლო ზმნებთან ზმნისწინები. ნათქვამი რომ უფრო ნათელი იყოს, მივმართოთ მაგალითებს. ავიღოთ ასეთი წინადადება: „ქალ-მა ცხენ-ოსნ-ებ-ის-კენა-ც მი-მ-ა-ხე-და“ წინადადება სამი სიტყვისაგან შედგება და შესაბამისად სამი სალექსიკონო ერთეული უნდა გამოიყოს. ახლა ვნახოთ, როგორია თითოეულ სიტყვაში შემავალი მორფემული ელემენტების ფუნქციური მიმართებები: პირველ სიტყვაში „ქალ-“ ძირეული ელემენტია, ძირეული მორფემაა, „-მა“ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ამ სიტყვას გრამატიკულად აფორმებს, ე. ი. მისი აუცილებელი კონსტრუქციული ელემენტია. მეორე სიტყვა ფორმალურად ექვსი მორფემისაგან შედგება. პირველი „ცხენ-“ ძირეული მორფემაა, „-ოსან-“ „ცხენ“ სიტყვისაგან წარმოქმნის ახალ სიტყვას. იგი სადეროვაციო აფიქსია და, ამდენად, აუცილებელი ამ ლექსემის ამ მნიშვნელობით არსებობისათვის. უამისოდ ლექსემა იქნება ცხენი და არა კაცი ამ ცხენის მფლობელი თუ მასზე მჯდომი. მესამე „-ებ-“ მორფემა გრამატიკული რიცხვის მაწარმოებელია და ისიც აუცილებელია მოცემული მნიშვნელობის გრამატიკული გამოხატვისათვის. მეოთხე „-ის-“ ბრუნვის ნიშანია და იგი გრამატიკულად აფორმებს სიტყვას. ამ ჩამოთვლილი ოთხიდან ერთი ძირეული მორფემაა, ხოლო მომდევნო სამი აუცილებელია და მათ ის აერთიანებს, რომ იმ მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ ამ სიტყვაში, სიტყვიერად ვერ გამოხატავ, მხოლოდ ასე, მორფოლოგიურად უნდა გამოიხატოს. ე. ი. სამივე ეს სუფიქსი აუცილებელია ამ სიტყვის ასეთი ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობის ქონისათვის. რაც შეეხება მომდევნო ორს „-კენ-“ თანდებულსა და „-ც“ ნაწილაკს, ისინი ამ სიტყვასთან კი არიან ფიზიკურად ერთი მახვილით გაერთიანებულნი, მაგრამ მის გაფორმებას კი არ ემსახურებიან, მისი კონს-



ტრუქციული ელემენტები კი არ არიან, არამედ ის ერთეულებია, რომლებშიც მთლიანი წინადადების შინაარსის გაფორმებას ემსახურებიან. წინა სამი სუფიქსური ერთეულისაგან მათ ისიც განასხვავებს, რომ მნიშვნელობები, რააც ისინი გამოხატავენ, შეიძლება სიტყვიერადაც გადმოიციეს: „-კენ-“ თანდებულის მნიშვნელობა გადმოიციეს „მხარეს“, „მიმართულებით“ ზმნისართებით, ხოლო „-ც“ ნაწილაკისა — „აგრეთვე“ ნაწილაკით. ასე რომ, ეს უკანასკნელი წინადადების კონსტრუქტები, მისი შემადგენელი ელემენტებია როგორც აზრობრივი წარმონაქმნისა და არა სიტყვისა. ამდენად მათი მნიშვნელობა ლექსიკურია და არა გრამატიკული და, შესაბამისად, ისინი უნდა აისახონ ლექსიკონში როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები.

მორფემულ ელემენტთა ეს, მნიშვნელობის თვალსაზრისით, განსხვავებები ცხადად აისახება მორფემათა რანგობრივ დაჯგუფებაში⁷. პირველი რანგის მორფემები დერიატებია და აწარმოებენ ახალ ლექსემებს; მეორე რანგისა ფუძის მაწარმოებლებია; შემდეგია სიტყვის გრამატიკულად გაფორმებული სარეალიზაციო აფიქსი — ბრუნვის რომელიმე ნიშანი. აქ არის სიტყვის მორფოლოგიურად მნიშვნელოვან და აუცილებელ სუფიქსურ მორფემათა საზღვარი. ამის შემდეგ სახელს შეიძლება ახლდეს მეოთხე და მეხუთე რანგის მორფემის ზომის ელემენტები, რომელთაც გამონათქვამში ლექსიკური მნიშვნელობა აქვთ და მიჩნეულ უნდა იყვნენ ლექსიკურ ერთეულებად და არა მორფემებად.

ამისივე მსგავსად ცალკე ლექსიკურ ერთეულებად უნდა იქნენ მიჩნეული ზმნისწინებიც, თუმცა ისეთივე დაბეჯითებით არა, როგორც თანდებულები და ნაწილაკები. როგორც ვიციტ, ესენი პოლიფუნქციური ელემენტებია: თუ როგორც ზმნის დროისა და ასპექტის მაწარმოებელი, გრამატიკული ფუნქციის მქონენი არიან, მოქმედების მიმართულების მაჩვენებლად გამოყენებისას აშკარად ზმნისართული მნიშვნელობა აქვთ და, ამდენად, ლექსიკის სფეროს განეკუთვნებიან: გავიდა = გარეთ გადაადგილდა, შევიდა = შიგნით გადაადგილდა, გადავიდა = გადაღმა გადაადგილდა.

როგორც ვხედავთ, სალექსიკონო ერთეულებად განიხილება არა მხოლოდ მეტყველების ნაკადში პაუზებით გამოყოფილი ერთეულები, სიტყვები, არამედ ისინიც, რომლებიც ფორმალურად სიტყვასთან ერთიანდებიან, ზომით მორფემებს უტოლდებიან, მაგრამ ფრაზაში სიტყვის მნიშვნელობიანი არიან. ესენიც ზემოთ ნახსენებ ერთწევრიან ლექსემებს უნდა მივაკუთვნოთ.

რჩება კიდევ ერთი ნაწილი სამეტყველო ნაკადის მონაკვეთებისა, რომლებიც ფორმალურად ფრაზის ტოლნი არიან, მაგრამ წინადადებაში ერთი სიტყვის მნიშვნელობით წარმოგვიდგებიან. ესენია იდიომები და სპეციალური ტერმინები. აქ ფრაზის შემადგენელი სიტყვების პირველადი მნიშვნელობები იჩრდილება და შეიძინება ახალი, რომლითაც იგი წინადადებაში ერთი სიტყვის ფუნქციას ასრულებს. ანეთი ფრაზები ხშირად ორთოგრაფიულადაც მთლიანდება: თავს გაუვიდა, თავს გაუვა წინადადებაში ერთი წევრის — შემასმენლის ფუნქციით გამოდის. ამისი საწყისი და მიმდგომი ორთოგრაფიულად ერთი სიტყვაა: თავგასვლა, თავგასული. გზას ასცდა აგრეთვე ერთი სიტყვის მნიშვნელობის ფრაზა. თუშურ დიალექტში ამ მნიშვნელობით უფრო გრძელი ფრაზა გამოიყენება — გზათა უკვენ გადავარ-

⁷ რანგობრივი დაჯგუფების შესახებ იხ. ალ. ონიანი. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, 1989, გვ. 49—51.



და, მაგრამ იქაც და აქაც ეს ფრაზები შემასმენლებია, ფუნქციონირებს სიტყვას უტოლდება და ლექსიკონშიც აინახება როგორც ერთიანი სიტყვები. თავი რომ მოეუყაროთ ყოველივე ზემოთქმულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სალექსიკონო ერთეულთა შერჩევისას, ანუ ლექსიკონის სიტყვანის შედგენისას, ამოსავალი კრიტერიუმი ერთეულის მნიშვნელობაა, ე. ი. მისი უნარი, იყოს წინადადების კონსტრუქციული ელემენტი. ამ დანიშნულებას კი ასრულებენ სიტყვები და მნიშვნელობით მეტყველების ნაკადის სიტყვებთან გათანაბრებული მონაკვეთები.

ЦОЦАНИДЗЕ Г. И.

О ПРИНЦИПАХ ПОДБОРА ЛЕКСИЧЕСКОГО МАТЕРИАЛА ПРИ СОСТАВЛЕНИИ ОДНОЯЗЫЧНОГО СЛОВАРЯ

Резюме

1. При составлении словника одноязычного словаря опорным является лексическое (а не грамматическое) значение единицы, ее способность быть конструктивным элементом предложения.

2. Конструктивными элементами предложения являются автономные слова и равные им отрезки речевого потока—предлоги, послелоги, частицы с одной стороны, и фразеологизмы—с другой.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლინგვისტური ატლასის ლაბორატორია.

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა.

მინვრიდ ზოვადრი

 ძველი ქართული თხრობის ერთი ტემსტლინგვისტური

თავისებურება: დაკავშირებულება და არადაკავშირებულება

ისტორიული და ლიტერატურული ურთიერთობის გამოკვლევა ყველაზე ხშირად გულისხმობს კონკრეტული დამთხვევებისა და გავლენის შემთხვევების აღწერას და მათი მიზეზების ახსნას. მაგრამ ლიტერატურული ურთიერთობა შედარდება არა მარტო ბიოგრაფიის, მოტივების და სხვა დეტალთა და დამოკიდებულებათა ფორმირებაში, არამედ ტექსტის ფორმირებაშიც, და ეს ფორმირება ზოგ შემთხვევაში ენის უსაჩინო თვისებებს ემყარება. ჩემი ნაშრომი შეეხება ასეთ უსაჩინო თვისებას, ქართული ენის ერთ-ერთ ყველაზე მოკლე სიტყვას და მის განაწილებას. წინასწარი მსჯელობა მინდა წარმოვადგინო უბრალო კავშირის და-ს ტექსტობრივი მნიშვნელობის შესახებ.

კავშირი და-ს ხშირი ხმარება არის ძველი ქრისტიანობის ლიტერატურული ენების ერთ-ერთი საერთო ნიშან-თვისება და ახასიათებს ამ ლიტერატურის თავისებურ სტილს და კავშირის სიხშირე ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილი ფაქტია. კორნელი დანელიას (1979, 1983, 1988...) ფუძემდებლურმა შრომებმა კალკირების გავლენა დაამტკიცა, რის შედეგადაც ქართული თარგმნილი ტექსტები არ განსხვავდებიან სემიტური ან ბერძნული დედნებისაგან და ამის გამო და-ს ხმარება ორიგინალურ ტექსტებშიაც დამკვიდრდა სტილის ნორმალურ ნიშნად. შემდეგ ზურაბ საარჯველაძემ და მე (Boeder, 1983) ვნახეთ, რომ დამატებითი ფაქტორიც მისაღებია სათვალავში, სახელდობრ, ძალიან ძველი სინტაქსური იზოგლოსა, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, აერთიანებდა ძველი ახლო აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და საქართველოს ენებს. მაგრამ ამ ისტორიული თვალსაზრისის მიუხედავად იპმის კითხვა, თუ როგორი განაწილება და ტექსტობრივი ფუნქცია ჰქონდა ამ ნაწილს. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ქართველმა მწერლებმა შემთხვევით აქა-იქ დასვეს ამ ნაწილს რაღაც რაოდენობა სტილის შექმნის მიზნით. ძველი ჰავიოგრაფიული ტექსტების გამოკვლევამ კი დამარწმუნა, რომ ამ კავშირსაც თავისი მკაცრი განაწილება აქვს და გარკვეულ ტექსტობრივ ფუნქციას ასრულებს. ხოლო, მაშინ და და მთავარი სიტყვებია, რომლებიც ქმნიან მათგან მათგან კავშირების პარადიგმას. ამ სიტყვების გარდა კიდევ გვაქვს ნული, ე. ი. უკავშირო წინადადება. დავუშვათ, რომ ვიცით ხოლო და მაშინ კავშირების სპეციფიკური მნიშვნელობა, მაშინ დარჩება და კავშირისა და ნულის მნიშვნელობისა და დაპირისპირების პრობლემა. მართლაც, პირველი შთაბეჭდილება ისაა, რომ ორივე საშუალება ერთნაირ მიმართებას გამოხატავს დამოუკიდებელი წინადადების შუაში, და რომ ყველა ნულის ნაცვლად შეიძლება დაისვას და. ჩვენი მიზანია წარმოვადგინოთ მოსაზრებები, რომელთა მიხედვით ეს შთაბეჭდილება გაყალბდება.

უწინარეს ყოვლისა კი უნდა განვიხილოთ და ნაწილს მნიშვნელობა. ლოკაციური ნაწილს მნიშვნელობა, მართალია, ზუსტადაა განსაზღვრული მკრეთ წოდებული „ქვეშარტების ცხრილების“ საშუალებით, მაგრამ ბუნებ-



რივი ენის კავშირი და და ლოგიკური ნაწილაკი „და“ ძალიან განსაკუთრებულია ერთმანეთისაგან¹. მაგალითად, „A და B“ ლოგიკურად ერთი და იგივეა, რაც „B და A“. მაგრამ ვიცით, რომ კომუტაციის წესი ბუნებრივ მეტყველებაში არ მუშაობს პრაგმატული მიზეზების გამო. მაგალითად, შევადაროთ ერთი წინადადების ორი ვარიანტი: (1) ესე თქუა და წარვიდა მათ თანა (შუშ. V 28) სხვას ნიშნავს, ვიდრე:

(1) წარვიდა მათ თანა და ესე თქუა.

პრაგმატული პრინციპების მიხედვით ვიცით, რომ მოთხოვნა იკონიურად მოსდევს ამბების მიმდინარეობას, ე. ი. რაც პირველად მოხდა, პირველ წინადადებაში გამოიხატება, რაც შემდეგ მოხდა, მომდევნო წინადადებაში. ამ პრაგმატული პრინციპის დარღვევა ენობრივი საშუალებებით უნდა აღინიშნოს, მაგალითად:

(1'') იმის წინ, რომ წავიდა, ეს თქუა.

მაშასადამე, და კავშირი მთხრობელის ენაში სიმეტრიული არ არის.

არის კიდევ სხვა თვისება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ჩვენს საკითხთან დაკავშირებით: და კავშირით გაერთიანებული ერთეულები ერთმანეთის მსგავსი უნდა იყოს². მაგალითად, შემდეგი წინადადება არ არის მისაღები:

(2) სამოცდაათი წლის წინათ თბილისის უნივერსიტეტი დაარსდა და ზევსურეთში გრილოდა.

არ ვიცით, ეს ორი ფაქტი როგორ გავაერთიანოთ ერთი ცნებით, არ ვიცით, რა საერთო ცნებაში³ მოვათავსოთ ისეთი სხვადასხვანაირი ფაქტები, როგორცაა უნივერსიტეტის დაარსება და მთის სიგრილე. და კავშირი კი ზუსტად იმას ნიშნავს, რომ გაერთიანებული ფაქტები რაიმე ნიშნით მსგავსია. „A და B და C“ ნიშნავს: „A ჰგავს B-ს და B ჰგავს C-ს“, A და B და C ცნებითად პარალელურია⁴, და A და B და C ქმნიან პარადიგმას. შეიძლება და კავშირიანი თანწყობილი წინადადებები გარკვეული თვისებებით განსხვავდეს და-თი დაკავშირებული დამოუკიდებელი წინადადებების თანამიმდევრობისაგან, მაგრამ ორივე ტიპი ერთნაირია იმ ნიშან-თვისებით, რომ და კავშირი მოითხოვს გაერთიანებული ერთეულების მსგავსებას და ამავე დროს (როგორც ყველა პარალელიზმი და პარადიგმა) არამსგავსებასაც⁵. ავიღოთ კიდევ ერთხელ ჩვენი მაგალითი (1): ერთეული ესე თქუა და ერთეული წარვიდა მათ თანა სხვათა შორის ემსგავსებთან ერთმანეთს და პარალელურია იმ ნიშნის მიხედვით, რომ ორივე მომხდარი ფაქტის ასახვაა, მაგრამ ასეთი მსგავსება და პარალელიზმი არა გვაქვს ისეთ წინადადებაში, როგორცაა:

(1''')* ესე თქუა და წარვედ მათ თანა!

ეს იმიტომაა, რომ პირველი ერთეული მომხდარ შემთხვევას ნიშნავს, მეორე კი — ბრძანებას. და ტექსტის მსგავს ერთეულებს ერთ ჯაჭვში აკავშირებს.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ და კავშირის ხმარება სავალდებულო როდია. ახალ ქართულში შეიძლება გვექონდეს როგორც: ეს თქუა და წავიდა მათთან, ასევე: ეს თქუა. წავიდა მათთან — უკავშირო თანამიმდევრობით.

ამ თვალსაზრისით გადავათვალიერე ძველი ქართული მწერლობის რამდენიმე ტექსტი და აღმოჩნდა, რომ, მაგალითად, „შუშანიკის წამებაში“ და კავშირი თითქმის ყველგან გვხვდება, სადაც დასაშვებია, ე. ი. და-ს ან სხვა კავში-



რის გამოტოვება გამონაკლის წარმოადგენს. ეს გამონაკლისი სხვადასხვა შემთხვევაში გვხვდება იქ, სადაც პირობები მოცემული არ არის.

ავიღოთ ასეთი შემთხვევები ცალ-ცალკე „შუშანიკის წამების“ ტექსტის მიხედვით:

(3) რასა ველ-წიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმელ? აჲ მივედიო და აქუთ, ვითარმედ... (შუშ. IV 17).

აქ კითხვით წინადადებას მოსდევს ბრძანებითი წინადადება. სხვადასხვა სამეტყველო აქტი არამსგავსია და არაპარალელური, ე. ი. ილოკუციის განსხვავება გამორიცხავს და კავშირის ხმარებას, ასევე:

(4) აღდგ და მოვედ ადგილსა თვსა და ნუ ეგვეითარი ვონება ვიპყრის! უაუეთუ არა, თრეეთ მოვითრო (შუშ. V 3);

(5) ნუ დაჯერებოეს, თუმა მე მისა ცოლადა ვიყავ, მეგონა მე, ვითარმედ... (შუშ. V 7);

(6) აჲ მე მიძღუებთ ამას ყოფად! ნუ იყოფინ ესე ჩემდა! (შუშ. V 9);

(7) მიუძღუნაო სამკაული ესე მისი? ნუუუუე ითხოვდეს... (შუშ. VII 27) (მტრ. შუშ. XIII 2, XV 10, XVI 32, XVII 19).

მე ვთქვი, რომ და კავშირი პარალელიზმის ნიშანია. სტრუქტურულად პარალელური წინადადებისათვის კი დამახასიათებელია ის, რომ ერთი მეორეს მოსდევს უკავშიროდ:

(8) უაუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმა ხართ იგიცა და შენცა. უაუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხავ ეგე შენი შენდავე მოიქეცინ (შუშ. II 9);

და უაუეთუ სულითა მომკუდარ ხართ... დასაშვები იქნებოდა, მაგრამ კავშირი ზედმეტია იმიტომ, რომ უკუეთუ სულითა ცხოველ... არ... / უკუეთუ სულითა მომკუდარ... არ... სავსებით მკაფიოდ გამოხატავს პარალელიზმს, ასევე:

(9) მამამან შენმან აღმპართინა..., და შენ...; მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახილ თვსა, ხოლო შენ დენი შემოიხუნე; მან..., ხოლო შენ...

ასპექტის მიხედვით განსხვავებაც გვაძლევს არამსგავსებას, მაგალითად:

(10) ცოლმან ჭოჭიკისმან მართუა ღვინოა ჰიქითა და აიძულებდა მას, რასათმცა იგი, ხოლო შენუა, ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით... (შუშ. VI 9).

აქ ზმნის ასპექტი იცვლება: აიძულებდა და ჰრქუა. ჰრქუა უკავშიროა, ასევე სხვა ადგილზე:

(11) თავსა თვსსა ქუე დამართ სემდა, სულთ-ითქუნა და თქუა... (შუშ. XII 8).

უწყვეტილი სცემდა უპირისპირდება წყვეტილს: სულთ-ითქუნა და თქუა. ეს არამსგავსება ნიშნავს არსებით სხვაობას. რატომ? ჩემი ვარაუდი შემდეგია: როგორც ვთქვით, და კავშირი თხრობაში ტიპურად ნიშნავს თანამიმდევრობას, ზედინდობას, და რადგან თანამიმდევრობა მოითხოვს წინამავალი და მომდევნო მოქმედების განსაზღვრულობას⁶, უსრული უწყვეტილი თავისი უნართ არ გამოდგება თანამიმდევრობის პირველ წევრად. სხვა მაგალითებია:

(12) დიდად მწუხარე ვიყავ და ეტროდღე ფრიად, მრქუა მე რისხვით (შუშ. XV 9);

(13) მადლსა მისცემდა მისა მიმართ მოწულობისა მისისათვის, ვითარცა მამასა და მამა-მძღუტსა შემეედრა მე... (შუშ. XVIII 2).

არამსგავსება მაშინაც გვაქვს, როდესაც მთხრობელი ტექსტის დონეს შეცვლის:

(14) და ეგრეთ წმიდამ შუშანიკ თრეეთ მოითრია თიჯათა შიგან და ეკალთა ზედა ეკალთ-სიით ედღრე ტაძრამდე, ვითარცა მკუდარი, მიეთრია (შუშ. VIII 15).

აქ უკავშირო წინადადება ვითარცა მკუდარი მიეთრია გადახრას წარმოადგენს ძირითადი თხრობიდან, მთხრობელი შემთხვევების ჯაჭვის გარეშე. ესაა მთხრობელის შედარება და კომენტარი. ასევე გვაქვს:

(15) რამეთუ ექუსი წელი ციხესა მას შინა აღასრულა და წესიერებითა საღმრთოთა ყულოდა (მუშ. X 25).

მერე იაკობ ცურტაველი გვიყვება, რა გააკეთა წმინდა შუშანიკმა ამ ექვს წელს და თხრობაზე აგრძელებს უკავშირო წინადადებით:

(16) განაბრწყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარიითა (მუშ. X 28).

აქ კიდევ გვაქვს თხრობისა და კომენტარის დაპირისპირება. და კავშირის უქონლობა ტექსტს აძლევს სხვადასხვა დონის რელიეფს.

ზოგ შემთხვევაში კომენტარი მიზეზს წარმოადგენს, მაგალითად. ამ წინადადებაში:

(17) კირი შენი კირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს (მუშ. III 17).

აკას მოსდევს ამ გრძნობის ახსნა უკავშირო წინადადებაში:

(18) ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ, ყოველთა, ვითარცა შეილთა, გუხედედ (მუშ. III 18).

ორი სხვადასხვანაირი დონე მაშინაც გვაქვს, როცა მთხრობელი ზოგადი შენიშვნიდან გადადის მაგალითებზე მოხმობაზე:

(19) რაჲ ვის უქმდა, მიემადლებოდა... უშვილოთა შვილი, სნეულთა კერნებაჲ, ბრმათა თელათა ახილვაჲ. იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი მოგვ... (მუშ. XI. 6).

სპარსი დედაკაცი აქ ზოგადი გამოვლენის ერთ-ერთი მაგალითია და სხვა დონეს ეკუთვნის.

რადგან და კავშირი მიუთითებს მსგავსი ერთეულებს თანმიმდევრობაზე, და-ს უქონლობა შეიძლება არღვევდეს ამ თანმიმდევრობას:

(20) და ვითარცა მიიწია, მძლავრ შე-ხოლო-ვიდა და თაყუანის-სცა პატიოსანსა ჯუარსა და მოციტობა წმიდაჲ შუშანიკ, თანა დაუჭდა და ჰკითხვიდა საღმრთოთა მათეს (მუშ. XVI 4).

აქ თანა დაუჭდა და ჰკითხვიდა... ემთხვევა ფრაზას თაყუანის სცა... და მოციტობა... პირველ წინადადებაში, მაგრამ ცალკე ერთეული თანა დაუჭდა არ უდრის ცალკე ერთეულს მოციტობა. და-თი დაკავშირებული ერთეულები შედარებით უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, და-ს უქონლობა კი ქმნის თანწყობილი წინადადებების ორ მთლიანობას.

ცალკე დგას პირდაპირი მეტყველება. პირდაპირი მეტყველების მომდევნო წინადადების დასაწყისში „შუშანიკის წამების“ ტექსტში დაახლოებით 80-ჯერ გვაქვს კავშირები (და, ხოლო, მაშინ, მერმე), მაგრამ 10-ჯერ პირდაპირ მეტყველებას მოსდევს უკავშირო წინადადება, მაგალითად:

(21) ხოლო მან მრქუა მე: „რასაჲ მკითხავ ამას?“ და მე მიუე და ვარქუ მას: „მტკიცდ სდგა?“ და მან მრქუა მე: ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ეხზიარე საქმეთა და ცოდეთა ვარქუენისთა“ (მუშ. III 21).

უკავშირო წინადადება მოსდევს:

(22) მე მიუე და ვარქუ მას: „მწარე გონებაჲ აქუს მას...“ ხოლო მან მრქუა მე: „უმჯობეს არს...“ და მე ვთქუ: „ეგრეთ არს“ (მუშ. III 24).

ისპის კითხვა: რა განსხვავებაა საკავშირო და უკავშირო ფორმულებს შორის? პირდაპირი მეტყველების ბოლო ორაზროვანია: თუ გავითვალისწინებთ მხოლოდ პირდაპირი მეტყველებისა და მომდევნო წინადადების განსხვავებას, მაშინ კავშირის უქონლობა მონალოდნელია. თუკი პირდაპირ მეტყველებას



ეთვლით წინამავალი წინადადების წევრად, მაშინ და კავშირი ბუნებრივია, და აკავშირებს ერთი და იმავე დონის ორ წინადადებას, მაგალითად: მან მრქუა მე და მე მიუღე მას და მე ვთქუ. მაგრამ უკავშირო ვარიანტი მხოლოდ გარკვეულ პირობებში გვხვდება, სხვა წინადადებას მოსდევს ან კომენტარს წარმოადგენს; მაგალითად, ვარსკენის სიტყვის შემდეგ გვაქვს:

(23) ამას უქაღებდა, რომელი-იგი არა აქუნდა კელთა შუშანიკსგან (შუშ. I 26).

და ასევე:

(24) „ნუ ვის თანა იტყუ ძაძისა სამოსლისათს...“ რამეთუ შინაგან, ძაძა ემოსა და არა ვინ იცოდა ჩემსა გარეშე... (შუშ. XV 14).

ან მომდევნო წინადადება არ გამოხატავს შემდგომში მომხდარს, არამედ იმას, რაც ემთხვევა წინამავალ მეტყველებას, მაგალითად:

(25) ნეტარი შუშანიკ... ესრეთ იტყოდა: ...ესე თქუა და წარვიდა მით თანა (შუშ. V 24).

თქმის მოქმედება არ მოსდევს წინამავალ პირდაპირ მეტყველებას, არამედ ემთხვევა მას. და გამოირიცხულია და ეს შემთხვევა ჰგავს ასპექტის ცვლებას. და ბოლოს, მესამე შემთხვევაში უკავშირო წინადადება გვხვდება ორ პირდაპირ მეტყველებას შორის, სადაც თვითონ მოლაპარაკის შეცვლა ამავე დროს თანამიმდევრობაააც გამოხატავს, ე. ი. უკავშირო წინადადება დასაშვებია ისე, როგორც პარალელიზმის შემთხვევაში, რადგან თვითონ ფორმა გამოხატავს დაკავშირებას.

მეტი შემთხვევა „შუშანიკის წამების“ ტექსტში არ არის, ე. ი. უკავშირო წინადადება პირდაპირი მეტყველები შემდეგ ასახსნელია წინამავალი კატეგორიების ფარგლებში.

დასასრულ, განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

(26) მაშინ (sc. ვარსკენ) უბრძანა დადებად ჩაჴ ქედსა მისსა, და უბრძანა სენაკაჴმისა ერთსა, რათა წარიყვანონ წმიდაი შუშანიკ ციხედ... (შუშ. VIII 27).

შემდეგ მთხრობელი გადადის მოქმედების სხვა ადგილზე და მოსდევს უკავშირო წინადადება:

(27) დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაი დგა წმიდისა შუშანიკის თანა მის ემსა, რომელსა გამოჴყვანდა იგი ტაძრით... (შუშ. IX 1).

დიაკონის გზათან დგომა არ მოსდევს ვარსკენის ბრძანებას, როგორც მოთხრობის ერთეული, რომლის დასაწყისი ამავე დროს წინამავალი მოქმედების ბოლოა. აქ უფრო სხვადასხვა მოქმედების ორი ჩაქვი ერთიანდება შუშანიკისა და დიაკონის შეხვედრით. და-ს უქონლობა გამოხატავს ამ განსხვავებას და ორი მოქმედების არადაკავშირებულებას. და კავშირის დასმა, როგორც ვთქვია, ნორმალურია, და-ს უქონლობა კი ასახსნელი გამონაკლისია ძველ ტექსტებში. ასეთივე სურათი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“ გვაქვს. განსხვავება ისაა, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში წინადადების რთული არქიტექტურა და სიგრძე გვერწყებს და კავშირის სიხშირეს. მაგრამ არც ახალი სალიტერატურო ქართულისა და არც დიალექტური ტექსტებისათვისაა დამახასიათებელი ეს მოვლენა. ამ მხრივ საინტერესოა „შუშანიკის წამების“ გვიანდელი ხელნაწერების მონაცემები X საუკუნის ხელნაწერთან შედარებით: ილია აბულაძის კრიტიკული გამოცემის მიხედვით და კავშირი გვიანდელ ხელნაწერებში დატოვებულია ოცდაათჯერ, დამატებულია ოთხჯერ. არქაიზში, ეტყობა, ვერ გაიგეს გადამწერებმა, იხევე როგორც კავშირი ხოლო, რომელიც თერთმეტჯერ შეცვალეს და-თი.



თავის ცნობილ წერილში „Задачи поэтики“ ვიქტორ ჯირმუნსკის (Жирмунский, 1919) აღნიშნული აქვს, რომ და კავშირის ხშირი ხმარება ახასიათებს მსოფლიოს ყველა ერის თხრობით ლიტერატურას, მაგრამ და, როგორც ყველა ენობრივი ხერხი, სხვადასხვა ენარობრივსა და ისტორიულ კონტექსტში სხვადასხვანაირ მნიშვნელობას იძენს. მართლაც, ძველ ქართულ თხრობით მწერლობაში და-ს ხშირი ხმარება უბრალოდ ხალხური და, ასე ვთქვათ, ბუნებრივად სავალდებულო როდია. უფრო მეტად და-ს ხმარება და გამოტოვება ახასიათებს იმ დროს თავისებურ ენარობრივ სტილს და, რაც მთავარია, თხრობის ტექსტს აძლევს საყურადღებო აზრობრივ რელიეფს*.

შენიშვნები:

* მადლობას ვუხდის მერი დამენიას, რომელმაც გაასწორა ამ მოხსენების პირველი ვერსია. ტერმინ „დაკავშირებულები“ ნაცვლად ჯერ მქონდა „გადაბმა“, მაგრამ ნინო ჩიჩუაძემ მომიითია, რომ ეს ტერმინი უკვე დაკავებულია: „გადაბმა“ გამოყენებული აქვს ნანა შენგელაას (1987: 78; 86; 99) თავის საინტერესო წიგნში და თარგმანია „cohesion“ და „coherence“ ტერმინებისა.

1. შდრ. Grice, 1975.

2. „Konstitutiv für die koordinative Verknüpfung zwischen Konjunkten ist deren gleichartigheit hinsichtlich einer Menge von Eigenschaften, die den Konjunkten als grammatisch determinierten Einheiten zukommen“ (Lang, 1977:37).

3. „Gemeinsame Einordnungsinstanz“ (Lang, 1977: 66—67).

4. Parallelisierungseffekt (Lang 1977: 47).

5. სრულიად იდენტური ერთეულები არ ერთიანდება, რბის და რბის წინადადებაც სირბილის სხვადასხვა დროს მიიწე აღნიშნავს.

6. a minimal requirement for successiveness between situations is that an endpoint (ე. ი. დასაწყისი ამ შემთხვევაში) of one situation must follow the endpoint (ე. ი. ბოლი) of the other [შემდეგი წინადად ბა, მაგალითად, მისაღები არ არის:]* They went out doors after the moon was coming out. The lexical meaning of the connectives [ამ შემთხვევაში: after] requires a successive interpretation of situations, and progressive aspect does not allow this (Smith, 1983: 485).

მითითებული ლიტერატურა

შუშ. — მარტილობაა შეშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფილისი, 1938; და: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბილისი, 1963.

დანელია კორნელი: უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში. 3. vav consecutivum-ის გადმოცემა თანამიმდევრობის „და“ კავშირით, მაცნე, ელს, 1979, 3: 90—98.

მისივე, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1983.

მისივე, უცხოენოვანი გრამატიკული ელემენტები ძველ ქართულ წერილობით წყაროებში, კრებულში: პირველი საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1988, გვ. 28—38.

შენგელაია ნანა, ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემები (ლექციების კურსი), თბილისი, 1987.



Жирмунский В. М., Задачи поэтики, 1919 (=Теория литературы, поэтика, стилистика, Ленинград, 1977, გვ. 15—54).

Boeder Winfried, „Und“ in den südkaukasischen Sprachen. Folia linguistica, 17: 287—326.

Grice H. Paul, Logic and conversation. კრებულში: Speech Acts (=Syntax and Semantics 3), New York, 1975. გვ. 41—58.

Lang Ewald, Semantik der koordinativen Verknüpfung (=Studia Grammatica 14), Berlin, 1977.

Smith Carlota S., A theory of aspectual choice, Language, 59. 479—501.

ოლდენბერგის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) უნივერსიტეტი.
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა
კ. წერეთელმა.

მაია აოგიაშვილი

ნათესაობის ფორმები და მათი აღმნიშვნელი ტერმინები

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში ძირითადად ნათესაობის სამკვარი ფორმა არსებობს: სისხლისმიერი, მოყვრობითი, ხელოვნური, რომელთაგან პირველი მოიცავს ე. წ. აგნატურ და კოგნატურ ჯგუფებს. ეს ტერმინები ლათინურიდან მომდინარეობს და ნიშნავს: agnates — მამის ხაზით შექმნილი ნათესაობა, cognates — სისხლით ნათესაეები დედის ხაზით. მათი ზუსტი შესატყვისია ქართული ენის მოხეურ დიალექტში არსებული ჩამომავლობა, რომელიც მამის ხაზით შექმნილ ნოდგმას აერთიანებს და ჩამადევნება, რომელიც დედის ხაზით შექმნილი შთამომავლობაა.

მოხეურში ამ ტერმინების პარალელურად გამოიყენება სხვა, მამისა და დედის ხაზით შექმნილი ნათესაური ერთეულების ღირსება-უღირსოების მსაზღვრელი ტერმინებიც: ჭიშინი — უჭიშო (მამის მოდგმის აღსანიშნავად), ჭილაგანი — უჭილაგო (დედის შთამომავლობის აღსანიშნავად).

მოხეური მდიდარია ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინებით. ყოველ ნათესაურ ჯგუფსა თუ კავშირს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოხევისათვის, რაზეც მეტყველებს ეგზოგამიის არსებობა და მისი წესების უმკაცრესი დაცვა არა მარტო სისხლისმიერ ნათესაობაში, არამედ მოყვრობით ან ხელოვნურად დანათესავების დროსაც. ეგზოგამია (ბერძნ. exo — ვარეშე და gamos — ქორწინება) არის ჩვეულება, რომლის მიხედვითაც აკრძალულია ქორწინება ერთი და იმავე გვარის ან თემის წარმომადგენლებს შორის.

მოხევეების, ისევე როგორც სხვა მთიელი ხალხის, ნათესაური ურთიერთობა უმკაცრესი წესებით იყო შეპირობებული და თემი „აღათ-რჭელის“ შემლაზველ მთელი სისასტიკით უსწორდებოდა. აქედან გამომდინარე, საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული ჩვეულების შელახვაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო. ქორწინება იკრძალებოდა როგორც ჩამომავლობაში, ისე ჩამადევნებაში და გარკვეულწილად ხელოვნურად დანათესავებულ ჯგუფებშიც კი.

ვ. ითონიშვილის მიერ მოპოვებული და გამოქვეყნებული მასალის მიხედვით, ყაზბეგელი ქუშაშვილების, ყანობელი ვარდიშვილებისა და კურკუმულების საგვარეულოები წინაბრად იმერეთიდან გადმოხვეწილ სამ ძმა ზედგინიძეებს აღიარებენ. თითოეულ საგვარეულოში დღეს რამდენიმე, ხოლო ქუშაშვილების საგვარეულოში ათეულობით განაყოფიერება ითვლება, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი ცალკე გორადაც კი ჩამოყალიბდა. მაგ.: ვარდიშვილების საგორეულოს შემადგენლობაში ერთიანდება ჭილაშვილების გორი, ხოლო კურკუმულების საგორეულო მოიცავს ზილინაშვილების გორს. ე. ი. ზედგინიძეთა სამი ძმის შთამომავლობა დღეისათვის სამ საგორეულოდ, ხუთ გორად და რამდენიმე

1. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 29—71.

ათეულ განაყრობადაა წარმოდგენილი. დაქორწინების შემთხვევები აღმოჩენილი არა მარტო არსებულ ჯგუფებს შორის, არამედ სხვადასხვა საგორეულოდ, ჯორად და განაყრად წოდებულ ერთეულებს შორისაც იმ მოტივით, რომ ვარდიშვილები, ჭიალაშვილები, ქუშაშვილები, ზილინაშვილები, კურკუმულები ერთმანეთის სახლიაკეები, ერთი ჩამომავლობის წევრები არიან და, მიუხედავად იმისა, რამდენი თაობა გავიდა, მათ შორის ქალის გათხოვებას, მათ შორის დამოყვრებას დღესაც კი ეპქის თვალთ უყურებენ, თუმცა სისხლისმიერ ნათესაობაში დამოყვრება მიაღებები უნდა იყოს „შვიდი მამის“ თაობის გასვლის შემდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „შვიდი მამის“ რიცხვი ქრისტიანულ რელიგიასთან ერთად უნდა შემოსულიყო ხევში და საერთოდ მთიანეთში, ყოველ შემთხვევაში ანუ ფიქრობენ მოხევეები. დღეს კი „შვიდი მამის“ თაობის განუხრელ დაცვას მოითხოვენ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებიც. მოსალოდნელია ქორწინების ფაქტთან დაკავშირებით უფროსის, უხუცეაის მიერ ერთი განაყრობისა და მათ შორის არსებული ეგზოგამიის წესის ხსენებაზე ახალგაზრდები უკვე თაობათა გამოანგარიშების საკითხს აყენებენ, ხოლო რამდენადაც „შვიდი მამის“ რიცხვი „ქრისტეა კარნახითა“ შემუშავებული, იგი ყველა ქრისტიანისათვის ხელშეუხებელი კანონი უნდა იყოს. მანამდე კი, წარმართულ ხანაში, რამდენი თაობაც უნდა ყოფილიყო გასული, ერთი შთამომავლობის წარმომადგენლებს შორის ქორწინება შეუძლებლად ითვლებოდა. როგორც ვ. ითონიშვილი მიუთითებს, ამაზე მეტყველებს ის, რომ ხევის გვარებსა და სხვა ნათესაურ ჯგუფებს შორის ეგზოგამიის წესის დარღვევა მხოლოდ XX საუკუნეში დადასტურდა. მაგ.: ჩვენ მიერ ზემოხსენებულ გვარებს შორის დამოყვრება მხოლოდ 90 წლის წინათ მოხდა, როცა ქუშაშვილი პავლე ვარდიშვილ ტაბოზე დაქორწინდა და რასაც, როგორც მომსწრენი იხსენებდნენ, ყველა მონათესავე ჯგუფის წარმომადგენელთა აღშფოთება და გულსტიკილი მოპყვა.

ეგზოგამიის არსებული წესის დარღვევა მიუღებელი იყო არა მარტო ხევში მცხოვრები საგორეულოების, ან გორების, შიგნით, არამედ ხევის გარეთ მცხოვრებ მონათესავე ჯგუფებს შორისაც. მაგ.: ერთ-ერთი ვადმოცემა მოხევე ქაეთარაშვილებისა და მთიული ქვეთარაძეების წინაპრად იმერეთიდან კაციკი მოკლისათვის გამოქცეულ ორ ძმას აღიარებს და, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ გვარში დღეს რამდენიმე განაყრობა ჩამოყალიბდა, მათ შორის ეგზოგამიის წესის დარღვევა შეუძლებლად არის მიჩნეული, რამდენადაც ისინი ერთმანეთის **სახლიაკეებად** იწოდებიან. ასევე მოხევე, კახელი და ხევსური ფიცხელაურები ერთმანეთის **მანაკიდვრებად** ითვლებოდნენ და ურთიერთშორის დამოყვრებას ერიდებოდნენ.

ნათელშირონობა თავისი შინაარსით სისხლისმიერ ნათესაობას უტოლდება და ხშირ შემთხვევაში ამეტებს კიდევ მას. ვ. ითონიშვილის თანახმად, თუ სისხლისმიერი მონათესავენი დამოყვრების შესაძლებლობას „შვიდი მამის“ რიცხვი გასვლისას მიიჩნევენ, ნათელ-შირონობა „თორმეტ მამათა“ თაობას მოიცავს და წესის დამრღვევი უმკაცრესად ისჯება თემისაგან.

სისხლისმიერ ნათესაობას უტოლდება ხევში არსებული **ძმადგაფიცვის** სამი წესიდან ერთ-ერთი. მოხევეებში ძმად ან დად გაფიცვა ჩვეულებრივი იყო, რასაც სამგვარი ფორმით აფიქსირებდნენ: 1. ფიც-ვერცხლის ჭამით; 2. თითების გაჭრითა და სისხლის გაზიარებით; და 3. ყველაზე იოლად და სახელდახელოდ — ტყვიების გაცვლით. **დამობილების** დროს ხდება რძიან ასამისში ვერცხლის ჩათლა და ასამისების გამოცლა. ამ წესებიდან თითების გაჭრა და პრილობების ერთად მიღება, სისხლის შერევა სისხლისმიერ დანათესავენებს.



გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ძმადგაფიცულებსა და მათ შთამომავლებს შორის საქორწინო ურთიერთობა ისევე იკრძალებოდა, როგორც ერთი გვარის წარმომადგენლებს შორის. ე. ი. მათთვისაც სავალდებულო ხდებოდა „შვიდი მამის“ რიცხვის დაცვა. მაშინ, როდესაც ძმადგაფიცვის სხვა წესების შედეგად დანათესავებული პირებისათვის და მათი შთამომავლობისათვის სავალდებულო იყო მხოლოდ ოთხი მამის თაობის დაცვა, რამდენადაც მათ სისხლით შეკავშირება არ ახლდა თან.

ნათესაობის მეორე — მოყვრობითი — ფორმა, როგორც აღვნიშნეთ, დამახალებას, ორი ოჯახის საქორწინო გზით დაკავშირებას გულისხმობს. რომლის დროსაც მყარდება ორმავე ნათესაობა: უშუალოდ მოყვრობითი, რომლის დროსაც მძახალთა შორის თაობებს არ ექცევა ყურადღება ქორწინების შემდეგ და დანათესავება თვით მექორწინლე ქალ-ვაჟის ოჯახებს შორის რომელიც სისხლისმიერი ნათესაობის ტოლია. ამ დროს ეგზოგემია ისევე მკაცრადაა დაცული და მამათა შვიდ თაობას მოიცავს.

მესამე ფორმა ნათესაობისა — ხელოვნური — მოიცავს ე. წ. **ამანათობას**, რომელიც ხევში ცნობილია **შაყრა-შაკედლების** ტერმინითაც. ამ დროს ხდება სუსტი ან დევნილი გვარის შეფარება სხვა, ძლიერი გვარის ფარგლებში და მფარველი გვარის სახელის მიღება, რის შედეგადაც ორ გვარს შორის **სასახლისკაცო** ურთიერთობა მყარდება და მათ შორის დამოყვრება ქორწინების გზით სასტიკად იკრძალება საერთოდ. მაგრამ, თუ მფარველი გვარის სახელზე გადაწერა, მისი მიღება არ ხდება, მფარველ და შეკედლებულ გვარებს შორის დაქორწინება შვიდი თაობის წრეში იკრძალება.

მოხეტურში ხელოვნურ ნათესაობაში ერთიანდება ასევე **ეკიბხელისმომკიდებობით** მიღებული ნათესაობა. საერთოდ **ეკიბის** — **ეკიფის** უფლება-მოვალეობანი „ნეფე-დედუფლის“ მიმართ ძალიან დიდია, იგი ძმად და უახლოეს მეგობრად ითვლება და მათ შთამომავლებს შორის ქორწინება ოთხი მამის თაობაში იკრძალება, თუ ეკიბე — ეკიფე „ნეფე-დედოფალთან“ რაიმე მოკეთებით არ იყო მანამდე დაკავშირებული.

უკანასკნელი, ხელოვნური ნათესაობა მთის ყველა დიალექტში არსებობს, მაგრამ სხვადასხვა სახელწოდებითაც შეიძლება შეგვხვდეს. მათ საერთო სახელწოდებად მინც **ამანათობა** ითვლება, მაშინ როდესაც ხევსურეთში მას **კარ** — **ქვაბით** შაყრაააც უწოდებენ, როცა დანათესავება ხდება მხოლოდ გვარის ფარგლებში და არა რომელიმე განშტოებაში. ამ დროს შემოხიზნული ერთ-ერთ გვარს სთხოვდა მფარველობას, რომლის მიღებისათვის ვალდებული იყო ხატში ხარი მიეყვანა და ხატზე დაეფიცა თემისა და გვარის ერთგულებაზე. ამ ფიცის სიმტკიცის ნიშნად ხატში ჩაისმებოდა სამანი, საკლავი დაიკვლებოდა და მისი სისხლი ზედ სამანზე დაიღვრებოდა. რის შემდეგაც შემოხიზნული ამ თემის სრულუფლებიან წევრად ითვლებოდა. ამ წესს ხშირად თან სდევდა საკუთარი გვარის გამოცვლა და მფარველ გვარზე გადაწერა. მაგ.: საჩინჭარაულოში კარ — ქვაბით შაყრილად ითვლებიან: ღულელნი, მიცუელნი და არდოტელნი, სავოგო-პუროში კი — ქეთელაურნი, ალუდაურნი და ხახაბოელნი...

ამანათობა ფშავში ცნობილია **გაფიცვის ადათის** სახელით. თემში შემოხიზნული უცხო პირის მიღება მოხდებოდა, თუ მოსული გაფიცვის ადათს შეასრულებდა, რომლის დროსაც ხატში საკლავის მიყვანა, ხატისა და თემის ერთგულებაზე დაფიცება იყო საჭირო. ფიცის გატება თემის დალატად ითვლებოდა და მოლაღატე ხიზანზე შურს მთელი თემი იძიებდა. მაგ.: გაფიცვის ადათით ცაბაურელებთან მიღებულია ქისტეთიდან მესისხლეობის გამო გამოქცეული გორზემალე.

საგვარეულოში ახალი წევრის მიღების აღნიშნული წესი ფართოდ გავრცელებული ყოფილა თუშეთშიც. შემოხიზნული რამდენიმე წლის განმავლობაში საგვარეულოს წევრთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, რის შემდეგ თვით გვარი წყვეტდა მათი **ხარით შეყრის** შეაძლებლობას. ამ დროს აქაც ჩვეულებრივი იყო ხატში საკლავის მიყვანა, სამანის ჩასმა და ხატის წინაშე ერთგულების ფიცის დადება. მაგ.: ბექურაიძეების გვართან ხარით შეყრის დღეები არიან პერეკაიძეების შთამომავალნი.

აქვე შენიშვნის სახით უნდა დავმატოს, რომ ამანათობის წესი მოქმედებდა ყველა აღნიშნულ რეგიონში იმ შემთხვევაში, თუ შემოხიზნული თავისი საცხოვრებელი ადგილიდან გამოქცეული იყო მკვლელობისათვის ან სხვა რაიმე დანაშაულისათვისა თუ გაუგებრობის გამო, ან ომიანობის დროს, როცა სუსტი მფარველობას სთხოვდა ძლიერ გვარს მტრის შემოპყრისას გვარის სრული ამოწყვეტის საშიშროებით. ყოველ შემთხვევაში, რა საფუძველიც არ უნდა ჰქონდეს ამანათობის წესის ამოქმედებას, ახლადმოსული ხატის ყმად და თემის, გვარის სწორუფლებიან წევრად ითვლებოდა.

რაც შეეხება სისხლიანობის ან მოყვრობით დანათესავებას, ხევის მსგავსად მთის ყველა რეგიონში გვხვდება და მათ შორისაც ისევე მკაცრადაა ეგზოგამიის წესი დაცული, როგორც მოხევეებთან. ამიტომ მასზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნათესაობის აღნიშვნელი რაიმე სპეციფიკური ტერმინი სხვაგან არ შეგვხვედრია, თუ მხედველობაში არ მივღებთ იმას, რომ მოხეურისაგან განსხვავებით დედის ნათესაობის აღნიშვნელ ტერმინებად შეიძლება შეგვხვდეს **დედის ძმანი** || **დედიძმანი** ან **დედულეთი**, რომელთაგან უკანასკნელი გაცილებით ფართო ცნების მომცველია მაშინ, როდესაც **დედისძმანი** უმეტეს შემთხვევაში ერთი ოჯახის, უშუალოდ დედის ძმის ოჯახის წევრებს აერთიანებს.

М. КОБИАШВИЛИ

ФОРМЫ РОДСТВА И ОБОЗНАЧАЮЩИЕ ИХ ТЕРМИНЫ

Резюме

В горских диалектах Восточной Грузии существуют три формы родства: кровное, искусственное, кумовьево.

Для горцев каждая из этих родственных форм имела огромное значение, потому и термины, обозначающие их, так разнообразны.



Родственные отношения мохевцев, так же, как и других горских родов, были подкреплены строжайшими правилами, а человек, пренебрегший этими правилами, наказывался со всей строгостью.

Экзогамия сохранялась почти во всех родственных формах и группах. Разницу же между ними создавало то число поколения, после ухода которого становилось возможным нарушение определенного правила.

Например, в кровном родстве запрещались браки до 7 поколения, кумовьевых—от 4 до 7 поколения, а крестное родство у мохевцев иногда превосходило кровное, и браки были запрещены до 12 поколения.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დიპლექტოლოგიის განყოფილება

წარმოადგენს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა.

ზაალ კიკვიძე

ჩვენი ნაცვალსახელის მემორიული მნიშვნელობა

ნაცვალსახელი, როგორც ცალკე მეტყველების ნაწილი, ჯერ კიდევ პანინის თანამედროვემ — იასკიმ — გამოყო [1]. თუმცა მას შემდეგ საკმაოდ ბევრი დრო გავიდა, სანამ იგი კვლავ დაიჭერდა თავის კუთვნილ ადგილს სიტყვათა კლასებს შორის გრამატიკულ ტრაქტატებში. ეს, ალბათ, ნაცვალსახელის განსაკუთრებული თავისებურებებით უნდა აიხსნას.

აი, რას ამბობს ა. რეფორმატსკი მათ შესახებ: «Местоимения — это не конструкторы, не инженеры, а скорее это уборщики», «подметальщики», «ассенизаторы». Без них не проживешь, но не они зажигают огонь мысли, не они берегут чувства. Но их надо уважать за их полезительную работу, за их незаконченную номинативность» [2].

ნაცვალსახელთა განსაკუთრებულმა თავისებურებებმა საფუძველი შეუქმნა სპეციალისტებს, პრინციპულად განსხვავებული მოსაზრებები გამოეთქვათ მათ შესახებ. მაგალითად, ფრანგი ლინგვისტის პოლ გარდის აზრით, ენის გრამატიკა მთლიანობაში უნდა დაეფუძნოს ორი შესაქრების ჯამს. ესენია: არანაცვალსახელთა გრამატიკა და ნაცვალსახელთა გრამატიკა [3]. თანამედროვე რუსი ენათმეცნიერები ი. მასლოვი და ო. ერმაკოვა მსგავს პოზიციებზე არიან [4; 5].

ამ მოსაზრების პარალელურად არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ნაცვალსახელი არ არის ცალკე მეტყველების ნაწილი (ყ. ვანდრიესი, ჰ. ჰუიტი, ლ. იელმსლევეი, ფ. ფორტუნატოვი, ა. პეშკოვსკი, ლ. შჩერბა, მ. პანოვი).

რა თქმა უნდა, ნაცვალსახელები ფორმობრივ ბევრ თავისებურებას ავლენენ. მაგრამ სწორედ მათი სემანტიკის სირთულემ და ძნელადჩასაწვდომობამ განაპირობა ნაცვალსახელური მნიშვნელობის შესახებ პრინციპულად განსხვავებული კონცეფციების არსებობა. მაგალითად, ნაცვალსახელებს ხშირად განიხილავდნენ და განიხილავენ როგორც სემანტიკურად დაცლილ სიტყვებს, ან კიდევ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა სიტუაციურად ცვალებადია [6]. ამის პარალელურად ზოგიერთ ნაშრომში წარმოჩენილია ნაცვალსახელური მნიშვნელობის მრავალკომპონენტური სტრუქტურა, რაც მოწმობს მათი შინაარსის სემანტიკურ გაჯერებულობას [7].

თუ მხედველობაში მივიღებთ ა. რეფორმატსკის აზრს მათი „დაუსრულებელი ნომინატიურობის“ თაობაზე, მაშინ ვასაგებია, რატომ განიხილავს ზოგიერთი სპეციალისტი ნაცვალსახელებს როგორც სემანტიკურად დაცლილ სიტყვებს. რაც შეეხება ნაცვალსახელური მნიშვნელობის მრავალკომპონენტურობას, მათი შინაარსის სემანტიკურ გაჯერებულობას, ეს საკვებით ცხადად ჩანს ჩვენ ნაცვალსახელის სემანტიკური ანალიზის საფუძველზეც.

ტრადიციულად ჩვენ განმარტება როგორც პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი, თუმცა არც ფორმისა და არც შინაარსის მიხედვით იგი არ წარმოადგენს მე-ს მრავლობით რიცხვს. პ. გლისონი ამბობს: „უხეშად, რომ ვთქვათ, მე აღნიშნავს „მის, ვინც საუბრობს“. ამ სიტყვას რომ მრავლობითი რიცხვი ჰქონოდა, მაშინ მას, ალბათ, უნდა აღენიშნა „ისინი, ვინც საუბრობს“, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ არის ჩვენ ნაცვალსახელის ჩვეულებრივი მნიშვნელობა“ [8].

ო. პეტროვას მიხედვით, ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენ არის მე-ს პლიუს მე და პლიუს მე და ა. შ. უფრო ლოგიკური იქნებოდა, მე და ჩვენ წარმოგვედგინა არა როგორც ერთი სიტყვით ორი გრამატიკული ფორმა, არამედ როგორც სხვადასხვა ლექსიკური ერთეული [9].

ზემომოყვანილი მოსაზრებები გაზიარებულია სპეციალისტთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ. იშვიათ გამოჩაყლის წარმოადგენს პ. სოტნიკიანი, რომელიც მე-ს მრავლობით რიცხვად მიიჩნევს ჩვენ ნაცვალსახელს [იხ. 10].

განვიხილოთ ჩვენ ნაცვალსახელის სემანტიკური სტრუქტურა. როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს: „სემანტიკური კვლევის დროს, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, უნდა განვიხილოთ იქნეს ამა თუ იმ ფორმის კონსტრუქციული ბუნება“ [11]. საანალიზო ნაცვალსახელი კი რთული კონსტრუქციული ბუნებით გამოირჩევა. ასეთ შემთხვევაში კი, ლ. ვაისგერბერის მიხედვით, „აუცილებელია ვიცოდეთ მთლიანის სტრუქტურა და მასში ცალკეული ელემენტის ადგილი“ [12].

ქართულში გაირჩევა ჩვენ ნაცვალსახელის ორი სემანტიკური ნაირსახეობა:

1. ინკლუზივი (ჩვენ = მე + შენ / თქვენ).
2. ექსკლუზივი (ჩვენ = მე + ის / ისინი).

როგორც ვხედავთ, მისი სემანტიკური სტრუქტურის აუცილებელი პირობაა, მასში ჩართული იყოს მე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან იგი (ჩვენ) არ აღნიშნავს რამდენიმე მე-ს. ეს შეუძლებელია. მაშასადამე, ჩვენ არის ერთგვარი pluralia tantum. თუ გავითვალისწინებთ ამ ტერმინის ო. ახმანოვასეულ განმარტებას: „არასაკმარისი არსებით სახელთა თანრიგი, რომელთაც არ გააჩნიათ მრავლობითი რიცხვის ფორმა, და აქვთ შედგენილი მთელის ან კრებითობის მნიშვნელობა“ [13], მაშინ ძალიან ადვილი იქნება ეს ნაცვალსახელი მივაკუთვნოთ ხსენებულ თანრიგს.

სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია ამ ნაცვალსახელის სხვა მნიშვნელობით ხმარების შემთხვევებიც.

გ. კვარაცხელია მიუთითებს, რომ სამეცნიერო სტილში ჩვენ გვხვდება შემდეგი გაგებით:

- ა) ინკლუზიური ჩვენ;
- ბ) ექსკლუზიური ჩვენ;
- გ) ავტორისეული ჩვენ;

დ) ინკლუზიური ჩვენ შეიძლება გამოყენებული იყოს მკითხველზე, მის აზრობრივ მოქმედებაზე მისათითებლად:

ე) მისი გამოყენებით მიიღწევა განზოგადოებულსუბიექტიანი გაუპიროვნებული გადმოცემა [14].

ყურადღება მივაქციოთ გ) პუნქტს: „ავტორისეული ჩვენ“ სავსებით ემთხვევა პირველი პირის მხოლოდობითი რიცხვის გაგებას და შეიძლება ამ პირის

„მე“ ნაცვალსახელითაც ჩანაცვლებულიყო, მაგრამ აღნიშნული (სამეცნიერო — ზ. კ.) სტილისათვის დამახასიათებელი თხრობის ობიექტურობა (უსუბიექტობა) და ეტიკეტიც (მოკრძალებულობა, თავმდაბლობა) განაპირობებს „ჩვენ“ ნაცვალსახელის აბსოლუტურ დომინანტობას“ [15].

ჩვენ ნაცვალსახელის ამ სემანტიკით ხმარება დიდი სიხშირით აღინიშნება როგორც სამეცნიერო, ასევე პუბლიცისტურ სტილში. აღსანიშნავია, რომ მეორეული ჩვენ „ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ მრავლობითი რიცხვისათვის გამოყოფილ ხუთ სემანტიკურ ტიპს შორისაცაა მოქცეული:

1. დისკრეტული მრავლობითი რიცხვი (ძირითადი მნიშვნელობა);

2. კრებითი სიმრავლე („მტრები“, „მეგობრები“);

3. დისტრიბუციული სიმრავლე — ტიპი, რომელიც წარმოდგენილია მაგალითად, პაპავო ენაში (ერთ-ერთი სამხრეთ-ატლანტიკური ენა), და აღნიშნავს დისპერსიულ სიმრავლეს, რაც არ არის ლოკალიზებული ერთ ადგილას (დროს), უბრალო პლურალურისგან განსხვავებით, რომელიც აღნიშნავს ერთზე მეტი დენოტატის ყოფნას გარკვეულ ადგილას (ან დროის გარკვეულ მომენტზე):

4. რეპრეზენტატიული სიმრავლე — აღნიშნავს პირთა ჯგუფს, რომელსაც ეძლევა ერთ-ერთი წარმომადგენლის სახელი, შდრ. იაპონური 'სუძუკი-ტატი' — სუძუკი და მისი მეგობრები, ინგლისური the Browns — ბრაუნები (ცოლ-ქმარი, ოჯახი). ამ ტიპს მიეკუთვნება ასევე ე. წ. მიახლოებითი სიმრავლე (მაგ., „ოთხმოციანი წლები“);

5. პიდიადის, თავაზიანობის მრავლობითი რიცხვი (ჩვენ — მეფეთა საბუთებში, თქვენ, გერმ. 'sie') [16].

მრავლობითის ამ ტიპზე ჯერ კიდევ ე. მარუზო მიუთითებდა: „პირველი პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვი გამოიყენება ზოგჯერ განდიდების მრავლობითის (pluriel augmentatif, pluriel de majesté||Gemeinschaftsplural|| plural of social inequality, plural of majesty||plurale maistatico) მნიშვნელობით, მაგალითად, საჯარო აქტში: nous, grand-maitre de l'Ordre...“ ჩვენ, ორდენის გროსმაისტერი...“ — ან ავტორისეული მრავლობითის (pluriel de modestie|| editorial „we“) მნიშვნელობით, რომ თავი აარიდონ მე-ს ხმარებას, მაგალითად, წინასიტყვაობებში: nous avons voulu dans cet ouvrage... ამ ნაშრომში ჩვენ გვინდოდა...“ [17].

ჩვენ ნაცვალსახელის მეორეული მნიშვნელობით ხმარება ძველი და საშუალო ქართულის ძეგლებშიცაა დადასტურებული:

„აჲ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა, ციხისთავთა, კვეისუფალთა, ჩინებულთა და ყოველთავე საქმის-მოქმედთა ჩუენთა, დაუმტკიცეთ...“ (1057/1058, სიგელი ბაგრატ IV-ისა) [18].

ქ. ...ჩუენ ღუთივ გვირგვინოსანმან მეფემან, პატრონმან ლეონ ესე უკუნისამდე ეამთა გასათავებელი სიმტკიცისა სიგელი გკადრეთ... („1569 წ. კახთა მეფის ლეონ II-ის მიცემული ყმების შეწირულობის წიგნი) [19].

მ. ბერძნიშვილი აღნიშნავს, რომ 1634 წლიდან როსტომ მეფის ყველა საბუთის „სიგლის თავში“, მასთან ერთად მოიხსენიება „თანამეცხედრე“: „ჩვენ-მა დედოფალთ-დედოფალმან პატრონმა მარიაჲ“ [20].

ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისითა, ჩვენ ღუთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან კელმწიფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმა მარიაჲ... [21].

დაეუშვათ, ამ ფრაგმენტში პირველი ჩვენ არ არის მე-ს მნიშვნელობით, მაგრამ მეორე შემთხვევაში („თანამეცხედრემან ჩვენმან“) იგი აუცილებლად პირველი პირის მხოლოდობითი რიცხვის მნიშვნელობითაა (წაიკითხე: „თანამეცხედრემან ჩემმან“).

ამ რიგის მაგალითები მრავლად აქვს მოყვანილი არ. მარტიროსოვს [22]. იქვე ავტორი აღნიშნავს: „სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ მიმართვის თავაზიანი ფორმები ევროპულ ენებში შემოვიდა ლათინურის გავლენით. თვით ამ ენაში კი ნაცვალსახელთა განსაკუთრებული მნიშვნელობით ხმარების წესი დამკვიდრდა რომის კეისართა მეშვეობით. ეს ჩვეულება შემდეგ და შემდეგ ფართოდ გავრცელდა ევროპის ხალხებში და ფეოდალური წყობილების დროს ამის ნიადაგზე შეიქმნა ისეთი ტიპის გამოთქმები, როგორცაა: თქვენო აღმატებულება, თქვენო კეთილშობილება, თქვენო უდიდებულესობა და სხვა“ [23].

კ. ჯორჯანელი მიუთითებს, რომ მონარქები „თავის თავს მრავლობით რიცხვში იხსენიებდნენ და ვასალებსაც აძულვებდნენ ასევე მრავლობით რიცხვში მიემართათ მათთვის“ [24].

შესაძლებელია, გაჩნდეს ვარაუდი, რომ, პირიქით, სწორედ ქვეშევრდომების მხრიდან „თქვენო უდიდებულესობა!“ ტიპის მიმართვების ხმარების ინტენსივობამ განაპირობა მონარქის, როგორც ადრესანტის, მხრიდან საკუთარი თავის აღნიშვნა მრავლობითი რიცხვით. მაგრამ ეს ვარაუდი არ იქნება სწორი, არ. მარტიროსოვისა და კ. ჯორჯანელის მოსაზრებები საესებით მართებულია, რასაც ადასტურებს ისტორიული სინამდვილე: ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმით იმავე პირის ნაცვალსახელის მხოლოდობითი რიცხვის ფორმის შეცვლა ევროპაში პირველად რეგისტრირებულია ჩვენი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში რომის სახელმწიფოს დოკუმენტებში. ამ სახელმწიფოს სათავეში ორი ან სამი კაცი ედგა. როდესაც ისინი დეკრეტებს გამოსცემდნენ, თავის თავს, რა თქმა უნდა, ჩვენ ნაცვალსახელით მოიხსენიებდნენ; მოგვიანებით, როცა ჩამოყალიბდა ერთმმართველობა, მრავლობითის ხმარება ჩვევად გადაიქცა [25]. ამგვარმა საწყისმა განაპირობა ამ ნაცვალსახელის მეორეული მნიშვნელობით ხმარება ძირითადად მხოლოდ წერით მეტყველებაში. ამას ადასტურებს ქართული საერო მწერლობის ძველთა მონაცემებიც [იხ. 26].

აქ რომ, როგორც თანამედროვე, ისე ძველ და საშუალო ქართულში დასტურდება ჩვენ ნაცვალსახელის მე-ს მნიშვნელობით გამოყენება, თუმცა მისი ამ სემანტიკით ხმარების რეგისტრები ძველად და ახლა საესებით განსხვავებულია. ძველ ქართულში მეორეული ჩვენ, რაც მეფეთა საბუთებში გვხვდება, სიდიადის, აღმატების მიზნითაა ნახმარი. „მონარქის ბაგეთაგან წარმოთქმული ჩვენ ნაცვალსახელი ოფიციალურად და საზეიმოდ უღერდა“ [27]. თანამედროვე ქართულში კი მისი ამ მნიშვნელობით გამოყენება, რაც შემოიფარგლება სათანადო ფუნქციურ სტილთა საზღვრებით, განპირობებულია ავტორის მოკრძალებულობით, თავმდაბლობით. ამ ტიპის განსხვავებას შეიძლება ეწოდოს სხვაობა სოციალურ-სტილისტურ რეგისტრებს შორის.

მსგავსი სიტუაცია დასტურდება მრავალ ენაში. მაგ., რუსულში ადრეულ პერიოდში ნაცვალსახელი мы მეფეთა საბუთებში გვხვდებოდა я-ს მნიშვნელობით. დღესდღეობით კი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტილებისათვის დამახასიათებელია მისი ამ მნიშვნელობით («АВТОРСКОЕ 'МЫ'») ხმარება, ოღონდ განსხვავებულ სოციალურ-სტილისტურ რეგისტრში.

ვ. კუზნეცოვი მიუთითებს, რომ ფრანგულში „1-ლი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელს ახასიათებს სპეციფიკური ხმარება სამეცნიერო-ტიქ-

ნიკურ ენაში. Nous შეიძლება გამოყენებული იყოს ეგრეთწოდებული რისეული, ჩვენ“-ის მნიშვნელობით [28].

საინტერესო ვითარება შეიქმნა ილანდიურ ენაში. ს. ეინარსონი აღნიშნავს: „ყოფილმა მრავლობითი რიცხვის პირის ნაცვალსახელმა ver 'ჩვენ', რომელსაც ნეიტრალური მნიშვნელობა ჰქონდა, შემდგომში მიიღო სუბიექტური შეფასების ელფერი: მისი გამოყენება დაიწყეს სამეფო პირებმა და მწერლებმა (სამეფო და ავტორისეული მრავლობითი რიცხვი) მხოლოდობითი რიცხვის ფორმის ნაცვალად“ [30].

მაინც რა განპირობებს იმას, რომ ჩვენ იხმარება მე-ა მნიშვნელობით? უპირველეს ყოვლისა, ეს განპირობებულია ამ ნაცვალსახელის სემანტიკური სტრუქტურის სისტემური თავისებურებებით. მ. მამუდიანი ამბობს: „სემანტიკური სტრუქტურა, რომელიც ფარდობითი ხასიათის სტრუქტურაა, წარმოადგენს ამავე დროს სისტემურ ორგანიზაციას“ [31]. მაშ, რა სისტემურ ორგანიზაციასთან გვაქვს აქ საქმე? ჩვენ არ წარმოადგენს მე-ს მრავლობით რიცხვს ფორმალურად. სემანტიკურადაც ჩვენ არ ნიშნავს რამდენიმე მე-ს. სამაგიეროდ, თუ დავუკვირდებით მისი ინკლუზიური და ექსკლუზიური ვარიანტების სემანტიკურ სტრუქტურებას, დავინახავთ, რომ ორივე შემთხვევაში აუცილებელი პირობაა, მასში ჩართული იყო მე, ხოლო ინკლუზივ-ექსკლუზივი კი გაირჩევა იმის მიხედვით, არის თუ არა შიგ მერე პირი. ე. ი. მე-ს ჩართვა ჩვენ ნაცვალსახელის სემანტიკაში აუცილებელი პირობაა, სხვა პირებისა — საკმარისი. მე ბირთვული კომპონენტია. ამიტომაც, ჩვენ ნაცვალსახელის ტრანს-სემანტიზაციას უფრო ადვილად ხდება არაბირთვული სემანტიკური კომპონენტების ჩამოშორება, ხოლო ბირთვული კომპონენტი რჩება. თუმცა სავესებით უპირიანი იქნება, თუ დავძებნით კიდევ ერთ პირობას, რომლის გამოც ხდება ტრანს-სემანტიზაციის ფაქტორის ამოქმედება.

მაგელობისათვის საპიროა მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტობრივი მასალა: ქართულში ჩვენ ნაცვალსახელს არ გააჩნია ფორმალური სხვაობა მისი ინკლუზიური და ექსკლუზიური ვარიანტებისათვის, მაშინ როცა ზოგიერთ ენაში ასეთი რამ დადასტურებულია. მაგალითად, ხუნძურში: ნიე — ჩვენ (ექსკლუზივი), ნითლ — ჩვენ (ინკლუზივი). ასევეა ოკეანის ზოგიერთ ენაშიც: მალაიურში: kami — ჩვენ (ექსკლუზივი), kita — ჩვენ (ინკლუზივი). ხანუნო ენას (ფილიპინები) აქვს სამწვეროვანი სისტემა: mih — ჩვენ (ექსკლუზივი), tah — ჩვენ (ორობითი რიცხვი), tam — ჩვენ (ინკლუზივი). პოტოვატომი ენა (ანგონკინურ ენათა ოჯახი): ninan — ჩვენ (ექსკლუზივი), kinan — ჩვენ (ინკლუზივი).

მსგავსი მაგალითების მოყვანა უფრო დიდი რაოდენობითაც შეიძლება, თუმცა მთავარი ისაა, რომ თუ ქართულში ჩვენ ნაცვალსახელისათვის აუცილებელი პირობაა მე-ს ჩართვა, ხოლო დანარჩენი კომპონენტები კონტექსტობრივად შეიღრჩევა, ზემოთ დასახელებულ ენებში, მაგალითად, ხუნძურში, ნითლ ფორმის სემანტიკური სტრუქტურისათვის ისევე აუცილებელია მეორე პირის ჩართვა, როგორც მე-ს ჩართვა; აქ მეორე პირიც ექსპლიციტური კომპონენტია.

ქართულ ენაში პირველი პირია მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის ერთ გამოხატულების პლანს მიემართება სხვადასხვა შინაარსის პლანი, მაშინ როცა ხუნძურში, მალაიურსა და მისთანა ენებში იმავე ნაცვალსახელის შინაარსის თითოეულ პლანს თავისი საკუთარი გამოხატულების პლანი აქვს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ნაცვალსახელის ამგვარი სემანტიკით ხმარება განპირობებული უნდა იყოს, უკვე აღნიშნული მიზეზების გარდა, იმიტაც, რომ ქართულში (და ამ მხრივ მის მსგავს სხვა ენებში, ინკლუზივ-ექსკლუზივი

არ არის გამოხატული ფორმალურად, ისე როგორც ეს ზემოთ მოყვანილ ენებშია დადასტურებული.

ზემოთ აღწერილი სემანტიკური პროცესის იმანენტურ მიზეზად დასახელებული იყო ჩვენ ნაცვალსახელის სემანტიკური კომპონენტების ბუნება და მათი შეფასება. ზოგი კომპონენტი შეფასდა როგორც აუცილებელი, ხოლო სხვები — როგორც კონტექსტობრივად ცვლადი. აშკარაა, რომ ეს ტერმინები თავადვე ხსნიან ამ სემანტიკურ პროცესს, რასაც შეიძლება ეწოდოს ტრანს-სემანტიზაცია, ხოლო მეორეულ ჩვენ ნაცვალსახელს, როგორც ამ პროცესის შედეგს, კი ტრანს-სემანტემა.

ლიტერატურა

1. Барроу Т., Санскрит, М., 1976, გვ. 49.
2. Реформатский А. А., Очерки по фонологии, морфологии и морфологии, М., 1978, გვ. 69.
3. Гард П., Структура русского местоимения, Новое в зарубежной лингвистике, вып. XV, М., 1985, გვ. 215.
4. Маслов Ю. С., Введение в языкознание, М., 1975, გვ. 218.
5. Ермакова О. П., Семантика, грамматика и стилистическая дифференциация местоимений, Грамматические исследования, Функционально-стилистический аспект, М., 1989, გვ. 147.
6. Tesnière L., Élément de syntaxe structural, Paris, 1959, გვ. 86.
7. Селивестрова О. Н., Местоимения в языке и речи, М., 1988.
8. Глисон Г., Введение в дескриптивную лингвистику, М., 1959, გვ. 214.
9. Петрова О. В., Местоимения в системе функционально-семантических классов слов, Воронеж, 1989, გვ. 141.
10. მარტიროსოვი არ., ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964, გვ. 298.
11. ჭორბენაძე ბ., ქართული ზმნის ფორმოზომი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980, გვ. 372.
12. Weisgerber L., Grundzüge der inhaltbezogenen Grammatik, Düsseldorf, 1962, გვ. 98.
13. Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов, М., 1966, გვ. 375.
14. კვარაცხელია გ., ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990, გვ. 69—70.
15. იქვე, გვ. 68.
16. Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990, გვ. 584.
17. Марузо Ж., Словарь лингвистических терминов, М., 1960, გვ. 158.
18. ქართული ისტორიული წყაროების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 36.
19. დოკუმენტების საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 7.
20. ბერძენიშვილი შ., ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროები, თბ., 1989, გვ. 99.
21. იქვე, გვ. 33—34.
22. მარტიროსოვი არ., დასახ. ნაშრ., გვ. 65—66.
23. იქვე, გვ. 66.
24. ჭორბენაძე კ., ეფემოზომები და სიტყვის ტაბუ, თბ., 1977, გვ. 88.
25. Curme G. O., Parts of speech and Accidence. A grammar of the English language, Boston, New York, 1935, გვ. 150.
26. კიკვიძე ზ., სემანტიკური შეფასების ნაცვალსახელთა სტრატეგიკული და სიტუაციური ვარიანტები, XIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ქ. ქუთაისი, 1922 წლის 19—21 ნოემბერი, მუშაობის გეგმა და მოხსენებთა თეზისები, თბ., 1992, გვ. 21.
27. Голуб И., Грамматическая стилистика современного русского языка, М., 1989, გვ. 91.
28. Кузнецов В. Г., Функциональные стили современного французского языка, М., 1991, გვ. 130.
29. Einarsson S., Icelandic, Baltimore, 1949, გვ. 122.
30. Мамудян М., Лингвистика, М., 1985, გვ. 180.

З. И. КИКВИДЗЕ

ВТОРИЧНОЕ ЗНАЧЕНИЕ МЕСТОИМЕНИЯ *čven* „мы“

Резюме

Местоимение *čven* „мы“ ни формально, ни семантически не является вариантом мн. ч. местоимения *me* „я“. Оно представляет своеобразную форму *pluralia tantum*. Необходимое условие для инклюзивных и эксклюзивных вариантов местоимения *čven* „мы“ — включение местоимения *me* „я“, что позволяет при соответствующем стиле речи использовать *čven* „мы“ вместо *me* „я“. Этому способствуют в свою очередь экстралингвистические факторы.

Употребление местоимения *čven* „мы“ в значении местоимения I л. ед. ч. характерно не только для современного грузинского языка, но также и для древнегрузинского. Однако, следует заметить, что регистры использования его в этом значении ранее и на современном этапе полностью различаются. Такое положение характерно и для большинства европейских языков.

Применение местоимения *čven* „мы“ в подобном (трансформированном) значении должно быть обусловлено и тем, что в грузинском (а с этой точки зрения и в других типологически сходных с ним языках) инклюзив и эксклюзив формально не так выражены, как это наблюдается в некоторых кавказских языках или языках Океании.

ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრა.
 წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არჩ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

მარინე ოდიანიძე

ქართულის ზოგადი დიალექტური არსებობის
 აღმოსავლური წარმოშობის რამდენიმე სიტყვის
 შესახებ

ქართულ სალიტერატურო ენაში შემოსული აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ერთეულები არაერთხელ გამხდარა სპეციალისტთა განხილვის საგანი, თუმცა, ამ მიმართებით შესრულებული სამუშაო არ შეიძლება ამოწურულად ჩაითვალოს. ეს მით უფრო ითქმის ქართული ენის დიალექტების შესახებ, რომლებიც ნაკლებად არის შესწავლილი აღნიშნული თვალსაზრისით.

ქართულ-სპარსული (და, ზოგადად, ქართულ-აღმოსავლური) ენობრივი ურთიერთობების კვლევისას, როგორც დ. კობიძე მიიჩნევდა, „არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ სალიტერატურო ქართულის მონაცემებით. საჭიროა, განსაკუთრებული ყურადღება გამოვიჩინოთ დიალექტების მიმართაც“¹.

ჩვენ ვითვალისწინებთ ამ მოსაზრებას და წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ სპარსული წარმოშობის ან სპარსულის მეშვეობით ქართულის რამდენიმე აღმოსავლურ დიალექტებში დამკვიდრებულ სიტყვას. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ეს სიტყვები ენათა უშუალო კონტაქტების შედეგად, ზეპირი გზით ჩანს შემოსული ქართულში.

1. **ბეჯაათ-ი / ბეჯაათ.** ს. მენტეშაშვილის „ქიზიყურ ლექსიკონში „ბეჯაათ-ი ვითარებითი ბრუნვის ფორმით არის ფიქსირებული: „ბეჯაათად იშვიათად: ბეჯაათად მოხდება ხოლმე ჩვენში კაცის კლა“².

ბეჯაათ ინგილოურში ნიშნავს საეჭვოს³.

მხოლოდ ქიზიყურის მონაცემს ითვალისწინებს „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“⁴. აქ მოყვანილია ს. მენტეშაშვილისეული განმარტება და მაგალითი. განსაპარტავი სიტყვა კვლავ ვითარებით ბრუნვაშია წარმოდგენილი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ, გარდა ქიზიყურისა და ინგილოურისა, **ბეჯაათ-ი** გვხვდება ვარკეთილ კილოვებშიც (სახ. ბრ-ის ფორმით) და ნიშნავს საეჭვოს, იშვიათობას. მაგალითად, საგარეჯოში ამბობენ: „მე თუ დღეს ეს საქმე გავაკეთე (მოვასწარი), დიდი ბეჯაათია“, ე. ი. დიდი იშვიათობაა ან დიდად საეჭვოა.

ეს სიტყვა ქართულში სპარსულიდან არის შემოსული. სპარს.-არაბ. **ბეჯაათ / ბეჯათ / ბეჯეთ** ნიშნავს: 1. უმიზეზო, უსაფუძვლო; 2. უმიზეზოდ, ამაოდ, უსაფუძვლოდ (რუბინჩიკო⁵, მილერი⁶, ლაფაროვი⁷, იაკელო⁸, სტეინგასი⁹).

¹ Д. Кобиძе, Иранская филология в Грузии, წიგნში: Актуальные проблемы иранской филологии, Тб., 1978, გვ. 29.

² ს. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

³ ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.

⁴ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ა. ლლონტი, თბ., 1984.

⁵ Персидско-русский словарь под редакцией Ю. А. Рубинчика, т. I, М., 1983.

⁶ Миллер Б. В., Персидско-русский словарь, М., 1960.

⁷ Гаффаров М. А., Персидско-русский словарь, т. I, М., 1976.

⁸ Ягелло И. Д., Полный персидско-арабско-русский словарь, Ташкент, 1910.

⁹ Steingass F. A Comprehensive Persian-English Dictionary, London, 1893.



არაბული წარმოშობის ლექსიკურ ერთეულს — **ჯაშათ / ჭეშათ / ჭეშეთ** (მიზეზი, საფუძველი) — დართული აქვს სპარსული წინდებული **ბნ**, რომელიც მნიშვნელობით უქონლობის სახელების მაწარმოებელ უ-ო პრეფიქს-სუფიქსს უტოლდება ქართულში.

ბნჯაშათ / ბნჭეშათ / ბნჭეშეთ ვარიანტების არსებობა გამოწვეულია არამდგრადი მოკლე ხმოვნების, კონკრეტულ შემთხვევაში ა-სა და ე-ს, მონაცვლეობით, რაც გავრცელებული მოვლენაა სპარსულში.

ქართ. **ბეჯაათ-ი** ფონეტიკურად უფრო ახლოს დგას სპარს. **ბნჯაშათ** ფორმასთან: სპარს. **ბ > ქართ. ე, ჰ** იკარგება არა მარტო ორ ხმოვანს შორის, არამედ საერთოდ სპარსულიდან შეთვისებული სიტყვების შიგნით და ბოლოს ქართულში¹⁰.

აღნიშნულის მიუხედავად, თუ გავითვალისწინებთ სიტყვის შემოსვლის ზეპირ გზას, ამოსავალი ქართ. **ბეჯაათისათვის** თავისუფლად შეიძლება იყოს როგორც **ბნჯაშათ**, ასევე **ბნჭეშეთ**.

ამ ლექსიკური ერთეულის ერთ-ერთი სპარსული მნიშვნელობიდან — **უსაფუძვლო** — განვითარებული ჩანს ქართული მნიშვნელობები: **საეჭვო, იშვიათი, იშვიათობა**.

2. **გორხანა**. კირიონ ეპისკოპოსის სალექსიკონო მასალებში ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც „საფლავი“¹¹.

ნ. როსტიაშვილის მიხედვით, **გორხანა-ა** საიქიო სამყოფელს ნიშნავს ინგილოურში, სადაც ასეთი წყევლაც ყოფილა: „გორხანაში წაა“¹².

ქართულში, კერძოდ, გორის რ-ნის სოფ. მეჭვრისხევის მეტყველებებაში, **გორხანა** სასაფლაოა. აქვე **გორხანა გორხალას**, ანუ მეკახე ხილის, სინონიმადაც გვხვდება¹³. ფეჭკრობთ, **გორხანას გორხალასთან** არაფერი აქვს საერთო. მათი გაიგივება მხოლოდ სიტყვათა გარეგნული მსგავსებით ჩანს გამოწვეული.

ხსენებული ლექსიკური ერთეული საფლავის, სასაფლაოს მნიშვნელობით არც კახურისათვის იქნებოდა უცხო. ამაზე მიგვანიშნებენ კახეთში არსებული ტოპონიმები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის გამოუქვეყნებელი მასალების მიხედვით¹⁴, **გორხანა** ჰქვია გორას და არუნა-შვილების უბანს საგარეჯოს რ-ნის სოფ. მანავში.

მრავლობითი რიცხვის ფორმით — **გორხანები** — იხსენიება სახნავი ქვემო ყანდაურასა (საგარეჯოს რ-ნი) და დარჩეთში (სოფ. არაშენდა, გურჯაანის რ-ნი).

გორხანები // გორხანეები არის სახნავისა და გორის სახელწოდება არაშენდაში (გურჯაანი).

გორხანაასერი სერის სახელია სიღნაღის რ-ნის სოფ. არბოშიკში¹⁵.

¹⁰ მ. ანდრონიკაშვილი, ახალი სპარსული ბევრების გადმოცემისათვის ქართულში, კრებ.: თსუ, გორგი ახვლედიანს, თბ., 1969, გვ. 346, 358—359.

¹¹ კირიონ ეპისკოპოსი, სალექსიკონო მასალა, „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებ. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. II, განყ. III, ტფილისი, 1913.

¹² ნ. როსტიაშვილი, დასახ. ლექსიკონი.

¹³ ქართული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები თ. ბერიძე, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბ., 1981.

¹⁴ მასალები მოგაწვია ბატონმა უშანგ სახლხუციშვილმა, რისთვისაც მას უდიდეს მადლობას მოვახსენებთ.

¹⁵ შევნიშნავთ, რომ **გორხანა** კაცის მეტსახელადაც გვხვდება ქ. საგარეჯოში. მისი შერქმევის მიზეზი ვამხდარა სოფ. მანავში არსებული ტოპონიმი.



ქართული
ენათმეცნიერება

გორხანა წარმოშობით სპარსული სიტყვაა — გურხანე / გურხანა. ეს ტერმინანტული კომპოზიტი შედგება ორი არსებითი სახელისაგან: გურ (საფლავი) + ხანე / ხანა (სახლი, ადგილი), რომელიც ხშირად გვხვდება ხოლმე რთული სიტყვის მეორე კომპონენტად სპარსულში. გურხანე / გურხანა ნიშნავს საფლავს, სასაფლაოს, აკლამან (იაგელოს, მილერისა და სტენინგაის დასახელებული ლექსიკონები, ლაფაროვი¹⁶, ბუდაგოვი¹⁷, ვულერსი¹⁸, ჯონსონი¹⁹), რაც ზუსტად ესადაგება კირიონის მასალებსა და ქართულურში დამოწმებულ განმარტებებს.

ინგილოურში გორხანას უფრო ზოგადი — საიქიო სამყოფლის — მნიშვნელობა შეუქმნია²⁰.

რაც შეეხება კახურს, აქ ტოპონიმებში დაცული ტერმინის სემანტიკა დავიწყებულია. სავარაუდოა, რომ ამ სახელის მქონე ადგილებზე (გორა, სახნავი, სერი, უბანი) ადრე მართლაც ყოფილიყო სასაფლაოები, დღეს კი მათგან, სახელწოდების გარდა, აღარაფერი დარჩა.

3. მალმურ-ი / მალმუნ-ი / მალმულ. ს. მენტეშაშვილის განმარტებით, მალმურ-ი ქიზიყურში ნიშნავს უშნოს, გონჯს²¹.

იგივეს იმეორებს და ს. მენტეშაშვილს იმომეებს ა. ლლონტი „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ ამ სიტყვის ახსნისას.

ინგილოურში გვხვდება მალმულ / მალმუნ-ი ფორმები: „მალმულ შებოჭილი, უძლური ვინმეს გავლენის გამო: შენ ჯელში მალმულ ვარ (შდრ.: მენტ. მალმური)“ (ნ. როსტიაშვილის დასახ. ლექსიკონი).

„მალმუნ-ი — უშნო, გონჯი (შდრ. ს. მენტ. მალმური). „შენ ზალი, მე მგონია, დიახ მალმუნია, არა?“²².

ამრიგად, ლექსიკონების მიხედვით, მალმურ-ი ქიზიყურში და მალმუნ-ი ინგილოურში ჰქვია უშნოს, გონჯს; ამასთან, მალმულ ინგილოურშივე აღნიშნავს ვინმეს გავლენით შებოჭილ, უძლურ ადამიანს.

უნდა ითქვას, რომ მალმურ-ი გარეკახურ კილოკავშიც იხმარება. საგარეჯოში მალმურ-ს უწოდებენ მარტოობის, კარჩაკეტილი ცხოვრების მოყვარულ ადამიანს. ამისთანაზე იტყვიან ხოლმე: „მთელი დღე მალმურივითა (ან მალმურივით მარტო) ზის“.

ვფიქრობთ, ამოსავალი ამ სიტყვისათვის არის ქართულში სპარსულის მეშვეობით შემოსული არაბული მიმღეობის ფორმა მალმუმ — დამწუხრებული²³,

¹⁶ Гаффаров М. А., Персидско-русский словарь, т. II, М., 1976.

¹⁷ Будагов Л. З., Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. II, СПб., 1871.

¹⁸ Vulliers I. A., Lexicon Persico-Latinum Etimologicum, II, Bonnae ad Rhenum, 1864.

¹⁹ Johnson F., Dictionary Persian, Arabic and English, London, 1852.

²⁰ სხვათა შორის, ასეთვე ზოგადი, ფართო მნიშვნელობით გვხვდება ინგილოურში განხილული სიტყვის — პირველი ნაწილი გორ (< სპარს. გურ — საფლავი) — ჭანდაბა, საიქიო (ნ. როსტ.).

რადგან გურხანე და გურ სპარსულიდან შესულია როგორც თურქულში, ასევე აზერბაიჯანულში (ლ. ბუდაგოვი), არ უნდა გამოირიცხოს ამ სიტყვებს ინგილოურში დამკვიდრების შესაძლებლობა აზერბაიჯანულს გზით.

²¹ ს. მენტეშაშვილი, დასახ. ლექსიკონი.

²² ა. ასრათოვი, მასალები ინგილოური დიალექტის ლექსიკონისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, № 2, გვ. 136.

²³ გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951.



მოწყენილი, სევდიანი, დარდიანი (რუბინჩიკის ტ. 2), მილერის, ლაფარცის დასახ. ლექსიკონები), განაწყენებული (ბარანოვი²⁴), მელანქოლიური (იაგელოს დასახ. ლექსიკონი).

სავარაუდოა, რომ **მადმურ-ს** თავიდან ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ქართულშიც, შემდეგ კი სემანტიკური ველი გაფართოებულა: მელანქოლიური, დამწუხრებელი, დარდიანი ადამიანი, ჩვეულებრივ, შინ ჯდომისა და მარტობაპა ამჯობინებს ზოლმე. ალბათ, აქედან განვითარდა სიტყვის ახლანდელი მნიშვნელობა გარეკახურში: მარტობის მოყვარული, კარჩაყეტილი, რასაც, თავის მხრივ, საფუძველი უნდა მიეცა, ერთი მხრივ, მის უშნოდ, გონჯად (ქიზიყ., ინგილ.) გადააზრებისათვის (ხალხის თვალს მხოლოდ ასეთი მოერიდება) და, მეორე მხრივ, აღენიშნა ვინმეს გავლენით შებოჭილი, უძლური ადამიანი ინგილოურში.

მადმუმ-იდან **მადმურ / მადმულ / მადმუნ** ფორმების მიღება სონორთა დისიმილაციით შეიძლება აიხსნას ქართულში²⁵.

აუცილებლად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ არაბულში, გარდა **მადმუმ-ისა**, დასტურდება **მადმურ** (დავიწყებული, უცნობი (ბარანოვი), დამარცხებული, გაურკვეველი, უცნობი, მდაბალი, საზიზღარი (იაგელო), ბნელი, ფარული, უცნობი, შეუმჩნეველი, უსინდისო (ჯონსონი)) და **მადმულ** (მდაბალი, გაურკვეველი, უცნობი (იაგელო), ბნელი, გაურკვეველი, ფარული, შეუმჩნეველი, მოკრძალებული, უსინდისო (ჯონსონი)) სიტყვებიც, რომლებიც ქართულში არსებული ვარიანტების იდენტურია ფონეტიკურად და სემანტიკურადაც არაა შორს მათგან. საკვებით დასაშვებია, რომ ერთ-ერთი მათგანი ედოა საფუძველად ჩვენს დიალექტებში დადასტურებულ ფორმებს, მაგრამ რადგანაც ცნობილია, რომ ქართულში უშუალოდ არაბულიდან შემოსული სიტყვები ძალიან ცოტაა და არაბული ლექსიკური ელემენტების უმრავლესობა აქ დამკვიდრებულია ძირითადად სპარსულის ან თურქელის გზით²⁶. უფრო გამართლებულად გვეჩვენება **მადმურ / მადმულ / მადმუნ** ფორმების არაბ.-სპარს. **მადმუმ-თან** დაკავშირება.

4. **ფრიათ-ი**. ეს სიტყვა ფიქიარებულია მხოლოდ ა. მარტიროსოვისა და გ. იმნაიშვილის ლექსიკონსა²⁷ და „ქართულ კლო-თქმათა სიტყვის კონაში“ და ნიშნავს: „შფოთი, წვილი-კვილი, ერთი ამბავი“.

მნიშვნელობით „ყვირილი, ფორიაქი, ერთი ამბავი“ **ფრიათ-ი** დასტურდება გარეკახურშიც, მაგრამ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში ეს არ არის აღნიშნული.

ფრიათ-ი მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან **ქარაჲდ / ქერაჲდ** — ყვირილი, კვილი, საშველად მოხმობა, სააოწარკვეთილი კვილი, ჩივილი, წამოძახილი (ლაფაროვი²⁸, ბუდაგოვის, მილერის, იაგელოს, ჯონსონისა და რუბინჩიკის დასახ. ლექსიკონები).

მ. ანდრონიკაშვილი სტატიაში „ახალი სპარსული ბეგრების გადმოცემისათვის ქართულში“²⁸ შენიშნავს, რომ ქართულში სპარსულიდან შეთვისებული ზოგი სიტყვის თავკიდურ უმხვილო მარცვალში მოკლე ა ჩავარდნილია მისი არამყარი მდგომარეობის გამო.

²⁴ Баранов Х. К., Арабско-русский словарь, т. II, М., 1970.

²⁵ მ. ანდრონიკაშვილი, არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსულის შესახებ ქართულში, თსუ შრომები, ფილოლოგიურ მეცნ. სერია, ტ. 105, თბ., 1965, გვ. 298.

²⁶ იქვე, გვ. 297.

²⁷ ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

²⁸ იხ. კრებულში „თსუ გიორგი ახვლედიანს“, თბ., 1969, გვ. 344.



ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი განხილულ სიტყვასთან **ღმრთეშობა** (მსგავს პოზიციაში თავისუფლად შეიძლება დიკარგოს მოკლე **ე-ც**), ამასთან, სპარს. **ფ** > ქართ. **ფ**, სპარს. **დ** სიტყვის ბოლოს > ქართ. **თ**.

5. **ფლა**. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის VII ტომში ვკითხულობთ: „**ფლა** კუთხ. (კახ.) აბრეშუმის ჭიის პარკია გარეთა ბუსუსი, რითაც იგი მიბმულია ცახზე: „პარკი შეხვეულია ფელაში, ფელით არის მიბმული პარკის ცახის ფოთლებზე, ფელას ვართავთ ძაფად“ („შინამრეწვ.“); „[პარკს] ფელა უნდა გადაეცალოს“ („შინამრეწვ.“)“²⁹. სიტყვის წარმომავლობაზე აქ არაფერია ნათქვამი.

იგივეს ნიშნავს **ფლა** ქიზიყურში: „აბრეშუმის პარკის ვარშემოხვეული ქსელი. ჭია პარკის კეთების დაწყებისას ქსელს აბამს პარკის დასაქერად. პარკის დარჩევაში ნადივით იმართება და მათ მიაქვთ ფელა“ (ს. მენთეშ., დასახ. ლექსიკონი).

ს. მენთეშაშვილის ქიზიყურ ლექსიკონს ეყრდნობა ამ სიტყვის განმარტებისას ა. ლლონტი „ქართულ კლო-თქმათა სიტყვის კონაში“.

ა. მარტიროსოვისა და გ. იმნაიშვილის მიერ ჩაწერილ შიგნიკახურ ტექსტებში ერთგან ნათქვამია: „სამ დღეზე ჭია ცახში შახუნეწება, გააბამს ფელას და გააქეთფს პარკს“ (49, 21)³⁰. მართალია, ტექსტებზე დართულ ლექსიკონში **ფლა** შეტანილი არ არის, მაგრამ კონტექსტიდან ნათელია, რომ მისი შინაარსი ემთხვევა ქეგლ-სა და ქიზიყურში დადასტურებულ მნიშვნელობებს.

ფლა მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან **ფნლე** / **ფნლა** (სპარს. დიალექტ. **ფელი**), რომელიც, გარდა აბრეშუმის ჭიისა და პარკისა, ნიშნავს აბრეშუმის ბოჭკოს, ქსელს, მასალას, რომელსაც აბრეშუმის ჭია თავის ვარშემო ქსელავს და აბრეშუმის დასამზადებლად გამოიყენებენ³¹.

განვიხილავთ **ფლა**-საგან ნაწარმოებ მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ აღმოსავლურ ტერმინს:

6. **დომფალა** / **დომფალ-ი**. **დომფალა** / **დომფალ-ი** ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა ახსნილი: „1. აბრეშუმის პარკი, რომელშიც ორი ჭიაა. 2. კუთხ. (ინგილ.) უკუტოდ გამოხარშული პარკი (მ. ჭანაშვილი). 3. კუთხ. (ქიზიყ.) გადატ. მსუქანი ბავშვი. 4. კუთხ. (იმერ.) გადატ. დიდი მუწუცი თავზე“³².

ქართულში **დომფილა**, **დომფილი** დიდი, მსუქანი ბავშვი ან ქათამი³³, აგრეთვე „აბრეშუმის პარკი ორი ჭიით, დომფალა“³⁴.

ქიზიყურში **დომფალ-ი** არის „აბრეშუმის დიდი პარკი, ორჭიანი, ДВОЙНИК, გადატ. მსუქანი ბავშვი“ (ს. მენთეშ.).

გურულში ვხვდებთ ფორმა **დოლფენა** — „ორი ან სამი ჭიის მიერ ამოხვეული პარკი“³⁵.

²⁹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VII, თბ., 1960.

³⁰ ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი. I ციფრი აღნიშნავს ტექსტის ნომერს, II — სტრიქონს.

³¹ დეკხოდ 5. ლოლთ ნაშე, თეპრან, 1334.

³² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. III, თბ., 1953.

³³ ქართული დიალექტის დასახ. ლექსიკონი.

³⁴ ა. ლლონტი, ქართული ზღაპრები და ლეგენდები, ლექსიკონი, გვ. 286—288, თბ., 1948.

³⁵ ზ. ტულუში, მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებული ლექსიკა გურულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, III, თბ., 1981, გვ. 60.



ინგილოურში, მ. ჯანაშვილის გარდა³⁶ (მ. ჯანაშვილის განმარტება შეტანილია ლია ქველ-ში, რაც უკვე დაეიმოწმეთ ზევით), დომფალ სიტყვა ფიქსირებული აქვთ ნ. როსტიაშვილსა და რ. ლამბაშიძეს: „უკუთოდ საპონში გამოხარული თეთრად გავენტილი პარკი. გადატ. გაბადრული, ძალიან თეთრი“ (ნ. როსტ.). „საპონში გამოხარული კარგი ხარისხის აბრეშუმის ჭიის პარკი, რომლისგანაც კედს ართვენ“ (რ. ლამბ.)³⁷.

ორივე ავტორი შენიშნავს, რომ ინგილოურში დომფალა-ა მსხლის ჭიშია ზევით წაგრძელებული, ძირმომრგვალებული ყვითელი ნაყოფით. შეიძლება, მსხალს ეს სახელი ჭიის პარკისმაგვარი (დომფალისმაგვარი) ფორმის გამო შეერქვა.

„ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ მითითებულია, რომ დომფალ-ი იხმარება ინგილოურში, ქიზიყურში, იმერულსა და გურულში. ამ სიტყვის რაიმე განსხვავებულ მნიშვნელობას ხსენებულ ლექსიკონში ვერ ვხვდებით.

გარეკახტურში დომფალა ორი ჭიის მიერ ერთად ამოხვეულ პარკს აღნიშნავს, გაატანით — მსუქან ბავშვს, ქათამს, მაგრამ ლექსიკონებში გარეკახტურზე არაფერია ნათქვამი.

ვ. ბერიძე თავის „იმერულ და რაჭულ თქმათა სიტყვის კონაში“ ცდილობს, დომფალა / დომფალე-ა („აბრეშუმის პარკი, რომელშიდაც ორი ჭიაა, двойник“) სპარსულს დაუკავშიროს, ამოსავალ სიტყვად სპარს. დობარე-ხ (მეორედ, მეორეჯერ, ხელმეორე) ვარაუდობს, მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული, ჩანს, არ ყოფილა და კითხვის ნიშანი დაუსვამს³⁸.

ამავე ლექსიკონში გვხვდება ფორმა დომფალ-ი: „ბავშვის ავადმყოფობა: თავზე დიდი მუწუცი ამოდის. სოფელნი ასე წამლობენ: აბრეშუმის პარკს ნივჯის ძალეში ამოსვრიან და მტკივანზე ადებენ. მუწუცი ნელ-ნელა შუშდება“.

განმარტებაში არ ჩანს, მაგრამ საფიქრებელია, რომ წამლად ჩვეულებრივ აბრეშუმის პარკს კი არა, მხოლოდ დომფალს ხმარობენ. ამის გამო უნდა დარქმოდნა დომფალ-ი მუწუქსაც.

ამრიგად, სალიტერატურო ქართულში დადასტურებული დომფალა / დომფალის გვერდით დიალექტებში გვხვდება: დომფალ, დომფალა-ა (ინგილ.), დომფალე-ა (იმერ.) დომფილო, დომფილა (ქართლ.), დოლფენა (გურ.), დომფალა (ქართლ., იმერ., გარეკახ.), დომფალ-ი (ქიზიყ., იმერ.) ფორმები.

ეს ტერმინი მართლაც სპარსული წარმოშობისა ჩანს; დეტერმინანტული კომპოზიტია; შედგება რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან დო (ორი) და არსებითი სახელისაგან ფილე / ფილა, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ და რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა აბრეშუმის ჭია (რუბინჩიკის, ბუდაგოვის, ჯონსონის, სტეინგასის, ვულერსის (ტ. I, 1855), დეპხოდას დასახ. ლექსიკონები, რადლოვი)³⁹. მ ბგერა მათ შორის ქართულ ნიადაგზე ჩანს განვიითარებული.

სამწუხაროდ, სიტყვა დოფილე / დოფილა ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკონებში არ დასტურდება და გამოთქმული აზრი მხოლოდ ვარაუდად რჩება.

გვინდა, შევნიშნოთ ერთიც: ფილე / ფილა-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა სპარსულში არის ჩირქოვანი მუწუცი, ძირმაგარა, რასაც შეიძლება უკავშირ-

³⁶ მ. ჯანაშვილი, კავკასიურში შეკრებილი სიტყვები, რომელთაგან ზოგი აღარ მოიპოვება ქართულს ლექსიკონში და ზოგი გადასხვაფერებით იხმარება, მისავე წიგნში „ფარსადან გორჯიჯანიძე და მისი შრომანი“, ტფ., 1896.

³⁷ რ. ლამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ., 1988.

³⁸ ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანატ-პეტერბურგი, 1912.

³⁹ Радлов В. В., Опыт словаря тюркских наречий, т. IV, ч. II, СПб; 1911.



დებოდეს იმერული დომფალ-ი — დიდი-მუწუცი თავზე (თუმცა, უფრო სწორედ ბობთ არც იმ მოსაზრებაზე, რომლის მიხედვითაც დომფალი ორჭიბინი პარკით მკურნალობის გამო შეერქვა მუწუქს).

7. **ბალუშ-ი / ბარყუშ-ი.** ეს ლექსიკური ერთეული ქიზიყურში შემდეგი მნიშვნელობებით გვხვდება: „ბალამი, ჩირქი, ბაყლი; გადატ. მწარე, უსიამოვნო ადამიანი“ (ს. მენთეშაშვილის დასახ. ლექსიკონი).

ინგილოურში დატურდება ფორმა **ბარყუშა-ა** — „უვარგისი, არგამგონე ადამიანი“ (ნ. როსტიაშვილის დასახ. ლექსიკონი).

გარეკახურში **ბალუშ-ი** მწარე-მწარე, გულისმომკვლევი სიტყვებით მოლაპარაკეს, მწარე ადამიანს აღნიშნავს.

ამ კილოკავისა და ინგილოურის მონაცემები არ არის გათვალისწინებულნი „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“, სადაც ნათქვამია, რომ **ბალუშ-ის** გვერდით ქართლურში გვხვდება **ბალღუშ-ი / ბარყუშ-ი** ვარიანტებიც. დასახელებულ ლექსიკონში ეს სიტყვა ორი ძირითადი მნიშვნელობით არის წარმოდგენილი:

„1. (ქართლ., ხევსურ., მთ., ლეჩხ.) სუფთა, ფხვიერი მიწა (შ. ძიძ., ნ. ცეცხ. პ. ხუბ.), მიწის ნიადაგი (ი. ჭყონ.), შავი ნიადაგი (ო. ქაჯ.), ქვანარევი მიწა, რბილნარი (მ. ალაჯ.)“.

აქვე მოყვანილი მეორე მნიშვნელობა მათლიანად ს. მენთეშაშვილის „ქიზიყური ლექსიკონიდან“ არის ამოღებული (იხ. ზემოთ).

„ქართული ენის ომონიმა ლექსიკონი“⁴⁰ მთლიანად იმეორებს „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონის“ განმარტებებს.

ა. შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონის“ მიხედვით, **ბალუშ-ი** ფშაურში ნიშნავს „მიწის ნიადაგს“, მთიულურსა და მოხეთურში — „ძირიან მიწას, კაი მიწას, უქვოს“, ხევსურულსა და იშვიათად თუშურში — „კაი მიწას“⁴¹.

„ქართლური დიალექტის ლექსიკონში“ „**ბალუშ-ი** ადგილი ნესტიანი, ჭაობიანი ადგილია: ჭაობიანი ადგილი როა, იქ არაფერი მოვა რა, ბალახიც კი არ მოვა კარქი, ეგეთ ადგილსა ბალუშ-ადგილს ვეტყვი (ერთაწმინდა, ზემო ხანდაკი)“.

ბალუშ-ს იმერულში უწოდებენ „შავ, ნოყიერ ნიადაგს“⁴².

ამ სიტყვის მნიშვნელობებს განიხილავს რ. ქუთრდაძე სტატიაში «ზოგი ქართლ-კახური სიტყვის შესახებ სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“»⁴³.

მართლაც, საბაანთან ვეითხულობთ: „ბალ[უ]ქში რომელ არს დიდსა მათა შორის კვენი ანუ ნაპრალნი ზეათა და თოვლთა მიერ აღვსილნი“⁴⁴.

ჩვენი აზრით, **ბალუშ-ი** ქიზიყურსა და გარეკახურში, **ბარყუშა-ა** ინგილოურში მნიშვნელობითაც და ფორმითაც შეიძლება დავეუკავშიროთ ბერძნ.-არაბ.-სპარს. სიტყვას — **ბალღამ-ს** — ნახველი, ფლეგმა, სისველე, ლორწო (რუბინ-

⁴⁰ ა. ს. ხარულაძე, ქართული ენის ომონიმა ლექსიკონი, თბ., 1992.

⁴¹ ა. შანიძე, მთის კილოთა ლექსიკონი, ტ. 1, თბ., 1984.

⁴² პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

⁴³ რ. ქუთრდაძე, ზოგი ქართლ-კახური სიტყვის შესახებ სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“, თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, შრომები, პუბლიკატურულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, ტ. XVI, თბ., 1988.

⁴⁴ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტორგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაერთო ილია აბულაძემ, ტ. 1, თბ., 1991.

ჩიკის, მიღერის, ლაფაროვის, ბუდაგოვის⁴⁵ დასახ. ლექსიკონები, ბარანოვის, ცენკერი⁴⁷). იგივე სიტყვა ჩანს ამოსავალი ქართლური **ბალყუმ** ადგილისთვისაც (ნესტიანი, ჭაობიანი ადგილი).

ეს თუ ასეა, მაშინ **ბალღამ** ქართულში ორი ფორმით გვქონია: **ბალყუმ-ი** და **ბალღამ-ი**. უკანასკნელი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შემდეგი მნიშვნელობებით დასტურდება: „წყლულს, მუწუკის ჩირჭოვანი სითხე; 2. ნარწყვეი, ნაღველი (ზაფრის აშლისას); გადატ. სიმწარე, შხამი, გელი“⁴⁸.

ვფიქრობთ, ერთი და იგივე აღმოსავლური სიტყვის ორი სხვადასხვა ფორმით არსებობა ქართულში გამოწვეულია შემდეგი მიზეზით: **ბალღამ-ი** ბერძნულ-არაბული წარმოშობის სიტყვად მიიჩნევა სპარსულშიც და ქართულშიც. რაც შეეხება **ბალყუმ-ს**, იგი უშუალოდ სპარსულიდან ჩანს დამკვიდრებული ქართულში ზეპირი გზით; სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით, ახალ სპარსულ წარმოთქმაში „ღაინ“ (ღ) და „ყაჟ“ (ყ) ერთი ფონემაა, რომელიც ქართულ ყ-ს უახლოვდება⁴⁹. სპარს. **ა > ქართ. უ** (მდრ. სპ. საბოჭ — ქართ. სუბუჭი)⁵⁰, ე. ი., სპარს. **ბალღამ > ქართ. ბალყუმ-ი**.

დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვით საბასთან და ქართლის სხვა კილოებში დადასტურებული **ბალყუმ / ბარყუმ**-ის ნიადაგთან დაკავშირებული მნიშვნელობების შესახებ. შესაძლოა, ამ სიტყვას საფუძვლად ედოს კომპოზიტი, რომლის I ნაწილია არაბ. **ბარარ** — ხმელეთი, მატერიკი, მიწა. ერთი რამ კი ცხადია: **ბალყუმ-ი** და **ბარყუმ-ი** ორი სხვადასხვა სიტყვიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულებია, რომლებიც თავიდან სხვადასხვა ცნებებს აღნიშნავდნენ (პირველი — ბალღამს, ჩირქს, გადატ. მწარე, ცუდ ადამიანს; მეორე — ფხვიერ, კარგ ნიადაგს), ხოლო შემდეგ, გარეგნული მსგავსების გამო, მოხდა **ბალყუმ / ბარყუმ** ფორმების აღრევა.

М. О. ОШКАДЗЕ

О НЕСКОЛЬКИХ СЛОВАХ ВОСТОЧНОГО ПРОИСХОЖДЕНИЯ В ДИАЛЕКТАХ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

В работе рассмотрены 7 слов восточного происхождения, вошедшие в грузинские диалекты из персидского языка путем непосредственных языковых взаимоотношений.

1) Беджаати / бѣджаат (зафиксирован в кизикском, в ингило-йском, в гарекахетинском) — редко, редкость, сомнительный < перс.

⁴⁵ Л. З. Будагов, Персидско-русский словарь, т. I.

⁴⁶ Баранов Х. К., Арабско-русский словарь, т. I, М.-Л., 1940.

⁴⁷ Dictionnaire Turc-Arabe-Persan par Zenker I. T., T. I, Leipzig, 1866.

⁴⁸ ქველ, ტ. I, თბ., 1950.

⁴⁹ Дж. Гиунашвили, К вопросу о произношении $\frac{\text{غ}}{\text{ق}}$ в современном персидском языке, თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, ტ. 91, თბ., 1960, გვ. 76. Марр Ю. Н., О произношении $\frac{\text{غ}}{\text{ق}}$ в живом персидском. Статьи, сообщения и резюме докладов, I, М.-Л., 1936, гв. 43—47.

⁵⁰ З. სახოკია, ახალსპარსულ ფონემათა გადმოცემისათვის ქართულში (სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით), თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. 10, თბ., 1970, გვ. 178.

ბი^ჰჯა^ჰნათ / ბი^დჯე^ჰნათ / ბი^დჯე^ჰნეთ — беспричинный, бесосновательный.

2) Горхანა (встречается в картлинском, в ингилойском, в кахетинском) — могила, кладбище; загробный мир < перс. გურხანე / გურხანა — могила, гробница, кладбище.

3) მაგმური / მაგმუნი / მაგმულ (употребляется в кизикском, в ингилонском, в гарекахетинском) — некрасивый, урод: человек, скованный влиянием кого-либо; человек, любящий одиночество < а. — перс. მაგმუმ — печальный, грустный, огорченный.

4) При^ატი (в кахетинском) — крик, трсвога < перс. Фарйად / ფერიად — крик, вопль, зов (о помощи).

5) Пэ^ალა (в кизикском, в шигникахетинском) — пушок, с помощью которого кокон шелкопряда прикреплён к жидре < перс. пилэ / пила — шелковинка, материал, намотанный шелкопрядом вокруг себя.

6) Дом^აпала / дом^აпали (в картлинском, в кахетинском, в ингилойском, в кизикском, в имеретинском, в гурийском) — шелковичный кокон, в котором 2 червяка. двойник; переносно — толстый ребенок; жирная курица; большой чирей на голове < перс. до^აпиле / до^აпила (до — два + პილэ / пила — тутовый шелкопряд), но это только предположение, так как такое слово не зафиксировано в словарях, доступных для нас.

7) Бал^აку^ამი/бар^აку^ამი (в кизикском, в ингилойском, в гарекахетинском, в картлинском) — флегма, гной, переносно — неприятный, язвительный человек. Сырая. болотная местность < гр. — а. — перс; балгам — мокрота, флегма, слизь.

თსუ ძველი ქართული ენის კათედრისთან არსებული აკაკი შანიძის საბ. სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია „ორიონი“.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ალ. გუხუჩაიამ.

გარინე ბარინი

„ჰკინის“ ტიპის ზმნათა დაბოლოების საკითხისათვის

სტატიკურ ზმნათა რიცხვი მცირეა როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში. მიუხედავად ამისა, საკმაოდ მრავალფეროვანია სტატიკურობის გამოხატვის საშუალებანი. აღნიშნულია, რომ ამ მრავალფეროვნების მიზეზი ნაირგვარი ფორმოზომიერ დეტერმინაცია უნდა იყოს (14, გვ. 175).

ამჟამად გვინტერესებს მცირე ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც დადასტურებულია ძველ ქართულში და რომლებიც -იეს დაბოლოებას გვიჩვენებენ, იშვიათად გვაქვს -იედ, უფრო იშვიათად კი -იენ დაბოლოება: ჰკიეს, უპკიეს, უფლიეს, სწერიეს, ჰმოსიეს, ჰკონიეს, ჰნთიედ, უმტკმიედ, ჰკიედ, ჰმოსიედ, ჰმოსიენ, ჰკიენ. -იეს, -იედ, -იენ დაბოლოება ერთი ფუნქციისაა ყველგან: ჰკიეს — ჰკიედ, ჰმოსიეს — ჰმოსიედ — ჰმოსიენ პარალელური ფორმებია. იგივე დაბოლოება -იეს (-იედ, -იენ) დადასტურებულია გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის ფორმებში: უქმნიეს, შეურაცხიეს... უქმნიედ, მიუღებოდ, შეგირაცხიედ... უცნობიენ, განმიზნევიენ და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და მოქმედებითი გვარის ზმნათა I თურმეობითში გამოვლენილი -იეს (-იედ, -იენ) დაბოლოება ერთ ოდენობად არის მიჩნეული და შემდეგნაირად იშლება, -ი მიჩნეულია პერმანსივის ნიშნად, -ე ნამყოს მაწარმოებლად, -ს (-დ, -ნ) კი მესამე სუბიექტური პირის ნიშნად.

ძველ ქართულში გვაქვს -იედ (-იენ) დაბოლოებიანი ფორმები, რომლებიც ობიექტს მრავლობით რიცხვში შეიწყობენ, ასეთ დროს ამ დაბოლოებებს სხვაგვარად შლიან: -იედ, -ი-ენ, სადაც -ი კვლავ პერმანსივის ნიშნადაა მიჩნეული, -ედ (-ენ) მესამე პირის მრავლობითობის სუფიქსია, რომლის წინაც დაკარგულად ითვლება აორისტის -ე სუფიქსი. ილია აბულაძე ამის თაობაზე წერს: „თურმეობით პირველში გრამატიკული სუბიექტის მესამე პირის ნიშნებია მხოლოდობითში -დ (ჩვეულებრივი -ს-ს ნაცვლად) და მრავლობითში -იედ ჩვეულებრივი — ან-ის მაგიერ), მსგავსად სტატიკური აწმყოსი, სადაც მხოლოდობითში აგრეთვე გრამატიკული სუბიექტის მესამე პირის ნიშნად -დ ბოლოსართი აღმოგვაჩნდა (ჩვეულებრივი -ს-ს ნაცვლად) და მრავლობითში კი -ედ სუფიქსია საუღლებელი (ჩვეულებრივი -ან-ის მაგიერ)“ (1, გვ. 142).

გამოდის, რომ პირველი თურმეობითის ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვაგვარად განიმარტება და ამისავალი ამ დროს არის მხოლოდ და მხოლოდ კონტექსტი — თუ გვაქვს ობიექტი მრავლობით რიცხვში, ფორმა კვალიფიცირდება, როგორც მრავლობითი, შესაბამისად ხდება სუფიქსთა დაშლაც. ასეთივე ვითარება ივარაუდება სტატიკური ზმნებისთვისაც, თუმცა, ჰკიედ, გუგონიედ... ტიპის ფორმათა მრავლობითის ფუნქციით გამოყენების შემთხვევები ძველ ტექსტებში არ დასტურდება. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რამდენად მართებულია მხოლოდ კონტექსტის მიხედვით ამ ფორმათა განხილვა, ხომ არ არის შესაძლებელი, ვიფიქროთ, რომ აქ ერთი და იგივე ფორმა ითავებს როგორც



მხოლოებით, ისე მრავლობითის ფუნქციას? ასეთი რამ არ არის ქართულ-სათვის უცხო. იმავე I თურმეობითში გვაქვს ამის შემთხვევები:

მრ. რ.: „ქალო არ იცი, სით მოვალ, რა ჭირნი მომითმენიან“.

მხ. რ.: „მაგრა საქმე მის კაცისა ვერასადა შემვიანი“ „მე ესე დამიქადიან“.

ვფიქრობთ, -იედ (-იენ) დაბოლოებათა ზემოთაღნიშნულ სხვადასხვაგვარ კვალიფიკაციას დამაჯერებლობა აკლია. ამ დაბოლოებათა შესახებ მსჯელობისას ბუნებრივად იბადება ერთი კითხვაც — როგორ მოხდა, რომ ორი საპირისპირო ფუნქციის — პერმანსივისა და წყვეტილობის (სასრულობის, მომენტობრიობის) — აფიქსები შეითავსა ზმნის ერთმა ფორმამ? ივ. ჭავჭავაძე ამის შესახებ აღნიშნავს: „აწმყოში (resp. პერმანსივში) ამ ზმნებზე -ი სუფიქსი ჰქონიათ ფუძის სავრცობად. ეს -ი სუფიქსი იმდენად შეზოგრებულია ფუძეს, რომ გადაპყროლია ნამყო წყვეტილშიც, სადაც -ი-ს აშკარად ემატება ნამყოს ნიშანი -ე. ასეთ ზმნათა სპეციფიკურმა სემანტიკამ ხელი შეუწყო მათ აწმყოდ ქცევას... უპყრიეს აორისტი აწმყოდ იქცა (9, გვ. 185)“. ამ მოსაზრებას ავითარებს ავთ. არაბულიც თავის მონოგრაფიაში: „და კვლავ დგება კითხვა: როგორ შეითავსა ენამ ორი სხვადასხვა პოლარული ფუნქციის (დიურატიულობისა და წყვეტილობის) ფორმანტი -ი და -ე? ეს ისევე უნდა ახსნას, როგორც სტატიკურ ზმნათა აწმყოში: რეზულტატურობას, შედეგობითობას სჭირდება, რომ მოქმედება დასრულდეს. მოქმედებას, რომელიც ამოავალში უწყვეტია, მიმდინარეა (ზოლმეობითშიც და აწმყოშიც), დასრულებული, შედეგობრივი სახით წარმოადგენს -ე აორისტის სუფიქსი. ფუძეში შესული სუფიქსები (-ი და თემის ნიშნები) -ე სუფიქსის სემანტიკითაა გადაფარული და ზმნური ფორმა პერფექტული ხასიათისა“ (2, გვ. 39). ეს მოსაზრება დღეისათვის გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. ვფიქრობთ, ამგვარი ახსნა მიხედვით უნდა გარკვეული უკმარისობის გრძნობას — დაშვებულია ქართულისათვის უჩვეულო მოვლენა — ორი ურთიერთსაპირისპირო ფუნქციის თანაარსებობა ერთ ფორმაში. აქ ერთი წინააღმდეგობაც გვაქვს — თუკი -ი სუფიქსი ძირსაა შეზოგრებული ან მისი მნიშვნელობა -ე-ს სემანტიკითაა გადაფარული, როგორღა გამოხატავენ ეს ფორმები (სტატიკური აწმყო და I თურმეობითი) მიმდინარე, უწყვეტ მოქმედებას დასრულებული სახით? სხვანაირად, უპყრიეს ფორმაში მიმდინარე მოქმედებაა დასრულებული სახით წარმოდგენილი, თუ -ი-ს ფუნქცია უკვე დაბნელებულია, „გადაფარულია“ — -ე-ს სემანტიკით და მხოლოდ მოქმედების დასრულებულობა, წყვეტილობაა გამოხატული ამ უკანასკნელის მიერ? ენაც არ იყოს, იგივე ფუნქცია ყოველგვარი ორმაგი სუფიქსის გარეშე გამოიხატება სხვა ტიპის სტატიკურ ზმნებში — დვას, თრთის, ჰქვია... როგორც წესი, არც ერთ მათგანს არა აქვს სპეციალური მაწარმოებელი, მით უმეტეს, ორი სხვადასხვა ფუნქციის სუფიქსით შედგენილი, მიუხედავად ამისა, ისინი გადმოცემენ სტატიკურობის შინაარსს. მართალია, მათ შორის არის გარკვეული სხვაობა — ერთნი გვიჩვენებენ სტატუსს როგორც ასეთს, მეორენი — სტატუსს, როგორც რაღაც მოქმედების შედეგს, მაგრამ ეს ზდება არა სპეციალური მაწარმოებლის დართვით, არამედ საყრდენი პარადიგმის არჩევანით. წარმოების იგივე პრინციპი უნდა ვივარაუდოთ „ჰკვიე“ ტიპის ზმნებისთვისაც. მათთვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო აორისტის ფუძე. ამაზე ივ. ჭავჭავაძეც მითითებდა, მაგრამ იგი ამ ფორმებში გამოყოფდა პერმანსივის -ი ფორმანტსა და აორისტის -ე ნიშანს, მივიღოთ აორისტისთვის უჩვეულო ფორმა უ-პყრ-ი-ე-ს. ქართული ენისთვის უცხოა აორისტში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ს-ს გამოვლენა. ვფიქრობთ, ეს მომენტი არ უნდა იყოს უგულვებელყოფილი. გ. როგავა იზიარებს ივ. ჭავჭავაძის მოსაზრებას აღნიშნულ ზმნათა აორისტი-

დან წარმომავლობის შესახებ, — ე ფორმანტს ისიც აორისტის სუფიქსად მიიჩნევს, თუმცა, აღნიშნავს, რომ უპყრიეს ტიპის ზმნათათვის ამოსავალი უნდა იყოს დინამიკური ზმნის (და არა სტატიკურის — როგორც ამას ივ. ქავთარაძე მიიჩნევდა) აორისტის ფორმები (7, გვ. 463). ამ ტიპის ზმნათა აორისტის ფორმათაგან წარმომავლობაზე მიუთითებს მ. მაჭავარიანიც. მისი აზრით, ჰგია — ჰგევა, შემდეგ კი, იმის გამო, რომ აწმყო დროისათვის დამახასიათებელია — მესამე პირის ნიშნად, მოხდა „ჰაიეს“ ფორმის განვითარება: „სავარაუდოა, ძველ ქართულში ამ მეტად იშვიათი ზმნების დაბოლოება ყოფილიყო სწორედ — ია (აორისტული) და არა — იეს (რომელიც აწმყოდ გადააზრიანების შემდეგ უნდა გაჩენილიყო)“ (5, გვ. 67). ვფიქრობთ, ამგვარ ვარაუდს სერიოზული წინააღმდეგობა ახლავს: ჯერ ერთი, სალიტერატურო ენის ძეგლების მონაცემების მიხედვით ვერ დავუშვებთ, რომ „ჰგია“ ტიპის ფორმები წინ უსწრებდა ჰაიეს ტიპს. მეორეც, რაღა კვალიფიკაცია უნდა მივცეთ „ჰაიეს“ ფორმაში გამოვლენილ — ე-ს? მკვლევარი არ ეხება ამ საკითხს. თუ მიაჩნდა ვარაუდი სწორია, პირის ნიშნათა გადააზრიანების შემდეგ უნდა მიგვეღო „ჰაიეს“ და არა „ჰაიეს“.

„ჰაიეს“ ტიპის ფორმათა შესახებ მსჯელობისას ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მათი უმეტესი ნაწილი ერთი ჩვეულის ზმნებია. წარმოების მიხედვით — ეს არის ზმნები, რომელთა შესაბამის დინამიკურ ზმნათა აორისტულიც — ევ სუფიქსის მქონებლობა ივარაუდება (ე-ა-ბ-ე ტიპისა) და რომლებიც ძველ ქართულშივე აორისტში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად — ა-ს გვიჩვენებენ: ჰაიეს (ა-გო), უფლიეს (ფლო), ჰნთიეს (ანთო), უპყრიეს (პყრო || პყრა, შესაბამისად: პყარ || პყრევე), „უმტკმეიდ“ ზმნის შესახებ აღნიშნულია, რომ „ძალიან იშვიათი ხმარების ზმნაა. ეტიმოლოგია არაა ნათელი. მეორე სერიაში ენთო ზმნის ანალოგიურად უნდა ვივარაუდოთ ემტკმო. აწმყოს გარდა სხვა ფუძეები არ დასტურდება“ (9, გვ. 191).

გამონაკლისს წარმოადგენს „ჰმოსიეს“, „ჰგონიეს“, „სწერიეს“ ფორმები. „სწერიეს“ ზმნის შესახებ ივ. ქავთარაძე შენიშნავს: „ძველ ქართულში სწერიეს თითქმის სულ არ გვხვდება“ (9, გვ. 181). ავტორი შემდეგ კვლავ განიხილავს ამ ფორმას და წერს: „სტატიკური აწმყო ამ სახით ძველ ქართულში თითქმის მოშლილი ჩანს და ახალი ქართულისებური წარმოება შეინიშნება აწმყოსა და გარდამავალი ზმნის პირველ თურმეობიზში. თუმცა, ხელნაწერ ტექსტებში ერთეული შემთხვევები შეიძლება შეგვხვდეს ძველი წარმოებისა“ (9, გვ. 191). შესაძლოა, სწერიეს ფორმის გამოყენების ერთეული შემთხვევები ძველი წარმოების ნაშთი კი არ არის, არამედ, ახალი, ანალოგიით გაჩენილი ფორმებია. რაც შეეხება ჰგონიეს და ჰმოსიეს ფორმებს, ძნელია თქმა, აქ ანალოგიაზე უნდა ვიფიქროთ, თუ შესაძლებელია კაუზატივის — ევ სუფიქსის დაშვება აორისტის ფუძეში. ეს საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს.

„ჰაიეს“ ტიპის ზმნათა წარმოქმნა ასე გვესახება — ჰაიეს — ჰაიეს — ჰაიეს — უპყრიეს — უპყრიეს — უპყრიეს... ბუნებრივია, ისმის კითხვა: თუკი „ჰაიეს“ ტიპის ზმნათათვის ამოსავლად დინამიკურ ზმნათა აორისტის ფუძეს ვიგულისხმებთ, როგორღა უნდა აიხსნას, რომ ამ ზმნათა აორისტი (ალო, აბო...) სულ სხვა ვითარებას გვიჩვენებს ძველსავე ქართულში? ვაგე, აგე, აგო — ეს არის ნორმა სალიტერატურო ქართულის უძველეს ძეგლებში. მეორე მხრივ საუკუნედან წერილობით ძეგლებში მოძალბებულია ამ ზმნათა — ევ სუფიქსიანი აორისტი. — ევ სუფიქსი გვაქვს აორისტზე დაყრდნობილ მეორე თურმეობითის ფორმებშიც:

აორისტი: გავაბრკვეით, შევაბევე, გავაგევი, გაადნევე, დავრგევი...
 II თურმე: დაეტყვევენით, ვებმევე, ჩაეგდევით... (10, გვ. 30).



რაც შეეხება „ჰვიეს“ ტიპის აორისტს, ვფიქრობთ, მისი არსებობა უნდა იყოს. შეიძლება დავუშვათ პარალელური წარმოება.

ვ-ა-გ-მვ-ე → ვაგე.

ა-გ-მვ-ე → აგე.

ა-გ-მვ-ა → აგო.

და:

* ვ-გ-მვ-ე → ვ-გ-მვ-ე → ვგე(თ).

* ჰ-გ-მვ-ე → ჰ-გ-მვ-ე → ჰგე(თ).

* ჰ-გ-მვ-ა → ჰ-გ-მვ-ა → ჰგა (ჰგეის).

მეორე ტიპის წარმოება არ არის უცხო ქართულისათვის. ამგვარად იწარმოებენ აორისტს ვ-ა-თ-ევ, ვ-ა-ემ-ევ, ვ-წ-ევ, ვ-ხ-ევ.. ტიპის ზმნები. -ევ სუფიქსი ამ ზმნეებში ერთი ფუნქციის უნდა იყოს. „ჰვიეს“ ტიპის ზმნები აორისტის წარმოების მიხედვით „ათევს“ ტიპს მიჰყვება. ძნელი სათქმელია, რა დონისა იყო დაპირისპირება წარმოების ამ ორ ტიპს შორის, იყო ეს დიალექტური ვარიანტები. თუ ეს პარალელობა ფუნქციურ დაპირისპირებას ქმნიდა ერთი სისტემის ფარგლებში. ვფიქრობთ, ჩვენი საკითხისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ დავუშვით, რომ ძველ ქართულში უნდა არსებულყოფილი „* ჰგევა — ჰგევეს“ ტიპის აორისტი მოქმედებითი გვარის ზმნისა, რომლის ინვერსიით მივიღეთ „ჰვიეს“ ტიპის სტატიკური ზმნები. ის, რომ დღეს ეს ფორმები არ დასტურდება, ხელს ვერ უშლის ჩვენს მოსაზრებას — ქართულმა ენამ იცის მაგალითები, როცა აორისტში ესა თუ ის ზმნა ერთი სახით არის წარმოდგენილი, ხოლო აორისტზე დაყრდნობილ ნაკვთთა საწარმოებლად გამოყენებულია სწორედ ის ფუძე, რომელიც აორისტში იყო მოსალოდნელი და არა ის, რომელიც რეალურად არის დადასტურებული. აქ შანიძე განიხილავს ნთქმ-ევ-ა, სმ-ევ-ა, რთმ-ე-ევ-ა, რქმ-ევ-ა, ცმ-ევ-ა ფორმებს და აღნიშნავს, რომ „ეს ხუთი ზმნა თავისებურებას იჩენს იმ მხრივ, რომ -ევ სუფიქსს მოიკვეცენ II სერიის ფორმებში, მაგრამ ამასთანავე მოიკვეცენ მის წინ მდგომ -ამ თემის ნიშნის ნაშთსაც:

ვ-ნთქ-ამ — ვა-ნთქ-მ-ევ — ვა-ნთქ-ი.

ვ-სვ-ამ — ვა-სმ-ევ — ვა-სვ-ი.

* ვა-რთვ-ამ — ვა-რთმ-ევ — (წა)ვართვ-ი.

პრქვიან — ვა-რქვ-ამ — ვა-რქმ-ევ — დავარქვ-ი.

აცვი — ვა-ცვ-ამ — ვა-ცმ-ევ — ჩავაცვი“ (11, გვ. 406).

-ევ სუფიქსი რომ II სერიაშიც გადასულიყო, ამ ზმნებს ასეთი ფორმა ექნებოდათ: ვანთქმი(ვ)ე, ვასმი(ვ)ე, ვართმი(ვ)ე, ვარქმი(ვ)ე, ვაცმი(ვ)ე — სწორედ ეს მოსალოდნელი ფუძეებია გამოყენებული II თურმეობითის საწარმოებლად: (და)მენთქმია, მესმია, გამომერთმია, (და)მერქმია, (ჩა)მეცმია (შდრ.: დიალექტ.: ვაჰმეი, ვასმეი...).

ყოველივე ზემოთქმული არ ეწინააღმდეგება ქართული ენის განვითარების შინაგან კანონებს, წარმოების განსხვავებულ პრინციპთა თანაარსებობა ენაში ფაქტია და მისი განვითარების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებასაც წარმოადგენს. დევს, დღია... ფორმებზე მსჯელობისას ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს: „პარალელურად დამოწმებულ ფორმებს წარმოქმნის განსხვავებული პრინციპები უდევს საფუძვლად. უფრო ზუსტად, ერთსა და იმავე სისტემაში დაშვებულია წარმოების ორი სხვადასხვა პრინციპი, რაც ორივე შემთხვევაში ამ სისტემის შინაგანი პოტენციის უშუალო გამოვლინებაა. ენა ამ შესაძლებლობას თავისი განვითარებისათვის იყენებს. ერთი რამ არის კიდევ აქ განათვალისწინებელი: სავესებით ერთნაირი შესაძლებლობა სხვადასხვა ფორმაში შესაძლოა სხვადა-



სხვა დროს გამოვლინდეს, ან ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა დიალექტში იჩინოს თავი... ნებისმიერ ენობრივ სისტემას სწორედ ამგვარი მიმართებები ქმნიან...” (14, გვ. 60).

„ჰეიეს“ ტიპის ზმნათათვის ამონავლად ვივარაუდეთ სათანადო მოქმედებითი გვარის ზმნათა აორისტის ფორმა, მსგავსი მოვლენა უცხო არ უნდა იყოს ქართულისთვის. ამას სევანურის მონაცემიც მოწმობს, სადაც დასტურდება ერთი ტიპის ვნებითი გვარის ზმნები, „რომელნიც წარმოშობით დროთა III ჯგუფის ნაყო სრულის ფორმებს წარმოადგენენ, ხოლო მნიშვნელობით აწმყოს დროისანი არიან და სადაც იმპერაონალურად ნახმარ მესამე პირის ფორმაში სუბიექტის წარმოდგენის გაქრობის შემდეგ ფორმის პატრონად მარტო ობიექტი გამხდარა და სუბიექტადაც გადატყუელა: მიცხა (მირჩევენია), მამთქვა (მჩევენია), ხაყხა (ჰყენია), ხნიმედა (მეუძლია), ხაზნა (ზენდ აქეს) და სხვა“ (4, გვ. 42).

განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის ის შედარებით მცირერიცხოვანი ფორმები სტატიკური ზმნებისა, რომლებიც შენაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნათა II ხოლმეობითების ინვერსიით არიან მიღებული. ჰრქვიან, ჰშიან, ჰრცხევიან, ეშინიან, სწყურიან, სწადიან.. (ჰრქვის, ჰშიის, ჰრცხევის, ეშინის, სწყურის, სწადის...).

„ჰეიეს“, „უპყრიეს“ ტიპის ზმნები რომ ამ ზმნათა გვერდით უნდა განიხილებოდეს, ამას ყურადღება მიაქცია არნ. ჩიქობავამ. აქვს, ჰყავს, სძულს, სწყურის ზმნათა დატიურ კონსტრუქციაზე მსგელობისას იგი აღნიშნავს: „გარდაუღდა ზმნათა დატიური კონსტრუქციის სიბრტყეზე შეიძლება დადგეს უფლებს, უპყრიეს, ჰმოსიეს... ზმნათა დატიური კონსტრუქციაც. აქ საქმე გვაქვს სტატიკური ზმნების საობიექტო ქცევასთან, რაიც ინვერსიულ წყობას იძლევა. საკითხს საგანგებო შესწავლა ესაჭიროება“ (13, გვ. 5).

„ჰრქვიან“ ტიპის ზმნები ყველაზე ახლოს დგანან ჩვენთვის საინტერესო ზმნებთან, როგორც წარმოების, იე ფუნქციის თვალსაზრისით. ჰრქვიან ზმნის შესახებ ავ. შანიძე შენიშნავს: „სტატიკურებში მოქცეულია დღეს „ჰქვიან“, მიღებული აქტივი ფორმისაგან. ეს ფორმა წარმოშობით ხოლმეობითია: ჰრქვიან (ძვ. ქ.). ის სამპირიანი ფორმაა, მე-3 სუბ. პირით მრ. რიცხვში, მაგრამ იმპერსონალურად ზმარების შედეგად სუბ. პირი მიილია, შემდეგ კი სულ დაიკარგა და ორპირიანი გახდა. შემდეგ კი პირდ. ობიექტური პირი ზმნაში სუბიექტურად იქნა გაგებული. ამას გარდა, ფორმამ დრო იცვალა, წარსულის ნაცვლად ეხლანდელის გაგება მიიღო და აწმყოში გადმოვიდა. ამით სტატიკურებს მიეკედლა სავსებით“ (11, გვ. 322). „ჰრქვიან“ ზმნას გვერდში უდგას ზემოთ დასახელებული ფორმები — ჰშიან, ეშინიან, სწადიან.. ტიპისა. ეს ფორმები დასტურდება მეთორმეტე-მეცხრამეტე საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ენაში. ამასთან, აღნიშნულია, რომ „რაც უფრო ადრინდელი ხანის ტექსტებს განვიხილავთ, მით უფრო მყარი აღმოჩნდება - ნ დაბოლოება ამ ზმნებში“ (12, გვ. 178). მრავლობითობის — ან სუფიქსის ფუნქცია იმდენად არის დაჩრდილული, რომ, ზოგჯერ მას მრავლობითობის -თ სუფიქსიც კი დაერთვის: გიხარინთ, ჰრცხევიანთ, ეეშინიანთ, გწადიანთ, ჰქვიანთ... (12, გვ. 179; 8, გვ. 94). I თურქეობითში, როგორც წესი, ძვ. ქართულში -ან სუფიქსია წარმოდგენილი მაშინ, როცა სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი ნარიან მრავლობითში დგას. აღნიშნულია, რომ შუა საუკუნეებიდან ამ წესის რღვევა იწყება და გვაქვს შემთხვევები, როცა -ან სუფიქსიანი ზმნა მხოლობითში დასმულ ობიექტს შეიწყობს. მ. შინჯიაშვილი ამ მოვლენას გვიანდელად მიიჩნევს და თვლის, რომ „ჰქვიან“ ზმნამ „სწერიან“, „კილიან...“ ზმნათა ანალოგიით განიცადა ცვლილება, წარმოშობით სამპირიანი ზმნა ჯერ მნიშვნელობით გაუთანაბრდა ამ სტატიკურ ზმნებს,

11. შავციც, ენისა და ლიტერატურის სერია, 1994, № 1—4.

მერე კი -5-ც დაკარგა (12, 180). არა გვგონია ეს მოვლენა მხოლოდ ანალოგიით აიხსნებოდეს, ვფიქრობთ, II ხოლმეობითის III პირის (როგორც მხოლოდითი, ისე მრავლობითი) ფორმათა ინვერსია ერთ-ერთი საშუალება იყო სტატიკურ ზმნათა საწარმოებლად. იმის გამო, რომ დაიკარგა გრამატიკული სუბიექტი, ბუნებრივია, ამ ფორმებს აღარც მრავლობითობის გაგება შერჩათ. ცოტა სხვაგვარად გვაქვს საქმე I თურმეობითის ფორმებში. ვფიქრობთ, -ან დაბოლოებიან ფორმათა მხოლოდობის ფუნქციით გაგება არც ამ ნაკვეთისთვის უნდა ყოფილიყო უცხო, მეთორმეტე საუკუნიდან დამოწმებული მაგალითები ანალოგიით გაჩენილი სიახლე კი არ უნდა იყოს, არამედ ენის პოტენციური ანალოგიით გაჩენილი სიახლე კი არ უნდა იყოს, არამედ ენის პოტენციური შესაძლებლობის გამოვლენის ფაქტი. ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენი მიერ „ჰგიეს“ ტიპის ზმნათათვის ნაწარაუდვეი პრინციპი წარმოებისა არ არის უცხო ქართულისათვის. ამას მოწმობენ „ჰქვიან“ ტიპის ზმნები, რომლებიც წარმოადგენენ სათანადო მოქმედებითი გვარის ზმნათა II ხოლმეობითის მრ. რ. III პირის ინვერსიულ ფორმებს, ისევე, როგორც „ჰგიეს“ ტიპის ზმნები წარმოადგენენ მოქმედებითი გვარის ზმნათა აორისტის მრ. რ. III პირის ფორმათა ინვერსიულ ფორმებს.

შეიძლება დავსკვნათ, რომ აორისტისა და II ხოლმეობითის ფორმათა ინვერსია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი „წყარო“ ყოფილა სტატიკურ ზმნათა რიგების შევსებისა ძველ ქართულში. სტატიკურობა ხომ ინვერსიულობის თანამდევ მოვლენაა: „ყველა ინვერსიული ფორმა ქართულში სტატიკურობის ფუნქციის გამოხატველია... ქართულში ისე აეწყო ფორმათა მიმართება, რომ ინვერსიულობის კონსტრუქციული თვისება იმავდროულად სტატიკურობის მაუწყებელიცაა“ (14, გვ. 373). ჩვენი ვარაუდი არ არღვევს საერთო ენობრივ პრინციპს. ამასთან, თვალნათლივ აჩვენებს, რომ სტატიკურობას ქართულში არა აქვს ფორმალური ნიშანი.

როგორც აღნიშნულია, კონსტრუქციული ნიშნის მიხედვით სტატიკური ზმნები ორ ჯგუფად იყოფა: პირდაპირი და ირიბი წყობისად. ჩვენ არ ვაპირებთ ამ საკითხზე მაკვლობას, მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ: როგორც წესი, პირდაპირი წყობის ზმნები აღნიშნავენ სტატუსს, როგორც ასეთს, ინვერსიული ზმნები კი — სტატუსს, როგორც გარკვეული მოქმედების შედეგს. იმის გამო, რომ ეს მოქმედება შეიძლება ზღვებოდეს აწმყოში, უკვე მოხდა წარსულში, არის ის დაპრულებული თუ განგრძობილი დროში, გამოყენებულია სულ სხვადასხვა პარადიგმი შესაბამისი დინამიკური ზმნისა. ამიტომაც გვაქვს ასეთი ნაირგვარობა სტატიკურ ზმნათა წარმოებისას. II სერიის ნაკვეთთან ნაწარმოებ სტატიკურ ზმნებს აქვთ რესულტატურობის, პერფექტულობის გაგება, სწორედ ამით უკავშირდებიან ისინი I თურმეობითის ფორმებს.

რატომ მოხდა, რომ „ჰქვიან“, „ჰგიეს“... სტატიკურ ზმნათა გადმოსაცემად გამოყენებულ იქნა მრავლობითი რიცხვის ფორმა? „მძულს“, „მიყვარს“... ტიპის ინვერსიულ ფორმათაგან განსხვავებით ჩვენთვის საინტერესო ზმნებში გრამატიკული სუბიექტი დაკარგულია. ეს გამოწვეულია იმით, რომ იმთავითვე გრამატიკული სუბიექტი იყო განუსაზღვრელი, ზოგადი, დაუკანკრებელი პირი. ამგვარი რამ ბევრ ენაში გვაქვს და არც ქართულისთვის არის უცხო. ასეთი განუსაზღვრელი სუბიექტი უმეტესად სწორედ მრავლობითის III პირის ფორმით გადმოიცემა ხოლმე (говорят, man sagt), (აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი გამოთქმების პარალელურად იკვივ შინაარსი ნამყო დროის ფორმებითაც გადმოიცემა: თქმულ არს, сказано, ist gesagt. ე. ი. იმპერსონალური, განუსაზღვრელი სუბიექტის მოქმედებას იმთავითვე აქვს პერფექტულობის, რესულტატურობის გაგება). -ეს ნიშანმა ისევე დაკარგა მრავლობითობის გაგე-



ბა, როგორც -ან-მა „ეშინიან“, „სწადიან“... ფორმებში. თავდაპირველად „ჰეგეს“ ტიპის ზმნებსაც მხოლოდ ობიექტური წყობა ექნებოდათ, შემდეგ, როცა „და-ვიწყებულ იქნა“ -ეს სუფიქსით წარმოდგენილი მრ. რიცხვის „ზოგადი“, განუსაზღვრელი სუბიექტი, მოხდა პარადიგმის შევსება, გაჩნდა „დამატებითი კომბინაციის“ ფორმები.

უნდა გვქონოდა:

* (გუ)მგეის (მათ მე, ჩუენ).

გგეის (მათ შენ, თქუენ).

ჰგეის (მათ იგი, იგინი).

მას შემდეგ, რაც სახელობითში დასმული ობიექტი გაგებულ იქნა რეალურ სუბიექტად (სუბიექტი კი გაუჩინარდა), გაჩნდა „ვჰგეი“, „ჰგეი“ ფორმები, შესაბამისად, გამოიხატა მისი მრავლობითობაც: ვჰგეთ, ჰგეთ. მესამე პირის მრავლობითში მხოლობითთან დამთხვევის თავიდან ასაცილებლად „ჩაენაცვლა“-ან სუფიქსი.

ვეფიკრობთ, -იედ დაბოლოებიან ზმნებთან შემორჩენილია ძველი ვითარება, როცა მხოლობითისა და მრავლობითის მნიშვნელობა ერთი ფორმით გადმოიკეცმოდა (იხ. ზემოთ). ასევე მოხდა II ხოლმეობითიდან ნაწარმოებ ზმნებთან — ერთი სუფიქსი გადმოსცემდა მხოლობითისა და მრავლობითის მნიშვნელობას: ჰგონიან მას იგი — ჰგონიან მას იგინი...

როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულში -ია დაბოლოებაზე გადავიდა ყველა -იეს და -იან დაბოლოებიანი ზმნა (ამათ მიემატა ანალოგიით ნაწარმოებები სხვა ზმნებიც). სპეციალურ ლიტერატურაში სათანადო ყურადღება მიექცა ამ ახალი დაბოლოების საკითხსაც. აკ. შანიძე აღნიშნავდა: „სტატიკურ ზმნებს ძველ ქართულში აწმყოს მწკრივში ფუძის ბოლოს -იე სუფიქსი მოუდიოდა, რომლის მეორე ნაწილი (ე) ექარგებოდა III პირის მრ. რიცხვში: ვჰგონია, ჰგონიე, ჰგონიეს, ვჰგონიეთ, ჰგონიეთ, ჰგონიან. ახალ ქართულში კი ამ ზმნებმა I-სა და II სუბ. პირში მეშველი ზმნა დაირთეს, III-ში კი ე-ს ადგილი ა-მ დაიჭირა, რომელიც ზოგ შემთხვევაში მრავლობითის ფორმიდან მოდის (ჰგონიან) და რომელიც გარეგნულად მეშველი არს ზმნის შეკვეცილ სახეს ჰგავს. ამიტომ ისეთი სურათია დღეს, თითქოს მეშველი ზმნა ყველა პირში იყოს გატარებული“ (11, გვ. 10). ნ. ნათაძე -ა-ს III პირის სუბიექტის ნიშნად მიიჩნევს და -იე-ს -ია-თი შეცვლას ისეთსავე მოვლენად თვლის, როგორცაა თბების — თბება მონაცვლეობა (6, გვ. 10). ლ. ბარამიძე უარყოფს ამ მოსახზრებას და უფრო სარწმუნოდ თვლის -ა-ს მეშველი ზმნის ნაშთად მიჩნევას (3, გვ. 111).

-ია დაბოლოება ჩვენთვის საინტერესო ზმნებში სხვადასხვა გენეზისისაა. -იეს დაბოლოებიან ზმნებში გაჩენილი -ია-ს -ა მართლაც III სუბიექტური პირის ნიშანი უნდა იყოს. ამგვარად ნაწარმოებები ფორმები შესაძლოა იმთავითვე ჰქონდა ენას, შესაძლოა მერე გაუვითარდა — ეს არ არის არსებითი. მთავარია, რომ მას პოტენციურად ჰქონდა ამის შესაძლებლობა. ვეფიკრობთ, უპყრიეს — უპყრია ისეთივე მიმართებაში იყო ერთმანეთთან, როგორც ჰშიან — ჰშიის, სწყურიან — სწყურის...

დაბოლოს, რა შეიძლება ითქვას „ჰეგეს“ ტიპის ზმნათა მიმართებაზე I თურმეობითის ფორმებთან? სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენი ნაშრომის მიზანს არ შეადგენს ამ საკითხთა გარკვევა, თუმცა, ამ ფორმათა შორის კავშირი უდავო ჩანს. ბუნებრივია, ისმის კითხვა, პირდაპირ დაბოლოებას იღებს ამ ზმნებისა (-იეს) I თურმეობითი, თუ საერ-



თოდ წარმოებაა „ჰგიეს“ ტიპის ზმნათა იდენტური? თუ გავითვალისწინებთ, რომ II თურმეობითის საწარმოებლად სწორედ ნამყო სრულის კაუზატიურ ფორმებს იყენებს ენა (გაეკეთებინა), შეიძლებოდა I თურმეობითის ფორმებშიც გვევარაუდა კაუზატივის -ეე მაწარმოებელი, თუმცა, ეს მხოლოდ ძალიან ფრთხილი ვარაუდია, საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. აბულაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII—X სს-ის ძეგლების მიხედვით, ისლ შრომები, ტ. 53, თბ., 1954.
2. ა. არაბული, შესამე სერიის ნაკეთულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბ., 1984.
3. ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, ისლ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 9, თბ., 1964.
4. ე. თოფჩიკია, შრომები, 1, სვანური ზმნა, თბ., 1967.
5. მ. მაჭავარიანი, მოქმედების, პროცესის და მდგომარეობის ცნებების განსახლებისათვის, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, VI, თბ., 1981.
6. ნ. ნათაძე, შესამე სერიის დრო-კალთა წარმოებისათვის ქართულში, ივე, VII, თბ., 1955.
7. Г. Рогова, Динамические и статические глаголы в адыгских языках, ივე, ტ. VIII, 1956, გვ. 67.
8. მ. სუხიშვილი, სტატიური ზმნები ქართულში, თბ., 1976.
9. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიებისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.
10. ივ. ქავთარაძე, -ეე სუფიქსი მეორე და შესამე სერიის ზმნებში, აღმოსავლური ფილოლოგია, 111, თბ., 1973.
11. ავ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1980.
12. მ. შინგიაშვილი, ეშინიან თუ ეშინია? ურჩევნიან თუ ურჩევენა? ჰქვიან თუ ჰქვია? ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბ., 1972.
13. არნ. ჩიქობავა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1, თბ., 1948.
14. ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფუნქციური და ფორმოზოგი ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

М. М. БЕРИДЗЕ

К ВОПРОСУ ОБ ОКОНЧАНИИ ГЛАГОЛОВ ТИПА „HGIES“ («ЕСТЬ, СУЩЕСТВУЕТ») В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Исходной формой для статических глаголов типа „hgies“ „есть, существует“ считаем формы аориста III лица мн. числа соответствующих глаголов действительного залога: hgies ← hgives ← hgeves, где $i = e = \text{—}$ остаток суффикса $= iv \leftarrow ev, = es$ — показатель субъекта III лица. мн. числа. Имперсонально представленный субъект III лица. мн. числа утрачен, так же, как и в глаголах типа „hkvian“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება

წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ახალი სპარსული ჟურნალი

ყოველთვიური ჟურნალი „ქელქი“ („ყალამი“) გამოდის თეირანში 1990 წლის აპრილიდან და ხელოვნებისა და კულტურის მიმოხილვას წარმოადგენს. ჟურნალის მთავარი რედაქტორია ალი დეჰბაში, ხოლო გამოცემის დირექტორი და პასუხისმგებელი პირი — ქასრი ჰაჯ სეიდ ჯავადი. („ქელქი“ დაკაბადონებულია მაჯდის კომპიუტერული დაკაბადონების ინსტიტუტის მიერ). ჟურნალის გამოწერა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ირანში და მის ფარგლებს გარეთ. „ქელქის“ დანიშნულებაა შესახებ № 35—36-ის მეხუთე გვერდზე ვკითხულობთ: „ჩვენს ეპოქაში ირანის კულტურისა და ხელოვნების სფეროში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სპარსული ენის დაცვა და განვითარება. „ქელქი“ გამოიცემა იმისათვის, რომ უფრო მრავლისმომცველი მხერა მიპყროს სპარსულ ენასა და ლიტერატურას და ამ სახით პატივი მიავოს აღრინდელ თუ თანამედროვე ლიტერატორებსა და მწერლებს იმის მიუხედავად, თუ რა სტილითა და მეთოდით მუშაობდნენ ირანი...“.

სამწუხაროდ, „ქელქის“ გამოცემა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რომელთა უმეტესობა ფინანსური ხაზითაა. ყველა ნომერში მოთავსებულია საგანგებო განცხადებები, რომელთა მეშვეობით რედაქცია მოუწოდებს ხელმომწერებს, დროულად გადაიხადონ ხელმოწერის საფასური. ჟურნალისათვის მეტად ძვირფასია თითოეული მკითხველის არა მარტო მატერიალური, არამედ მორალური მხარდაჭერაც. „ქელქი“ აქვეყნებს გამოხმაურებებს, რომელთაც რედაქცია იღებს ავტორიტეტული პიროვნებებისაგან. ჟურნალის ბოლო ნომერებში მათ ცალკე განყოფილება ეთმობა („წერილები და გამოთქმული მოსაზრებები“). რედაქტორის სახელზე შემოსული ამგვარი წერილების ავტორებს შორის არიან: სეიდ მოჰამადალი ჯემალზადე, ბოზორჯ ალავი, ჰამიდუნ ქათუზიანი, ტაჯიყეთის მწერალთა კავშირის ორგანოს „სადლი შარყის“ რედაქტორი აბდოლ ჰაშიდ სამადრი, ტაჯიკი კულტურის მოღვაწე მეჰდი ედ-დინ ალემფური და მრავალი სხვა.

ჟურნალ „ქელქს“ რამდენიმე მუდმივი რუბრიკა აქვს. ესენია: „ქელქი“ და სპარსული ენა, სტატია, კრიტიკა და თვალსაზრისი, ლიტერატურული კრიტიკა, მოთხრობა, ლექსი, მსოფლიო პოეზია, ინტერვიუ, უწყებანი, წიგნების მიმოხილვა, მხატვრობა, მუსიკა, თეატრი, კინო, გახსენება და მოსაგონარი, ახალი წიგნები.

„ქელქის“ თითოეული ნომრის ბოლოს მოცემულია ახალი წიგნების ბიბლიოგრაფია. გამოცემლობებს შეუძლიათ ჟურნალის ფურცლებზე საკუთარი გამოცემების რეკლამირება. მოცემულია ახალი წიგნების ფოტოები და ანოტაციები. მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა შეაწავოს და ამოჭრას ქვითარი, გამოიწეროს სასურველი წიგნი. ჟურნალის რამდენიმე ნომერში ახალი გამოცემის ჩამონათვალი მოცემულია განყოფილებაში „წიგნის წარდგენა“, ხოლო ლიტერატურული, ხელოვნებისა და კულტურის ჟურნალების მიმოხილვას ცალკე

რუბრიკა ეთმობა. „ქელქის“ რამდენიმე ნომერი გვაცნობს „მწერლების ამბებს“, სადაც დასახელებულია წიგნები, რომლებიც ახლა იბეჭდება. მათი ჩამოთვლაც სიტყმატვიზებულია. ზოგიერთ ნომერში ბოლო გვერდებზე იბეჭდება ნეკროლოგებიც. „ქელქის“ რამდენიმე ნომერი მოგვიხსნის კულტურისა და ხელოვნების ამა თუ იმ მოვლენის შესახებ (რუბრიკა „ხელოვნებისა და კულტურის მოვლენები“).

რუბრიკა „წიგნების წარდგენა“ მასალას თემატურად დალაგებული სახით გვაწვდის: ლექსიკონები, კრებულები, სპარსული მოთხრობა და რომანი, უცხოური მოთხრობა და რომანი, პოეზია, ლიტერატურული კრიტიკა, ისტორია, პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერული დისციპლინები, მოგზაურობების ჩანაწერები, კინო, ხელოვნება, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, ენათმეცნიერება, ირანისტიკა, აღზრდა-ვანათლება, რელიგია და მისტიკა, იუმორისტიკა, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, კინოსცენარი, პიესა, დრამა, ტექსტები, მრეწველობა და ტექნიკა, სამართალი.

ქართველ მკითხველს ალბათ გარკვეული წარმოდგენა შეექმნება ჟურნალ „ქელქის“ შესახებ, თუკი ვიტყვი, რომ თავისი ხასიათითა და შინაარსით იგი ძალზე ახლოს დგას ქართულ ჟურნალთან „ლიტერატურა და ხელოვნება“. ზერელე თვალისადავლებითაც ადვილი შესამჩნევია „ქელქის“ ორიენტაცია დასავლურ კულტურასა და ხელოვნებაზე, თუმცა საკმარისად დიდი ყურადღება ეთმობა ეროვნულ ლიტერატურას. ვხედებით, აგრეთვე, წერილებს აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერლებისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებისა თუ ცალკეული ნაწარმოებების შესახებ. საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს თვალსაჩინო ინტერესი ლათინურ-ამერიკული ლიტერატურისა და, საერთოდ, კულტურის მიმართ. ფართოდ არის წარმოდგენილი აღმოსავლეთ ევროპის ე. წ. ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ლიტერატურა თუ ხელოვნება. ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათაგან განსაკუთრებული სიახლოვე და სითბო იგრძნობა ტაჯიკეთის მიმართ, რაც საგანგებო ახსნას არც საჭიროებს, თუმცა არ არის დავიწყებული სხვა ხალხებიც. საყურადღებოა, რომ „ქელქში“ წარმოდგენილი მასალის დიდი ნაწილი უცხოელ, უმეტესად — ევროპელ ავტორებს ეყუთვნის და ჟურნალი მათ თარგმანა ბეჭდავს.

ცხადია, შეუძლებელია, დაწვრილებით ვისაუბროთ ყველა იმ წერილის შესახებ, რომელსაც „ქელქი“ ბეჭდავს. მით უფრო, რომ ამ ჟურნალის ყველა ნომერი ხელთ არა გვაქვს და საუბარი დასრულებულ სახეს მაინც ვერ მიიღებს. მათი უბრალო ჩამოთვლაც კი ძალზე შორს წავიყვანდა. ვფიქრობთ, სპარსული ენის მკოდნე ნებისმიერი ადამიანი, ენისა და ლიტერატურის, მხატვრობის, თეატრის, კინოსა თუ მუსიკის სპეციალისტი, ფოტოგრაფიით, არქიტექტურით დაინტერესებული პირი „ქელქში“ რაიმეს მაინც აღმოაჩენს მისთვის საჭიროსა და საინტერესოს. „ქელქის“ მეშვეობით საშუალება გვეძლევა გავიცნოთ ევროპულ და ამერიკულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებსა და ინტერვიუებს, ან მოვიპოვოთ ინფორმაცია საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების, ფესტივალებისა თუ გამოფენების, კონკურსების შესახებ, რომლებიც ირანს, ირანისტიკას ან ირანელთათვის საინტერესო საკითხებს, მათ თუ, საერთოდ, მსოფლიო კულტურას, ხელოვნებასა და ლიტერატურას უკავშირდება. „ქელქი“ აქვეყნებს ამ კონფერენციებისა თუ ფესტივალების მონაწილეთა შთაბეჭდილებებსა და ინფორმაციას, საინტერესო გამოსვლებსა და მოხსენებებს, კონკურსების პირობებსა და შედეგებს.

რუბრიკა „ლექსი“ წარმოგვიდგენს ირანელი და ტაჯიკი პოეტების — ფერიდუნ შაჰირის, მოჰამადალი სეფანლუს, ქასრი ჰაჰ სეიდ ჯავადის, ლოიყ



შირალის, ვალიოლლაჰ დორუდიანის, ობეიდ რაჯაბის, ზადბახშ ყაპრამანჩანის, ისქანდერ ეიდი-ზადე ხათელანის, მანუჩეპრ ათეშის, აჰმადრეზა აჰმადის, მეჰდი ახაფან სალესის, ნასერ ფურფირარის, მას'უდ ბიზარგიითისა და სხვათა ლექსებს, თუმცა „ქელქი“ რამდენაავე ნომერში ტაჯიკ პოეტებს „მსოფლიო პოეზიის“ გვერდები ეთმობა (როგორც, მაგ.: ბაზერ საბერს, მირსაედ მირშაქარსა და მანსურ ოუჯის). „მსოფლიო პოეზია“ გვაცნობს ნობელის პრემიის ლაურეატის მექსიკელი პოეტის ოქტავიო პაზის, ოპიზ მანდელშტამისა და სხვათა ლექსების თარგმანს.

პროზის განყოფილება („მოთხრობა“) წარმოდგენილია მოჰამად ბაჰმან ბიგის, ასყარ აბდოლაჰის, ჯაფარ მადრეს სადეყის, გოლი თარაყის, მანაფი ფარხანეს (ამ უკანასკნელს რამდენიმე ფილმი აქვს გადაღებული, რომლებიც ვენეციის, კანისა და ლოკარნოს ფესტივალებზე დაჯილდოებულია კიდევ) ნოველებით, პოლონელი იუმორისტის სლავომირ მორუზაკის, ამერიკელი მწერლის ფრენსის სთივ მიულერის, აგრეთვე, რომენ გარის, ართურ ქესთლერისა და სხვათა ნაწარმოებებით.

„ქელქი“ ლიტერატურული ინტერესების შესახებ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად ალბათ ურიგო არ იქნებოდა იმ მწერლებისა და პოეტების სახელების ჩამოთვლა, რომელთა შემოქმედებასაც ეხმაურება ყურნალი ამა თუ იმ ფორმით. ამ ავტორთა შორის არიან თანამედროვე და გასული საუკუნეების ირანელი და უცხოელი პოეტები და მწერლები. მათი ცხოვრება და შემოქმედება სხვადასხვა კუთხითა და ასპექტით განიხილება. უცხოელი მწერლების ან მათი ნაწარმოებების შესახებ „ქელქი“ ძირითადად თარგმნილ მასალას ბეჭდავს, თუმცა იშვიათი გამონაკლისის სახით არის ირანელ მკვლევართა წერილებიც. ყურნალის ფურცლებზე ვხვდებით ისეთი ცნობილი შემოქმედების სახელებს, როგორებიც არიან: ოსკარ უაილდი, უილიამ ფოლკნერი, უილიამ გოლდინგი, ფრანც კაფკა, ანდრე მორუა, ჰანრიხ ბიოლი, მარსელ პრუსტი, თომას ელიოტი, კნუტ ჰამსუნი, ბერტოლდ ბრეხტი, გერტრუდა სტანი, ილია ერენბურგი და მრავალი სხვა.

„ქელქი“ დააკმაყოფილებს ფილოსოფიით დაინტერესებულ მკითხველთა მოთხოვნებსაც. ყურნალი ბეჭდავს ფილოსოფიის კლასიკოსთა შრომებსა და მათ კომენტარებს, მათი შემოქმედების ანალიზსა და მიმოხილვას. ასე, მაგალითად, რუბრიკაში „სტატია“ მოცემულია ჰამაიუნ ფულადფურის მიერ გერმანულიდან (ფრანგული თარგმანის მოშველიებით) თარგმნილი ემანუელ კანტის «პასუხი კითხვაზე: „რა არის განმანათლებლობა?“». მას იქვე მოსდევს მიშელ ფუკოს „კანტის „რა არის განმანათლებლობა“-ს შესახებ“. „ქელქი“ ბეჭდავს, აგრეთვე, ცნობილი მკვლევრის ჟაკ დ'ონდის ნაშრომს „ვისაც სახელად ჰეგელი ჰქვია“.

მიუხედავად იმისა, რომ „ქელქს“ აქვს მუდმივი რუბრიკები, სადაც მასალა თემატურად არის განაწილებული, ზოგ შემთხვევაში ამგვარი სისტემატიზაციის ზოგიერთი პრინციპი მკვეთრად განსაზღვრული არ არის. ასე, მაგ., ზოგი ინტერვიუ იბეჭდება ამავე სახელწოდების განყოფილებაში. ზოგი კი — იმის მიხედვით, თუ რომელი სფეროს წარმომადგენელთან არის საუბარი, მკითხველს შეიძლება მიეწოდოს რუბრიკით „კინო“, „თეატრი“ და მისთ. მაგალითად, ინტერვიუ მოჰსენ ქარამათისთან „მუსიკის“ განყოფილებაშია მოქცეული, ხოლო 1990 წლის ნოემბერში გერმანიაში გამართულ შექაპირის ფესტივალზე¹

¹ ამ ფესტივალში მონაწილეობდა თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი სპექტაკლით „ოტელო“, ეს თურნალ „ქელქშიც“ არის აღნიშნული.



გერტ გლივის მიერ ჩაწერილ საუბარს პიტერ ბრუსკა და პიტერ რის, რედაქცია მკითხველს „თეატრის“ რუბრიკით სთავაზობს.

აღსანიშნავია, რომ „ქელქი“ აქვეყნებს საუბრებს მრავალ სხვადასხვა პროფესიის, საქმიანობისა და ინტერესების მქონე პიროვნებასთან, რომელთაც ამავე დროს საინტერესო ბიოგრაფია და მდიდარი წარსულიც აქვთ. მათ შორის არიან: მწერალი იზაბელ ალიენდე, პალესტინელი პოეტი-მებრძოლი სამიზ ალ-ყასევი, მუსიკოსი რეზავი სარესეთანი, მწერალი და ბავშვთა პრობლემების ექსპერტი ქ-ნი თურან მირზადი, პროფ. აჰმად მანზავი, რუმინელი მწერალი, პოეტი, ფილოსოფოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი და რელიგიის ისტორიის სპეციალისტი მირჩა ელიადე და სხვა.

„კინო“ და „თეატრი“ ძირითადად უცხოელი რეჟისორებისა და საზღვარგარეთელი კინოსა და თეატრის ღირსშესანიშნავი მოვლენების შესახებ მოგვითხრობს. მეტწილად ეს არის უცხოური ჟურნალ-გაზეთებიდან და წიგნებიდან თარგმნილი მასალა. ვერაღ წავაწყდით ინფორმაციას აკუთრივ ირანის თეატრებისა და მათი სპექტაკლების შესახებ. ამ მხრივ, კინო რამდენადმე უკეთ არის წარმოდგენილი. ვიგებთ, რომ უნდა გაიმართოს ახალგაზრდული კინოს ფესტივალი. აქ-იქ ვაწყდებით ცნობილი ირანელი კინორეჟისორების გვარებს, მათი ნამუშევრების დასახელებებს. და ეს მაშინ, როცა „ქელქის“ გვერდები ეთმობა თხრობას ბრეტისა და კინოს ურთიერთობის შესახებ; მეტაბა მახლემანი გვიამბობს დღევანდელი ფრანგული თეატრის ამბებს, კერძოდ, ბოტო შტრაუსის პიეის „დრო და ოთახი“ რეჟისორ პატრის შეროს მიერ განხორციელებულ საინტერესო დადგმის შესახებ და სხვა.

„ქელქის“ ერთ-ერთი განყოფილება „მხატვრობა“ მასალას თვალსაზრისით მწირია. ამ რუბრიკით ქვეყნდება ორიოდ ინფორმაცია ირანის მხატვრობისა და გამოფენების შესახებ.

„მუსიკა“ აქვეყნებს მრავალფეროვან და საინტერესო მასალებს. თარგმნილს თუ ორიგინალურს, როგორც ირანის მუსიკისა და მუსიკოსების, ასევე ევროპელი კომპოზიტორების, მუსიკალური ფესტივალების შესახებ. მოცარტს „ქელქის“ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ჟურნალი ბეჭდავს, აგრეთვე, მოკლედ მაქლესის მიერ თარგმნილ რომენ როლანის წინასიტყვაობას მისივე წიგნისათვის „ბეთხოვენი“. ამავე რუბრიკით ზოგჯერ ხდება ახალი ჩანაწერებისა და წიგნების წარდგენა მუსიკის სფეროში; მოცემულია მათი ფოტოები, იბეჭდება ინტერვიუები ცნობილ ირანელ მუსიკოსებთან.

ჟურნალში დიდი ადგილი ეთმობა ენისა და ლიტერატურის პრობლემებს. აქ წარმოდგენილია პრაქტიკულად ყველა ფილოლოგიური დისციპლინა. მართალია, ძირითადად, საანალიზო მასალად აღებულია ირანული ენები, მეტწილად — სპარსული ენა და ლიტერატურა, მაგრამ მათ გვერდით ვხვდებით ზოგად თეორიულ საკითხებზე მსჯელობას, რომელიც საანალიზო ან ანალიტიკური მასალად სხვა ხალხების ენასა და ლიტერატურასაც იყენებს. ბუნებრივად მიგვაჩნია ის, რომ „ქელქის“ თითქმის ყველა ნომერში იბეჭდება წერილები „შანამეს“ შესახებ, თუმცა ისინი ყოველთვის ფილოლოგიურ პრობლემებს როდი ეხება. ასე, მაგალითად, ბაყერ ფორჰამის ფირდოუსის პოემა სჭირდება ირანში პოლიტიკური აზროვნების განვითარების მოსაზრებლად.

„ქელქში“ ვხვდებით ეტიმოლოგიურ და ტექსტოლოგიურ ძიებებს, ნაშრომებს დიალექტოლოგიის, ლიტერატურისა და თარგმანის თეორიების, ფოლკლორისა და მრავალ სხვა სფეროსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

მეტად მრავალფეროვანია და საინტერესო რუბრიკები „სტატიკა“, „კრიტიკა და თვალსაზრისი“, „წიგნების მიმოხილვა“. სწორედ ამ უკანასკნელ განყოფ-



ფილებში იბეჭდება მორად საყაფის „ერთი გამოცდილების შესახებ“, რომელიც ედ. შევარდნაძის წიგნის „ჩემი არჩევანის“ მიმოხილვას წარმოადგენს². დაწერილებით ამ განყოფილებებში მოცემული თემებისა და საკითხების შესახებ საუბარი შეუძლებელია. მას, ვისაც სურს, ფლობდეს ამ ინფორმაციას, შეუძლია მიმართოს 13—14 („ქელქი“, № 23—24) და 25—36 ნომრების თემატურ საძიებლებს („ქელქი“, № 35—36).

ერთი სიტყვით, „ქელქი“ მრავალმხრივ საინტერესო ჟურნალია. იგი წარმოდგენას გვიქმნის დღევანდელი ირანის განათლებული ნაწილის ინტერესების, მისწრაფებების შესახებ. გარდა ამისა, გარკვეულწილად ავსებს ინფორმაციის დეფიციტს, რომელიც უცხოური, კერძოდ ევროპული, ჟურნალ-გაზეთების ხელმეწეფედომლობის გამო იქმნება. და ბოლოს, „ქელქი“ დაგვეხმარება თანამედროვე განათლებული ირანელების სალიტერატურო და სამეცნიერო ენის გათავისებაში, მიიწვევს მეშვეობით ვეცნობით ნეოლოგიზმებს, ტერმინოლოგიას, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკონებში ფიქსირებული არ არის. „ქელქი“ წარმოდგენას გვიქმნის თანამედროვე ირანის ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების მოვლენების შესახებ, ვეცნობით ახალ სახელებს, რის შესაძლებლობასაც უკანასკნელ ათწლეულებში თითქმის მოკლებული ვიყავით.

ყველას, ვინც იცის სპარსული ენა, ვურჩევთ, წაიკითხოს „ქელქი“.

თეა შურღაია

² ე. შევარდნაძის წიგნი ორჯერ ითარგმნა სპარსულ ენაზე, ორივე თარგმანი თეირანში გამოვიდა შარშაწინ, ერთი, სათაურით „თავისუფლება მომავლით არის აღმეჭდილი“, ეკუთვნის ნაჰიდ ფორუჯანის, ხოლო მეორე — „მომავალი ეკუთვნის თავისუფლებას“ აბდორაჰმან სადრეს. მორად საყაფი წიგნის ანალოზისას პირველ თარგმანს ეყრდნობა, იყენებს, აგრეთვე, ფრანგულ ტექსტსაც. იგი შენიშნავს: „შევარდნაძის მოგონებებს, გარდა იმისა, რომ გადმოგვცემს იმ კაცის ცხოვრებას, რომელმაც მსოფლიოში კომუნისტების პირველი და უმნიშვნელოვანესი ექსპერიმენტი შეგინიდან გამოსცადა, შეუძლია სარგებელი მოგვეტანოს იდეოლოგიათა ფუნქციონირებისა და მათი ანალოზის მეთოდის შეცნობის საქმეში. წინამდებარე ნაშრომში ყურადღება ამ მეორე მხარეზე შევაჩერეთ“.

რ. ძიპოლის წიგნი „სტატისტიკა და ლირიკა პერსიკა“

Riccardo Zipoli, *Statistics and lirica Persica, Lirica Persica 7, Venezia. 1992.*

უკანასკნელ წლებში კომპიუტერული ტექნიკა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ფილოლოგიურ მეცნიერებებში, კერძოდ, სპარსული პოეტური ტექსტების კვლევაში. ამ ფაქტის ერთ-ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა „ლირიკა პერსიკა“ სერია, რომელიც 1989 წ. დაფუძნდა ვენეციის უნივერსიტეტის ევრაზიისმცოდნეობის განყოფილების ირანისტიკის სექციის მიზანია ახალსპარსული ლირიკის ანალიზისთვის საჭირო მასალის შეგროვება და დამუშავება. მთელი სამუშაო ტექსტის ჩაწერიდან სიტყვათცხრილების შექმნამდე, მაკეტიდან საბოლოო დაბეჭდვამდე შეარულებულია კომპიუტერ-დამხმარე მეთოდებით. ჭერჭერობით გამოსულია შვიდი ტომი: პირველი არის ცნობარი¹; შემდეგი ხუთი ახალსპარსული ლირიკის ხუთ წარმომადგენელს ეძღვნება — ჰაფეზ² (იხ. ჩვენი რეცენზია დანიელა მენეგინი კორეალის წიგნზე „The ghazals of Hafez. Concordance and Vocabulary“)³, ფადანის⁴, თალეზ⁵, ნაზირის⁶, ფაროხის⁷. თითოეული ტომი შედგება ზემოჩამოთვლილ პოეტთა ლირიკიდან ათასი სტრიქონის ტრანალიტერაციისგან (მეტრიკული მინიშნებით), კონკორდანსისა და მრავალრიცხოვანი სიტყვათცხრილებისგან (სიტყვათფორმათა ანბანური ცხრილი, სინშირეთა ცხრილი, ლემათა კატალოგი, ლემათა სინშირეების ცხრილი და სხვა).

პროფესორ რიკარდო ძიპოლის ნაშრომი „სტატისტიკა და ლირიკა პერსიკა“ ამ სერიის მეშვიდე წიგნს წარმოადგენს⁸. თუ პირველი ექვსი ტომი არის პირველადი „მატერიალური“ ბაზა, რომელიც უფრო ღრმა და მრავალმხრივი შემდგომი კვლევის საშუალებას იძლევა, მეშვიდე ტომში ავტორი უკვე იყენებს ამ ბაზას. იგი მიზნად ისახავს წინა ექვსი წიგნის მასალაზე დაყრდნობით ჩა-

1. D. Meneghini Corraale—G. Urbani—R. Zipoli. Handbook of Lirica Persica, Lirica Persica (Eurasistica 12), Venezia, 1989.
2. D. Meneghini Corraale, Hafez, Lirica Persica 2 (Eurasistica 13), Venezia, 1989.
3. Рецензия на книгу: „D. Meneghini Corraale, The ghazals of Hafez. Concordance and Vocabulary, Roma, 1988. „Матне, серия языка и литературы, 1989, № 3, сс. 159—160.
4. R. Habibi—R. Zipoli, Faghani, Lirica Persica 3 (Eurasistica 17), Venezia, 1990.
5. D. Meneghini Corraale, Taleb, Lirica Persica 4 (Eurasistica 18), Venezia, 1990.
6. N. Samadi—R. Zipoli, Naziri, Lirica Persica 5 (Eurasistica 20), Venezia, 1990.
7. D. Meneghini Corraale, Farroxi, Lirica Persica 6 (Eurasistica 25), Venezia, 1991.

⁸ პროფ. რ. ძიპოლიმ ევროპის ირანისტთა II საერთაშორისო კონფერენციაზე ქ. ბამბერგში 1991 წლის ოქტომბერში წაიკითხა მოხსენება „Lirica Persica: a preliminary report“.

ტაროს ჰაფეზის, ფაღანის, თაღების, ნაზირისა და ფაროხის ლირიკას ლექსიკური მონაცემების შედარებითი ანალიზი, რასაც ახორციელებს კიდევ სტატისტიკური დამუშავების მეთოდის საშუალებით. ხუთი ინდივიდუალური ლექსიკონი შეკავშირებულია და გვაძლევს კოლექტიურ სიტყვათცხრილებს. ამ სიტყვათცხრილების კომპილაცია წარმოადგენს შეგროვილი მასალის კვლევის პირველ საფეხურს. უფრო სპეციფიკური, განმარტებითი ხასიათის ინფორმაცია ნაშრომში არ არის მოცემული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი სიტყვათცხრილები მასალას კრებს, მაგრამ კომენტირებას არ უკეთებს. ავტორის მიდგომა მეთოდოლოგიურია და აღწერითი, ხოლო ის მცირეოდენი ინტერპრეტაციები, რომლებიც გვხვდება ტექსტში, მხოლოდ და მხოლოდ კვლევის ამ მეთოდის შესაძლებლობების ილუსტრაციაა.

კვლევის პირველ ეტაპზე რ. ძიპოლიმ თითოეული პოეტის ლირიკიდან აღებული ათასი სტრიქონის მოცულობის სინჯი განიხილა როგორც ნაწილი კრებულისა, რომელიც აერთიანებს ხუთი ავტორის ხუთი ათას სტრიქონს. სწორედ ამ კუთხით დამუშავა მან შეკრებილი მასალა და მოგვცა თითოეულ ავტორთან ნიშნების, სიტყვათფორმებისა და ლემების ამსახველი ცხრილები.

ნაშრომის ძირითადი დამსახურება ისაა, რომ ავტორმა კოლექტიურ სიტყვათცხრილებში დამუშავა და დააჯგუფა ხუთი ავტორის საერთო ბაზების ლექსიკონი და თითოეული პოეტის ტიპოლოგიური ლექსიკონი, რომელიც ავტორთა კრებულთან კავშირში განიხილება. პირველ შემთხვევაში კვლევის სტატისტიკურ იარაღად გამოყენებულ იქნა „ხი“ კვადრატ კოეფიციენტი, ხოლო მეორე შემთხვევაში — სტანდარტიზებული გადახრის გამოთვლის მეთოდი.

საერთო ბაზების ლექსიკონის კვლევისთვის პირველ რიგში არჩეულ იქნა ორი ამოსავალი წერტილი: 1. არსებით სახელთა სიხშირებისთვის ინდივიდუალურ ნიმუშებში; 2. კრებითი სიხშირისთვის ავტორთა ჯგუფში. სწორედ ამ ორი ამოსავალი წერტილის ერთდროული მიმდინარეობა მიუთითებს იმაზე, რომ ესა თუ ის არსებითი სახელი საერთო ბაზების ლექსიკონს განეკუთვნება. არსებით სახელთა რაოდენობრივი სტრუქტურების უფრო ღრმა და ყოველმხრივი აღწერისათვის ამ ლექსიკონში ავტორის მიერ შემოთავაზებულ იქნა ცხრილები, სადაც სახელები მოთავსებული იყო ნიმუშში მათი მნიშვნელობის მიხედვით. ამ სახის კლასიფიკაციის დაგეგმვისას პირველ კრიტერიუმს, რომელიც არ საჭიროებს დამატებით დამუშავებას, წარმოადგენს კრებულში არსებით სახელთა სრული სიხშირე. მაგრამ როცა სრული სიხშირეები ტოლია, სახელები ჩგუფდება „ხი“ კვადრატ კოეფიციენტის მნიშვნელობათა ზრდის პრინციპზე, რაც ასევე ასახულია ცხრილებში.

საერთო ბაზების ლექსიკონის უფრო ფართო, ზოგად სტრუქტურებში მოსათავსებლად ნაშრომში გამოკვლეულია არასრული ბაზების ლექსიკონი. მასში გაერთიანდა ყველა არსებითი სახელი, რომლისთვისაც ქვესიხშირეებში ნაკლები შემთხვევების ჯამი იყო მაქსიმუმ ხუთი (გამომდინარე არასრული ნიმუშებისა და სრული სიხშირის რიცხვიდან). ამ, გარკვეულად, მეორე დონის ბაზათა ლექსიკონის კომბინირებით საერთო ბაზის ლექსიკონთან მიღებულ იქნას გაერთიანებული ბაზების ლექსიკონი, ე. ი. ბაზათა ლექსიკონი გაფართოვდა, რათა მოეცვა სახელთა არასრული რიგებიც. არასრული ბაზების ლექსიკონში გაერთიანებული არსებითი სახელების შესწავლა და იმ შემთხვევების გამოყოფა, როცა ცალკეული ავტორი იყო მიზეზი სახელის ამოვარდნისა საერთო ბაზების ლექსიკონიდან, გვაძლევს საშუალებას, დავადგინოთ, თუ განხილულ ავტორთაგან სტილისტურად რომლები არიან უფრო ახლოს ერთმანეთთან. ზემოაღნიშნულ პოეტთა მაგალითზე აღმოჩნდა, რომ ფაროხი აშკარად გამოეყოფა



სხვა ავტორებს. იგი შედარებით შორს დგას დანარჩენი ოთხის მიერ ბეჭედილი ნორმებისგან, რაც ალბათ იმით აიხსნება, რომ ფარობი ყასიდების ერთადერთი ავტორია ამ ხუთში და თანაც ყველაზე ადრინდელი პოეტი.

მეორე ამოცანა, რომელიც დასახული იყო ნაშრომში, არის ტიპოლოგიური ლექსიკონების შედგენა, ე. ი. იმ სახელების შესწავლა, რომლებიც განასხვავებენ ერთ ავტორს მეორისაგან. ამასთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა ფორმულა, რომლის საშუალებითაც მოხდა თითოეულ ნიმუშში სტანდარტიზებული გადახრის გამოთვლა. „ხი“ კვადრატ კოეფიციენტის მსგავსად, ეს კოეფიციენტიც შესაძლებლობების ფარგლებში გამოთვლის შესასწავლი მნიშვნელობების გადახრას მათი თეორიული ეკვივალენტისაგან, ე. ი. იმისგან, რაც მოსალოდნელი იყო ალაღებდზე განაწილებით.

საერთო და ტიპოლოგიურ ბაზათა ლექსიკონების მონაცემებზე დაყრდნობით ნაშრომის ბოლოში მოცემულია ხუთივე პოეტის მოკლე სტატისტიკური მიმოხილვა შესაბამისი ნიმუშებისა და მაგალითების მოშველიებით.

პროფ. რ. ძიბოლის წიგნი „სტატისტიკა და ლირიკა პერსიკა“ მნიშვნელოვანი შენაძენია ახალსპარსული პოეზიის მკვლევართათვის და, საერთოდ, სხვადასხვა პროფილის ფილოლოგთა ფართო წრისათვის. ნაშრომს დიდი წვლილი შეაქვს ლიტერატურის კომპიუტერული კვლევის მეთოდების განვითარებას რუსულყოფაში და ნათლად წარმოაჩინს ამგვარი კვლევის პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს. წიგნის პირველი, თეორიული ნაწილი სწორედ ამ მეთოდების თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს, ხოლო ცხრილებში თავმოყრილი მასალა კი ზემოჩამოთვლილ პოეტთა ლირიკაზე სხვადასხვა კუთხით მუშაობის ფართო შესაძლებლობებს იძლევა.

პროფ. რ. ძიბოლის წიგნი „სტატისტიკა და ლირიკა პერსიკა“ არ არის „ლირიკა პერსიკა“ სერიის ბოლო ტომი, როგორც ავტორი აღნიშნავს. სერიაში ამგვარად დამუშავდება ლაზალისა და ყასიდის ყველა მნიშვნელოვანი ავტორი. ბოლო, შემაჯამებელი ტომები კი დაეთმობა ლექსიკონებს, გრამატიკულ კონსპექტებს, რიტორიკულ ცნობარს და ა. შ.

პროზიკა და ინფორმაცია

„მეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში *

1980 წ. 22 ოქტომბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კაკიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1358; 1359; 1360; 1361; 1362 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვიგეიშვილმა, ლ. კენაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

1358 ტაროელ ეტყუის: „ავთანდილ, ისმინე სიტყვა ასეზე,
გიაშობ რასმე ამბავსა, მოამბედ ნუ გენასებო:
მე ოდეს ქებანი წაუხებენ, დავკოცე დევთა დასებო,
და მას აქათ მათი აქა ძეს საჭურჭლე ძვირფასებო.“

საუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1351) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ეტყუის: „ავთანდილ, ისმინე (ეტყუის ავთანდილს: „ისმინე), წაუხებენ (წაუხებენ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ტაროელი ეტყუის: „ავთანდილ, მოისმინე ასეთი სიტყვები, გიაშობ რაღაც ამბავს, ეუღ მოამბედ ნუ ჩამთვლი: მე როდესაც გამოქვაბულები წავართვი, დავხოცე დევთა გუნდები, მას შემდეგ აქ დეეს მათი ძვირფასი განძი.“

1359 მე აგრე არა მინახავს, მართ ვითა არა მნდომია:
მოდი და გაეკსნათ, შევიგნეთ, საჭურჭლე თუ რა ზომია.
ვაშა, ადგეს ორნივე, არცა ქებე ასმათ მგლოშია,
და დალუწეს კარი ორმოცი, მათგან არ ზედა ოშია.“

საუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1352) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: რამდენადაც არ დამჭირებია, ამდენად მე არ მინახავს; მოდი და გაეკსნათ, გავიგოთ, თუ რაოდენია განძი“. გუხარდა [ავთანდილს], ორივენი ადგნენ, არც ასმათი ღარჩა მგლომარე, დალუწეს ორმოცი კარი, ომი არ დასჭირებიათ.

1360 პოვეს საჭურჭლე უსახო, კელა უნახავი თვალისა,
მუნ იდეა რიყე თვალისა, კელწმიდად განათალისა,
ჩნდის მარგალიტი, ოდენი ბურთისა საბურთალისა;
და ვინმეცა ქმნა რიცხტი ოქროსა, ვერვისგან დანათალისა!“

საუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1353) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იპოვეს უმაგალითო განძი, მანამდე თვალით უნახავი, იქ ვყარა წმინდად გათლილი თვლების რიყე (გრევი), ჩანდა საბურთათ ბურთის ოდენი მარგალიტი; ვინ დათვლის [იმ] ოქროს, ვერავისგან დათვალის!“

1361 იგი სახლი ორმოცივე შიგან იყო გატენილი.
პოვეს ერთი ზარადხანა, აბჯრისათვის სახლად ქმნილი;
მუნ აბჯარი ყოვლოფერი ასრე იდეა, ვითა მწნილი,
და შიგან ერთი კოლოზანი დაბეჭდული, არგაქსნილი.“

საუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1354) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

* გაგრძელება. იხ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1988, № 3.



სტროფის შინაარსი: ის ორმოცივე ოთახი გატენილი იყო, ნახეს ერთი ხედილი (= იარაღის საწყობი), იარაღის საცავედ გაკეთებული; იქ ყოველგვარი იარაღი ისე იდო, როგორც მწილი, შიგ ერთი დაბეჭდილი (დალუქული), გაუხსნელი კილობანი.

1362 ზედა ეწერა: ააქა ძეს აბჯარი საკირველიო,
 ჯაჭუტ-მუზარადი, აღმასი კრმალი ბასრისა, მჭრელიო,
 თუ ქაჭნი დეთა შეებენ, იყოს დღე იგი ძნელიო!
 და უმისეამისოდ ვინც გაქსნას, არის მეფეთა მკველიო”.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1355) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ზედ ეწერა: ააქ დეეს საკირველი იარაღიო, ჯაჭვის პერანგი და მუზარადი, ბასრის აღმასი, მჭრელი ხმალიო; თუ ქაჭები დეეებს შეებრძოლებიან, ის დღე იქნება მძიმეო! იმ დრომდე ვინც გაქსნის, მეფის მკველი იქნებაო”.

1980 წ. 29 ოქტომბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1363; 1364; 1365 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 1366; 1366, 1; 1367; 1368 (პროექტი მოამზადეს ც. კვიციანმა, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმანიშვილმა, ნ. კობეტიშვილმა, ნ. ცეციტიშვილმა).

1363 კილობანი გაქსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი,
 რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი:
 ჯაჭუტი, კრმალი, მუზარადი, საბარკული მათი გვანი, —
 და ზურმუხტისა ბუღებითა იყვენს ვითა ლუსკუმანი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1356) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვით (ვინ), გვანი (მგვანი).

გ. კარტოზია: მგვანი კონიექტურაა: ხელნაწერებში ყველგან უმანო ფორმაა. გვან- ფუძე გვაქვს აგრეთვე გიგვანე (1592) ზმნაშიც. ამიტომ ადვადგინეთ აღრინდელი გამოცემების წაკითხვა.

ს. ცაიშვილი: საბაე გვან-ს იცნობს და არა მგვან-ს.
 დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის წაკითხვა.

სტროფის შინაარსი: კილობანი გაქსნეს, იქ ნახეს სამი ხელი აბჯარი, რასაც კი აისხამს სამი მეომარი მოყმე: ჯაჭვის პერანგი, ხმალი, მუზარადი, მათი შესაფერისი საბარკული, — ზურმუხტის ბუღებით სიყრებთი იყო (= იდო).

1364 თითომან თითო ჩაიტყეს, თავის თავს გამოსციდიან,
 ჯაჭუტ-მუზარადსა აბჯარი მართ ვერა ვერ მოჰკიდიან;
 კრმალი რკინისა მოჰკრიან, ვით ბამბის მყედსა სჭრიდიან,
 და მათ უღირს ყოვლად ქუქუყანად, შევატყუენ, არ გაჰყიდიან.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1357) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: თითომან თითო (თითომან თვითო), ჯაჭუტ-მუზარადსა აბჯარი (ჯაჭუტ-მუზარადსა, აბჯარსა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თითომ თითო [ხელი] ჩაიცვა, თავიანთ თავს ცდიდნენ, ჯაჭვის პერანგსა და მუზარადზე ვერავითარ იარაღს პირს ვერ აკიდებინებდნენ (ე. ი. ვერ ატრევენებდნენ, ვერ გააჭრევინეს); ხმალს რკინას [რომ] დაჰკრავდნენ, ჰრიდნენ, როგორც ბამბის ძაფს, მათ მთელ ქვეყნად უღირთ [ეს იარაღი], შევატყუენ, რომ არ გაჰყიდიან.

1365 თქვეს: „ესე ნიშნად გუეყოფის, ვართო კარგითა ბედიო;
 ღმერთმან მოგუხედნა თუალითა, ზეგარღმით მონახელითა”.
 აიღეს იგი აბჯარი თავის-თავისა ქედითა,
 და თითო მათ, ერთი ფრიდონის საძლტნობლად შეკრეს ღტდითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1358) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: თითო (თვითო).

ც. კვიციანის წინადადებით, ზეგარღმით შეიცვალა ზეგარღმო ფორმით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თქვეს: „ესე საყმარისია ნიშნად, კარგი ბედისანი ვართ, ღმერთმა გადმოგუხედა ზემოდან გადმოშორალი თვალითა”. ის იარაღი აიღეს თავ-თავიანთი ქედით (ე. ი. კისერზე გადაიკიდეს), თითო მათ [აიღეს], ერთი [კ] ფრიდონისთვის საძუქრად შეკრეს ღვედით.

1366 ოქროც რამე წაიტანეს, მარგალიტი ღარიბები;
გამოვიდეს, გამობეჭდეს ორმოცივე საჭურჭლები.
ავთანდილ თქვა: „ამას იქით დავამაგრო კრმალსა ნები,
და ამას ღამე არსად წავალ, რა გათენდეს, არ დავდგები“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1359) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იშვიათი მარგალიტები და ცოტათუნეი ოქროც თან წაიღეს; გამოვიდნენ, დაბეჭდეს ორმოცივე საგანძური. ავთანდილმა თქვა: „ამის შემდეგ ხმალს მოვიკიდებ ხელს (ხმალს ხელს არ გავუშვებ), ამდამ არსად წავალ, რომ გათენდება, არ დავუოვნებდი“.

1366, 1 აქა, მხატვარო, დახატე ძმათ უმტყციესნი ძმობილინი,
იგი მიჯნურნი მნათობთა, სხტათა ვერვისგან სწრობილინი,
ორნივე გმირნი მოყმენი, მამაცობისა ცნობილინი;
და რა ქაქეთს მივლენ, გასინჯოთ ომი ლახტართა სობილინი.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1565) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ძმათ (ძმად), სხტათა (სხვისა), გასინჯოთ (გასინჯეთ).

რედაქციის წევრებს სარწმუნოდ მიიჩნიათ ლიტერატურაში წარმოდგენილი არგუმენტები სტროფის ჩანართობის თაობაზე. ს. ცაიშვილმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ ენობრივად გაუმართავია მამაცობისა ცნობილინი, თანაც ცნობილი გვიანდელი მნიშვნელობით არის ნახმარი.

მეოთხე ტაეპში დაისვა მძიმე: გასინჯოთ ომი, ლახტართა სობილინი, ფრახის შინაარსი ასე იქნა გაგებული: ნახავთ ომს და ლახტრით განგმირულვებს.

პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: აქ, მხატვარო, დახატე ძმებზე უფრო მტკიცე ძმობილები, მნათობთა მიჯნურები, სხვისგან ვერავისგან ნაჯობნნი, ორივე გმირი მოყმე, ვაჟკაცობით ცნობილინი; ქაქეთში რომ მივლენ, ნახავთ ომს და ლახტრით დაქრილვებს.

1367 რა გათენდა, გაემართნეს, წაიტანეს ასმათ თანა,
ნურადინის ქტყეანამდის შეისტიან მათ უკანა;
მუნ ვაჟარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ უძღტანა;
და ავთანდილ ემა ყოლაუზად, სხტამცა ვინღა წაიტანა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1360) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: რომ გათენდა, წაიღნენ, ასმათი თან წაიყვანეს, ნურადინის ქვეყნამდე [ცხენზე] უკან შემოისყვეს; იქ ვაჟარმა ცხენი კი არ აჩუქა, ოქროს ფასად მისცა [მათ]; ავთანდილი კმარა მეგზურად, სხვას ეილას წაიყვანს [ტარიელი]!

1368 იარეს და ზედა შეჰქდეს ნურადინის მეჯოგეთა;
ჯოგი ნახეს, მოეწონა, ფრიდონისთჳის ეაგეთა.
მუნ ავთანდილს ინდო ეტყუტის: „გაქნევე კარგთა სიშმაგეთა,
და მოდი, ფრიდონს ველალობნეთ, ჯოგსა მისსა მოვადგეთა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1361) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: შეჰქდეს (შეხდეს). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იარეს და ზედ მიადგნენ ნურადინის მეჯოგეებს; ჯოგი ნახეს, მოეწონათ, ფრიდონის შესაფერისად მიიჩნიეს. აქ ავთანდილს ინდო (= ტარიელი) ეუბნება: „კარგ სიშმაგებს ჩავადენინებ, მოდი, ფრიდონს გავებუბროთ, მის ჯოგს [წასართმევად] დავებროთ“.

1980 წ. 5 ნომბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1368, 1; 1369; 1370; 1371; 1372; 1373; 1374 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმშალაშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

1368, 1 მიუღდეს, ჯოგი წახსხეს, დაღუწეს ჩიხი და ღობა,
 იგ უუჭუნს შეუტყობლად მათ ლალთა კარგი ღაღობა:
 ფრიდონ გაფრთხილდა საომრად, მაგრამ ტარიელ დაღობა.
 და სამთავ შეენოდა სიცილი და ტბილი ამხანაგობა.

სტროფი მხოლოდ A⁵-შია, დაბეჭდილია წიგნში: ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოს-
 ნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 327. იქ დაბეჭდილ ტექსტთან შედარ-
 კებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მეოთხე ტაქტის ბოლოს წერტილ-მიმის ნაცვლად
 წერტილია. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მისცივდნენ, ჯოგი წახსხეს, დაღუწეს ჩიხი და ღობე, ეს იხუმრეს
 გახარებულგმა შეუტყობლა: ფრიდონი საომრად მოემზადა, მაგრამ ტარიელი გადაეღობა.
 სამივეს შეენოდა სიცილი და ტბილი ამხანაგობა.

1369 ჯოგი წაუღოთ, მოსრულნი ვესმით ჯოგისა წაღებად,
 გამოემართვის საომრად, ველთა სისხლითა დაღებად,
 ანახლად გურიცობს, გაკრთობს, გულსა შელამის დაღებად, —
 და ამოა კარგი ღაღობა, ღალსა შე-ვე-იქს ღაღებად“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1362) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა:
 წაუღოთ (წაუღოთ), შე-ვე-იქს (შე-ვე-იქმს). პროექტი მიღებულ იქნა.

1980. 19. XI-ის სხდომაზე ანაზღად შეიკვალა ანაზღათ ფორმით (შდრ. 1076ა).

სტროფის შინაარსი: ჯოგი წაეართვათ, გაიგებს, ჯოგის წასართმევად რომ მოვედით, გა-
 მოემართება საომრად, ვეღობს სისხლით შეაღებად, ანახლედულად გვიცნობს, შეცდება, შეეც-
 დება გულის დაწყნარებას. — სამამა კარგი ხუმრობა, მხარულს კიდევ უფრო გაამხარუ-
 ლებს“.

1370 დაღუწეს პყრობა ტაუთა ფრიდონის უეუთესებსა.
 მუნ მეჯოგეთა ფანოსი შეექმნა, ეკრა კტესებსა;
 უეიღეს: „ეინ ხართ, მოყმენო, ეინ იქთ საქმესა ზესებსა?
 და ჯოგი მისია, ეინ მტერსა პყრავს კრალსა, არ აეუნესებსა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1363) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: იქთ
 (იქმთ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: დაღუწეს ფრიდონის საუეუთესო ცხენებს დაქვრა. იქ მეჯოგებმა
 აანთეს სანიშნო ცეცხლი, კვსებს გაკრეს: შეუძახეს: „ეინა ხართ, მოყმენო, ეინ ჩაღიხართ
 თქვენს შეძლებაზე აღმატებულ (თავხედურ) საქმეს? ჯოგი მისია, ეინც მტერს ხმალს პყრავს
 [მოსაკლავად] და არ აეუნესებს (ცენესას არ დააცლის)“.

1371 მათ მშუილდები დაიწადაეს, მეჯოგეთა გაეკიდნეს.
 მეჯოგენი მიიზახდეს, კმანი მათნი გააღიდნეს:
 „გტიშუელეთო, გტიშუელეთო, მეკობრეთა ამოგუწყუიდნეს!“
 და კმა შეიქმნა, შეიყარნეს, ფრიდონს ჰყადრეს, არ დაიღიდნეს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1364) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის, პრო-
 ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მათ მშუილდები მოიმარკვეს, მეჯოგებს გაეკიდნენ. მეჯოგებმა ყოი-
 ნით გარბოდნენ, ყურილს უმატეს: „გეიშუელეთო, გეიშუელეთო, მეკობრებმა ამოგუწყუიდნეს!“
 ატყდა ხმაური, მოგროდნენ, ფრიდონს მოახსენეს, არ დაიღიდნენ.

1372 შეეკაზმა ფრიდონ, შექდა, შეკაზმული გამოვიდა,
 კმა შეიქმნა, შეიყარნეს, რაზმი ველთა დაჟარვიდა.
 იგა მზენი მოეგებნეს, ეს ზამთარი ვერ დაზრვიდა;
 და დაეხტრა ზარადები, პირსა მათსა უფარვიდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1365) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის, პრო-
 ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ფრიდონი მოემზადა, შექდა [ცენწე], აღჭურვილი გამოვიდა. ატყდა
 ხმაური, მოგროდნენ, რაზმი მინდრებს ფარავდა, მოეგებნენ ის მზეები (= ტარიელი და
 ავთანდილი), რომლებსაც ზამთარი ვერ დაზრობდა; ჩამოეხტრათ ქაჭვის ბადეები, მათ პირს
 უფარავდა.

1373 რა ტარიელ ფრიდონ იცნა, თქვა: „ენახეო, ვინცა მინა“.
მუზარადი მოიკადა, გაილიზა, გაიცინა;
ფრიდონს უთხრა: „რასა ლამი, ჩუენი მოსლეა რას გეწყინა?
და პურად ავი მასპინძელი მოგუეგებევი ომად წინა!“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1366) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ტარიელმა რომ ფრიდონი იცნო, თქვა: „ენახე, ვინც მინდაო“. მუზარადი მოიხადა, გაილიზა, გაიცინა; ფრიდონს უთხრა: „რასა ლამობ (რას ჩადი), ჩუენი მოსლეა რად გეწყინა? პურად ცული მასპინძელი წინ საომრად გუეგებები!“.

1374 ფრიდონ ფიცხლა გარდაიჭრა, დეჰარდა და თაყუანისცა, —
იგინიცა გარდაუტდეს, მოგუეტიენეს, — აყოცისცა.
ფრიდონ ღმერთსა კელაპურობით უსაზომო მადლი მისცა;
და დიდებულნი აყოცებდეს, იცნობდინ იგი ვისცა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1367) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: თაყუანისცა (თაყუანის-სცა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ფრიდონი სწრაფად გადმოიჭრა [ცხენიდან], დეჰარდა [მიწაზე] და თაყუანი სცა, — ისინაც ჩამოუხდნენ [ცხენიდან], მოგუეუენენ, — [ფრიდონმა] აყოცა კედეც. ფრიდონმა ხელაპურობით ღმერთს უზომო მადლი შესწირა: დიდებულები, ვისაც ისინი იცნობდნენ, აყოცინდნენ.

1980 წ. 12 ნომბერი

სხდომას დაესწრნენ: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ს. ციციანი.

განიხილეს სტროფები: 1375; 1376; 1377 (პროექტი მოამზადეს ც. კვიციანი, ნ. ავალი-შვილი, ლ. გუგუშვილი, ლ. თუმბალიშვილი, ნ. კოტეტიშვილი, ნ. ციციანი).

1375 ფრიდონ უთხრა: „რასა სდეგით? მოგელოდი უწინარე,
მე მზა ვარო, სამსახური თქუენი რამცა დავიზარე!“
ჰგვანდა, თუმცა შეყრილ იყუნეს ორნი მზენი, ერთი მთუარე,
და ერთმანერთი დააშუენეს, გაემართნეს, იქუეს გარე.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1368) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ფრიდონმა უთხრა: „რად დაეუენდით? უფრო ადრე მოგელოდით, მე მზად ვარ, თქვენთვის რა სამსახურს დავიზარებო!“ [იმას] ჰგვანდა, რომ [ერთად] შეყრილიყუნეს ორი მზე და ერთი მთუარე, ერთმანეთი დააშუენეს, გაემართნენ, გაბრუნდნენ [ფრიდონის სასახლისაკენ].

1376 ფრიდონის სახლს გარდაუტდეს ორნივე, ტურფად გებულსა.
ახლოს დაისტამს აეთანდილს, მისსა მამამეფიცებულსა;
ტარიელ დაჯდა საჯდომსა, ოქსინოგარდაგებულსა;
და მათ უძღუენეს იგი აბჯარი ფრიდონს, ჰაბუყად ჰებულსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1369) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციამ სტროფში ტაუბები ასე გადაანაცვლა: აბდ. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ფრიდონს საუცხოოდ ნაშენ სახლში ჩამოხდნენ ორივენი, ტარიელი დაჯდა ოქსინოგადაფარებულ ტახტზე; ახლოს დასვა აეთანდილი, თავისი მამანდიცი; მათ მიუძღუნეს ის აბჯარი ფრიდონს, ვაყუყად ჰებულს.

1377 უთხრეს: „წერთ ვამად არა გუაქუეს სსუა შენთუის არმადანია,
მაგრა ტურფანი მრავალი ჭუე სამე გუისხენ სხუაინა“.
მან დასდვა პირი მიწასა, არ დაეუენა ხანია;
და „ჩემთუის ამისი ბოძება არს თქუენი შესაყენა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1370) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: უთხრეს: „წერხნობით სხვა ძღვენი შენთვის არა ვეაქეს, მაგრამ მრავალი სხვა ძვირფასეულობა სხვაგან ვეაქეს“. მან მიწას პირი დაადო (თაყუანი სცა), არ და-



ყოვნა: „ჩემთვის ამის (= აბჯრის) ბოძება თქვენი შესაფერია (ეს ძღვენი თქვენი შესაფერია)“.

1980 წ. 19 ნოემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგენიშვილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1378; 1379; 1379, 1; 1380; 1381; 1382; 1383 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვერიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

1378 გამოისუენეს მას ღამით ფრიდონის მასპინძლობით;
აბნოს ბანა, აესნა შესამოსლისა ძღუნობით,
ღამოსნა ტურფა-ტურფითა, ერთმანეთისა მჯობითა,
და თვალ-მარგალიტი ღარიბი უძღუნა ოქროსა გობითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1371) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იმ ღამით მოისვენეს ფრიდონის მასპინძლობით; აბანოში აბანა [ისინი], მრავლად უძღუნა სამოსელი, შემოსა საუცხოო, ერთმანეთის მჯობი [სამოსით], უძღუნა იშვიათი თვალ-მარგალიტი ოქროს გობით.

1379 უთხრა, თუ: „ესე სიტყუა ავისა მასპინძლისა,
ჰგავს, მომწყენოდეს სტუმრობა თქვენ ბრძნისა ვითა ხელისა,
მაგრა აწ ყოვნა არ ვარგა, წავლა სჯობს გზისა გრძელისა,
და თუ ქაენი მოგტესწრებინა, საეკუი არს სიძნელისა.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1372) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: უთხრა: „ეს ცუდი მასპინძლის სიტყუაა, თითქოს მომწყენოდეს თქვენი, ბრძენთა, სტუმრობა, ისე როგორც შმაგებისა, მაგრამ ახლა დაყოვნება არ ვარგა, გრძელი გზის გავლა [დროულად] სჯობს, ქაყებმა რომ მოგვასწრონ, [ომი] გაძნელებდა (საფიქრებელია სიძნელე).“

1378, 1 კტლავ ფრიდონ ეტყუის: „რაც გწადდეს, ჩემზედა ნუ გაქუის რილია;
ეს თავი ჩემი თქვენისა ფერკისა გზა და კილია;
ეს თავი ჩემი თქვენისა ფერკისა გზა და კილია;
და ესეცა ბრძანეთ, ლაშქარი ცოტა გვინდა თუ ღიღია?“.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1577) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ეტყუის (კვადრა), გწადდეს (გინდეს), ჩემზედა (ჩემგან თქვენ), გაქუის (გაქეთ), ოქრო და ღარი (თვალ-მარგალიტი), ორიე (ორნიე), ცოტა (მცირე). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ფრიდონმა კვლავ უთხრა [მათ]: „რაც გწადდეთ, ნურაფერს მომე-რიდებით (მოთხარით); ეს ჩემი თავი თქვენი ფეხის გზა და ხილია; ოქრო და ღარი აიღეთ, ორივე საღაროში მიღვეს; ესეც ბრძანეთ, მცირე გვინდა ლაშქარი თუ ღიღია?“.

1380 ღიღია რას ვაქნეთ ლაშქართა? კარგი გუინდან და ცოტანი;
სამასი კაცი გუეყოფს, წავიდეთ მართ მეოტანი;
ჩუენ ქაეთს ქაეთა საომრად დაეგეთ კრმაღთა კოტანი,
და მას ადრე ვაპოვებთ, ესეცა მოგუქლავს ალისა, მო-, ტანი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1373) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ბევრ მოლაშქრეს რას ვაქნეთ? (= დიდი ლაშქარი რად გვინდა?) კარგი გვინდა და ცოტა: სამასი კაცი გვეყოფა, [სწრაფად] წავიდეთ, როგორც მართლაც გაქცეულნი: ქაეთში ქაეთთან საომრად ხმლებს დაეგეთ ცოტები (= მოეაზრდით ხმლები). მალე ვპოვებთ მას (ნესტანს), ვისი ალის ტანიც გვკლავს.

1381 ქაეთს ერთხელ კვლავ ყოფილვარ, ნახათ, თქვენცა გემაგრებინს;
ყოვლგნით კლდია, გარშემო მტერი ვერა მოადგებინს;
თუ იღუმალ არ შეუვალთ, ცხადად შეგმა არ ეგებინს,
და მით ლაშქარი არად გუინდა, რაზმი მალეით ვერ მოგუყუებინს.“



საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1374) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ქაჯეთში (ქაჯეთის ციხესიმაგრეში) ერთხელ აღრეც ვყოფილვარ, ნახავთ, თქვენც მაგრად მიიჩნევთ; ყოველი მხრიდან კლდეა, მტერი გარშემო ვერსდით მიუღება; თუ მალულად არ შევალთ, აშკარად შებრძოლება არ ეგების (შეუძლებელია), ამიტომ [დღი] ლაშქარი არაფრად გვინდა, რაშიმ მალულად ვერ გამოგვეყვება“.

1382 ივინიკა დემოწმუნს ამა მისსა ნაუბარსა.

მუნ დაადგეს ქალი ასმათ, ფრიდონ მისცემს საჩუქარსა.

თუთი სამასსა ცხენოსანსა წაიტანდეს, გმირთა დარსა,

და ბოლოდ ღმერთი გაუმარჯტებს ყოვლსა, პირველ შენაზარსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1375) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ისინიც დაეთანხმნენ მის ამ ნათქვამს. იქ (ფრიდონისას) დატოვეს ასმათ ქალი, ფრიდონი საჩუქარს აძლევს. თუთონ გმირთა დარი (ტოლი) სამასი კარგი შემომარი წაიყვანეს. ღმერთი თავიდან დატანჯულს ბოლოს ყველას გაამარჯვებინებს.

1383 ზღვა გაიარეს სამთავე ერთგან მძალ შეფიცებულთა;

ფრიდონ გზა იცის, იარეს დღისით და ღამით რბულთა.

ფრიდონ თქვა: „ეხალეთ არეთა ჩუნენ, ქაჯეთს მიახლებულთა,

და აქათგან ღამით ვლა გუნდა მით არას გამეღვენებულთა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1376) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: იარეს დღისით (იარეს, დღისით). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ერთად გაიარა ზღვა სამივე ძმადშეფიცულმა; ფრიდონმა გზა იცის, იარეს დღისით და ღამით (იარეს დღისით და ღამით მოსიარულეებმა). ფრიდონმა თქვა: „ქაჯეთთან ახლოს ვიმყოფებით (ახლო ვართ ქაჯეთთან ახლომდებარე ადგილებთან), აქედან ღამე უნდა ვიაროთ, რომ არ გავმღვანდეთ“.

1980 წ. 26 ნოემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგენიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1384; 1384,1; 1385; 1386; 1387; 1388 (პროექტი მოამზადეს: გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გერტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბეულიძემ).

1384 ამა ფრიდონის თათბრისა სამივე ერთგან ზმილიან:

რა გაუთენდის, დადგინ და ღამით ფიცლა ვლიდიან;

მივიდეს, არნდა ქალაქი, მცველთა ვერ დასთაღვიდიან,

და გარე კლდე იყო, გუშავთა კმა ჭარვით ვაადილიან.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1377) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ფიცლა (ფიცხლად). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ფრიდონის ამ რჩევას სამივენი ერთად ასრულებდნენ: რომ გაუთენდებოდათ, გაჩერდებოდნენ, ღამით [ყო] სწრაფად მივიდნენ; მივიდნენ, გამოჩნდა ქალაქი, იმდენი მცველი იყო, ვერ დავითვლი (მცველებს ვერ თვლიდნენ), გარეთ კლდე იყო, გუშავთა ხმამალა იძახდნენ.

1384,1 ყოველგნით მგრგული, შეუვალი, არსით იყო ყოლა პირი;

სამთა კართა ცხრა ათასი ზედა სცვიდა მოყმე გპირი;

შუა ციხე ამართული, კლდე კეკლუცი, არ დუხპირი,

და გუბრაბთა შესავალი, აჭრეტილი, ვითა სტური.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1584) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მგრგული (მრგვალი), შესავალი, აჭრეტილი (შესავალი ახერეტილი).

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს სტროფის ნამდვილობა-ჩანართობას თაობაზე.

ც. კიკვიძემ აღნიშნა, რომ სტროფის იცნობს ყველა დაუზიანებელი ზღაპრული, ამასთან, შინაარსობრივად და ენობრივად გამართულია. ვახტანგის გამოცემაში მისი არარსებობა სავარაირისი არგუმენტი არ არის სტროფის ჩანართად ჩასათვლელად.

ა. ბარამიძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია. მისი აზრით, აქ საქმე გვაქვს ინტერპოლატორისათვის დამახასიათებელ განმეორებასა და დეტალზაციასთან. ქაჭეთის ციხის აღწერა, მცველთა რაოდენობის აღნიშვნა ადრე ნათქვამის გამეორებაა. სტროფი ენობრივად გაუმართავია. უაღვლოდ არის ნახშირი სიტყვები: პირი, კეკლუცი, დუხჭირი, აჭურეტლი, სტუირი.

ს. ცაიშვილიც ფიქრობს, რომ სტროფში ინტერპოლატორი უბრალოდ იმეორებს ადრე ნათქვამს. შდრ. „სამთა კართა ცხრა ათასი ზედა სცივდა მოყმე გმირი“ და „გუჩირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირნახებო... ქალაქის კართა სამთავე — სამათას-სამათასები“ (12381, ვ).

ბ. კარტოზიას აზრით, ვსა და მომდევნო სტროფი ერთმანეთთან მჭიდროდ კავშირშია. თუ მომდევნო სტროფში გვირახის მცველთა რიცხვის აღნიშვნას არ ჩავთვლით ინტერპოლატორის ნახვლავად, ასევე უნდა მოვიქცეთ ქალაქის კართა მცველების რიცხვის აღნიშვნის შემთხვევაშიც. ენობრივადაც საესეებით გამართული სტროფია.

ი. გიგინეიშვილიც მხარს უჭერს სტროფის ნამდვილობას და აღნიშნავს, რომ სტროფში ყველაფერი რიგზეა ენობრივი თვალსაზრისით. კეკლუცი, კერძოდ, საესეებით ბუნებრივია ამ კონტექსტში. ასევე გასაგებია დუხჭირი, პირი და სხვ.

ე. კიკვიძეს მოაჩნია, რომ კლდეკეკლუცი ციხის მსახურელი სიტყვაა და ამიტომ შერწყმულად უნდა დაიწეროს.

სტროფი ჩანართად მიაჩნიათ ა. ბარამიძეს, ს. ცაიშვილს, შ. ძიძიგურს, ძირითადად — ი. გიგინეიშვილს, ბ. კარტოზიას, ე. კიკვიძეს. მოგვიანებით სტროფის ჩანართობა გაიზიარა ე. მეტრეველმაც.

სტროფის შინაარსი: ყოველი მხრიდან მრგვალი, შეუვალი [იყო ქალაქი], სრულიად არსაიდან ფლო შესასვლელი, სამ კარს ცხრა ათასი გმირი მოყმე იცავდა, შეუპო ციხე [იყო] აჭრათელი, მშვენიერი, არა უშინო კლდე, გვირახით შესასვლელი, ახერტელი, როგორც სტკარი.

1385 გუჩირაბის კარსა უაბუჯი ათი ათასი მცველია.

მათ ლომთა ნახეს ქალაქი, მთუარე დგას მუნ ნათელია;

თქუეს: „ვითათბიროთ, ვითა ექმნათ, აწ გამორჩევა ძნელია;

და ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“.

სათუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1378) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაბეში უფრო სწორია წაითხვა — „ერთი ათასსა აჯობებს“. ახლა ბ.შ.ა. სხვა ნუსხებში ერთი ან ათად არის გადაკეთებული, ან ახად. ყოველ შემთხვევაში, თუ ერთი არ იქნა მიღებული, მე მხარს დაეუჭერ ასს.

ე. კიკვიძეც ასს მეორეულ წაითხვად თვლის და მართებულად მიაჩნია ათი.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის წაითხვა — „ასი ათასსა აჯობებს“ (წინააღმდეგნი — ი. გიგინეიშვილი და ე. კიკვიძე).

სტროფის შინაარსი: გვირახის კარზე ათი ათასი რაინდია მცველი. იმ ლომებმა (= ტარიელმა, აგანდილმა, ფრიდონმა) ნახეს ქალაქი, ნათელი მთუარე იდგა; თქვეს: „ვითათბიროთ, როგორ მოვიქცეთ, ახლა შერჩევა ძნელია; ასი ათასს აჯობებს, თუ უმჯობეს [ხერხს] გამოვნახავს“.

1386 ფრიდონ თქვა: „ვიტყუი სიტყუასა, ვეჭუ, ჩემი არ დამცდარია;

ჩუენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია;

პირისპირ ომი არ ძალგუტ, არ ფაში საყუებარია,

და ათას წელ ვერსით შეუვალოთ, თუ ზედ დაგუემან კარია.

სათუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1379) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ფრიდონმა თქვა: „სიტყუას ვიტყუი, ვეჭობ, ჩემი [ნათქვამი] მცდარი არ არის; ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქს დიდი ლაშქარი უნდა ეომოს (ქალაქს დიდი ლაშქარი თუ შეგებძოლებს); პირისპირ ბრძოლა არ შეგვიძლია, კვენის დრო არ არის, ათას წელს ვერსაიდან შეუვალოთ [ქალაქში], თუ კარს დაგვიზმავენ“.

1387 ჩემსა სიმტროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,

მასწავლენეს მათნი საქმენი, მახლტუნვებდიან, მჭრთიდიან;

ასრუ გავიდი საბელსა, რომ თვალი ვერ მომიკლდიან,

და ვინცა მჭრეტლიან ყმაწუთილი, იგოცა ინატრიდიან.

სათუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1380) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.



სტროფის შინაარსი: ჩემს ბავშვობაში გამზრდელი მუშაობდა მსწავლედნენ, მსწავ-უკრეუნულნი
ლს მათი (მუშაობის) საქმეები, მახტუნებდნენ, მწერთინდნენ; ისე გავდოდი ხოლმე თოვტანბლინიშენა
რომ თვალს ვერ მომკრავდნენ, ვინც მიკვრეტდნენ ყმაწვილები, შემომნატროდნენ.

1388 აწ ვინცა ვიცი თუეთე შეტყორცა საგდებელისა,
მან ერთსა ბურჯსა გარდავადლო წუერი საბლისა გრძელისა,
მას ზედა გავლა ასრე მიჩნს, ერთა გარბენა ველისა,
და თქუენე ჭირად გიყო შიგანთა პოენა კაცისა შრთელისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1381) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა:
მიჩნს (მიჩნ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ახლა ვინც უეთესად ვიცი ქამანდის ტყორცნა, ერთ-ერთ ბურჯზე
გადავაკეთ გრძელი თოკის წერი, მასზე (თოვზე) გავლა ისე მიმიჩინა, როგორც ველის გარ-
ბენა, თქვენ საძნელოდ გავხდით შიგნით მყოფთა შორის შრთელი (ყოცხალი) კაცის პოენას.

1980 წ. 3 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიციძე, ს. ცაიშვი-
ლი, შ. შიძეგური.

განიხილეს სტროფები: 1389 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გერო-
ტიშვილმა, ლ. კინაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბულიძემ); 1390; 1391; 1392 (პროექტი
მოამზადეს ც. კიციძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. კობტე-
შვილმა, ნ. ცქტიშვილმა).

1389 აბჭრითა გავლა არად მიჩნს ჭირად, გატანა ფარისა;
შიგან ჩავხლტები კისასად, ვეცემი მსგავსად ჭარისა,
ლაშქართა დაეკოც, გავახტამ, ნახოთ გაღება კარისა!
და თქუენცა მუნ მოდით, სადაცა გესმას ზრიალო ზარისა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1382) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა:
მიჩნს (მიჩნ).

ა. ბარამიძემ აღნიშნა, რომ პირველი ტაეები რიგ ხელნაწერში განსხვავებულად იყოთება:
აბჭრითა გავალ, არად მიჩნს ჭირად გატანა ფარისა“.

რედაქციის წევრებმა მხარი დაუჭირეს პროექტის წაიკითხვას. პროექტი უცვლელად იქნა
მიღებული.

სტროფის შინაარსი: აბჭრით გავლა და ფარის გატანა არავითარ სიძნელედ არ მიმიჩნია;
შიგ (= ქალაქში) ჩავხტები მარდად, ქარივით ვეცემი მათ, ლაშქარს დავხოცავ, კარს გავღებ,
ნახათ მის გაღებას! თქვენც იქ მოდით, სადაც შემოგესმებათ თავზარდამეკემი ხმაური“.

1390 აეთანდილ უთხრა: „ჰე, ფრიდონ, მოუჭასნი ვერ გიჩივიან:
ლომთა მკლავთაგან იმედი გაქუს, არა წყულუნი გტყვიან;
სთათბირობ ძნელსა თათბირსა, მტერთა ივაგლახ-ივიან,
და მაგრა თუ გესმის, გუშაგნი რა ახლო-ახლო ყვივიან!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1383) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა:
ჰე, ფრიდონ (ჰე ფრიდონ).

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეში უმცობესია ზოგი ხელნაწერის ვარიანტი — ახლო-ახ-
ლოს, გაორკეცებულ კომპოზიტში პირველ ნაწილზე ბრუნვის ნიშნის (-ს) დაურთებლობა საე-
სებით ვსაგებია.

გ. კარტოზია: ახლო ზმნიზედა დამოუკიდებლად „ვეფხისტყაოსნისში“, მართალია, არა
გაქვს (ახლოს ფორმა იხმარება), მაგრამ იგი უკვე ძველ ქართულში გაქვს. ამდენად ახლო-
ახლო საესებოთ დასაშვები ფორმაა რუსთველთან.

ც. კიციძე: ახლო-ახლოს შესაძლებელი ფორმაა, მაგრამ არ ჩანს საფუძველი ახლო-ახლო-ს
დაწინებისა.

დაადგინეს: დარჩეს წაიკითხვა — ახლო-ახლო, პროექტი უცვლელად იქნა მიღებული.

სტროფის შინაარსი: აეთანდილმა უთხრა: „ჰე, ფრიდონ, მახლობელნი ვერ გიჩივიან:
ლომი მკლავებოს იმედი გაქუს, ჭრილობები არა გტყვიან: [მოწინააღმდეგისათვის] საძნელო
რჩევას იძლევი, მტრები ივაგლახებენ და „ვაის“ იტყვიან, მაგრამ თუ გესმის, გუშაგები რა
ახლო-ახლო ხმანობენ!

1391 რა გახუიდოდე, გუშაგთა ესმის აბჭრისა ჩხერება,
გიგრძნობენ, თოკსა მოკეტეთენ, ამისი კამს დაყერება;

წავიძღეს ცუდად ყბელი, დაგრჩეს ცუდილა ფერება,
და ვგე თათბირი არ ვარგა, სხვაებერ ვქმნათ თავის ტერება.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1384) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: [თოქუე] რომ დაიწყებ გასვლას, გუშაგები გაიგონებენ აბჯრის ჩხარუნს, გაგიგებენ, თოქს გალაქრიან, ეს უნდა დაიჭერო; ყველაფერი ამაოდ ჩაგივლის, შეგრჩება ამაო მცდლობა, ეგ რჩევა არ ვარგა, სხვაგვარად ვუპატრონოთ თავს (სხვა რამ მოვიმოქმედოთ).

1392 სჯობს, დადევით დამალულნი თქვენ ადგილს იღუმალს,
ისი კანი არ იჭირვენ მგზავრსა, ქალაქს შემავალსა,
საეპროთა შევეკაზმვი, ვიქ საქმესა სამუხთლასა,
და ერთსა ჯორსა გარდაეკიდებ მუზარადსა, ჯაქტსა, კრმალსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1385) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვიქ (ვიქმ), სამუხთლასა (მე მუხთლასა). პროექტი მიღებულ იქნა.

მთავარი რედაქციის წევრები იზიარებენ ი. ვიგინიშვილის თვალსაზრისს „სამუხთლას“ ფორმის პირვეანდლობის შესახებ (იხ. მისი „გამოკვლევები „ეფთხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ“, I. თბ., 1975, გვ. 313—316).

სტროფის შინაარსი: ჯობია, თქვენ გაჩერდით ფართულ ადგილს დამალული, ისინი არ აკავებენ ქალაქში შემავალ მგზავრებს, საეპრო [ტანსაცმლით] მოვიკაზმები, მუხანათურ საქმეს ჩაიედენ, ერთ ჯორს გადაეკიდებ მუზარადს, ჯაქვის პერანგსა და ხმალს.

1980 წ. 10 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. ვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიციძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1393; 1394; 1395; 1396; 1396, 1; 1396, 2 (პროექტი მოამზადეს: ც. კიციძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშაშვილმა, ნ. კოტეტიშვილმა, ნ. კეიტიშვილმა).

1393 სამთავე შესვლა არ ვარგა, თუ გუიგრძინან, არს სათუები;
მე მარტო შევალ ვაპრულად და კარგად შევეტყუები,
მალვით ჩაეიტყამ აბჯარსა, გაჩნდები, გავეცრუები,
და ლმერთმან ქმნას, უხვად ვადინო შიგნით სისხლისა რუები!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1386) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.
ი. ვიგინიშვილი: მეთხე ტაეპში შიგნით უნდა შეიცვალოს შიგნით (= შიგნით მყოფების) ფორმით (შდრ. A²-ის წაკითხვა: ვადინო [ში]განთა სისხლთა რუები). მომდევნო სტროფის საწყისი სიტყვის ამოსავალი შიგნითა ფორმა ანალოგიურად არის შეცვლილი შიგნითა / შიგნით ფორმებით მთელ რიგ ხელნაწერსა და გამოცემაში.

მთავარი რედაქციის სხვა წევრები წინააღმდეგი არიან კონიექტურისა. პროექტი უცვლელად იქნა მიღებული.

სტროფის შინაარსი: სამივეს [ერთად] შესვლა არ ვარგა, თუ გაგიგებენ, სათუთა (საეპრო) ვახლებს ჩენს საქმე, მე მარტო შევალ როგორც ვაპარი და თავს კარგად შევატყუებ, მალულად ჩაეიტყამ აბჯარს, გამოჩნდები, გავაცრუებ [შთ], ლმერთმა ქმნას, შიგნით უხვად ვადინო სისხლის რუები!

1394 შიგანთა მცველთა მოვიცილი მე უნახავად კირისად,
თქვენ გარეთ კართა ეცენით ყოველნი მსგავსად გმირისად;
კლოტეთა დავლენ, გაეახუამ, დამიდგამს ვერ ქეიტყობი სად,
და თუ რა სხვა სჯობდეს, თქვენ ბრძანეთ, ვარ მრჩეულად ამა პირისად“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1387) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: შიგნითა (შიგნით მყოფ) მცველებს გაუპრეებლად მოვიცილებ, თქვენ ყველანი გარეთ კარებს ეცით გმირულად; საეიტებს დავლენავ, გავალებ, ვერსად ვერაეითარი ქეითყობი ვერ გამიდგამს, თუ სხვა [ხერხი] სჯობია, თქვენ თქვით, [მე] ამ საქმის მრჩეული ვარ“.

1395 ტარიელ უთხრა: „მე თქვენნი ვეან გმირთა მეტი გმირობა,
თქვენსა ძალ-გულსა თქვენნივე ჰგავს თათბირობა, პირობა;

ვიცი, გწადს ომი ფიცხელი, არ ცუდი კრძალთა ღირობა,
და კაციმცა მაშინ თქვენ გახლავს, რა ომთან ქმნას გაჭირობა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1388) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ტარიელმა უთხრა: „მე გაიგე თქვენი გმირთა უმეტესი გმირობა, თქვენს ძალასა და გულადობას შეპყდრის თქვენივე თათბირი, რჩევა; ვიცი, ფიცხელი ომი გწადიათ, ხმლებს არა ამოა მოღერება, კაცი მაშინ უნდა იყოს თქვენთან, ომი რომ გაძნელებდეს.“

1396 მაგრა იყვენით ჩემთუისცა საქმისა რასმე რჩევითა:
კმა ესმას ჩემსა ხელმქმნელსა, ზედა გარდმოდგეს მზე ვითა,
თქვენ გქონდეს ომი ფიცხელი, უომრად მნახოს მე ვითა?
და ესე მე დამსურის, ნუ უბნობთ სიტყუითა თქვენ სათნევითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1389) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მაგრამ ჩემთუისაც რაიმე საქმე გამოარჩიეთ: ჩემს გამშმაგებელს (= ნესტანს) [ბრძოლის] ხმა შემოესმას, ზევიდან მზესავით გაღმოდგეს, თქვენ [ცი] ფიცხელა ომი გქონდეთ, მე როგორ მნახოს უომრად? ეს მე შემარცხვენს, საამებელ სიტყვებს ნუ მეუბნებით.

1396, 1 როს ვიყვენით ორნიე შვებით, გვქონდის ლხინი უკლებულად,
მისთვის ვლევწენ სამეფონი და ავწყვიტენ მხეცნი ველად;
აწე თვის წინ საომარსა ვით ვეო თავი უკუმეღულად,
და არ ვაჩვენო, ვით ვყოფილვარ ანუ ახლა, ან პირველად.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1596) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: სტროფის ბოლოს ბრჭყალები მოშლილია. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: როცა ორივე განცხრომით ვიყავით, ლხინი მოუკლებლად გვქონდა, მისთვის დავლევწე სამეფოები და ამოწყვიტე მხეცები ველზე; ახლა ჩემი საომრის წინაშე როგორ დავიხიო უკან, როგორ არ ვაჩვენო, როგორი ვიყავი უწინ, ან როგორი ვარ ახლა.

1396, 2 არა მნახოს თქვენთან ომსა, უკუ ვიყო დამალული,
არ იტყვის, თუ: «თვით რა ქმნილა იგი პირველ მოქადულე?»
ამა დღესა ვერ ვეჩვენო, მაშ, სად მნახოს ომს შესული?
და გამიგონეთ, ნუთუ სჯობდეს სიტყვა აწე ჩემგან თქმული.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1596) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მეორე ტაეპში დასმულია კუთხოვანი ბრჭყალები, ტაეპის ბოლოს წერტილ-ამძიმის ნაცვლად დასმულია კითხვის ნიშანი. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: არ დამინახოს თქვენთან ერთად ომში, უკან ვიყო დამალული, არ იტყვის: «ის თვითონ სად არის, თავიდან რომ იმუქრებოდა?» ამ დღეს თუ ვერ ვეჩვენო, მაშ, სად მნახოს ომში? გამიგონეთ, ეგების ახლა ჩემგან ნათქვამი სიტყვა სჯობდეს.

1980 წ. 17 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგერი, განიხილეს სტროფები: 1397; 1397, 1; 1398; 1399; 1400; 1401 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშალაშვილმა, ნ. კობტეტიშვილმა, ნ. ციტიშვილმა).

1397 მაგა თათბირსა ესე სჯობს, ექმნათ ჩემი მონაცხენობა:
გაიყოთ კაცი ას-ასი, რა ლამე ჩნდეს ნათუნებო,
სამთავე სამგნით მივმართოთ, ფიცხლა დაესხლტოთ ცხენებო;
და მოგუტეგებვიან, ვემკრობით, ჩტენ კრძალსა მოესცეთ მძლე ნებო.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1390) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ფიცხლა (ფიცხლად).

ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეპში ერთადერთი მართებული წაკითხვაა „დავწყვიოთ ცხენები“, რაც ხელნაწერთა გარკვეულ ჯგუფს შემოუნახავს. დავსხლტოთ შინაარსობრივად არ უდგება ამ ადვალს. დასხლტვა უნებური მოქმედებაა და ამ შეუფერებელია. დავწყვიოთ (= დავწყვპლოთ, დავამართახხოთ) კი კონტექსტს კარგად უდგება.



პროექტის ავტორებსა და რედაქციის სხვა წევრებს მიაჩნიათ, რომ „ფიცილა და ცხენება“ ეფფონურად უკეთესი წაიკითხება.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად (წინააღმდეგე — ი. გვიგინიშვილი).

სტროფის შინაარსი: მაგ რჩევას ეს სჯობს, შევასრულოთ ჩემი ნათქვამი: გაეყოთ ას-ასი კაცი, როგორც კი ღამე მიიწურება (გამთენიისას), სამივემ სამი მხრიდან მიემართოთ, სწრაფად მოეწყვიტოთ (დაძრახათ) ცხენებო; მოგვეგებებთან, მცირერცხვნელ მოვეჩვენებთ, ჩვენ ხმლებს ეწოდეთ ძლიერი ხელით.

1397. 1 ვინცა შეუსწრას, პფარავსმცა მას ღმრთისა საფარველია!
კარნი დაველწნეთ, დაეკონეთ ყოველნი კართა მცველია:
სამთავე იქით მიემართოთ, მაშინ აღარა ძნელია,
და ძღვეა მან მოგტყეს, რომელი სათქმელად საზარელია.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 1598) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დაველწნეთ (დაველწნეს), დაეკონეთ (დახონეს), ყოველნი (ყოველი), სათქმელად (სათქმლადცა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვინც შეუსწრებს [ციხეში], ღვთის საფარველი ფარავდეს მას! კარები დაველწნეთ, დაეხონეთ ყველა კართა მცველი; სამივემ იქით მიემართოთ, მაშინ აღარა ძნელია, გამარჯვება მან მოგვეცეს, რომელიც სათქმელად საზარელია.

1398 ფიცილა შეეებნეთ, შეესჯარნეთ, ვერ მოგტასწრებენ კარებსა,
სამთაგან ერთი შეუვალო, სხტა გარეთ ესცემდეთ გარებსა,
მან ერთმან შიგნით შიგანი მიესცნეთ სისხლისა ღტარებსა,
და პელო კტლა ეჭვადოთ აბჯარსა, მას ჩტენგან მძლედ ნაჭმარებსა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1391) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ეჭვადოთ (ეხადოთ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: სწრაფად შეეებათ, მოვიწყვდით, კარებთან ვერ მოგვასწრებენ, სამთაგან ერთ-ერთი შეუღწვეთ. სხეუბო გარეთ ეებრძოლოთ გარეთ მყოფებს, იმ ერთმა შიგნით მყოფებს სისხლის ღვარი აღინოს შიგნით, ეკლავ ხელი მიეყოთ ჩვენგან ძღვეამოსილად ნახმარ ხმაღს“.

1399 ფრიდონ უთხრა: „შემიგნია, გამოგია, ვიცი მე რა:
მაგა ცხენსა ჩემელსა მოასწრებენ კართა ვერა;
ოღეს გიძღუნე, არ ვიცილი, ქაჯეთს გუინდა ქაჯეთსა მზერა,
და თუარა ყოლა. არ გიძღუნილი, ჩემი გითხრა სიძღუნე რა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1392) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. ი. გვიგინიშვილის აზრით, პირველ ტაქტში უნდა მივიღოთ წაკითხვა გაგიგია და შეს შემდეგ დაიწეროს ძიძგე: „შემიგნია, გაგიგია, ვიცი მე, რა“.

რედაქციის წევრებმა გაიზარეს ეს აზრი და პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა. სტროფის შინაარსი: ფრიდონმა უთხრა: „შემიტყუა, ვიცი მე, რაც გაგირიგებო (განგიზრახეს): მაგ ჩემელი ცხენისათვის კარის დახურვას ვერ მოასწრებენ; როცა გაჩტე, არ ვიცილი, ქაჯეთში თუ მოგვიხებობოდა ქაჯების თვალთვალი, თორემ სულაც არ გაჩტებდი, ჩემი სიძღუნის ამბავი უნდა გითხრა“.

1400 ფრიდონ ლალი ამხანაგობს საუბართა ესოდენთა.
ამას ზედა გაიციინეს მათ წყლიანთა, სიტყუაბრძენთა,
ერთმანერთსა ელალობნეს ლალობათა, მათთა მშტენთა,
და გარდაცდეს და დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1393) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ლალი ფრიდონი ასეთი საუბრით ხუმრობს. ამაზე გაიციინეს ენაწყლიანებმა და ბრძნულად მოუბრებმა, ერთმანეთს გაეხუმრნენ, მათ რომ შემწენოდათ, ისეთი ხუმრობით, ჩამოქვეითდნენ და მოიკაზმნენ, საუკეთესო ცხენებზე შესხდნენ.

1401 ექლა ერთმანერთსა მოუგეს სიტყუები არ პირაჭუაზებო,
დაასკუნეს იგი თათბარი, ტარისა განაზრახებო:
გაიყვეს კაცი ას-ასი, უტელია გმირთა სახებო,
და ცხენებსა შესხდეს, აღეს მათ მათი ჩაბალახებო.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1394) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტში მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ისევ უთხრეს ერთმანეთს ტბილი სიტყვები, მიიღეს ტარიელის რჩევა: გაიყვეს ას-ასი კაცი, ყველა გმირთა მსგავსი, ცხენებზე შესხდნენ, აიღეს თავიანთი [ჩაქვის] ჩაბალახები.

1980 წ. 24 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური. განიხილეს სტროფები: 1402; 1403 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

1402 იგი უაბუტენი შეჭითა ვნახენ მზისაცა მტითა:
მათ სამთა შტადნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სუტითა:
ტარიელ შავსა ზედა ზის ტანითა მით წერწეტითა:
და დალევს მტერნი ომითა, ვითა მჭურტელნი მჭურტითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1395) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტში მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ის უაბუტენი თვით მზეზე მეტად შექმომფინარენი იყვნენ; იმ სამს შვიდი მნათობი ფარავს ნათლის სვეტით; ტარიელი შავ ცხენზე ზის წერწეტი ტანით; მტრები ისე დახოცეს ომით, როგორც მჭურტელები ცქერით.

1403 ჩემი აწ ესე ნათქვამი მათი სახე და დარია:
რა ზედა წუმოდენ ღრუბელნი და მთათა ატყდეს ღუპარია,
მოვა და კვეთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია,
და მაგრა რა ზღუასა შვერთვის, მამინ ეგრეცა წყნარია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1396) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ზღუასა (ზღვათა).

ი. გიგინეიშვილის აზრით, მეოთხე ტავეში უფრო სწორია წაკითხვა — „ზღუათა შვერთვის“. შდრ. მეორე ტავეს „მთათა ატყდეს ღუპარია“.

რედაქციის სხვა წევრებს მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში მაინც გადაწყვეტია ხელნაწერთა რედაქციების ჩვენება, რომელიც „ზღუათა ფორმას უკერს მხარს“.

პროექტი მიღებულ იქნა ფიცვლეულად.

სტროფის შინაარსი: ეს ჩემი ახლა ნათქვამი მათი მსგავსი და შესაფერია: როცა ზემოდან ღრუბლები იწვიებენ და მთებში მოსკდება ღვარი, მოდის და ხეებს მოლევას (მთაგრეხეს), ისმის ზათქი და ზმურთი, მაგრამ ზღვას რომ შვერთვის, მამინეც წყნარდება.

1981 წ. 7 იანვარი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1404; 1405; 1406; 1407; 1408; 1409 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

1404 თუცა ფრლონ და აეთანდილ სიკეთემიუწლომნია,
მაგრა ტარიას შებანი არვისგან მოსანდომნია:
მზე მნათობთაცა დაჰფარავს, არცალა ნათლად ზომნია,
და აწ იყურებდით, მსმენელნი, გესმნენ ფიცხელნი ომნია!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1397) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: სიკეთემიუწლომნია (სიკეთე-მიუწვდომნია). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თუცა ფრლონი და აეთანდილი ვაყაკობით მიუწვდომელნი არიან, მაგრამ ტარიელთან შებრძოლებას არაეინ ინდომებდა: მზე მნათობებსაც (= მთიარესა და პლანეტებს) ფარავს, არც ვარსკვლავთა კრებული ანათებს, ახლა ისინეთ, მსმენელნი, გაიგონებთ ცხარე ომის ამბავს!

1405 სამთავე სამად გაიყვეს, თითომან თითო კარები:
თანა ჰყვა კაცი სამსი, ყწულია გმირთა დარები.
მას ლამით უქმნეს სადარნი, უცრუო, ანაქარები,
და გათენდა, გაჩნდეს, მიმართეს, თავის-თავ ჰქონდა ფარები.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1398) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: თითომან თითო (თეთომან თეთით). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: სამივემ სამად გაიყო [სამი კარი], თითოეულმა თითო კარი [ირგუნა]; თან ჰყავდათ სამასი კაცი, ყველა გმირთა დარი. იმ ღამით დახვერეს, უტყუერად, სწრაფად (ჩაატარეს ზუსტი, სწრაფი დახვერვა), გათენდა, გამოჩნდნენ, მიმართეს [ქაქეთს], თავ-თავიანთის ჰქონდათ ფარები.

1406 პირველ ამოდ მიდიოდეს მგზავრთა რათმე მაგიერად,
 მით შიგანთა ეერა უგრძნეს, ეერცა დახუდეს გულშიგერად;
 გულსა შიში არა ჰქონდა, ამოდ ღგეს და ნებიერად,
 და მოღგეს გარეთ, მუზარადნი დაიხურნეს ეამიერად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1399) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მესამე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილ-მძიმე. სტროფის შინაარსი: ჟერ ნელა მიდიოდნენ ვილიც (უბრალო) მგზავრების მსგავსად, შიგნით მყოფებმა ვერაფერი შეუტყვეს, ეერც ყურადღებით (ფიზულად) დახვდნენ; გულში შიში არ ჰქონდათ, მშვიდად და უზრუნველად იდგნენ; მიაღწენენ გარეთ, მუზარადნი დროულად დაიხურეს.

1407 ანაზღათ ცხენი გაქუსლეს, მითრკმან შექმნა წრილო.
 რა ნახეს, კარნი გაახუნეს, ქალაქით გაქდა ზრილო,
 სამთავე სამგნით მიმართეს, თაესა მით უყვეს რიალი,
 და იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტარცილო.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1400) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ანაზღათ (ანაზღად), მეორე ტაეპის ბოლოს წერტილის ნაცვლად მძიმეა დასმულ. რედაქციას სარწმუნოდ მიაჩნია ამ სტროფის შინაარსეული ანალიზი, რომელიც მოცემულია გ. ცოცანიძის წერილში (იხ. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1979, 2). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: უეერად ცხენები გაქუსლეს, მითრკმან წული დაიწყო. [მცველებმა] რომ დაინახეს, კარები გააღეს, ქალაქიდან ზრილის ხმა გამოვიდა, სამივეს (= ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს) სამი მხრიდან მიმართეს [მცველებმა], ამით თავს აუნეს (ზიანი უყვეს), ჩაბერეს საყვირს, დაჰკრეს დაფდაფს (დოღს), შეიქმნა ბუკთა (საყვირების) ტარცილო.

1408 მაშინ ქაქეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა:
 კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკომ მზისა;
 მათვე რისხვით გარდებრუნდა ბორბალი და სიმგრგულე ეისა,
 და ეელნი მკუდართა ვერ იტევდეს, გალიადა ქარი მკუტრისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1401) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მაშინ ქაქეთს დაატყდა ღმრთის უზომო რისხვა; გამწყარალმა (წყრომით შემხედველმა) კრონოსმა (= სატურნმა) მოიშორა მზის სიტკომ; მათვე (= მცველებს) რისხვით გადაუბრუნდათ ცის ბორბალი და გუმბათი, ეელები მკედრებს ვერ იტევდა, გამარაღდა მკედრების რიცხვი.

1409 კაცსა უკრავად დაბნედლის ჯმა ტარიელს ჯაფისა,
 აბჯარსა ფრეწდის, გაუღდა სიმგრე ჯაფშანი-ქაფისა.
 სამგნითვე კართა შესჯარნეს, კიორ არ ნახეს კაფისა,
 და რა ქალაქს შექდეს, შეიქმნა სიხარე ციხეს სწრაფისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 1402) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: კაცს [ხმლის] დაუკრევლად არეტიანებდა მრისხანე ტარიელის ხმა, [მტრის] აბჯარს ფრეწვდა, გაუღდა ჯაფშისა და ჯაქვის სიმგრე. სამი მხრიდან კარებთან მიმწყვდიეს [მცველები], არ გაუპიორდათ [მათი] კაფვა, ქალაქში რომ შევიდნენ, შეიქმნა ზრუნვა იმისა, რომ ესწრაფათ ციხეში.



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი როგნედა ლამბაშიძე.

როგნედა ბიძინას ასული ლამბაშიძე დაიბადა 1922 წელს ქ. ზესტაფონში. 1943 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1946 წელს — ასპირანტურა. 1946—1953 წლებში მუშაობდა პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ — ქართული ენის კათედრის გამგედ. 1955 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებას, 1949 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1988 წელს — სადოქტორო დისერტაცია.

რ. ლამბაშიძის სამეცნიერო მოღვაწეობაში ორი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: ერთია ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობა, მეორე — ქართული დიალექტოლოგიის საკითხების კვლევა.

ცნობილია, რომ სამეცნიერო ტერმინოლოგიის სათანადოდ დამუშავების გარეშე ეროვნული მეცნიერების განვითარება ფერხდება, ამიტომ უფრო ფასდაუდებელია რ. ლამბაშიძის დიდი წვლილი სხვადასხვა სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება-დახვეწის საქმეში. 40 წლის განმავლობაში უნარიანად და მაღალ პროფესიულ დონეზე უძღვებოდა იგი ამ დიდ ეროვნულ საქმეს. ამ ხნის მანძილზე მისი ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით შეიქმნა და დაიბეჭდა 35 სამეცნიერო ტერმინოლოგია: ტექნიკური, სოფლის მეურნეობისა, ფიზიკისა, იურიდიული, გეოგრაფიისა, ქიმიისა, მეტალურგიისა, მართვის ავტომატიზებული სისტემებისა, რადიოელექტრონიკისა და მრავალი სხვა. ამ ლექსიკონებმა ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ცალკე უნდა აღინიშნოს რ. ლამბაშიძის გამოკვლევები სამეცნიერო ტერმინოლოგიის თეორიულ პრობლემებზე, მისი მონაწილეობა საერთაშორისო თუ

რეგიონალურ თათბირებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. რ. ლამბაშიძის თეორიული კვლევის შედეგები შეჯამებულია მონოგრაფიაში „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“ (1986).

რ. ლამბაშიძის ღვაწლის ღირსეულ დაფასებად აღიქვა საზოგადოებამ მისი, როგორც „ტექნიკური ტერმინოლოგიის“ ერთ-ერთი შემდგენლის, დაჯილდოება გ. ნიკოლაძის სახელობის პრემიით. სულ ახლახან კი, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, გამოკვლევებისათვის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის თეორიულ საკითხებზე და ქართულ დიალექტოლოგიაში იგი გახდა დიდი ქართველი მეცნიერის არნ. ჩიქობავას სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი.

სრულიად განსაკუთრებულია რ. ლამბაშიძის დამსახურება ქართული ენის ინგილოური დიალექტის ყოველმხრივ შესწავლის საქმეში, რისი ღირსეული დაგვირგვინებაც მისი „ქართული ენის ინგილოური ლექსიკონი“ (1988) იყო.

რ. ლამბაშიძეს ეკუთვნის ორიგინალური სახელმძღვანელო „ქართული ენის თვითმასწავლებელი“, რომელმაც სპეციალისტთა და დანტერესებულ პირთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

რ. ლამბაშიძემ მეცნიერისა და მოქალაქის ცხოვრების რთული და საინტერესო გზა ღირსეულად განვლო, მეტად მნიშვნელოვანი კვალიც დატოვა ქართულ ენათმეცნიერებაში, ამიტომ მის სახელს მუდამ კეთილად მოიგონებენ და ღვაწლს სათანადოდ დააფასებენ.

საპარტველოს მეცნიერებათა აკადემიის პრაზიდენტი
ენისა და ლიტერატურის განყოფილება
არნ. ჩიქობავას სახელობის მნათმეცნიერების ინსტიტუტი

პროფ. მიხაილ ხაბაუვილის სიტყვა, რომელიც წაიკითხეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის როზნადა ლამბაშიძის დაკრძალვაზე

დაუვიწყარო როზნადა!

მე არა მაქვს საშუალება მიგაცილო შენს საუკუნო განსასვენებლამდე, მაგრამ მეც მინდა ორიოდ სიტყვით გამოგეთხოვო.

პროფესორმა ვუკოლ ბერიძემ, ტერმინთშემოქმედების დიდოსტატმა, შენზე შეაჩერა არჩევანი, როგორც მისი საქმის მთავარ გამგრძელებელზე. მალე ნათელი გახდა, თუ რა დიდი შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა მან. იგი ერთ ხანს გწვრთნიდა და გადმოგცემდა თავის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას.

შენთვის, მაშინ ახალგაზრდა მეცნიერისათვის, არ იყო ადვილი ის ტვირთი, რომელსაც ადრე შენი მასწავლებელი ზიდავდა. მაგრამ შენ ღირსეულად გააგრძელე მისი საქმე. შენი დამოუკიდებელი მუშაობის პირველმავე წლებმა გამოიღო სასიკეთო შედეგი და გაგრძელდა სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიების შედგენა მაღალკვალიფიციურ დონეზე.

თუ ბ-ნ ვუკოლის ხელმძღვანელობით გამოქვეყნდა ოცდაათ ტერმინოლოგიაზე მეტი, შენს დროს გამოვიდა დაახლოებით იმდენივე.

მე პატივი მქონდა მონაწილეობა მიმელო ბევრი ტერმინოლოგიის დამუშავებაში. ვხედავდი, თუ რა ტაქტიტ წარმართავდი სხდომებს. არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ სამი-ოთხი საათის განმავლობაში, როდესაც სხდომა მიმდინარეობდა, თითოეული ჩვენთაგანი რალაც მომენტში გამოითიშებოდა ხოლმე და ამგვარად ისვენებდა. მხოლოდ შენ ვერ აძლევდი თავს ამის უფლებას და სხდომის ბოლომდე დაძაბული უურადლებით იყავი.

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ შენ სრულყოფილად ფლობდი ფრანგულს, რაც დიდ გასაქანს გაძლევდა მუშაობაში.

შენი მრავალწლიანი მუშაობის დაგვირგვინება იყო სადოქტორო დისერტაცია „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“, რომელსაც სულ ახლახან მიენიჭა არნ. ჩიქობავას სახელობის პრემია. რა გულდასაწყვეტია, რომ სრულად ვერ იგრძენი ამით გამოწვეული სიხარული.

ძვირფასო როგენდა! შენ შენი კალს გაღეწე და პირნათლად მიდიხარ ამ ქვეყნიდან. მაგრამ ეს ჩვენი თვალსაზრისით. შენ კი... შენი საქმე არ მიგაჩნდა დამთავრებულად.

უკურნებელი სენით დაავადებულს, სარეცელს მიჯაჭვულს, სანამ კალმის ხელში აღება შეეძლო, მუშაობა არ შეგიწყვეტია.

ავადმყოფობის პერიოდში სრულად გამოჩნდა შენი სულის სიმტკიცე. შენი წყნუნი არავის სმენია. შენ გპირდებოდა გამხნევება და სხვას ამხნევებდი. ბოლომდე შეგრჩა იუმორის გრძნობა, რომელიც მუდამ გახასიათებდა.

შენი ახლობლები და მეგობრები თითო მუჭა მიწას მოგაყრიან. ერთ-ერთ მათგანს ჩემი სახელიც ერქვას.

თავს ვხრი შენი სამარის პირას.

მშვიდობით!

მ. შაბაშვილი

3. 7. 93.

ს მ რ ბ ი ჯ ი შ ი ა



ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — მან წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის პატრიარქი, საქართველოში მეცნიერული თურქოლოგიის ფუძემდებელი, რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტი-

ტუტის თურქოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, აკადემიკოსი სერგი სიმონის ძე ჭიქია. იგი ეკუთვნოდა ქართველ მეცნიერთა იმ ბრწყინვალე პლედას, რომლის დღევანდელ განსაზღვრა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების თანამედროვე დონე.

ს. ჭიქია დაიბადა 1898 წელს, ახალსენაყის მაზრის სოფ. ონოლიაში. 1919 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა მეგრე გიმნაზია და ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის სიბერძნისმეტყველების ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა ენათმეცნიერების სპეციალობით. 1926 წელს აკად. შანიძის წარდგინებით ს. ჭიქია დატოვეს თბილისის უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად თურქული ფილოლოგიის დარგში. 1927 წელს იგი მიავლინეს თურქეთში, სადაც ორი წლის მანძილზე სტამბოლის უნივერსიტეტში სწავლობდა თურქულ ენასა და ლიტერატურას გამოჩენილ თურქ მეცნიერთა ხელმძღვანელობით. 1929—1932 წლებში ს. ჭიქია განაგრძობდა სწავლას ლენინგრადში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში თურქული ფილოლოგიის სპეციალობით. აქ იგი მუშაობდა ცნობილი მეცნიერების აკადემიკოსების ვ. ბარტოლდის, ა. სამოილოვიჩის, ნ. მარის და ი. მეშჩანინოვის სემინარებში; პარალელურად 1930 წლიდან იგი მიწვეული იყო ლექტორად ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში და აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში, სადაც 1936 წლამდე კითხულობდა ლექციებს თურქულ ენაში.

1936 წელს ს. ჭიქია ბრუნდება სამშობლოში და იწყებს უაღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის უნივერსიტეტში: 1936—1945 წლებში იგი ხელმძღვანელობდა აღმოსავლურ ენათა კათედრას, ხოლო 1945—1973 წლებში — მის მიერ დაფუძნებულ თურქოლოგიის კათედრას. იგი იყო ერთ-ერთი ფუძემდებელი თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტისა (1945 წ.), რომელსაც 7 წლის მანძილზე თავად ედგა სათავეში, როგორც ფაკულტეტის პირველი დეკანი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსების დღიდან (1960 წ.) სიცოცხლის ბოლომდე ს. ჭიქია უცვლელად ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილებას.

ხალასმა ნიჭმა, ფართო ერუდიციამ და ფუნდამენტალურმა ფილოლოგიურმა მომზადებამ განსაზღვრეს სერგი ჭიქიას, როგორც მკვლევარის, მრავალფეროვანი სამეცნიერო ინტერესები. აკად. ს. ჭიქიას კალამს ეკუთვნის 150-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომი, მათ შორის მრავალი მონოგრაფია, აგრეთვე თურქული ენის სახელმძღვანელოები, ჭრეტკომათიები, ლექსიკონები. ბატონი სერგის მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა მოიცავს კარდინალური პრობლემების მეტად ფართო სპექტრს კვლევა-ძიების ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა თურქული ენის ისტორია, ანატოლიის თურქული დიალექტები, თურქული ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია, ოსმალური პალიოგრაფია და დიპლომატიკა, ქართულ-თურქული და ქართულ-აზერბაიჯანული ენობრივი და ისტორიულ-ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემები და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. ჭიქიას მიერ გაწეული, ნაყოფიერი მუშაობა საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ ძვირფასი ისტორიული ცნობების შემცველი ოსმალური დოკუმენტებისა და ნარატიული წყაროების შესწავლა-გამოცემის საქმეში, რამაც მეცნიერს ფართო საერთაშორისო აღიარება და მსოფლიო მასშტაბის უმაღლესი რეპუტაციის თურქოლოგიის სახელი მოუტანა.

ქეშპარიტად ფუნდამენტალურ ნაშრომს წარმოადგენს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის (შედგენილია ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს და-

პურობის შემდეგ, 1595 წელს) პუბლიკაცია, რომელიც განახორციელა ს. ჭიქიამ ქართული თარგმანითურთ და დეტალური ფილოლოგიურ-ისტორიული კომენტარებით. ამ პუბლიკაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც თურქული ენის ისტორიის, ისე საქართველოსა და საზოგადოდ ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური, ისტორიის, კულტურის და ისტორიული გეოგრაფიის საკვანძო საკითხების შესწავლისათვის. ს. ჭიქიას ხსენებული ნაშრომი ვახდა ნიმუში მსოფლიო თურქოლოგიურ ლიტერატურაში მსგავსი ტექსტების მეცნიერული გამოცემისა და მას მოჰყვა ანალოგიური ხასიათის პუბლიკაციების მთელი სერია, რომლებშიც უცხოელი ავტორები ერთხმად აღიარებენ ს. ჭიქიას გადამწყვეტ როლს ამ ახალი თურქოლოგიური დისციპლინის შექმნაში.

დიდი ღვაწლი დასდო ს. ჭიქიამ თურქულ და ქართველურ ენათა დიალექტოლოგიის და ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტების შესწავლის საქმეს. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები, რომლებიც ეძღვნება ქართული ენობრივი სუბსტრატის გამოვლინებას აღმოსავლეთ ანატოლიის თურქულ დიალექტებში. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, მის მიერ ჩაწერილი და შესწავლილი ლაზური ტექსტები, რომლებიც ფაქტობრივად შენაძენია ქართველურ ენათა დიალექტოლოგიისათვის.

განუზომელია აკად. ს. ჭიქიას ღვაწლი ახალგაზრდობის აღზრდის და მეცნიერთა კადრების მომზადების საქმეში.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობით აკადემიკოსმა სერგი ჭიქიამ თვალსაჩინო როლი ითამაშა ქართული და მსოფლიო თურქოლოგიური და ორიენტალისტური მეცნიერების განვითარებაში. თავისი ნაშრომებით და მთელი თავისი საქმიანობით ბატონმა სერგომ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მეზობელ თურქეთთან, აზერბაიჯანთან და სხვა თურქულენოვან ხალხებთან საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის შესწავლის და თანამედროვე ეტაპზე მათთან კულტურული ურთიერთობის გაღრმავება-განვითარების საქმეში.

დიდი მეცნიერი და პედაგოგი, გულმხურვალე მამულიშვილი, მაღალი ზნეობის უსპეტაკესი პიროვნება, — ასეთად დარჩება ჩვენს ხსოვნაში აკადემიკოსი სერგი ჭიქია, რომლის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული მეცნიერების ისტორიაში.

- მ. შივარდნაძე, ო. ფაცაცია, ვ. გოგუაძე, თ. ზამხრალიძე, ა. თაყაიშვილი, ნ. ლომიძე, ვ. ლორთქიფანიძე, ი. მინაღარიშვილი, რ. მებრძოლი, ა. აფაქიძე, მ. ანდრონიკაშვილი, ა. ბარამიძე, ა. ზურაბაშვილი, ი. მებრძოლი, ზ. მელიქიშვილი, ა. ლლონტი, ს. ხუციშვილი, შ. კიციანი, ზ. ციციშვილი, ა. ჭიჭინაძე, ც. აბულაძე, ზ. ალასანიძე, ზ. ანთონაძე, მ. ახვლედიანი, ზ. ბარამიძე, ა. ზვანაგია, ჯ. გიუნაშვილი, ი. გოციანი, მ. თოღუა, ა. იმედაშვილი, ნ. კომახიძე, ნ. ლომოური, მ. სვანიძე, ზ. ფუთურიძე, ზ. ზაუზაშვილი, ნ. ზინგალიძე, ზ. ჩიქოვანი, ლ. ჩლიკაძე, ნ. ჯანაშვილი, ვ. ჯანაშვილი, ა. ცალაქალაშანიძე.

ქმირფასსო ბატონო სერგი!

დიდეს უკანასკნელად შევიკრიბეთ თქვენს წინაშე, რათა ერთხელ კიდევ დაგიდასტუროთ ჩვენი უღრმესი პატივისცემა, დიდი სიყვარული და მაღლიერება, სამარადუამოდ გამოკეთხოვით მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობის მასწავლებელს, თავდამსლობით, ადამიანური სიბოთით და კოლეგიალური გულისხმიერებით გამოჩინებულ ქემშარიტად დიდ მეცნიერს.

თქვენ, რომელიც 75 წელი უხმაურად და უანგაროდ ემსახურეთ ქართულ კულტურას, მუმანიტარულ მეცნიერებას, ჩვენში თურქოლოგიური დისციპლი-

ნების დამკვიდრებასა და განვითარებას, წლების მანძილზე ბურჯად ედევით სამამულო ორიენტაციისტიკას, რომლის ახლანდელი საერთაშორისო აღიარება და ავტორიტეტი მჭიდროდაა დაკავშირებული თქვენს მემცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან; დაკავშირებულია თქვენს პიროვნულ თვისებებთან — სტუდენტსა და ცნობილ მემცნიერს ერთნაირად რომ უნაწილებდით ცოდნასა და გამოცდილებას, უნიკალურ წიგნებსა თუ თურქეთისა და ევროპის სიძველეთსაცავებიდან რუდუნებით მოპოვებულ საქართველოს ისტორიის წერილობით წყაროებს; თვეობით რომ უჭექით სხვათა და სხვათა სამუშაოს. ამასწინათ ერთმა ახალგაზრდა კოლეგამ „სულის აზნაური“ გიწოდათ. ასეა ძველ ქართულ ხელნაწერებში განსაზღვრული ინტელიგენტის ცნება.

თქვენი მოღვაწეობით, უბრალოდ ცხოვრების ნირშეუცვლელი წესით ჩვენს ქვეყანას უკიდევანოდ უმრავლეთ მეგობრები და კეთილის მყოფენი. სპეციალისტთა ნებისმიერ საერთაშორისო შეხვედრებზე თქვენი მოწაფეობა უკვე წარმატების საწინდარი იყო.

თავად დიდებული მასწავლებელი უზომოდ მაღლიერი მოწაფე იყავით. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შემორჩა თქვენს მეხსიერებას მათი სახე და სახელი. რა მოკრძალებით და მოწინებით წარმოთქვამდით აკაკი შანიძის სახელს. ბოლო დროს სიამაყის გრძნობას სიცოცხლის გახანგრძლივების იმედიც დამატა — „წელი და I თვე კიდევ წინ მაქვსო“ ამბობდით. მაგრამ იქვე თქვენეული ღიმილით დასძენდით: «Сие от нас не зависит».

ასეთივე პატივისცემით ეკიდებოდით თქვენს მოწაფეებსა და კოლეგებს. როგორ ხარობდით თითოეული მათგანის მიღწევებით. მათ ახლადგამოსულ ნაშრომებს ერთხანს თან დაატარებდით სხვებისთვის რომ გაეცნოთ, თავად კი, 160-ზე მეტი ფუნდამენტური ნაშრომის ავტორს, ლექსიკონებისა და სახელმძღვანელოების შემდგენელს არასოდეს ვითქვამთ „ეს მე გავაკეთე“. მოწაფეებს მიუტევებელ შეცდომებზეც კი საოცარი ტაქტით მიუთითებდით. გულისწყრომა და, მით უფრო, აუცი არავიზე გამოგიტყვამთ.

ბატონო სერგი, თქვენი მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფენი თანამედროვეობის შესაბამისად აქტიურად იღწვიან სამემცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა უბანზე. ახლანდელი საკომუნიკაციო პირობები რომ არა, ყველა მათგანი თავდახრილი დაღვებოდა თქვენი ცხედრის წინაშე. მაგრამ გწამდეთ, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, მათი წრფელი ცრემლი მიგაცილებთ უკანასკნელ გზაზე.

ბოლო ხუთი წელი ბატონი სერგი ვეღარ ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ და სამემცნიერო მუშაობას. მაგრამ სრულად შეინარჩუნა ადამიანებთან მისთვის ჩვეული თბილი და ტკბილი ურთიერთობის უნარი, რბილი და სიტუაციას ზედმიწევნით მისადაგებული იუმორი.

აღესრულა ისე მშვიდად, უხმოდ და სხვების შეუწუხებლად, როგორც იცხოვრა და იცოცხლა მან წელი. ხელებიც კი თვითონ დაიკრიათ.

მშვიდობით ბატონო სერგი, ქართული მიწა მსუბუქად გეფაროთ თქვენ და თქვენს უსაყვარლეს და უმშვენიერეს მეუღლეს.



ნ 626 / ე

96-102



ინდექსი 76198
საქართველოს
ლიბრეოთეკა

40-94

5 000573

F 602-95

1997